PUBLICA HELIAE UNIVERSITAS
LEGAMUS

დავით დარჩიაშვილი,
ზურაბ სამარღანიშვილი

პოლონური და ქართული ეროვნული პროექტების ტრაექტორია: შემთხვევა ნაციონალიზმის შედარებითი კვლევისთვის

კვლევა განხორციელდა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტისა და რუსეთის კვლევის ცენტრის თანამშრომლობით, შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ გაცემული ფუნდამენტური კვლევების გრანტის – „ეროვნული ელიტები და იმპერია: ქართული და პოლონური შემთხვევების შედარებითი ანალიზი“ FR – 21 – 2819 – ფარგლებში.

ჩარლზ ფერბენქსი: კონსულტანტი
თამარ თოლორდავა: მკვლევარი

რედაქტორი: ნატალია ვაჩეიშვილი
დამკაბადონებელი: ლიკა გოგავა
გარეკანი: ლიკა გოგავა

© 2025, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ISBN 978-9941-18-482-6

ILIAS STATE UNIVERSITY PRESS
ILIA STATE UNIVERSITY PRESS
3/5 Cholokashvili Ave, Tbilisi, 0162, Georgia

სარჩევი

წინათქმა 7

შესავალი 9

ქართული ნაციონალიზმი ჩასახვიდან დღემდე: ცვლილებები თუ მოჯადოებული წრე?

განმანათლებლობისა და მოდერნიზაციის საწყისების ძიება 25

ეროვნული იდენტობის კონსტრუირების ფესვები და სტადიები 37

პირველი კოლონიური დეკადები – 1832 წლის შეთქმულებისაკენ მიმავალი გზა 45

1832 წლის თაობის დისკურსი და ეროვნული წინააღმდეგობა 53

მოდერნული ნაციონალისტური აზრის კონსოლიდაცია 63

ქართველი პოლიტიკური ერის გენერლები 74

დისკურსიდან სახელმწიფოს მშენებლობის პრაქტიკამდე 95

საბჭოთა ჰიბრიდულობა 111

პოსტკომუნისტური საქართველოს იდეური და დისკურსული პროფილი 121

დასკვნითი შენიშვნები 158

პატრიოტიზმის პოლონური მაგალითი: ჟეჩპოსპოლიტას იდეოლოგემებსა და ინტეგრალურ ნაციონალიზმს შორის

პოლონური ნაციონალიზმის კლასიფიკაციის მცდელობა 163

თანამედროვე ნაციონალიზმის ფესვები ჟეჩპოსპოლიტაში და მისი შემდგომი ტრაექტორია.... 167

იყო იმპერიის მსახურება ღალატი? 182

წინააღმდეგობასა და აკომოდაციას შორის: ნაციონალური მიზნისაკენ მიმავალი ეკლიანი გზა..... 189

მესამე ჟეჩპოსპოლიტას ელიტა, დისკურსი და გეოკულტურა 220

რუსეთის იმიჯი პოლონელებში: კოლონიურ/ პოსტკოლონიური ჰიბრიდულობის ელემენტები 232

შედარება და გაკვეთილები 241

დასკვნის ნაცვლად: პოლონურ-ქართული მაგალითების შედარება, როგორც კოლონიური/ პოსტკოლონიური კვლევების შემთხვევა 266

ბიბლიოგრაფია 272

საძიებელი 292

წინათქმა

წიგნზე მუშაობის პროცესში გაჩენილ აზრებს სოციალურ ქსელში ვაზიარებდი. მყისიერი საჯარო რეაქციის მისაღებად Facebook თუ ნებისმიერი სხვა ინტერნეტპლატფორმა შეუცვლელი ხდება მკვლევრისათვის. ზოგიერთი გამოხმაურება გამაოგნებელი იყო და ჩემს მცდელობათა დროულობაში მარწმუნებდა. როდესაც ვწერდი, რომ ეროვნული ისტორია არასოდესაა შავ-თეთრი, იგი არაა მხოლოდ გმირებითა და მოღალატეებით დასახლებული და ზოგიერთი სახელგანთქმული ქართველი, რომელიც მე-19 საუკუნეში იმპერიის ადმინისტრაციაში მსახურობდა, იმავდროულად თანამედროვე ქართველი ერის თანაშემოქმედიც შეიძლებოდა ყოფილიყო, ხისტი პასუხი მივიღე: „რა, „სადღეგრძელოს“[1] ავტორი ყველა მედროვეც ღირებულია ქვეყნის ისტორიისათვის?!“ – დაწერა ერთ-ერთმა Facebook მეგობარმა. საბედნიეროდ, ცივილიზებული აზრთა ცვლა განვაგრძეთ და, ამ შემთხვევაში, შევთანხმდით, რომ ისტორიული ნარატივები მხოლოდ მათ შემქმნელთა დროინდელი ღირებულებათა სისტემით უნდა შევაფასოთ.

წინაპართა მორალური შეფასებები თანამედროვე საქართველოს კონფლიქტური დისკურსის მიზეზი თუ არა, ნიშანია. პოლონეთს ეროვნული იდენტობის ფორმირების არანაკლებ დრამატული ისტორია ჰქონდა. პოლონური ნაციონალიზმის ძველ და ახალ დინებათა ბრძოლა კარგადაა შესწავლილი და მასთან შედარება, მისი აკადე-

1 ვინძლო, ქართველ მკითხველს არ გაუჭირდეს გამოცნობა, რომ საუბარია რომანტიკოსი პოეტის, გრიგოლ ორბელიანის ცნობილ პოემაზე, რომელზედაც რუსეთის არმიის ქართველი გენერალი 1827-1870 წლებში მუშაობდა.

მიური ანალიზი ქართული საზოგადოების თვითრეფლექსიისათვის ხელშემწყობი შეიძლება იყოს. პოლონეთი წარმატებულად კონსოლიდირებული დემოკრატიაა – რამდენადაც ეს კოლონიური წარსულის მქონე პოსტკომუნისტურ ქვეყანას შეუძლია. პოლონური პოლიტიკური ძალები ლამის ქრონიკულად კონფრონტაციულია, მაგრამ, იმავდროულად, საერთო და შედეგიანი modus operandi-ს მპოვნელიც, რაც ინსტიტუტებისა და საუკუნოვანი პოლიტიკური კულტურის დამსახურებაა. შეიძლება, რომ პოლონური დემოკრატიის წარმატებულობის საწინდარი ისტორიისადმი ანაქრონისტული დამოკიდებულებების გადალახვა იყოს? ან იქნებ ყოველივე კათოლიკური ეკლესიის გამორჩეული წვლილის დამსახურებაა? შეუძლია საქართველოს ამ მაგალითის განმეორება და რა გარე თუ შიდა ინტელექტუალურ რესურსს უნდა დაეყრდნოს იგი ამისათვის? ესაა კითხვები, რამაც ამ წიგნის ავტორები გაგვაერთიანა. მე და ჩემი ახალგაზრდა კოლეგები ვიმედოვნებთ, რომ რეფლექსია მე-18-21-ე საუკუნის საქართველოსა და პოლონეთის ისტორიაზე, როგორადაც იგი აქაა გადმოცემული, სასარგებლო უნდა იყოს საქართველოს ევროპული მომავლისათვის.

დავით დარჩიაშვილი

შესავალი

ნაციონალიზმის[2] თუ ერის მშენებლობის ყველა შემთხვევა ინდივიდუალურია. ამასთან, თანამედროვე ისტორიოგრაფიამ, ანთროპოლოგიამ, სოციოლოგიამ ნაციონალიზმის კვლევებში განზოგადებები სათანადოდ დაამკვიდრა (იხ. მაგალითად Anderson 1991, სმიტი 2004, Gellner 2007). შესაბამისად, შესაძლოა გაჩნდეს კითხვა – რა აზრი აქვს კიდევ ერთ შედარებით კვლევას, ნაციონალიზმის ერთი შემთხვევით მეორე შემთხვევის გაზომვას? ამ კითხვაზე პასუხი მრავალგვარი შეიძლება იყოს:

1. უპირველეს ყოვლისა, სოციალური მეცნიერება არასოდეს სრულდება და შედარებითი კვლევა არაა მხოლოდ აქტორების თუ პროცესის/სტრუქტურის მსგავსებებზე ორიენტირებული. ერთი მხრივ, ისტორიკოსები, რომლებიც თანამედროვე სოციალური კვლევების საწყისებთან იდგნენ, შედარებით მეთოდს „სოციალური ტიპების“ ანუ განსხვავებულ საზოგადოებებში ზოგადი ტენდენციების აღმოსაჩენად იყენებდნენ. ამავე დროს, მეთოდი ყოველი სოციალური მაგალითის ინდივიდუალურ/სპეციფიკური ნიშნების გამოსავლენადაც გამოიყენებოდა, რადგან საზოგადოება არასოდესაა გეომეტრიული

2 აქ ამ ტერმინს ზოგადი მნიშვნელობით ვხმარობთ – არ დაგვყავს იგი ერის ეთნიკურ გაგებამდე ან მის აგრესიულ, ქსენოფობიურ ფორმებამდე. არსებითად, ჩვენ მივყვებით ნაციონალიზმის ენტონი სმიტისეულ დეფინიციას, რომლის ერთ-ერთი განმარტებითაც ნაციონალისტური იდეოლოგია სამ ზოგად მიზანს ისახავს. ესენია: ეროვნული ავტონომია, ერთობა და იდენტობა (სმიტი 2004, 31). რა თქმა უნდა, ამ მიზანთა კონკრეტული ფორმები ვარირებს, რასაც წინამდებარე წიგნში პოლონური და ქართული შემთხვევების განხილვით ვაჩვენებთ.

ფიგურა და ისტორიოგრაფიაში მტკიცებულება თეორემათა დასაბუთების სახეს არ ატარებს (Гуревич 1986, 196-197);

2. მნიშვნელოვანწილად, პოლონური და ქართული ნაციონალიზმები ერთი და იმავე რუსულ იმპერიულ სისტემასთან ურთიერთობითა და ბრძოლით განვითარდა. გარკვეული დროის მანძილზე ქართულ ისტორიულ სამთავროთა ნაწილი რუსეთის მიღმა რჩებოდა. საკმაოდ განვითარებული ან/და სოციალურ-პოლიტიკურად აქტიური ზოგიერთი პოლონური მიწა რუსულ იმპერიაში არასოდეს მოქცეულა. მაგრამ ბევრი პოლონელი მოაზროვნე თვლიდა და თვლის, რომ სწორედ რუსეთი იყო პოლონურ ეროვნულ მისწრაფებათა მთავარი საფრთხე. ნათქვამი საქართველოს შემთხვევას კიდევ უფრო შეეფერება;

3. მიუხედავად არაერთი ეროვნული ხასიათის აჯანყებისა, როგორც პოლონეთის, ისე საქართველოს ბევრი წარმომადგენელი – თუნდაც დროებით და ნაწილობრივ – მზად იყო შეჰგუებოდა იმპერიის სამსახურს. ეს გეოპოლიტიკური აღქმების, ცივილიზაციური არჩევანისა თუ ჯგუფური/პიროვნული სარგებლის გამო ხდებოდა. ზოგჯერ მსგავსი გადაწყვეტილების მიმღებნი იმპერიის ასიმილაციურ პოლიტიკასაც უპირისპირდებოდნენ და ეროვნულ მიზნებს ამა თუ იმ ფორმით ემსახურებოდნენ. შესაბამისად, ამ წინააღმდეგობის შესწავლა დამატებით ნათელს ჰფენს იმას, თუ როგორ ახერხებს იმპერია დომინირებას არა მხოლოდ ძალით, არამედ მიზიდულობითა და ჩართულობით;

4. პოლონეთი ევროპის ერთ-ერთი უძველესი ჩაგრული ნაციონალიზმის შემთხვევაა: მაგალითისათვის, ფრანგული ნაციონალიზმი სუვერენულ სახელმწიფოში განვითარდა, პოლონური კი დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში. ეს გარემოება სა-

ქართველოსა და უცხოური ბატონობის გამომცდელ სხვა ერებს პოლონეთით დაინტერესებისაკენ უნდა უბიძგებდეს. შესაძლოა, პოლონეთის სოციალურ მატრიცად წარმოდგენა გადაჭარბებული იყოს, მაგრამ მისი მაგალითი უდავოდ საყურადღებოა.

5. ისტორიულად საქართველოს პოლონურის მსგავსი სოციალური სტრუქტურა ჰქონდა – არისტოკრატიის დისპროპორციულად მაღალი პროცენტი, უცხოელთა დიდი წილი ბურჟუაზიაში და ალტერნატიული ნაციონალური პროექტების მქონე ადგილობრივი სოციალური ჯგუფები. მსგავსი ვითარება გარდაუვალად ამჩნევდა კვალს ქართულ და პოლონურ პატრიოტულ დინებებსა და ნაციონალურ იდეოლოგიებს.

6. და ბოლო, მაგრამ არაუკანასკნელი: მე-19 საუკუნის დასაწყისის მოვლენებმა ქართული და პოლონური არისტოკრატია ერთმანეთს დააკავშირა. მის წარმომადგენელთა შორის ორმხრივი სიმპათია ჩამოყალიბდა, რაც ეყრდნობოდა რწმენას, რომ მათი ეროვნული ბედისწერა მსგავსი იყო. ზოგიერთი პოლონელი ისტორიკოსი იმოწმებს ქართულ საბჭოთა ისტორიოგრაფიას და ეჭვი შეაქვს ამგვარი რომანტიკული ნაციონალიზმის ადეკვატურობაში (Furier 1999, 9). მიუხედავად ზემოთ ნახსენები ქართულ-პოლონური მსგავსებებისა, ჩვენ შეიძლება ასეთი ეჭვი მეტ-ნაკლებად გავიზიაროთ კიდეც. მაგრამ გაზიარებული ბედისწერის რწმენა ორი ერის დისკურსთა ნაწილია. შესაბამისად, იგი საყურადღებოა. ასეთ დამოკიდებულებებსა და მასთან დაკავშირებულ მოგონებებზე რეფლექსია ჩვენი კვლევის ერთ-ერთი ამოცანაა.

წიგნის ზოგადი მიზანია იმის გაგება, თუ როგორი იყო ქართული საზოგადოების ისტორიულ-ინტელექტუალური ტრაექტორია მოდერნული ეროვნული იდენტო-

ბისა და ინტერესების ფორმულირების გზაზე. იგი გარდაუვალ კავშირშია ქართველთა კომპლექსური დამოკიდებულების განვითარებასთან მთავარი საგარეო გამოწვევის – რუსეთის იმპერიის – მიმართ. საქართველოს მოდერნიზაციისა და იმპერიასთან ბრძოლის პერიოდი ერთმანეთს დაემთხვა და ეს უკანასკნელი მოდერნიზმის მამოძრავებელი ძალა თუ ჩარჩო გახდა. პოლონური თანამეგობრობის – ჟეჩპოსპოლიტას – მსგავსი გამოცდილება კი, რომელმაც არსებობა იმავე პერიოდში შეწყვიტა, წიგნში ქართული ნაციონალიზმის უნივერსალიზმისა და სპეციფიკის გარკვევის ორიენტირადაა გამოყენებული.

მე-18 საუკუნიდან მოყოლებული, პოლონელი ინტელექტუალები ევროპული განმანათლებლობის გადმოსახედიდან განსაზღვრავდნენ საკუთარ დამოკიდებულებებს პოლიტიკური იდენტობის მიმართ. თუ უფრო ადრე არა, მე-19 საუკუნის შუახნიდან მაინც, ისინი ყურადღებით აკვირდებოდნენ მთელ კავკასიასა და უშუალოდ საქართველოსაც. ეს ყურადღება და ზრუნვა მსოფლიო ომებს შორის კიდევ უფრო განვითარდა და თვალსაჩინო რჩება დღესაც, როდესაც ახალ, პოსტმოდერნულ პირობებში მყოფი საქართველო ისევ საუკუნოვან ეროვნულ დილემებს აწყდება. შეიძლება ითქვას, რომ საკუთარი ნაციონალური მისწრაფებებისათვის არაერთი თაობის პოლონელებს სჭირდებოდათ საქართველო, ქართველებს კი – პოლონეთი. შესაბამისად, ღირებულია იმის გარკვევა, მიჰყვებოდა და მიჰყვება თუ არა ევროპული ცივილიზაციის პერიფერიაზე მდებარე საქართველო პოლიტიკური და იდეოლოგიური თვითკონსტრუირების პოლონურ ქარგას, თუ ეს ორი განსახილველი შემთხვევა თვისებრივად სცილდებოდა და სცილდება ერთმანეთს.

საერთო ჩანაფიქრიდან გამომდინარე, წიგნის პირველ თავში კოლექტიური იდენტობისადმი, ინტერესებისადმი და ეროვნული საფრთხეებისადმი ქართული პოლიტიკური და ინტელექტუალური კლასების დამოკიდებულებათა ცვლილება/განვითარებაა განხილული. ამ თავში

ვმსჯელობთ: არსებობს თუ არა ქართულ ელიტათა „გაკვალულ ბილიკზე“ იდეურ-კონცეპტუალური დამოკიდებულების სინდრომი ქვეყნის პირველი ანექსიიდან დღემდე; რამდენად მიკერძოებულია წარსულის ინტერპრეტაციები, რომელსაც ქართველი ისტორიკოსები და პოლიტიკოსები გვთავაზობენ. მეორე თავი პოლონურ გამოცდილებას ეძღვნება. მასში ვსაუბრობთ განსხვავებული პატრიოტული დინებების და ელიტების ბალანსირებაზე ეროვნულ აჯანყებებსა და ცარიზმთან თუ საბჭოთა კავშირთან შემგუებლობას შორის.

დასკვნითი თავი ორი ნაციონალიზმის შედარებასა და იმ გაკვეთილებზეა, რომლებიც საქართველომ შესაძლოა, უფრო წარმატებული პოლონეთისაგან მიიღოს. რა თქმა უნდა, ვითვალისწინებთ ორი ქვეყნის გეოგრაფიულ და კულტურულ სხვაობას. მაგრამ თუ ქართველთა კოლექტიური იდენტობის ევროპეიზაციის დონისა და პოლიტიკური კულტურის შეფასება გვინდა, პოლონელთა დამოკიდებულება საკუთარი წინააღმდეგობრივი ისტორიული პერსონაჟების მიმართ, „ერის სამსახურის“ და „ღალატის“ მათეული გაგება მოსახერხებელი საზომია საამისოდ. ქართული პოლიტიკური და აკადემიური დისკურსი ასევე მოიგებს პოლონურ გეოპოლიტიკურ ხედვებთან შედარების შედეგად. საინტერესოა, რომ ზოგჯერ პოლონელი მკვლევრები გეოპოლიტიკას „გეოკულტურით“ ანაცვლებენ, რითაც ხაზს უსვამენ სივრცის არა იმდენად სტრატეგიულ, ღირებულებათაგან დაცლილ მნიშვნელობას, რამდენადაც ნაციონალური სამოსახლოს სივრცითი და აქსიოლოგიური განზომილებების კავშირს (Gołembski 2009, 50).

შედარებითი ისტორიული ტიპოლოგიის გარდა, წიგნში გადმოცემული კვლევის მეთოდოლოგიურ თუ თეორიულ საფუძვლებს ელიტების და ნაციონალიზმის თეორიები და დისკურს ანალიზი ქმნის. მივდევთ რა პოსტმოდერნული ელფერის მქონე კონსტრუქტივისტულ პარადიგმას, რომელიც ნაციონალიზმის კვლევებისათვის

ზედგამოჭრილია,[3] ჩვენ აღქმითი განზომილება – გარე სამყაროსა და მასში საკუთარი ეროვნული ადგილის დისკურსული კონსტრუირება გვაინტერესებს. დისკურსი გვესმის როგორც ისეთი ლინგვისტური თუ სემანტიკური კომუნიკაცია, რომელშიც ჩაწნულია „აუდიტორიის“ დარწმუნების – შესაბამისად – გარკვეული ცოდნისა და ღირებულებების დამკვიდრების და ძალაუფლების გარდაქმნა-მოპოვების ინტერესი. ნაციონალიზმის განვრცობა სწორად დისკურსულ ფენომენადაც შეიძლება დავინახოთ. ამ მხრივ სახელმძღვანელო თეზისად ვიღებთ დისკურსის ანალიტიკოსის, რუთ ვოდაკის სიტყვებს: „ეროვნულობა, როგორც სოციალური იდენტობის ფორმა, იქმნება, ტრანსფორმირდება, ნარჩუნდება ან იშლება დისკურსში“ (Wodak 2018, 408).

ნაციონალიზმის საკვლევი შემთხვევების წინამდებარე განხილვაში ტერმინები „ეთნიკური ნაციონალიზმი“ და „პრიმორდიალიზმი“ ურთიერთშემავსებელი მნიშვნელობითაა ნახმარი, რადგან მეორე პირველის დისკურსული და ეპისტემოლოგიური საყრდენია. „ეთნიკური ნაციონალიზმი“ სწორედაც რომ პრიმორდიალისტურ შეხედულებებზე აგებული რწმენაა, რომლის თანახმად, ერები ერთხელ და სამუდამოდ განსაზღვრული უძველესი ერთობებია. ისინი ნათესაობას ეყრდნობა და უხსოვარი დროიდან ჩამოყალიბებულ კოლექტიურ ხასიათსა თუ მენტალობაში ვლინდება. მეორე მხრივ, ჩვენ ვაწყვილებთ „სამოქალაქო ნაციონალიზმსა“ და კონსტრუქტივისტულ ეპისტემოლოგიას. ეს უკანასკნელი ადამიანთა ერთობებს ინტერსუბიექტურ, კონსტრუირებულ და ცვალებად არსად აღიქვამს. ერი კი, სამოქალაქო გაგებით,

3 როგორც რიჩარდ ევანსი წერდა, სოციალური დეტერმინიზმისაგან პოსტმოდერნულ დისტანცირებას შეუძლია ხელი შეუწყოს „მე-19 და მე-20 დიდი პრობლემური ფენომენის, ნაციონალიზმის“ ისტორიულ კვლევას [...] თუ ფოკუსი „ნაციონალისტური მოძრაობის სოციალური ბაზისიდან ნაციონალური იდენტობის განცდისა და მნიშვნელობის წყაროებსა და დეტერმინანტებზე გადავა“ (Evans 2000, 210-211).

საზოგადოების ერთ-ერთი ფორმაა, რომელიც მხოლოდ მაშინ კონსოლიდირდება, როდესაც ნაციონალიზმი კლასობრივ თუ რელიგიურ სოლიდარობებს გადაფარავს. ამასთან, ჩვენ ვაღიარებთ, რომ სხვაობა ტრადიციულ და მოდერნულ იდენტობათა შორის არასოდესაა მკაცრად ფიქსირებული და ერთი მათგანის ნიშნები შეიძლება მეორეში იძებნებოდეს.

ჩვენ აგრეთვე ვიყენებთ ე.წ. პოსტკოლონიური კვლევების ფარგლებში შემუშავებულ ზოგიერთ კონცეპტუალურ მოსაზრებას. ვთვლით, რომ პოლონური და ქართული ნაციონალიზმის შედარებითი ანალიზი, თავის მხრივ, ამდიდრებს პოსტკოლონიური კვლევების მულტიდისციპლინარულ დარგს. ნათქვამის დადასტურებად შეიძლება მოვიყვანოთ სტივენ ჯონსის დაკვირვება, რომ საქართველოს კოლონიური წარსული ქვეყანაში სოციალიზმის გავლენის თანდათანობითი ზრდის გასაგებადაა მნიშვნელოვანი (Jones 2005, 1). აგრეთვე საყურადღებოა ჰენრი კერის და რაფალ რაციბორსკის მოსაზრებები კომუნისტურ ქვეყნებში კოლონიალიზმის და ნაციონალიზმის მიზეზ-შედეგობრივი კავშირების შესახებ (Carey and Raciborski 2004).

მთლიანობაში, ჩვენი ამოცანა არა მხოლოდ კოლონიალიზმით დაღდასმული იდენტობების ფორმირება/ტრანსფორმირების აღწერაა, არამედ, პოსტკოლონიური კვლევების კვალობაზე, გვსურს ისიც ვაჩვენოთ, თუ როგორია კოლონიალიზმის შედეგების გავლენა დღევანდელი საქართველოს და პოლონეთის სოციალურ-პოლიტიკურ ცხოვრებაზე. პოსტკოლონიალიზმის ზოგიერთი მკვლევრის აზრით, ყოფილი კოლონიური საზოგადოებები „ხასიათდება დაძაბულობით დამოუკიდებლობის სურვილსა და დაქვემდებარების ისტორიას შორის; ავტოქთონობის სურვილსა და ჰიბრიდულ, ნახევრადკოლონიურ წარმომავლობას შორის; წინააღმდეგობასა და მორჩილებას შორის; იმიტაციასა და ორიგინალობას შორის“. ამ საზოგადოებათა მისწრაფება „ძველი კოლონიური სიტუაციი-

დან გაქცევისაკენ ყოფილ კოლონიზატორებს პარადოქსულად ანიჭებს წონას. და საფრთხე [...] ნეოკოლონიური ურთიერთობებისა მუდმივადაა წარმოდგენილი“ (Moore 2006, 13). ეს ზოგადი სენტენცია შეიძლება მრავალნაირად გავიგოთ. მაგრამ მთავარი ისაა, რომ დევიდ მურის აზრები ქართული და პოლონური შემთხვევების ამ ჭრილში განხილვის სტიმულსაც ქმნის.

ერთი შეხედვით, ზემონათქვამი სიტყვები ადვილად ერგება თანამედროვე საქართველოს. მაგრამ განა პოლონეთი განსხვავებული არაა? რამდენადაა შესაძლებელი მისი განხილვა პოსტკოლონიური თვალსაზრისით, როდესაც იგი ნატოს წევრიცაა და ევროპის კავშირისაც? ან საერთოდაც – მისი ევროპული არსი ხომ უფრო თვალნათელი იყო ყოველთვის, ვიდრე ყოფილი კოლონიზატორი რუსეთისა? პოსტკოლონიური კვლევების ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპასთან მიმართებაზე მსჯელობისას, ამ დისციპლინის ერთ-ერთი წამყვანი ექსპერტი, გაიატრი სპივაკი თვლის, რომ ცნებები „კოლონიზატორი“ და „კოლონია“ შეიძლება საკმაოდ ელასტიკური იყოს. როდესაც უცხო სახელმწიფო ბატონად მკვიდრდება. [...] ამ ტერმინების გამოყენება შეიძლება (Spivak 2003, 15). ანთროპოლოგი კატარინ ვერდერის აზრით, პოსტკოლონიური კვლევები აფრიკული, ლათინური ამერიკის და აზიის საზოგადოებებზე კოლონიური წარსულის გავლენის კვლევას დაეხმარა. ახლა კი შესაძლებელია ამ თეორიების გამოყენება „რათა იგივე პროცესები საბჭოთა იმპერიალიზმთან მიმართებით იქნეს გამოკვლეული“ (Verdery 2002, 16). ყოფილი საბჭოთა და კომუნისტური ერების პოსტკოლონიური პერსპექტივიდან შესწავლა გვეხმარება შევაფასოთ, „თუ როგორ წარმოიდგენენ ისინი თავსა და მსოფლიოს საკუთარ მემკვიდრეობასთან კონფრონტაციაში“ (Kołodziejczyk and Huigen 2023, 20).

პოსტკოლონიური კვლევების ერთ-ერთი საკვანძო კონცეპტთაგანი, რომელიც რელევანტურია ქართულ და პოლონურ წარსულზე თეორეტიზებისას, „ჰიბრიდუ-

ლობაა“. იგი კოლონიზატორისა და კოლონიზებულის ურთიერთობის წინააღმდეგობრივ აკადემიურ შეფასებებს ასახავს და გულისხმობს ამ ორი სუბიექტისა თუ აქტორის კომპლექსურ ურთიერთგავლენებს კულტურის, ლინგვისტიკის და პოლიტიკის სფეროებში. მართალია, მკვლევართა ნაწილი გვაფრთხილებს, რომ „ჰიბრიდულობის“ ცნებამ დამპყრობლისა და დაპყრობილის ძალაუფლებრივი დისბალანსი და კულტურული განსხვავებულობა არ დაგვავიწყოს, მაგრამ იგი მაინც სასარგებლოდ მიანიშნებს კოლონიური გაორებისათვის დამახასიათებელ ოპოზიციურ პრაქტიკებზე, რომლებიც ნიადაგს აცლიდნენ კოლონიზატორთა პრეტენზიას უპირატესობაზე (Ashcroft et al. 2013, 135-139). „ჰიბრიდულობა“ ასევე გვეხმარება, რომ ანაქრონისტულად არ ვუყუროთ კოლონიურ სუბიექტთა იმპერიულ ინსტიტუტებთან შემგუებლობის ნებისმიერ შემთხვევას და არ მოვნათლოთ ისინი ეროვნული ინტერესების ღალატად. მრავალი მაგალითი აჩვენებს, რომ იმპერიულ მმართველ კლასში ადგილობრივი ელიტების წარმომადგენელთა კოოპტაცია არ და ვერ აღკვეთდა მათ მონაწილეობას სხვადასხვა ფორმის ანტიკოლონიურ წინააღმდეგობაში. შესაბამისად, „ჰიბრიდულობა“ ვერ განიხილება ნაციონალიზმის განვითარების ალტერნატივად – ეს უკანასკნელი ჰიბრიდულობის ფუნქციად უფრო გვესახება.

ეს წიგნი პოლიტიკური აზრის ისტორიის ე.წ. სამაგიდო კვლევაა. იგი თეზისის ფორმულირების, წყაროების ინტერპრეტაციის და კომპლექსურ სოციალურ-პოლიტიკურ ფაქტებზე სამსჯელო მოწმობათა ძიების კლასიკურ მეთოდს ეყრდნობა. პოსტმოდერნული ფიქრი „ისტორიული ფაქტის“ ფიქტიურობაზე, რომელიც „რეალობას“ ვერ წარმოადგენს, „ამბის“, „მოწმობის“ და „ფაქტის“ დაუსრულებელი შეპირისპირებანი (Evans 2000, 67-69), დიდწილად, ჩვენი კვლევის მიღმა რჩება – დაე, ჩვენმა არგუმენტებმა, რომლებიც კონკრეტულ წყაროებს ეყრდნობა, საკუთარ ვალიდურობაზე თავად იმეტყველოს. რასაც

ჩვენ ვამტკიცებთ, არის შემდეგი: როგორც პოლონური და, ალბათ, მრავალი სხვა ნაციონალიზმი, ქართული შემთხვევაც ასახავს იმპერიულ ჩაგვრასთან დაპირისპირებასაც და არაერთ საშინაო სოციალურ, ეთნიკურ თუ იდეოლოგიურ კონფლიქტსაც; იმპერიისადმი ლოიალურობა, მასთან კოლაბორაცია მეამბოხე ეროვნულ სულისკვეთებასთან პარადოქსულად თანაარსებობდა როგორც პოლონეთში, ისე საქართველოში; ასეთ პარადოქსზე რეფლექსირება პოლონურმა ეროვნულმა მოძრაობამ და აკადემიურმა საზოგადოებამ შედარებით უფრო ადრე მოახდინა. პოლონელებმა განავითარეს „რადიკალთა“ და „რეალისტთა“ თანაარსებობის და (ზოგჯერ) თანამშრომლობის პრაქტიკები, ამასთან ერთად კი ამ პრაქტიკათა კონცეპტუალიზაციაც მოახერხეს. ქართულ საზოგადოებას, რომელსაც მსგავსი გამოცდილება აქვს, ანალოგიური კონცეპტუალური რეფლექსია ჯერაც უჭირს. ელიტების თეორიის ერთ-ერთი ვერსია რომ გამოვიყენოთ, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ქართული პოლიტიკური კლასი ე.წ. დაშლილ ელიტას განასახიერებს, პოლონური კი მიუახლოვდა ე.წ. კონსენსუსით გაერთიანებული ელიტის მოდელს (Field et al. 1990). თუმცა ამ საკითხზე პოლონეთში აზრთა სხვადასხვაობაა: ზოგიერთი ანალიტიკოსის აზრით, წამყვან პოლონურ პოლიტიკურ ბანაკებს შორის დაპირისპირება ქართულ ანალოგზე არანაკლებია და ჩვენ წიგნში ამ საკითხსაც ვეხებით.

ყველა შემთხვევაში, ქართულ-პოლონური განსხვავებისა და პოლონელთა შედარებითი წინსვლის მიზეზი გეოგრაფიული და ცივილიზაციური გვგონია. პოლონური ნაციონალიზმი ევროპული ცივილიზაციის ცენტრების სიახლოვეს ეყრდნობოდა, საქართველო კი კონტინენტის პერიფერიაზე რჩებოდა და ჯერაც რჩება. მეორე მხრივ, პოლონური ეკლესია იმპერიისაგან გათავისუფლების ერთ-ერთი მთავარი ადვოკატი იყო ყოველთვის, ქართული ეკლესიის წარმომადგენლები კი უფრო იშვიათად თამაშობდნენ მსგავს როლს.

ერთი მთავარი დასკვნათაგანი, რომელიც წიგნის ფურცლებზეა ჩამოყალიბებული, ისაა, რომ საქართველოს მსგავსი გეოპოლიტიკური და საშინაო სტრუქტურული გამოწვევები პოლონურმა ინტელექტუალურმა და პოლიტიკურმა ელიტამ მდგრადი „გეოკულტურით“ გადალახა. ემანუელ ვალერსტეინისათვის გეოკულტურა მსოფლიო სისტემის დომინანტურ ნორმათა, სიმბოლოთა და იდეათა ერთობლიობის აღმნიშვნელი იარლიყია, რომლის გავრცელებაც გარკვეულ დროით მონაკვეთში მსოფლიოს ინდუსტრიული ქვეყნების ბირთვმა დაიწყო (Wallerstein 1991). მაგრამ პოლონურ-ქართული შედარებითი ანალიზის კონტექსტში უფრო ადეკვატურია თუ გეოკულტურის ფენომენს პოლონელ მკვლევართა პერსპექტივიდან შევხედავთ. ისინი ამ ტერმინით რეგიონული დონის შედარებით სტაბილური გეოპოლიტიკური ინტერაქციის კულტურულ-ცივილიზაციურ განზომილებაზე აკეთებენ აქცენტს. ამასთან, გეოპოლიტიკის გეოკულტურით ჩანაცვლება ხაზს უსვამს იმას, რომ ეს ინტერაქცია რიგ ცვალებად გარემოებებსა და მათ აღქმებზეა დამოკიდებული.

თვლიან რა გეოპოლიტიკას ზედმეტად დეტერმინისტულად, წინააღმდეგობრივად და იმპერიულ ტრადიციასთან დაკავშირებულად, საერთაშორისო ურთიერთობების რიგი პოლონელი მკვლევრები გეოკულტურულ პარადიგმას ეროვნული და რეგიონული სივრცეების კულტურის მეშვეობით დასაკავშირებლად იყენებენ (Gołembski 2009, 35, 50). პოლონელები აკრიტიკებენ ვალერსტეინის მოდელს, რომლის მიხედვითაც პოლონეთი ლიბერალური ნორმების და საბაზრო ეკონომიკის მსოფლიო სისტემის ევროპული ბირთვის პერიფერიაა (Lewandowski 2022, 177). ვალერსტეინის საპირისპიროდ, პიოტრ ლევანდოვსკი მიიჩნევს, რომ პოლონეთი ისტორიულად ნახევრადპერიფერია იყო და საერთაშორისო უსაფრთხოების მასტაბილიზებელ როლს ასრულებდა (Lewandowski 2022, 178). მისი აზრით, ვალერსტეინის გეოკულტურულ კონცეფციაში მეტი უნდა თქმულიყო რეგი-

ონულ განზომილებაზე და პოლონეთის როლიც რეგიონული პერსპექტივიდან უნდა დანახულიყო (Lewandowski 2022 179, 185). ლევანდოვსკის გადმოსახედიდან პოლონეთი მიისწრაფვის ნახევრადპერიფერიის როლის დაბრუნებისაკენ, რისი საჭიროებაც კულტურულ-გეოპოლიტიკური საკომუნიკაციო კოდებით ფორმირებული ეროვნული მითოლოგიიდან მომდინარეობს (Lewandowski 2022 179, 186-187). რეგიონული ნახევრადპერიფერიული ამბიციების მანიფესტაციაა ე.წ. ინტერმარიუმის ანუ სამი ზღვის ინიციატივა (Lewandowski 2022, 191).

წიგნში ჩვენ სათანადო ყურადღებას ვიჩენთ მსგავსი რეგიონული პროექტების, როგორც თანამედროვე გეოპოლიტიკური-გეოკულტურული კონსტრუქტების მიმართ. ისინი პოლონურ პოლიტიკურ იდენტობას საუკუნოვან ტრადიციაზე აფუძნებს. აქ კი გვინდა განვაგრძოთ მსჯელობა გეოკულტურის თანამედროვე პოლონურ გაგებაზე და ვუბრუნდებით ზემოთ ციტირებულ ფრანციშეკ გოლემბსკის. იგი თავის შეხედულებებს ფრანგი გეოგრაფის ქრისტიან დოდელის ხედვაზე აგებს და გეოგრაფიულ სივრცეებს სოციალურ ღირებულებათა სპეციფიკური სისტემების მატარებლად აღიქვამს (Gołembski 2009, 35-37). გოლემბსკის თანახმად, საერთაშორისო ურთიერთობები შეიძლება განვიხილოთ ლოკალური, ეთნიკური, ეროვნული, რეგიონულ-კონტინენტური, ინტერკონტინენტური და გლობალური დონეების კულტურულ სივრცეებში სოციალური აგრეგირების პერსპექტივიდან (Gołembski 2009, 47). უბრუნდება რა პოლონურ სამეზობლოს, იგი აცხადებს, რომ დღეისათვის ჯერაც არსებობს „ფართო გაგებით ევროპული ჰომოგენურობის ღია პრობლემა, რომელიც განსაკუთრებით რუსეთს ეხება. ეს ქვეყანა ცდილობს შეინარჩუნოს დასავლეთ ევროპისაგან განსხვავებული ღირებულებების სისტემა“ (Gołembski 2009, 47).

მოკლედ, გეოკულტურის პოლონური პერსპექტივა ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში რუსეთ-ჟეჩპოსპოლიტასა და მისი მემკვიდრეების ისტორიულ დაპი-

რისპირებასთანაა დაკავშირებული. ამ რეგიონთან მიმართებით პოლონელი ისტორიკოსები და ცენტრალური/აღმოსავლეთ ევროპის ექსპერტები ტერმინებს – გეოპოლიტიკა და გეოკულტურა – ურთიერთმონაცვლეობით იყენებენ. ეს ნიშნავს, რომ მათთვის გეოპოლიტიკა ღირებულებებისაგან დაცლილი სტრატეგიული მეტოქეობა კი არ არის, არამედ ორი ცივილიზაციური პროექტის ჯახია: პოლონეთს აქვს თავისი ღირებულებები და სიმბოლური სივრცე არსებითად გეოკულტურული დღის წესრიგის გასავრცელებლად. იგი ევროპული განმანათლებლობიდან მომდინარეობს. რუსეთი კი საპირისპიროს აკეთებს – ავითარებს და ერთგულებს თავის ანტიდასავლურ გეოკულტურულ პროექტს (Nowak 2008, 14, 18, 28; Darczewska and Żochowski 2015, 23). ზოგიერთ რუს მკვლევარზე დაყრდნობით, ისტორიკოს ანჟეი ნოვაკს ამ აკადემიურ დისკურსში ტერმინი „მენტალური რუკა“ შემოაქვს, რომელიც გეოგრაფიული და პოლიტიკური წესრიგის სუბიექტურ იმიჯად აღიქმება (Nowak 2008, 205). მისი მეშვეობით ნოვაკი კიდევ ერთხელ გვთავაზობს გეოპოლიტიკის გეოკულტურულ გაგებას.

ყოველივე ზემოთ ქმულიდან გამომდინარე, ჩვენ ვამტკიცებთ, რომ საქართველოს თავისი გეოკულტურული ხედვა და მენტალური რუკა სჭირდება. საამისოდ, ვცდილობთ გავიაზროთ განგრძობადი პოლონური ისტორიული ხაზი და საქართველოს შედარებით ჩანასახოვანი გეოკულტურული ტრაექტორია. აღნიშნული მიზნის მისაღწევად, ნაშრომში ისევ ორი ქვეყნის შედარებითი სოციალურ-კულტურული თავისებურებებია გამოკვეთილი.

საგრძნობ დონეზე, ქართული საზოგადოება კვლავაც რჩება ფეოდალური პოლიტიკურ-ინტელექტუალური მემკვიდრეობისა და ეთნიკური ქედმაღლობის გავლენის ქვეშ. პოლონეთი, რომელსაც ბევრი მსგავსი ნიშან-თვისება ჰქონდა, აგრძელებს მათ გადალახვას ე.წ. გედროიც-მიეროშევსკის დოქტრინის მეშვეობითა თუ ფორმით. ეს დოქტრინა ანტიკომუნისტურ ემიგრანტულ წრეებში

შეიქმნა და იგი, მთავრობათა დემოკრატიული ცვლილებების მიუხედავად, კვლავ ასრულებს პოლონეთის საგარეო პოლიტიკის სახელმძღვანელო პრინციპის როლს. ვიმედოვნებთ, რომ გარეშე ფაქტორთა დახმარებით, რაშიც გლობალიზაცია, ევროპულ თანამეგობრობასთან სიახლოვე თუ იგივე პოლონეთისა და მისი მეზობლების ინტერესი იგულისხმება, საქართველო გააგრძელებს სიარულს პოლონეთისავე გზაზე. პოლონური პოლიტიკურ-იდეური განვითარების მაგალითი შეიძლება იქცეს იმ ქართველ მოაზროვნეთა დამატებითი შთაგონების წყაროდ, რომელნიც ქვეყნის შეუქცევადი მოდერნიზაციისა და დემოკრატიზაციის მხარეს დგანან.

წინამდებარე წიგნის ავტორებს ქართული და პოლონური ნაციონალიზმების ამომწურავი შედარებითი ისტორიის აღწერის პრეტენზია არ გვაქვს. მსგავსი ამოცანა, მე-18 საუკუნიდან მოყოლებული, ყველა მნიშვნელოვანი ეპიზოდის დეტალურ კვლევას მოითხოვს. ასეთ ამბიციას გარდაუვალად დასჭირდებოდა ქართულ და პოლონურ შუა საუკუნეებზე დაკვირვებაც. ნაცვლად ამისა, ჩვენ გთავაზობთ ორი მოდერნიზაციისა და ნაციონალიზმის შემთხვევის ზოგად მიმოხილვას, ერთგვარ ზედხედს, რომელმაც, შესაძლოა, ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის, ისევე როგორც მთელი პოსტსაბჭოთა სივრცის ეროვნულ პოლიტიკათა შემდგომ შედარებით კვლევებს შეუწყოს ხელი. ამას უდავოდ სჭირდება ისტორიკოსთა პერსპექტივა, თუმცა მსგავსი კვლევები მნიშვნელოვანია თანამედროვე პოლიტიკური და გეოპოლიტიკური თვალთახედვითაც.

წარმოდგენილი ტექსტი მხოლოდ ნაწყვეტებად და ქრონოლოგიური თანამიმდევრობის გარეშე ეხება კონკრეტულ პოლონურ თუ ქართულ მოვლენებსა და ინსტიტუტებს. ისინი დანახულია ფაქტორებად, ცვლადებად, რომლებიც ეროვნული ელიტების იდენტობის ფორმირებისა და დისკურსების ფლუქტუაციის მიზეზთა ამხსნელია. ჩვენ გაცნობიერებული გვაქვს, რომ ჟეჩპოსპოლიტას

ქვეშევრდომებს სამოქალაქო ცხოვრების ხანგრძლივი ისტორია ჰქონდათ, ქართული არისტოკრატიისა და ჩანასახოვანი ბურჟუაზიის გამოცდილება კი ამ მხრივ უფრო მოკრძალებული იყო: ტრადიციულ კლანურ ცხოვრების სტილს საქართველოში უფრო ღრმა ფესვები ჰქონდა. მაგრამ ჩვენ ორი ნაციონალიზმის იდეურ ასპექტებზე ვკონცენტრირდებით და ამ მხრივ თვალში საცემ პარალელებს ვხედავთ. რა თქმა უნდა, არის სხვაობაც ქართულ და პოლონურ დისკურსთა განვითარებაში, რასაც აგრეთვე ვუსწორებთ თვალს. იგი, დიდწილად, ეროვნული და საერთაშორისო სტრუქტურული ფაქტორებით აიხსნება. მთლიანობაში, წიგნი ნაციონალიზმის არაერთხელ ნახსენებ შემთხვევათა ინტელექტუალურ მახასიათებლებს წარმოადგენს. მასში აისახება დისკურსული რეფლექსია აქტორებისა და მოვლენების გარკვეული სიმრავლისაგან შემდგარ ცხოვრებაზე და არა ცხოვრების ისტორია თავისთავად. საბოლოო ჯამში, ნაციონალიზმი, როგორც კონცეპტუალური, სუბიექტური თუ ინტერსუბიექტური ფენომენი, არა აღწერის, არამედ რეფლექსიისა და შეფასების საკითხია. ჩვენი მხრივ, ვცდილობთ მასზე რეფლექსირებას – მის გაგებას და არა განსჯას.

ქართული ნაციონალიზმი ჩასახვიდან დღემდე: ცვლილებები თუ მოჯადოებული წრე?

განმანათლებლობისა და მოდერნიზაციის საწყისების ძიება

ეკონომიკური, პოლიტიკური და გეოპოლიტიკური პერიფერიულობის მიუხედავად, მოდერნიზმის ხანამ ქართულ საზოგადოებასაც დაატყო განმანათლებლობისა და შემდგომი რომანტიზმის კვალი. ფილოსოფიის, პოლიტიკური თეორიის და მაღალი კულტურის გარდა, ამ იდეურმა მიმდინარეობებმა კვალი სახელმწიფოსა და კოლექტიური იდენტობის მშენებლობის მუდმივ პროცესებსაც დააჩნია. ეს ხდებოდა ისეთი ეკონომიკური თუ სამხედრო ხასიათის სიახლეების პარალელურად, როგორიც იყო პირველი მცირე საწარმოების შექმნა, რეგულარული არმიის მშენებლობის მცდელობა, ქართლსა და კახეთში სტამბის გამართვა (მუსხელიშვილი et al. 2012, 283-291). მე-19 საუკუნის დამდეგს წიგნის ბეჭდვა იმერეთის სამეფოშიც დაიწყო (გუგუშვილი 1929, 95).

ბეჭდვის კულტურა თანამედროვე ერისა და ნაციონალიზმის დაბადების არსებით ელემენტად მიიჩნევა. იგია წერა-კითხვის და სასკოლო განათლების გავრცობის საყრდენი. როგორც ნაციონალიზმის კვლევების ერთ-ერთი დამფუძნებელი მამა, ერნსტ გელნერი წერდა, ნაციონალიზმი დაკავშირებულია მაღალი კულტურის სტანდარტიზაციასთან და საგანმანათლებლო ქსელის მეშვეობით გავრცელებასთან, რასაც პოლიტიკური ხელისუფლება ხელს უწყობს და იცავს (Gellner 2007, 336-346).

უნდა დაისვას კითხვა, თუ როგორი იყო ქართული მაღალი კულტურის ბუნება, განვრცობა და როლი მე-19 საუ-

კუნის გარიჟრაჟზე. იყო იგი ნაციონალიზმის ხელშემწყობი და მის ევროპულ დინებათა ანალოგი? სხვაგვარად რომ ითქვას, რამდენად ღია იყვნენ ევროპული იდეებისათვის ქართველი სახელმწიფო თუ საზოგადო მოღვაწენი ერების საუკუნის დადგომის ჟამს? ციტირებდა რა მონტენეგროელ პოლიტიკის ფილოსოფოსს, იოანე პლამენაცს, გელნერი საუბრობდა ორ ევროპულ ნაციონალიზმზე: დასავლეთში მაღალი კულტურები (არსებითად, ეროვნული მასშტაბის ლიტერატურული ნარატივები და ისტორიოგრაფია) განვითარებულ და ნორმატიულად ცენტრალიზებულ ფორმას ფლობდა. აღმოსავლეთ ევროპაში კი მაღალი კულტურის კოდიფიცირება ნაკლებად ხდებოდა. „იგი არსებობდა მრავალგვარი დიალექტების ქაოსურ გარემოში. [...] მოსახლეობაში, რომელიც ეროვნულ მაღალ კულტურასთან თვითიდენტიფიცირებას მხოლოდ ახლა იწყებდა. [...] აღმოსავლეთ ევროპის მოსახლეობა ჯერაც მიჯაჭვული იყო ნათესაობის, ტერიტორიის და რელიგიის მრავალმხრივ ლოიალობებზე“ (Gellner 2007, 346).

საქართველოს შესახებ არც გელნერი საუბრობდა და არც პლამენაცი. ნაწილობრივ, მათ შეიძლება პოლონეთი ანუ ძველი მრავალეთნიკური ჟეჩპოსპოლიტა ეგულისხმათ. შემდეგ თავში დავუბრუნდებით პოლონური ნაციონალიზმის ჩასახვის საკითხს, ხოლო ქართულ შემთხვევას რაც შეეხება, მიგვაჩნია, რომ აქ მაღალი კულტურის კოდიფიკაციის საყურადღებო მცდელობას ადგილი მე-18 საუკუნეში ჰქონდა. ოღონდ გარდა შოთა რუსთაველის ეპიკური პოემისა, რომელიც ქართული მაღალი კულტურის ქვაკუთხედად შეიძლება ჩაითვალოს, თბილისის სტამბაში მე-18 საუკუნის პირველ მესამედში დაბეჭდილ წიგნთა უმეტესობა რელიგიური ხასიათის იყო. მოგვიანებით ბეჭდვითი პროდუქცია უფრო მრავალფეროვანი გახდა. მე-18 საუკუნის მეორე ნახევარში საქართველოს პატრიარქის, ანტონ პირველის პატრონაჟის ქვეშ ქვეყნის განათლების სისტემის რეფორმის საყურადღებო მცდელობას ჰქონდა ადგილი. ანტონმა თავად სცადა ქართული

გრამატიკის შექმნა. იგი აგრეთვე ასწავლიდა ფიზიკას ახლად გახსნილ თბილისის სემინარიაში. ცნობილია, რომ მისი ბიძაშვილი, ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე მეორე პირადად ესწრებოდა ანტონის გაკვეთილებს.

მე-15 საუკუნეში საქართველო ევროპული ცივილიზაციისაგან თითქმის სრულიად იზოლირებული აღმოჩნდა. მაშინ, როდესაც ადრე არსებობდა ცხოველი კონტაქტები როგორც ბიზანტიასთან, ისე რომის პაპთან და ჯვაროსნებთან, კონსტანტინოპოლის დაცემის შემდგომ ქართულ მიწებზე მხოლოდ ცალკეული კათოლიკე მისიონერები თუ ჩამოდიოდნენ. იშვიათად ხდებოდა, რომ ქართველს ჩაეღწია ევროპამდე – ძირითადად – იტალიამდე. მაგრამ მე-18 საუკუნემ ახალი პერსპექტივები მოიტანა: ჯერ ქართლის მეფე ვახტანგ მეექვსემ, შემდეგ კი ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე მეორემ სპარსელ და ოსმალო სიუზერენთაგან თავდაცვის საგარეო პოლიტიკური საშუალებების ძიება დაიწყეს. გარკვეულწილად, ზემოთ აღნიშნული კულტურული და ეკონომიკური სიახლეები ორიენტაციის ამგვარი ცვლილების შედეგი იყო. ვახტანგმა, რომელიც იმ დროს სპარსეთიდან ხელდასხმული ქართლის მმართველი უფლისწული იყო, თავისი აღმზრდელი ბერი, სულხან-საბა ორბელიანი საიდუმლო დიპლომატიური მისიით ევროპაში გააგზავნა. ზოგიერთი წყაროს თანახმად, ორბელიანი ეკუთვნოდა მართლმადიდებლური ეკლესიის წიაღში მოქმედ სასულიერო საძმოს, ბასილიანელთა ორდენს, რომელიც რომის პაპის ლეგიტიმურობას აღიარებდა (ამირხანაშვილი 2009, 4) და ამით ჟეჩპოსპოლიტას ფარგლებში არსებული უნიატური ეკლესიის შეხედულებებს უახლოვდებოდა.

ათწლეულების შემდეგ ერეკლე მეორე იგივე გზას დაადგა – იგი შეეცადა რომის პაპთან და ვენის საიმპერატორო კართან მოლაპარაკებას, მათგან მატერიალური და პოლიტიკური დახმარების მიღებას. სხვათა შორის, იმჟამად გერმანული პრესა იტყობინებოდა, რომ ერეკლე მეორე, იგივე „პრინცი ირაკლიუსი“ ევროპაში იყო ნამყოფი

და სამხედრო საქმე პრუსიაში შეესწავლა. ეს ცნობა მისტერიად რჩება და დამტკიცებას საჭიროებს (ქავთარაძე 2018), მაგრამ იგი აჩვენებს, რომ საქართველო ევროპული პოლიტიკური და ინტელექტუალური წრეების მზარდ ყურადღებას იქცევდა. კათოლიკე მისიონერთა დახმარებით, ძალაუფლების ევროპულ ცენტრებთან ერეკლე მეორის მოლაპარაკების მცდელობები ბევრად უკეთაა მოწმობებზე დაყრდნობილი. ეს 1781-1783 წლებში ხდებოდა და ერეკლეს ერთ-ერთი ემისარი, რომელსაც ქართლ-კახეთის მეფის წერილები ავსტრიის, ნეაპოლის, სარდინიის, რომის და ვენეციის საჭეთმპყრობელთათვის მიჰქონდა, წარმოშობით პოლონელი კაპუცინელი ბერი იყო. სამწუხაროდ, ერეკლეს ემისრები დაუდგენელ გარემოებებში იღუპებოდნენ: პოლონელი ბერი ჟეჩპოსპოლიტას ტერიტორიაზე გარდაცვლილი იპოვეს. წერილები არ დაკარგულა, მაგრამ ადრესატამდე მისვლას უსაშველოდ აგვიანებდა. ამასობაში კი, როგორც ნინო დობორჯგინიძე აღნიშნავს, სხვა უცხოელები, რომლებიც რუსეთის იმპერატორის კარზე მსახურობდნენ ან მას ემსახურებოდნენ, ერეკლესთან ნდობაში შედიოდნენ და დაჟინებით ურჩევდნენ მხოლოდ რუსეთის მფარველობაზე ფიქრს (დობორჯგინიძე 2019, 181-189).

ისლამურ სამყაროში ჩაკარგული ქართული სამეფო-სამთავროები, რომლებიც რუსეთის მიზანმიმართულ მოახლოებას შეჰყურებდნენ, ალბათ განწირულნი იყვნენ ავტონომიურობის ბოლო ნიშანთა დაკარგვისათვის. ყოველ შემთხვევაში, ევროპული პროექტიდან არაფერი გამოვიდა. თუმცა ჩვენი მიზანი პოლიტიკური ისტორიის თხრობა არაა. ჩვენ საქართველოს მოდერნიზაციის ფესვებისა და მისი ნაციონალური იდენტობის ფორმირების ნიუანსებში გარკვევა გვინდა. ეს იმდენადაცაა აქტუალური, რამდენადაც საქართველოს თანამედროვე მკვლევრები აღიარებენ, რომ, კონცეპტუალური პერსპექტივიდან, ქვეყნის სვლა შუა საუკუნეებიდან მოდერნისაკენ არ შესწავლილა (დობორჯგინიძე 2019, 169).

ნინო დობორჯგინიძემ ამ მხრივ სიახლე შემოიტანა. მან გერმანული და იტალიური წყაროების გამოყენებით სცადა ერეკლეს სხვა რაკურსში ჩვენება: გმირი რაინდის პარალელურად, ჩვენ ვხედავთ ისტორიულ პერსონაჟს, რომელიც თვალყურს ადევნებდა ევროპულ სამეცნიერო და ადმინისტრაციულ სიახლეებს; თანამედროვე ტერმინებით რომ ვთქვათ, ერეკლემ „ევროპული ინტეგრაცია“ სცადა. რა თქმა უნდა, იგი არ იყო იდეალური განმანათლებელი. ერეკლე მეორემ სასტიკად დასაჯა დიდებული შეთქმულები, რომელნიც მისი დესპოტიზმის დასრულებაზე ოცნებობდნენ. მაგრამ მაინც მეტყველია, რომ ქართლ-კახეთის მეფე ფრანგული და გერმანული საზოგადოებრივ-პოლიტიკური ყოფის შემცველ ინფორმაციათა თარგმნას ბრძანებდა (დობორჯგინიძე 2019, 174), მისი შვილიშვილი, დავით ბატონიშვილი კი ვოლტერით იყო გატაცებული. ქართველი მკვლევრისთვის, ერეკლეს მოდერნულ შეხედულებებზე მეტყველებდა ისიც, რომ იგი სამეფოში ეპატიჟებოდა სხვადასხვა პროფესიის უცხოელ პროფესიონალებს, ნიჭიერ ქართველებს კი უცხოეთში სასწავლებლად აგზავნიდა. ამგვარი პოლიტიკა ფეოდალურ ქვეყანაში ეკონომიკურად წარმატებული თემების აღმოცენებას უწყობდა ხელს (დობორჯგინიძე 2019, 175-177).

შესაძლებელია, რომ ერეკლეს დიდ ოჯახში მყოფ მოდერნის ადეპტებსა და განმანათლებლობის მიმდევრებს განევითარებინათ თანამედროვე ეროვნული იდენტობა და ამ მიზნის შესაფერისი კონკრეტული პროექტები ჰქონოდათ? სავარაუდოდ, კი, რადგან ერეკლეს ერთ-ერთი შვილიშვილი, უფლისწული იოანე არა მხოლოდ გაბედული მეომარი, არამედ ნიჭიერი მწერალიც იყო. იგი აკრიტიკებდა არისტოკრატიის მიერ მორალურ ორიენტირთა დაკარგვასა და სამღვდელოების კორუმპირებულობას. დავით ბატონიშვილმა, რომელსაც ქვეყნის მდგომარეობაზე მეტ-ნაკლებად იგივე წარმოდგენა ჰქონდა, რეფორმების გეგმა შეიმუშავა. იგი მმართველობის,

მართლმსაჯულებისა და სამეურნეო ცხოვრების მოდერ-ნიზაციას ისახავდა მიზნად. მაგრამ სამეფო კარს ამ გეგ-მების განხილვის დრო აღარ ჰქონდა – მალე ქართლ-კა-ხეთი რუსეთის იმპერატორმა გააუქმა (დობორჯგინიძე 2019, 190). თუმცა კი, იმჟამინდელი ქართული საზოგა-დოება შეიძლება მოდერნული ემანსიპაციისათვის არც იყო მზად. იოანემ თავის „კალმასობაში“ იმერეთიდან მობრუნებულ ქართლელ ბერს ათქმევინა, „გმადლობ შენ უფალო, რომ ქაჯეთის ქვეყნიდამ მშვიდობით გამოველ“ (ბატონიშვილი 1948, 140). ბატონიშვილი არ ავითარებს მსჯელობას საქართველოს ტომობრივ დაყოფაზე, მა-გრამ ეს სიტყვები ეხმიანება თანამედროვე ქართველი ერის დამფუძნებელი მამის, თავადი ილია ჭავჭავაძის პოლემიკურ პამფლეტს. ათწლეულების შემდეგაც ილია სევდიანად წერდა: „აბა დაიძახე: ქართველო-თქო, თუ შავის ზღვიდამ მოყოლებული კასპიის ზღვამდე მარტო ღიპ-გადმოგდებულის ქართველის მეტმა (ე. ი. გორის მაზრაში მცხოვრებელმა) შემოგხედოს ვინმემ, და თუ გა-ჭირდა, იქნება კახელმაც თავისი სხვილი კისერი შენკენ მოიღრიჯოს, სხვანი კი ყურსაც არ გათხოვებენ, თითქო იმათ არ ეძახიო, თითქო ისინი კი ქართველები არ არი-ანო“ (ჭავჭავაძე 1866-1876, IV).

დისკურს ანალიზის პერსპექტივიდან რომ შევხედოთ, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ იოანე თავის პერსონაჟს და ბევრი იმჟამინდელი ქართველის მოძველებულ, ტო-მობრივ მსოფლხედვას დასცინის. ილია კი დარდობს ამაზე და თანამემამულეებს თანამედროვე ეროვნული ერთიანობისაკენ მოუწოდებს. ჩვენ ამ საკითხს დავუბ-რუნდებით, როდესაც არა ბაგრატიონთა მმართველი ოჯახის მოდერნიზატორულ მცდელობებს, არამედ მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის ინტელიგენციის მოღვაწეობას განვიხილავთ. აქ კი, დამატებით, იმაზე გვსურდა ხაზგა-სმა, რომ ირონიაა ერეკლეს შთამომავალთა შემდგომი ცხოვრება: ერის დამოუკიდებლობისა და განვითარები-სათვის ისეთმა მებრძოლებმა, როგორებიც ძმები იოანე

და დავითი იყვნენ, ცხოვრება რუსეთის იმპერიის სამსახურში დაასრულეს. მათ რუსეთის იმპერატორმა პრივილეგიებიც უწყალობა. ასე მაგალითად, დავითი რუსეთის გენერალი და სენატორი გახდა.

ვფიქრობთ, ნინო დობორჯგინიძე გადაჭარბებულად აფასებს ერეკლე მეორის საშინაო პოლიტიკის რიგ ელემენტებს, როგორც მოდერნიზატორულს. მისთვის ის ფაქტი, რომ მეფე ქვეყანაში უცხოელებს ასახლებდა და ამით ეკონომიკის აღორძინებას ცდილობდა, იმავდროულად კი კათოლიკე, მუსლიმ და სომხური ეკლესიის მრევლს მართლმადიდებლებთან ათანაბრებდა, მოდერნული სემანტიკის დამკვიდრების მიმანიშნებელია (დობორჯგინიძე 2019, 175, 178-179). მაგრამ ასეთი პრაქტიკები საუკუნეებს ითვლის ევროპაში და მის მიღმაც, სადაც მეფენი მუდმივად შემოსავლის გაზრდაზე ზრუნავდნენ. ეჭვი არაა, რომ ასეთი გადაწყვეტილებები ტომობრივ თუ კლანურ ლოგიკაში არ ჯდებოდა და ფეოდალიზმის ეროზიასაც უწყობდა ხელს. მაგრამ ეს ხდებოდა მრავალ შუა საუკუნეობრივ თუ ანტიკურ პოლითეაში. ასეთი ფაქტები შესაძლოა, კაცობრიობის ისტორიაში მოდერნულობის გარიჟრაჟის მიმანიშნებლად მივიჩნიოთ, მაგრამ არა თავისთავად მოდერნიზაციისა და თავისუფლების მომტანად. ასე მაგალითად, მე-16-18 საუკუნეებში ქართველი თავადები, რომელთაც ევროპულ განმანათლებლობაზე წარმოდგენაც არ ჰქონდათ, ენთუზიაზმით ასახლებდნენ თავის გაპარტახებულ მამულებში მთიელ ოსებს. ეს განმანათლებლობის პრინციპებზე მეტად პოლონელი მაგნატების პრაქტიკას წააგავს, რომლებსაც ყმები დასავლეთ უკრაინიდან აღმოსავლეთ უკრაინაში გადაჰყავდათ და გადასახადებსაც უმსუბუქებდნენ. ეროვნული აღორძინების თვალსაზრისით, რაც კომპლექსური სოციალურ-ეკონომიკური მოდერნიზაციის პროცესის ნაწილია, არისტოკრატიისა და გლეხების ეთნოკულტურული დაყოფა მოგვიანებით კონფლიქტების ხელშემწყობი ხდებოდა როგორც საქართველოში, ისე ყოფილი ჟეჩპოსპო-

ლიტას მიწებზე. ეთნიკურად ჭრელ მოსახლეობაში მიწის საკუთრებისა და გადასახადების საკითხები საბოლოოდ ურთიერთდაპირისპირებული ნაციონალური პროექტების სახით ვლინდებოდა. მაგრამ ეს ცალკე ისტორიაა, რომელსაც მოგვიანებით უნდა დავუბრუნდეთ. იგი არ ეხება ნინო დობორჯგინიძის მტკიცებებს.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხი, რაც ნინო დობორჯგინიძის ნაშრომშია დასმული, დაკავშირებულია ანექსირებულ საქართველოში რუსული პოლიტიკის შეფასებასთან. ავტორის აზრით, ეს პოლიტიკა კონტრმოდერნიზაციას წარმოადგენდა. ავტორი ასევე მიიჩნევს, რომ ქართული თავადაზნაურობის იმპერიულ სამხედრო სამსახურში მასობრივად შესვლა რელიგიურ ძმობაზე რუსული კოლონიური მითის გამარჯვების გამოხატულება იყო. დობორჯგინიძე გამოხატავს წუხილს იმჟამინდელ რომანტიკოს ქართველ ოფიცერთა მერყევ დამოკიდებულებაზე ქართული სამეფოების გაუქმების მიმართ. იგი ამბობს, რომ ქართულმა არისტოკრატიამ გამოიმუშავა პრორუსული პოზიცია, რაც გამოიხატებოდა ჩრდილოეთ კავკასიელებთან თავგამოდებით ბრძოლაში. აღსანიშნავია, რომ მკვლევრის ინტერპრეტაციით, ცნობილი ქართველი რომანტიკოსი პოეტი, თავადი გრიგოლ ორბელიანი ოცნებობდა ძველი ფეოდალური დიდების აღდგენაზე, ოღონდ რუსული საიმპერატორო დროშის ქვეშ (დობორჯგინიძე 2019, 190-192).

ყველაფერი ეს გასაგებია და ლოგიკური. მაშინდელი ქართული ელიტის განწყობები ისეთივე წინააღმდეგობრივი იყო, როგორც არაერთი სხვა პატარა ქვეყნისა, რომელიც უცხოურ იმპერიულ მმართველობას აწყდებოდა. რაც შეეხება გრიგოლ ორბელიანის პოეზიას, ვფიქრობთ, იგი ევროპული რომანტიზმის მატრიცით უკეთ აიხსნება, ვიდრე „წარსულის [...] ფსევდორელიგიური პროექტის“ გავლენით, რომელიც „რუსულმა იმპერიალიზმმა ეფექტურად გამოიყენა ერეკლესეული მოდერნიზაციის, მომავლის პროექტის წინააღმდეგ“ (დობორჯგინიძე 2019,

190). რიგ შემთხვევებში, დობორჯგინიძე ეყრდნობა ცნობილი საზოგადო მოღვაწისა და მე-20 საუკუნის 80-90-იანი წლების ქართული ეროვნული მოძრაობის ინტელექტუალი ლიდერის, აკაკი ბაქრაძის მოსაზრებას, რომლის თანახმადაც მე-19 საუკუნის პირველი ნახევრის ქართული არისტოკრატიის მთავარი შეცდომა მის პრორუსულობაში მდგომარეობდა. ჩვენ ასეთი დამოკიდებულება ისევე ანაქრონისტული გვგონია, როგორც ქართველ საბჭოთა ისტორიკოსების მოსაზრება, რომ რუსული ბატონობა კავკასიაში პროგრესული „ნაკლებ ბოროტება“ იყო. ისტორიკოსები წარსულის პერსონაჟთა საკუთარი ეპოქის ღირებულებებსა და ინტერესებზე დაფუძნებული მორალური შეფასებებისაგან თავის არიდებას იშვიათად ახერხებენ. არავის უფრო ხატოვნად არ გამოუხატავს ეს ფენომენი, ვიდრე იტალიელ ისტორიკოსს, ბენედეტო კროჩეს: ყველა ისტორია თანამედროვე ისტორიაა, იყო მისი დიქტუმი.

ქართველი არისტოკრატები თავისი დროის შვილები იყვნენ და ახლა ძნელია იმაზე საუბარი, ჰქონდათ თუ არა მათ რაიმე არჩევანი, გარდა რუსეთის მიმართ წინააღმდეგობასა და ლოიალობას შორის მერყეობისა. ამასთან, იმ დროს, სხვა ეპოქებისაგან განსხვავებით, რუსული ეპოლეტები მთელ კავკასიაში სოციალური პრესტიჟის მთავარი გამოხატულება გამხდარიყო. რა თქმა უნდა, იყვნენ ისეთნიც, ვინც, ალექსანდრე ბატონიშვილისა და სოლომონ მეორის მსგავსად, დაუღალავად ებრძოდა რუსეთს. მაგრამ საჭიროა დამატებითი, მიუკერძოებელი კვლევა ბაგრატიონთა დიდი გვარის ამ ორი წარმომადგენლის მოტივაციისა, რათა კერძო ბუნების ფეოდალური ინტერესები თუ შიდა დაპირისპირებები მოდერნულ ნაციონალიზმში არ ავურიოთ. ამ უკანასკნელის უეჭველი ქვაკუთხედი მხოლოდ მე-19 საუკუნის 60-იან წლებში რუსეთში განათლებამიღებული თაობის მოსვლით ჩამოყალიბდა და მას სათავეში ილია ჭავჭავაძე ედგა.

რა თქმა უნდა, ცარიელ ადგილზე არაფერი ჩნდება: მოდერნიზაციის საწყისი მცდელობები, რომელთაც კვაზინაციონალისტური ელფერი ჰქონდა, ბევრად ადრე დაიწყო. ვახტანგ მეექვსის და მისი დესპანის, სულხან-საბა ორბელიანის მოღვაწეობა შეიძლება ამ ადრეული მოდერნიზაციის მაგალითად ჩავთვალოთ. თუმცა ქართული განმანათლებლობა მაინც განსხვავდებოდა ევროპულისაგან. როგორც ნოდარ ლადარია წერს, ევროპაში მოგზაურობის აღმწერი სულხან-საბასეული ტექსტი დასავლეთს აღმოსავლელის თვალით და კულტურული ტრადიციის გადმოსახედიდან გვიჩვენებს (ლადარია 2015, 78). ლადარიას თანახმად, თხრობისას ორბელიანი არ ამახვილებდა ყურადღებას ნანახი ადგილების ზუსტ მდებარეობაზე და გადაადგილების დროზე. ამით მისი ტექსტი შუა საუკუნეების სტილს მისდევდა; ადამიანები, რომლებსაც იგი ხვდებოდა, უფრო სტატუსის თვალსაზრისით არიან დახასიათებულნი, ვიდრე ინდივიდუალობის; სულხან-საბა არ გვიჩვენებს ესთეტიკურ იერარქიას, რამდენადაც თანაბრად გამოხატავს აღტაცებას რომანული ბაზილიკით და ვეშაპის ძვლებით (ლადარია 2015, 79-81). თუმცა, იმავდროულად, ლადარია ამ ტექსტში მოდერნულ სტრატეგიასაც ხედავს: მისი დეკონსტრუქციისას ქართველი მკვლევარი ამჩნევს, რომ ავტორი ნანახი რეალობიდან დისტანცირებას ახდენს და უცხოეთის სამშობლოსთან შედარებას ცდილობს. ლადარიას აზრით, დაუფარავი აღტაცება რომით ქართველი მწერლის ცივილიზაციური არჩევანის მიმანიშნებელია. ნოდარ ლადარია ასკვნის, რომ ორბელიანის სამყარო ერთი ნაბიჯით დასცილებოდა შუა საუკუნეებს. მას არ შეეძლო, ნათლად განესხვავებინა დასავლეთი და აღმოსავლეთი, მაგრამ არჩევანს უდავოდ პირველის სასარგებლოდ აკეთებდა (ლადარია 2015, 83-84).

ქართულ განმანათლებლობაზე მსჯელობა მე-18 საუკუნის პირველ და ბოლო რეფორმატორთა შორის მოღვაწე რიგ სხვა პერსონაჟთა ხსენების გარეშე შეუძლე-

ბელია. ასეთებს პაატა ბაგრატიონი და მისი მხარდამჭერები, განსაკუთრებით, ალექსანდრე ამილახვარი განეკუთვნება. ქართლის მეფეთა შთამომავალი პაატა ახალ იდეებს რუსეთში ეზიარა. 1765 წელს იგი ერეკლე მეორის კარზე დაიბარეს და მეფის წინააღმდეგ შეთქმულებისათვის სიკვდილით დასაჯეს. პაატა ერეკლეს უზურპატორად თვლიდა, მაგრამ ისტორიკოსები დღემდე დავობენ, მართლა შეთქმული იყო პაატა თუ მხოლოდ თავის წუხილებს გამოხატავდა ვიწრო წრეში (წურწუმია 2002, 36). ალექსანდრე ამილახვარზე კი მეტია ცნობილი. იგი მხოლოდ 15 წლის იყო, როდესაც ერეკლეს სამსჯავრომ ფიზიკური დასახიჩრებით დასაჯა. მას შემდეგ, რაც ალექსანდრე სასტიკად დასაჯეს, მან თავი რუსეთში მყოფ ქართველთა სათვისტომოს შეაფარა. ერეკლეს ნება მას იქაც მისწვდა – ალექსანდრე ქართლ-კახეთის მეფის თხოვნით დააპატიმრეს.

პოლიტიკური ორიენტაციის თვალსაზრისით, ალექსანდრე სპარსეთის და რუსეთის მფარველობის არჩევანს შორის მერყეობდა. მაგრამ მისი მთავარი მემკვიდრეობაა ტრაქტატი „ბრძენი აღმოსავლეთისა“. ქართულ საზოგადოებაზე ამ ნაშრომის გავლენა შეზღუდული იყო, რადგან იგი მხოლოდ მე-20 საუკუნის დამდეგს დაიბეჭდა. თუმცა, სამშობლოს ბედით დაინტერესებულ მოაზროვნეებს ალბათ ადრევე შეეძლოთ ხელნაწერის გაცნობა. ჩვენ ვერ ვიპოვეთ ამ ტექსტის უახლესი ანალიზი, 2002 წლისათვის კი ქართველი მკვლევრები მასზე წინააღმდეგობრივი წარმოდგენისანი იყვნენ. ზოგისათვის ამილახვრის დისკურსი ქართველ ფეოდალთა კონსერვატიული შეხედულებების ნიმუშია, სხვათათვის კი იგი განმანათლებლობის იდეათა, კერძოდ, მონტესკიეს შეხედულებათა გავლენის კვალს ატარებს (წურწუმია 2002, 49; ხიდაშელი 1974). არის შუალედური შეფასებებიც: მე-20 საუკუნის 80-იან წლებში მიხეილ გაფრინდაშვილი წერდა, რომ ალექსანდრე ამილახვარი და სხვა მისი თანამედროვე ქართველი მოაზროვნენი განუვითარებელ განმანათლებლებს მიე-

კუთვნებოდნენ (წურწუმია 2002, 95-96). საქმე ისაა, რომ ამილახვრის ტრაქტატი, დიდმოხელეთა მიერ შეზღუდული ბრძენი მეფის მმართველობის იდეასთან ერთად, გარკვეულ რელიგიურ ტოლერანტობასა და გლეხებზე ზრუნვის საჭიროებას ქადაგებს. მაგრამ არაა ნათელი, იყო თუ არა ამილახვარი ძალაუფლების შტოების განაწილებისა და ყმების გათავისუფლების მომხრე.

ცხადია, რომ მე-19 საუკუნის პატარა ქვეყნებისათვის შესაფერისი გარკვეული ავტონომიისა და ევროპასთან პირდაპირი კავშირის პირობებში, საქართველოს მოდერნიზაცია დაჩქარდებოდა. როგორც სამი იმპერიის მიერ გაყოფილ პოლონეთში მოქმედი ებრაელი ვაჭრები ხუმრობდნენ, რუსეთში ბიზნესის კეთებას ქრთამი სჭირდებოდა, პრუსიაში ეს მხოლოდ კანონების გამოყენებით იყო შესაძლებელი, ავსტრიაში კი არასოდეს იყო ნათელი, კანონი უფრო იმუშავებდა თუ ქრთამი.[4] მაგრამ საქართველოსათვის არჩევანი არ არსებობდა. კავკასიისაკენ შეუჩერებლად მოძრავ რუსეთის იმპერიაში ინკორპორაცია გაპარტახებული ქართული სამეფო-სამთავროების ერთადერთ ალტერნატივად მოჩანდა. გარდა ფართოდ გავრცელებული მექრთამეობისა, ეს იმპერია გლეხთათვის ყველაზე უარეს სტატუსს და ასიმილატორული პოლიტიკის ტალღებს სთავაზობდა დაპყრობილ ხალხებს. მსგავსი ავსტრიელებს არასოდეს ახასიათებდათ, პრუსიელები კი ასიმილატორულ იმპულსებს მაინც კანონის ფარგლებში აქცევდნენ. მაგრამ მიუხედავად ნებისმიერი უკმაყოფილების ძალით ჩახშობისა და საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმებისა რუსული ბიუროკრატიული მანქანის მიერ, საქართველოს შემდგომი მოდერნიზაცია სწორედ ამ იმპერიის საზღვრებში მოხდა.

---

4 ეს ისტორია მოჰყვა ისტორიკოსმა მარეკ ფიგურამ. ფიგურა, მარეკ. ინტერვიუ ჩაატარა დავით დარჩიაშვილმა. ადამ მიცკევიჩის უნივერსიტეტი, პოზნანი, პოლონეთი. სექტმბერი 27, 2022.

ეროვნული იდენტობის კონსტრუირების ფესვები და სტადიები

მოდერნიზაცია არსებითად ყველგან უკავშირდებოდა ადგილობრივ საზოგადოებათა ეროვნულ თვითიდენტიფიკაციას – ნაციონალიზმის აღმოცენებას. და მაინც, ქვეყნის ცენტრალური პროვინციის, ქართლის სახელწოდებიდან მთელი სახელმწიფოს და მისი მოსახლეობის თვითდასახელების წარმოშობა მოდერნიზაციამდე საუკუნეებით ადრე დაიწყო. მეათე საუკუნეში ბერმა გიორგი მერჩულემ დაწერა ფორმულა, რომ ქართლი ყველგანაა, სადაც წირვა-ლოცვა ქართულ ენაზე მიმდინარეობს. ქართველი მკვლევრები, რომლებიც უმეტესწილად პრიმორდიალისტები, ანუ ერის ათასწლეულთა მიღმა მძებნელნი არიან, მერჩულის სიტყვებში ნაციონალური თვითშეგნების არსებობის სამხილს ხედავენ. ჩვენ მათ ხედვებში ანაქრონიზმს ვამჩნევთ, რადგან შუა საუკუნეების ეკლესიების მსახურთა კონკურენცია სამწყსოსათვის და თანამედროვე ეროვნული იდენტობა არაერთგვაროვან ფენომენებად მიგვაჩნია. ამ საკითხს მე-20 საუკუნის ქართულ ნაციონალიზმზე მსჯელობისას დავუბრუნდებით. აქ კი იმის თქმა გვსურს, რომ მიუხედავად კოლექტიური იდენტობების უხსოვარი დროიდან არსებობისა და მოდერნული ნაციონალიზმის რელიგიური თემებიდან თუ დინასტიური სამფლობელოების წიაღიდან აღმოცენებისა (Anderson 1991, 12), შუა საუკუნეების „ეთნიესა“ (სმიტი 2004, 36) და თანამედროვე ერებს შორის სხვაობა ისეთივე დიდია, როგორც ანტიკურ და თანამედროვე დემოკრატიებს შორის.

ვერ გამოვრიცხავთ, რომ დასავლეთი და ცენტრალური ევროპისგან განსხვავებით, სადაც ლათინური ენის გავრცელება ადგილობრივი მაღალი ლინგვისტური კულტურების განვითარებას თითქმის მე-17 საუკუნემდე აბრ-

კოლებდა (Anderson 1991, 18-19) და ამით ეთნიკური სოლიდარობის დინამიკაში იჭრებოდა, ქართული „ეთნიე“ უფრო ადრე კონსოლიდირდა. მაგრამ იგი უმეტესწილად არისტოკრატიასა და სამღვდელოებასთან იყო დაკავშირებული და რელიგიურ-ფეოდალური ფორმა ჰქონდა. რელიგია პრემოდერნული საზოგადოებების მნიშვნელოვანი მარკერი იყო, თუმცა ფეოდალური იერარქიები ცვალებადი ტერიტორიული საზღვრების ფლუიდურ სტრუქტურას წარმოადგენდა.

როგორც სოციალური მეცნიერებების არაერთი წარმომადგენელი თვლის, ერის მშენებლობამ განსაკუთრებული იმპულსი მე-19 საუკუნეში მიიღო. ინდუსტრიული განვითარება, რომელსაც სოციალური ჰომოგენურობა სჭირდებოდა, ეროვნული მოძრაობების ზრდით აღმოჩნდა დაღდასმული (Gellner 2007, 342). თითქმის საყოველთაო ევროპული ამბოხი, რომელიც 1848 წელს მოხდა, ერების გაზაფხულის სახელითაა ცნობილი. ეს პროცესი იდეათა გავრცელებით და სოციალურ-ეკონომიკური ცვლილებებით იყო გამოწვეული. მას შედეგად როგორც კაპიტალისტური ეკონომიკის განვითარება, ისე ნაციონალიზმების კრისტალიზაცია მოსდევდა. ამიერიდან პოლიტიკა ნაციონალური ინტერესისა და საფრთხის განცდით თუ მოტივით იმართებოდა. პროცესის ფარგლებში იყო კონკრეტულ გარემოებებზე დამოკიდებული განსხვავებებიც: ზოგ ქვეყანაში მას საბოლოოდ მთავრობა წარმართავდა, ზოგან კი – ოპოზიცია. მაგრამ მიზეზობრივი ცვლადი ყველგან ერთი იყო: ინოვაციური იდეების და პოლიტიკის დიფუზიური ძალა, რომელსაც განაპირობებდა ელიტათა მისწრაფება სამართავი ტერიტორიების მოსახლეობის კონსოლიდაციისაკენ. ასეთი კონსოლიდაცია ესაჭიროებოდა მრეწველობის განვითარებას, მასობრივი არმიების მშენებლობას, რისთვისაც ხდებოდა საგანმანათლებლო ნაციონალისტური ინდოქტრინაცია.

ნათქვამი არ ნიშნავს, რომ ყველაფერი, რაც ერების გაზაფხულამდე მოხდა, ეროვნულობის განცდისაგან

იყო დაცლილი. ამერიკული და ფრანგული რევოლუციები, პოლონეთის 1791 წლის კონსტიტუცია და ბრძოლა მის დასაცავად, გერმანელთა სახალხო გაერთიანება ნაპოლეონის წინააღმდეგ და 1804, 1810, 1812, 1819-1820 წლების ქართული ამბოხებები უცილობლად კავშირშია ნაციონალიზმთან თუნდაც იმ თვალსაზრისით, რომ ისინი, და უფრო ადრინდელი ამბებიც, შემდგომი ნაციონალისტური ნარატივების ჩამოსაყალიბებლად გამოიყენებოდა. თუმცა, თუ ისევ საქართველოს დავუბრუნდებით, შეიძლება გაჩნდეს კითხვა – რამდენად მხოლოდ ეროვნული იყო ესა თუ ის აჯანყება, რომელსაც ყოფილი სამეფო დინასტიის წარმომადგენელი აწყობდა და რომელშიც ზოგჯერ ქართული სოფლების წყევლად ქცეული ჩრდილო კავკასიელთა მოთარეშე რაზმები მონაწილეობდნენ? ბუნებრივია, მსგავსი მოვლენები იმჟამინდელ ქართველებში გაორებულ გრძნობას იწვევდა. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მე-19 საუკუნის დამდეგს რუსული ხელისუფლების წინააღმდეგ განხორციელებული ამბოხებები არა მხოლოდ ან იქნებ არა იმდენადაც ნაციონალიზმით, არამედ, ერთი მხრივ, არისტოკრატიული კლასის ამბიციებით, მეორე მხრივ კი, გლეხთა ფრუსტრაციით იყო გამოწვეული: თავდაპირველად ეს უკანასკნელნი რუსთა გაბატონებას იმედით შეხვდნენ, რადგან ბატონყმობის გაუქმებას ელოდნენ. მაგრამ გლეხებმა მალე იგემეს ახალი ადმინისტრაციის მიერ დაწესებული გადასახადების სიმძიმე და წინააღმდეგობის გასაწევად განეწყვნენ (დუმბაძე 1974, 830-836).

ამ ადრინდელ ამბოხებებში კლასობრივ გრძნობებსა და მოტივაციაზე ხაზგასმა ისტორიის მარქსისტული ინტერპრეტაციიდან მოდის. მე-20 საუკუნის ქართულ ისტორიოგრაფიაში იგი განსაკუთრებით გავლენიანი იყო. მარქსისტული კლასობრივი ბრძოლის პოსტულატთა გაზიარების გარეშე, ჩვენ ვფიქრობთ, რომ სოციალური სტრატიფიკაცია ყოველთვის მნიშვნელოვანი ფაქტორია. ძლიერი და ყოვლისმომცველი ეროვნული ერთიანობის

განცდა იმ ეპოქაში ძნელადაა წარმოსადგენი. მაგრამ ეს ამბოხებები მომავალი ეროვნული მოძრაობის ნიადაგს ქმნიდა. სხვათა შორის, ზოგიერთი ქართველი თავადი, რომელმაც მოგვიანებით რომანტიკული ნაციონალური ლიტერატურის განვითარებაში შეიტანა წვლილი, ამა თუ იმ ამბოხის მონაწილეც იყო. ამ მხრივ გამორჩეულია ალექსანდრე ჭავჭავაძის როლი. შვილი გიორგი მეთორმეტის ელჩისა, რომელიც მეფისათვის რაიმე ფორმის ავტონომიის მიღწევას უშედეგოდ ცდილობდა პეტერბურგში, ალექსანდრე 1804 წლის მთიულეთის აჯანყებაში მონაწილეობდა. ამის გამო რუსულმა ადმინისტრაციამ იგი ტამბოვში გადაასახლა. პეტერბურგში დაბადებული და რუსულ ელიტასთან აფილირებული ახალგაზრდა ქართველი მალევე შეიწყალეს და პაჟთა კორპუსში განაწესეს. 1812 წელს ალექსანდრე უკვე რუსეთის მხარეს იბრძოდა კახელი ამბოხებულების წინააღმდეგ. მან ბოლოს რუსული არმიის გენერლის რანგს მიაღწია და მემკვიდრეებს ქართული რომანტიკული პოეზიის მშვენიერი ნიმუშები დაუტოვა. შეიძლება ჩავთვალოთ, რომ ალექსანდრე ჭავჭავაძე კოლონიური საზოგადოებების იმ ადგილობრივი ელიტების ტიპური წარმომადგენელი იყო, რომელნიც იმპერიისადმი ლოიალობასა და ეროვნულ გრძნობებს შორის იხლიჩებოდნენ.

ნაციონალიზმი ელიტური პროექტია და ქართული მაგალითი ნათქვამის კიდევ ერთი დადასტურებაა. ელიტების თეორიის კლასიკიდანაა ცნობილი, რომ როგორც არ არსებობს პოლითეა მმართველი კლასის/პოლიტიკური ელიტის გარეშე, ისე არც ეს უკანასკნელი იქნება სტაბილური, თუ სათანადო მორალური და ინტელექტუალური უნარები ვერ გამოავლინა (Mosca 1939, 53). არა მხოლოდ ძალა, არამედ ეთიკა, მორალური კონცეპტები და დოქტრინებია სახელმწიფოს საძირკველი; თეორიები თუ მათი შემქმნელი თეორეტიკოსები, რომლებიც ლოგიკას რეალობიდან იღებენ და მერე ამ რეალობას შესაბამისად გარდაქმნიან – ესაა ნებისმიერი ხანგრძლივვადიანი პო-

ლიტიკური წესრიგის საყრდენი (Mosca 1939, 178, 444-445, 460). იშვიათია, რომ ძალაუფლების კონსოლიდაცია მხოლოდ მის მპყრობელთა ნებით ხდებოდეს: მმართველი ეყრდნობა დამოუკიდებელი და ნიჭიერი განათლებული კლასის წარმომადგენლებს ან თანაარსებობს მაინც მათთან. ელიტის სამსახოვნება – მისი პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული სექტორების თანაბარი მნიშვნელობა – პოლონელი მკვლევრების განსაკუთრებული ინტერესის საგანია (Brzechczyn 2016, 2023-2031).

საბოლოო ჯამში ეს იდეები და მმართველი კლასის ლეგიტიმურობა საზოგადოების მთელმა სპექტრმა ანუ ხალხმა უნდა აღიაროს. როდესაც მმართველობა უცხოურია, იქმნება ორი მთავარი და რადიკალურად დაპირისპირებული არჩევანი: კოლონიური სუბიექტი ვითარებას ეგუება და იმპერიულ სამყაროში ასიმილირებასაც ცდილობს, ან იწყებს წინააღმდეგობას და თავის ელიტას ქმნის. თუმცა პრაქტიკაში იმპერია/კოლონიის ელიტათა ინტერაქციის პროცესი შეიძლება ნელი, მერყევი და წინააღმდეგობრივი იყოს. ქართული შემთხვევა ამის კარგი მაგალითია. პოეტი, პუბლიცისტი და საჯარო ფიგურა, ილია ჭავჭავაძე (1837-1907), რომელიც სიცოცხლეშივე უგვირგვინო მეფედ იყო შერაცხილი (Andronikashvili and Maisuradze, 2010), არასოდეს იკავებდა თანამდებობას იმპერიულ ადმინისტრაციაში. მხოლოდ 1905-1907 წლის რევოლუციის დროს გახდა ილია იმპერიული სახელმწიფო საბჭოს[5] წევრი. მაგრამ წლების განმავლობაში მისი გავლენა მზარდი იყო და მხოლოდ იდეაციურ საწყისს ეყრდნობოდა: საკუთარი ლექსების, მოთხრობების და პოლემიკური წერილების მეშვეობით, ილია ჭავჭავაძემ ჩამოაყალიბა ქართული ნაციონალური იდეოლოგიის საფუძვლები, რომლებიც შემდგომ სოციალისტ-ფედერალისტური და ეროვნულ-დემოკრატიული პარტიების დამფუძნებლებმა აიტაცეს. ილიას შეურიგებელმა კრიტი-

5 ეს საბჭო რევოლუციის შედეგად შექმნილი პარლამენტის ზედა პალატას წარმოადგენდა.

კოსებმა, სოციალ-დემოკრატებმაც კი გაითავისეს მისი იდეები, მე-20 საუკუნის 30-იან წლებში კი კომუნისტებმა ქართველი ნაციონალისტი თავადის ნაწარმოებთა ლეგალიზაცია მოახდინეს. თუმცა ეს ილიას საზოგადოებრივ ასპარეზზე გამოსვლიდან გაცილებით მოგვიანებით მოხდა. აქ კი ამ ამბის მორალი ისაა, რომ როგორც ილია და მისი მიმდევრები, ისე ოპონენტები შეიძლება დავინახოთ მე-19-20 საუკუნეების მიჯნის ადგილობრივ პოლიტიკურ ელიტად, რომლის წევრებიც სულაც არ იყვნენ კოლონიურ ადმინისტრაციასთან დაკავშირებულნი: კოლონიის ადმინისტრატორები ექსკლუზიურად არასოდეს წარმოადგენენ მმართველ/პოლიტიკურ კლასს.[6]

ილიას მსგავსი ელიტარული პერსონაჟების დამსახურებაა, რომ ნელა, მაგრამ მიზანმიმართულად ვითარდებოდა ეროვნული იდენტობის, ინტერესებისა და საფრთხეების დისკურსი – იბადებოდა თანამედროვე ქართული ნაციონალიზმი. ამ პროცესს სტადიები ჰქონდა და ილია ერთ-ერთ სტადიას განასახიერებდა. ქართული ნაციონალიზმის ცნობილი ამერიკელი მკვლევარი, რონალდ სუნი თვლის, რომ საბჭოთა ხელისუფლების რიგი მოდერნიზატორული პრაქტიკების შედეგად, თანამედროვე ქართველი ერის ფორმირების ანუ რენაციონალიზაციის საბოლოო სტადია საბჭოთა დროში მოხდა (Suny 1994, 292-335). როგორც იგი წერს, „საწყისი მოლოდინების სა-

6 ზოგიერთი თანამედროვე სოციოლოგი თუ პოლიტიკის მეცნიერი პოლიტიკურ კლასში/ელიტაში ეროვნული მასშტაბის ორგანიზაციათა ისეთ ლიდერებს მოიაზრებს, რომელთაც პოლიტიკური მნიშვნელობის გადაწყვეტილებებზე რეგულარული გავლენის მოხდენის რესურსი აქვთ. ადმინისტრაციის ხელმძღვანელებთან ერთად, ელიტა შეიძლება მოიცავდეს კულტურული და მედია ორგანიზაციების წარმომადგენლებს, დისიდენტებს და აჯანყებულთა მეთაურებს (Field, Higley and Burton 1990, 152-153). ამ კონცეფციის გადმოსახედიდან, უშუალოდ ილია, რომელიც ხელმძღვანელობდა მედია საშუალებებს, იყო ბანკის გამგეობის თავმჯდომარე და წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ლიდერი, რუსულ გუბერნიებად დაყოფილი საქართველოს ელიტის წარმომადგენელია.

წინააღმდეგოდ [...] ქართველების საბოლოო და სრული კონსოლიდაცია ერად საბჭოთა მმართველობის სამოცდაათწლიან პერიოდში განხორციელდა“ (Suny 1994, 334). ისევე, როგორც ნაციონალიზმის ბევრი მკვლევარი, სუნი ერის სამდონიანი განვითარების მიროსლავ ჰროჩისეულ სქემას ეყრდნობა: ამ ჩეხი ისტორიკოსის აზრით, თანამედროვე ერის ფორმირება იწყება ინტელექტუალთა მცირე წრის მოქმედებით, რაც ადგილობრივი მოსახლეობის სამეტყველო ენის კვლევასა და ისტორიის რეკონსტრუქციაში გამოიხატება. შემდგომში პროცესი უფრო დიდი ჯგუფების მხრიდან ეროვნული იდეის მოსახლეობის ფართო მასებში გატანაზე გადადის. ბოლო სტადია თავად მოსახლეობის ეროვნული მობილიზაციაა (Suny 1994, 123). ჩვენ შეგვიძლია ამ სქემის ქართული ვერსიის საწყისად მე-18 საუკუნის საგანმანათლებლო მცდელობები ჩავთვალოთ. თუმცა კი, მისი პირველი სტადიის საბოლოო ფორმირება უკვე რუსული რეჟიმის პირობებში გაგრძელდა.

სუნი არ ამბობს, რომ ჰროჩის სქემას უსიტყვოდ უნდა მივყვეთ. არც ჩვენ გვჯერა, რომ საზოგადოების იდეაციური და სტრუქტურული განვითარების ისეთი მოუხელთებელი და ნიუანსური პროცესი, როგორიც ეროვნული თვითიდენტიფიკაციაა, შეიძლება მარტივად სქემატიზირდეს. სავსებით შესაძლებელია, რომ ეროვნული იდეოლოგიის კონსტრუირების ინტელექტუალური ძალისხმევა უფრო არსებითია, ვიდრე მისი მასებში განვრცობა. თვით ჰროჩის სქემაც კოლექტიური ერთობების ნაციონალიზაციის ელიტურ ბუნებაზე მიუთითებს. რა თქმა უნდა, სახალხო რეაქცია მნიშვნელოვანია ნაციონალისტური ფორმულების შემდგომი განვითარებისა და ერების, როგორც მთავარი პოლიტიკური აქტორის წარმოშობისათვის. მაგრამ ჩვენი ანალიზი პოლიტიკური და კულტურული ელიტის დონეს არ სცდება, რადგან უკვე ითქვა, რომ ნაციონალიზმი, როგორც იდეოლოგია, ელიტური ინტელექტუალური პროდუქტია. ამასთან, წიგნი ძირითადად ეხება ფუნდამენტურ ნაციონალურ იდეებსა

და დისკურსს და არა პრაქტიკულ პოლიტიკას. მთელი საზოგადოება უფრო ამ უკანასკნელის მონაწილეა, ვიდრე დისკურსის განვითარებისა. შესაბამისად, ჩვენი ნაშრომის შემდგომ ქვეთავებში ქართული ეროვნული დისკურსის განვითარების სტადიებზე ვკონცენტრირდებით. განსაკუთრებული აქცენტი რუსეთის იმპერიის, შემდეგ საბჭოთა კავშირის და ბოლოს რუსეთის ფედერაციის მიმართ ფორმირებად დამოკიდებულებებზე გაკეთდება: ჩრდილოელი მეზობელი, ჯერ როგორც კოლონიური, შემდეგ კი პოსტკოლონიური ძალა, იყო და მნიშვნელოვანწილად რჩება ქართველი ერის მისწრაფებათა მთავარ გამოწვევად.

პირველი კოლონიური დეკადები – 1832 წლის შეთქმულებისაკენ მიმავალი გზა

თანამედროვე ქართველი მკვლევრის მერაბ ღაღანიძის აზრით, რუსეთის შემადგენლობაში საქართველოს გაერთიანების ფორმალური და არაფორმალური დროება განსხვავებული და მრავალმხრივია. იგი წერს, რომ საქართველოს რუსეთისადმი დაქვემდებარება ქართლ-კახეთის სამეფოს ანექსირებამდე გაცილებით ადრე დაიწყო და სამხედრო-პოლიტიკურ ანექსიას იდეოლოგიური ანალოგი უძღოდა წინ. ანექსიის წინა ქართულ საზოგადოებაში ღაღანიძე რუსეთის მიმართ სამგვარ დამოკიდებულებას ხედავს: ერთნი მოახლოებულ რუსულ მმართველობას სიხარულით ელოდნენ, მეორე ნაწილს ეს გარდაუვალად მიაჩნდა, ხოლო მესამე ნაწილს მოსალოდნელის მიმართ შიში იპყრობდა (ღაღანიძე 2010, 7-8). ქართული ელიტის საბოლოო არჩევანს ღაღანიძე ქართლის ორი მეფის, ვახტანგ მეექვსის (1675-1737) და თეიმურაზ მეორის (1700-1762) ბედისწერაში ხედავს. ორივემ სიცოცხლე რუსეთში დაასრულა. თეიმურაზ მეორე ისე მოხიბლულა რუსი სამხედრო პირის ქალიშვილით, რომ მე-12 საუკუნის ლეგენდარულ პოეტს, შოთა რუსთაველს პოემა „ვეფხისტყაოსანში“ რუსი პერსონაჟების არარსებობას და რუს-ქართველთა მეგობრობის ხოტბის აღუვლენლობას საყვედურობდა (ღაღანიძე 2010, 31).

რა თქმა უნდა, „ძველ საქართველოში“ ანტიიმპერიული განწყობა და ნარატივიც არსებობდა. ჩვენ უკვე ვახსენეთ იმერეთის მეფე სოლომონ მეორე და კახეთის ბაგრატიონთა წარმომადგენელი ალექსანდრე ბატონიშვილი. ისინი ანტირუსული წინააღმდეგობის ალბათ ყველაზე გამორჩეული ლიდერები იყვნენ. მართალია, არც ერთი მათგანი არ ყოფილა რუსეთთან გარიგების პრინციპული

მოწინააღმდეგე, თუ იმპერატორი სამეფოებს აღადგენდა და მათ პიროვნულ ამბიციებს დააკმაყოფილებდა. მეამბოხეთა მოტივაციაში უფრო საუკუნოვანი ტრადიცია იკითხება, რაც მოდერნული ნაციონალიზმის საშენი მასალაა და არა თავად ნაციონალიზმი. მაგრამ იქვე იყო თელავის სემინარიის ბოლო რექტორიც – განმანათლებლობის იდეათა მოზიარე და ბატონიშვილების აღმზრდელი დავით ალექსიშვილი-მესხიშვილი: ქართლ-კახეთის ანექსიისა და თელავის სემინარიის დახურვის შემდეგ მან ეს მოვლენები საქართველოს კულტურულ და პოლიტიკურ უკუსვლად შეაფასა.

გარდამავალი ხანის მთავარი ტექსტები, რომლებშიც ძველი საქართველოს დასრულებით გამოწვეული სევდა რუსული ბატონობის გარდაუვალობისა და განდიდების მოტივთან თანაარსებობს, გამორჩეულ რომანტიკოს პოეტსა და ერეკლე მეორის შვილთაშვილს, ნიკოლოზ ბარათაშვილს ეკუთვნის. მისი პატრიოტული ლექსები მე-19 საუკუნის 30-40-იან წლებშია დაწერილი, მაგრამ 27 წლის ასაკში გარდაცვლილი პოეტის წინა თაობის განცდებს ეყრდნობა და ასახავს. მისი პოემა „ბედი ქართლისა“ გადმოსცემს პოეტის დამოკიდებულებას რუსული ანექსიის მიმართ. ბარათაშვილისათვის ეს აქტი გარდაუვალი, მაგრამ ტრაგიკული აუცილებლობაა; იგი პოლიტიკურად გონიერი, მაგრამ სულიერად გამთანგველია (Ram and Shatirishvili 2004, 14). ქართლ-კახეთის სამეფოს რუსეთის მიერ ინკორპორაციის ორმოცი წლისთავზე ბარათაშვილმა ერეკლე მეორის რუსულ ვექტორს უფრო ექსპლიციტურად შეასხა ხოტბა. მისთვის მადლიერების საფუძველი იყო მშვიდობა, რომელმაც რუსეთის კალთის ქვეშ დაისადგურა და ქართველებს განვითარების საშუალება მისცა (ღაღანიძე 2021, 177-178). ჩვენ ვერ დავიჩემებთ, რომ პოეტის პერსპექტივა ქართველთა უმეტესობის აზრს გამოხატავდა, მაგრამ მაინც ცხადია, რომ ასეთი შეხედულება დომინირებდა იმდროინდელ განათლებულ ქართველთა შორის. ბარათაშვილის ლექსი

„საფლავი მეფის ირაკლისა“ მიგვაჩნია იმ დისკურსის გამომხატველად, რომელიც ქართული ელიტის – და არა მარტო ელიტის – არჩევანს გამოხატავდა ქრისტიანულ სახელმწიფოსა და მუსლიმურ ძალებს შორის. აღსანიშნავია, რომ როდესაც თბილისში მცხოვრები კათოლიკე მღვდელი, ნიკოლა რუტილიანო ქართლ-კახეთის ბოლო მეფე გიორგი მეთორმეტეს რუსთა გაბატონების შედეგებზე აფრთხილებდა, მეფე პასუხობდა: „დავსუსტდით, გაქრება ქრისტიანობა აქ ურუსოდ [...] თუ არა მკლავი რუსთა ხელმწიფისა, ვერავინ დაიცვამს საქრისტიანოსა. მესმის სიმძიმე რუსთა ჩემზედ ბრძანებლობისა. რა ვქნა? რა პასუხი გავცე ქრისტესა?“ (ღაღანიძე 2021, 350-351).

მაგრამ ბარათაშვილმა ასევე იცოდა იმ ამბოხებების შესახებ, რომლებიც აქა-იქ პერიოდულად ხდებოდა, და რომლებსაც ბაგრატიონები ხელმძღვანელობდნენ. მეტიც, 15 წლის ასაკში იგი შეესწრო რუსთა მიერ ქართული შეთქმულების საკმაოდ ფართო ქსელის აღმოჩენას. დაპატიმრებულ შეთქმულთა შორის მისი მასწავლებელი სოლომონ დოდაშვილი აღმოჩნდა. ეს ფაქტი რომანტიკოს პოეტზე საფუძვლიან გავლენას მოახდენდა. როგორ შევახამოთ ეს ამბავი პროფესორი ღაღანიძის ზემოთ ნახსენებ ნარატივთან, ისევე როგორც ბევრი სხვა მკვლევრის მოსაზრებებთან, რომ მე-18-მე-19 საუკუნეების მიჯნაზე საქართველოში იმპერიისადმი ლოიალიზმი დომინირებდა?

საქართველოს ახალი ისტორიის სხვადასხვა ვერსიები ანტიიმპერიული ქართული მოქმედებების ლოგიკის განსხვავებულ ინტერპრეტაციებს წარმოგვიდგენს. ალექსანდრე ფრონელი წერდა, რომ საქართველო რუსეთს კარგად განვითარებული სახელმწიფო ინსტიტუტების და არსებითად, სოციალური მშვიდობის პირობებში შეერწყა (ფრონელი 1907, 7-9). შესაბამისად, ქართველები საერთო ეროვნული იდეის ირგვლივ იყვნენ კონსოლიდირებულები – მათ დამოუკიდებლობის აღდგენა სურდათ. საპირისპიროდ, თანამედროვე ქართული ისტორიოგრა-

ფიის პიონერი, ივანე ჯავახიშვილი, ჯერ კიდევ 1905-1907 წლის რევოლუციის დროს წერდა, რომ თუ ქართული არისტოკრატია ჭმუნვით იყო მოცული ქართლ-კახეთის ანექსირებისას, გლეხობა სასიკეთო ცვლილებებს ელოდა (ჯავახიშვილი 1953, 104). სამეფო-სამთავროთა გაუქმების წინ ქართულ თავადაზნაურობას საგრძნობი უფლებები ჰქონდა გლეხებზე და მონოპოლურად აკონტროლებდა ქვეყნის ფინანსურ, მართლმსაჯულებისა და პოლიტიკურ ინსტიტუტებს (Jones 1987, 56). ასეთი სოციალური რეალობა გზას უხსნიდა იმდაგვარ ინტერპრეტაციასაც, რომ თითქოს გლეხებს ეროვნული თავისუფლება სურდათ, იმავდროულად კი ეროვნულ ელიტას ეწინააღმდეგებოდნენ (კიკვიძე 1954, 119).

თუმცა ქართული საბჭოთა ისტორიოგრაფია მაინც მეტ-ნაკლებად ერთიანი იყო შეფასებაში, რომ არისტოკრატიას და გლეხობას აკავშირებდა ის სოციალური და ეკონომიკური გამოწვევები, რომლებიც გარედან თავსმოხვეულ ბიუროკრატიულ წესებსა და პროცედურებს მოსდევდა (სურგულაძე 1968, 222). ეს მკვლევრები რუსეთის იმპერიის ოფიციალურ დოკუმენტებს ეყრდნობოდნენ. ასე მაგალითად, რუსი გენერლის, მაშინდელი საქართველოს მმართველის ფილიპ პაულუჩის პატაკის თანახმად, კახეთის 1812 წლის „რევოლუციის“ მთავარი ორგანიზატორები სამეფო ოჯახის წევრები იყვნენ. მათ მოახდინეს ადგილობრივი არისტოკრატიისა და გლეხობის მობილიზება, რასაც ხელი შეუწყო რუსი მოხელეების უკანონო ქცევამ, მაღალმა გადასახადებმა და რუსული სასამართლოს ბიუროკრატიულმა პროცედურებმა (ბენდიანიშვილი 1980, 67).

ზოგიერთი პოსტსაბჭოთა ქართველი ისტორიკოსი ერთგვარად წინააღმდეგობრივად წერს, რომ ქართლ-კახეთის სამეფოს მოსახლეობამ პოლიტიკური ავტონომია შედარებით ადვილად დათმო, მაგრამ ყოფილ სამეფოში მომხდარი 1804 და 1812 წლის ამბოხებები, ისევე როგორც 1810 და 1819 წლების ანტირუსული გამოსვლები

დასავლეთ საქართველოში „დიდი ეროვნული მოძრაობის“ დასაწყისი იყო.[7] ყველა შემთხვევაში, დამატებითი კვლევის საკითხია, თუ რამდენად საერთოეროვნული ან სოციალურ-კლასობრივი იყო ეს მოვლენები. თუ ნაციონალიზმის თეორიებს და ღაღანიძის ზემოთ აღნიშნულ ლოგიკას გავყვებით, საუბარი „დიდ ეროვნულ მოძრაობაზე“ ან მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში მოდერნული ნაციონალიზმის დომინირებაზე შედარებით ანაქრონისტულად უნდა ჩავთვალოთ. შესაბამისად, საბჭოთა ისტორიკოსების დასკვნები, რომელთა თანახმად, ქართული არისტოკრატიის დომინანტური დისკურსი ქვეყნის დამოუკიდებლობის მოთხოვნას არ გულისხმობდა (ბენდიანიშვილი 1980; სურგულაძე 1968) უფრო დამაჯერებლად ჟღერს. როგორც წესი, ქართველი თავადაზნაურობა მუდმივად ცდილობდა კოლონიურ ადმინისტრაციასთან და სანქტ-პეტერბურგის საიმპერატორო კართან მორიგებას, რომ როგორმე ტრადიციული პრივილეგიები შეენარჩუნებინა. მაგრამ 1832 წელს არისტოკრატიის წუხილები, ისევე როგორც მართულ კლასთა უკმაყოფილება მართლაც დაუახლოვდა ევროპული ნაციონალიზმის პრინციპებს – ყოველ შემთხვევაში, დისკურსის დონეზე მაინც. ოღონდ ისიცაა, რომ ქართული ნაციონალიზმის ყლორტები უცებ ჩანაცვლდა იმპერიისადმი თითქმის უპირობო ლოიალიზმით ერთი თაობის განმავლობაში მაინც.

მანამდელი ამბოხებებისაგან 1832 წლის შეთქმულება წინასწარი იდეური თუ დაგეგმარებითი მუშაობით და ახალი ხელმძღვანელობით გამოირჩეოდა: მასში წამყვან როლს რუსული განათლებამიღებული ახალგაზრდები თამაშობდნენ, რომელთა ნაწილი რუსულსავე არმიაში მსახურობდა. საქართველოს გათავისუფლების იდეა რუსეთში გადასახლებულ სამეფო ოჯახში იქნა ინიციირე-

7 წმ. ანდრიას ქართული უნივერსიტეტი. 2014. პროფესორი ვახტანგ გურული, ლექციის თემა: ეროვნული მოძრაობა საქართველოში XIX საუკუნეში. #1. Youtube ვიდეო. ttps://www.youtube.com/watch?v=N1UkJCsDTFQ (20.12.2023)

ბული. 1820 წელს უფლისწულთა ირგვლივ საიდუმლო ორგანიზაციის კონსოლიდაცია დაიწყო (ჭიჭინაძე 1919, 9). თავად-აზნაურთა მსგავსად, გლეხის ოჯახში დაბადებული სოლომონ დოდაშვილი 1826-1927 წლებში შეუერთდა კონსპირაციას და სერიოზული ინტელექტუალური წვლილი შეიტანა მასში. იგი იყო სანქტ-პეტერბურგის უნივერსიტეტის პირველი ქართველი სტუდენტი, რომელიც ფილოსოფიას სწავლობდა. შეთქმულებს სოლომონი ერთ-ერთი უფლისწულის სახლში დაუახლოვდა, სადაც ცხოვრობდა და ბავშვებს ქართულ ენას ასწავლიდა. 145 შეთქმულისაგან, რომელთაც რუსულმა ხელისუფლებამ პასუხისმგებლობა დააკისრა, მხოლოდ სოლომონ დოდაშვილი და სოლომონ რაზმაძე იყვნენ არაპრივილეგირებული წრიდან. იმპერიამ ისინი სამაგალითოდ დასაჯა და ორივენი გადასახლებაში გარდაიცვალნენ (Jones 1987, 68).

შეთქმულებს ჰქონდათ წვდომა ინფორმაციაზე იმპერიის ფარგლებში მიმდინარე სხვადასხვა ეროვნულ მღელვარებათა შესახებ. მათ მთავარ ყურადღებას პოლონეთი იქცევდა. მას შემდეგ, რაც შეთქმულებმა 1830 წლის პოლონური ეროვნულ-გამათავისუფლებელი აჯანყების ამბავი შეიტყვეს, გააქტიურება გადაწყდა. 1831 წლის ერთ-ერთ შეკრებაზე ერეკლე მეორის შვილთაშვილმა, უფლისწულმა თამარმა განაცხადა, რომ უკეთეს დროს ვერ დაელოდებოდნენ, რადგან რუსეთის ყურადღება იმჟამად პოლონეთზე იყო კონცენტრირებული (სურგულაძე 1968). რუსული საგამოძიებო კომისიის მიერ შეგროვილი ზოგიერთი მოწმობის თანახმად, იმპერიის პოლონური წარმოშობის მოხელე, პეტრე ზავილეისკი შეთქმულებთან იყო კავშირში (Woźniak 1998, 34). პოლონური გამოცდილება მისი მარცხის შემდეგაც არ კარგავდა ქართველებისათვის რელევანტურობას: შეთქმულები იმედოვნებდნენ, რომ მათ კავკასიაში გადმოსახლებული პოლონელები დაეხმარებოდნენ (გოზალიშვილი 1970, 39).

ქართველ ისტორიკოსთა ნაწილი მიიჩნევდა (სურგულაძე 1968; გოზალიშვილი 1970), რომ შეთქმულებს იდეოლოგიური ბმა ასევე ე.წ. დეკაბრისტებთან, ანუ ცარიზმთან მებრძოლ რუს არისტოკრატ რევოლუციონერებთან ჰქონდათ. საბუთად მოჰქონდათ გამოძიებით გამოვლენილი ფაქტი, რომ სოლომონ დოდაშვილს დეკაბრისტი რილეევის მიერ საკუთარი მეუღლისადმი მიწერილი წერილი ჰქონდა. გარდა ამისა, ცნობილია, რომ შეთქმულთა პროპაგანდაზე პასუხისმგებელმა ახალგაზრდა გრიგოლ ორბელიანმა რილეევის პოემის „ნალივაიკოს აღსარება“ ნაწილი თარგმნა. მაგრამ თანამედროვე ბრიტანელ-ამერიკელი მკვლევარი, სტივენ ჯონსი ასაბუთებს, რომ დეკემბრისტთა და ქართველ შეთქმულთა შემთხვევები თვისებრივად განსხვავებული იყო: კონსტიტუციონალისტი დეკაბრისტებისაგან განსხვავებით, ქართველები უფრო ნაციონალისტური დისკურსის კონსტრუირებას ახდენდნენ (Jones 1987, 58). თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ქართული შეთქმულება ევროპული იდეების გავლენით იყო დაღდასმული. ეს გავლენა, მნიშვნელოვანწილად, როგორც პოლონური, ისე რუსული კონტაქტების მეშვეობით ხორციელდებოდა.

საიდუმლო საზოგადოების ლიდერებმა შეადგინეს დოკუმენტი – „აქტი გონიური“. იგი კონფიდენციალურობის და ახალ წევრთა რეკრუტირების წესებს ადგენდა. შეთქმულთა დაკითხვის მასალებიდან ჩანს, რომ მოძრაობის წონის გასაზრდელად აქცენტი ახალგაზრდების მოზიდვაზე კეთდებოდა. სოლომონ დოდაშვილი აღიარებდა, რომ ხალხში სამშობლოსადმი სიყვარულის გასაღვივებლად პერიოდული გამოცემის შექმნა იყო განზრახული (გოზალიშვილი 1970, 20). მიუხედავად იმისა, რომ მსგავსი გამოცემა ხანმოკლე გამოდგა, იგი შეთქმულთა დისკურსულ ძალისხმევას აჩვენებს.

რამდენადაც შეთქმულთა დეტალური გეგმები არ შემორჩენილა, ბოლომდე არ შეგვიძლია ვთქვათ, თუ რა ტიპის პოლიტიკური სისტემა შეიქმნებოდა აჯანყების

წარმატების შემთხვევაში. ცხადია, რომ არისტოკრატები და სამეფო ოჯახი კვლავინდებურად სამეფოს აღდგენაზე იფიქრებდნენ (Jones 1987). თუმცა მათ იცოდნენ, რომ წოდებათა შორის გარკვეული დაძაბულობა არსებობდა და საიდუმლო საზოგადოების შიგნით რესპუბლიკურ მმართველობაზეც იყო მსჯელობა. საგამოძიებო მასალებიდან ირკვევა, რომ ქართლ-კახეთის ბოლო მეფის შვილს, უფლისწულ ოქროპირს სოლომონ დოდაშვილისათვის უთქვამს, საქართველოს გათავისუფლება იმისათვის არ მინდა, რომ რომელიმე ბაგრატიონი სამეფო ტახტზე დაჯდესო (გოზალიშვილი 1970, 35). შეთქმულები იმასაც ფიქრობდნენ, რომ თავისუფალი საქართველო ორპალატიანი სეიმის მიერ უნდა ყოფილიყო მართული. მეფეს მხოლოდ აღმასრულებელი ძალაუფლება უნდა ჰქონოდა, ხოლო სეიმის ქვედა პალატა უფრო სათათბირო ფუნქციით იქნებოდა აღჭურვილი (ბენდიანიშვილი 1980, 111). ასევე საინტერესოა, როგორ წარმოედგინათ შეთქმულებს რუსეთთან ურთიერთობის მომავალი. არ გვაქვს მოწმობა, რომ მათ რუსული პატრონაჟის სრული მოცილება რეალისტური ჰგონებოდათ.

1832 წლის თაობის დისკურსი და ეროვნული წინააღმდეგობა

1832 წლის შეთქმულებამდე მიმდინარე მოვლენებს, ისე როგორც შეთქმულების უშუალო რეზონანსსა თუ შედეგებს, ჩვენ რიგი მიზეზების გამო ვიხსენებთ: საკმაოდ ელასტიკურად განსაზღვრულ ამ ისტორიულ მონაკვეთში ქართული მოდერნული ეროვნული იდენტობის საფუძვლები იქმნებოდა. ერთი მხრივ, საზოგადოების ნაციონალიზაციის წყარო საუკუნოვანი კლანურ-ფეოდალური მახასიათებლები იყო. ისინი „ქვემოდან“, ანუ ადგილობრივი ტრადიციის წიაღიდან მოდიოდა, „ზემოდან“ კი მას ხვდებოდა და ახალ ფორმას აძლევდა შეცვლილი საერთაშორისო კონტექსტის შედეგად განვრცობილი განმანათლებლობისა და რომანტიზმის იდეები და სოციალურ-ეკონომიკური მოდერნიზაცია. როგორც ეროვნული იდენტობის დისკურსი, ნაციონალიზმი დომინანტური 1860-იანი წლებიდან გახდა. მაგრამ მისი ნიადაგი ადრევე მზადდებოდა.

იდენტობის ნარატივი სამ დროით ელემენტს მოიცავს. ესენია ისტორია, მიმდინარე მოვლენები და მომავალი (Wodak et al. 2009, 26). ქართულ შემთხვევაში ნაციონალური მიზნების მასტერ ნარატივის საფუძვლები 1832 წლის შეთქმულების მონაწილეებმა შექმნეს. მათი აზრები სტრუქტურირებული იყო ზემოთ ნახსენები წარსული-აწმყო-მომავლის მატრიცით, რომელიც ხორცს შემდეგ პრინციპებში ისხამდა: პირველია ქართულ სამეფოთა რომანტიკული ხატი, რომელსაც ზურგს უმაგრებს აქცენტი მდიდარ კულტურაზე, უძველეს ენასა და სარწმუნოებაზე, რომლებიც ქვეყნის სუვერენულობის მუდმივ წინაპირობადაა აღქმული. მეორე პრინციპი საფრთხეებია და ასეთად მუსლიმური იმპერიები და ჩრდილოეთ კავკა-

სიელებია დანახული. მესამე პრინციპი რუსეთის როლი-სადმი წინააღმდეგობრივი დამოკიდებულებაა.

1828 წელს, თბილისის კეთილშობილთა სასწავლებლის მოსწავლეებისადმი მიმართვისას, სოლომონ დოდაშვილმა თქვა: „სპარსნი, თათარნი, ოსმალნი და მთიურნი მარადის ეგევითარნივე იყვნენ საქართველოისთვის, ვითარცა ლოთნი და გუნნი ევროპისათვის, ესე იგი წყვდიადად განათლებისა გინა სწავლულებისა“. მისივე აზრით, რუსეთის იმპერიის ფარგლებში ქართული საზოგადოებისათვის ევროპული განათლების მიცემა შეიძლებოდა (დოდაშვილი 1961, 227). ეს საჯარო გამოსვლა იყო და, ბუნებრივია, დოდაშვილს იმპერიისადმი ლოიალობის ჩვენება მოეთხოვებოდა. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ როგორც 1832 წლის შეთქმულების მონაწილე, დოდაშვილი ქართულ სახელმწიფოებრიობაზე ოცნებობდა. მაგრამ, იმავდროულად, ისტორიული წყაროები და მეორეული ლიტერატურა აჩვენებს, რომ მას გულწრფელად სჯეროდა რუსეთის იმპერიის განმანათლებლური პოტენციალის.

ეს რწმენა თვალნათლად დომინირებს ნიკოლოზ ბარათაშვილის ზემოთ ნახსენებ ლექსშიც „საფლავი მეფის ირაკლისა“, რომელიც 1842 წელს დაიწერა. ქართული რომანტიზმის ვარსკვლავი, რომლის ხატოვანი ერთგულება ინდივიდუალური თუ კოლექტიური თავისუფლებისადმი მომავალი თაობების ინსპირაციის წყარო გახდა, იმავდროულად ადიდებდა იმპერიულ მშვიდობას, როგორც ნიადაგს იმისა, რომ განათლებულ ქართველს „ჩრდილოეთისათვის ყინული დაედნო“.

იმჟამინდელი ნარატივების მიხედვითა თუ მეშვეობით, ქართული ნაციონალური იდენტობა იმდაგვარ გაორებას იძენდა, რომელიც დღემდე გრძელდება და რამაც ანთროპოლოგ ნუცა ბათიაშვილს ტერმინი „ორხმოვანი ერი“ მოაფიქრებინა. ბათიაშვილის თანახმად, ქართველობის მენტალური გაორება იმ დაუსრულებელ დავებშია, რაც ცნებების – ღალატი, კოლაბორაცია – თუ ისტო-

რიის ინტერპრეტაციების და ცივილიზაციური კუთვნილების ირგვლივ მიმდინარეობს (ბათიაშვილი 2018). რა თქმა უნდა, არც ერთი ნაციონალიზმი არაა სრულად კონგრუენტული და ასეთ იყო ქართული შემთხვევის ბედიც. როგორც დავინახავთ, დროთა განმავლობაში, მისი ორი საკვანძო მარკერი – ღალატის გმობა და ცივილიზაციური ძიებანი – განსხვავებულ სურნელს იძენდა და ცვალებად ბალანსს ქმნიდა. ზოგჯერ უცხო ცივილიზაციასთან კავშირის ძიება მოღალატეობრივ მისწრაფებად აღიქმებოდა, სხვა შემთხვევაში კი ღალატის ცნება და ზეეროვნულ ერთობაში ინტეგრაციის სურვილი ერთმანეთისაგან იმიჯნებოდა. შედეგად, ეს ბინარული ცვლადი დამატებით ბრუნს აკეთებდა და აკეთებს: სუპრანაციონალური კუთვნილების გარკვეული ვერსია (მაგალითად, რუსიფიკაცია ან კომუნისტური იდეოლოგიის მიმდევრობა) ეროვნულ ღალატთან იგივდებოდა, სხვა ვერსიები კი (მაგალითად, ევროპეიზაცია-ლიბერალიზაცია) – ერის სამსახურთან. ხდებოდა და ხდება პირიქითაც. ქართული დისკურსის ამ გაორებას ბათიაშვილი პოსტკოლონიურ პირობებთან აკავშირებს (ბათიაშვილი 2018). ბუნებრივია, რომ იგი კოლონიური პირობების დროს ჩაისახებოდა.

დისკურსული წინააღმდეგობები პოლონური ნაციონალიზმისთვისაც იყო დამახასიათებელი და ეს ჩვენ მიერ არჩეული ორი შემთხვევის შედარებას ამართლებს. მაგრამ ჩვენ მიგვაჩნია, რომ მე-20 და 21-ე საუკუნეებში პოლონელებმა უკეთ მოახერხეს ეროვნული იდენტობის გამაერთიანებელი ნიადაგის პოვნა. ეს შედარება წიგნის შესაბამის ადგილასაა მოცემული, აქ კი ქართული ეროვნული იდენტობის ფორმირების ისტორიას უნდა დავუბრუნდეთ. ამისათვის შეთქმულთა და მომდევნო თაობის დამაკავშირებელი ისეთი გამორჩეული ფიგურა უნდა გავიხსენოთ, როგორიც დიმიტრი ყიფიანი იყო. მას შემდეგ, რაც გადასახლებაში გარდაცვალებამ ჩააქრო დოდაშვილის რეფორმატორული, ქართველთა განმანათლებლო-

ბაზე ორიენტირებული გონება, დიმიტრი ყიფიანი საზოგადოებას მის მემკვიდრედ მოევლინა.

დიმიტრი ყიფიანიც 1832 წლის შეთქმულებაში მონაწილეობისათვის იყო გადასახლებული. მაგრამ 1837 წელს იგი დაბრუნდა ვოლოგდადან და, როგორც ბევრმა სხვა ქართველმა თავადმა თუ აზნაურმა, სამსახური კოლონიურ ადმინისტრაციაში დაიწყო. თამაზ ჯოლოგუა, რომელმაც ამ პერიოდის შესწავლას წლები შეალია, თვლის, რომ იმპერატორ ნიკოლოზ პირველს განათლებულ ქართულ ელიტაზე დაყრდნობა სჭირდებოდა.[8] შესაბამისად, თავისი ნაწერებითა და არაერთი საჯარო ინიციატივით გამორჩეული დიმიტრი ყიფიანი 1850 წელს კავკასიის მეფის ნაცვლის საბჭოს წევრიც გახდა (ჯოლოგუა 2016, 14).

ჯოლოგუას აზრით, უნაყოფო შეთქმულებას ეროვნული პესიმიზმის ხანა მოჰყვა, რომელიც აბრკოლებდა საზოგადოების განვითარებას როგორც კულტურის, ისე პოლიტიკური ცხოვრების თვალსაზრისით (ჯოლოგუა 2022). გვიანდელი პერიოდის ქართველი მოაზროვნე და პოლიტიკოსი არჩილ ჯორჯაძე, რომელიც 1832 წლის შემდგომი ხანის შეფასებაში უფრო რადიკალური იყო, თვლიდა, რომ მაშინ საქართველოში სიჩუმე იდგა და თანაც უძლეველი პოლიტიკური ძალაუფლების გაღმერთება ხდებოდა (ჯორჯაძე 1989, 107). მაგრამ რამდენ ხანს გასტანა ამ პერიოდმა? იყო კი ოდესმე პაუზა ქართული ეროვნული იდენტობისა და დისკურსის განვითარებაში? შეგვიძლია დავასკვნათ, რომ 1832 წლის მოვლენების შემდეგ ქართულმა განათლებულმა კლასმა საბოლოოდ აირჩია იმპერიულ ელიტასთან კოოპერაცია და ჩაეჭიდა იმედს, რომ ეს უკანასკნელი ქართველობას რაღაცნაირად მაინც სცემდა პატივს. პატივისცემა შეიძლება სხვადასხვანაირად აღქმულიყო: ზოგი ალბათ მხოლოდ პირად გამდიდრებასა და ბატონყმობაზე დაფუძნებული სოცი-

8 ჯოლოგუა, თამაზ. ინტერვიუ ჩაატარა ზურაბ სამარღანიშვილმა. თბილისი. აპრილი, 2023 წელი.

ალური ბალანსის შენარჩუნებაზე ოცნებობდა, სხვათათვის, დიმიტრი ყიფიანის მსგავსად, მთავარი ქართველთა განათლება და ისტორიული მემკვიდრეობის დაფასება იყო. დიდი ანგარიშით, ამ ხანაში მაინც ქართული კულტურის რენესანსი და ეროვნული თვითშეგნების ზრდა ხდებოდა. გარკვეულწილად, ილია ჭავჭავაძის ახალი ეროვნული პროგრამა, რომელიც 60-იან წლებში გაჟღერდა, იმპერიისა და ქართული არისტოკრატიის პოსტ-1832 წლის რეკონსილიაციის შედეგი იყო – თუნდაც რომ ილიას წინამორბედთა შეხედულებები კრიტიკულად შეეფასებინა და დიალექტიკურად განევითარებინა. შესაბამისად, 1832 წლის შემდგომ პესიმიზმზე საუბარი პირობითია. იგი ნაციონალიზმის ახალი გზების ძიებასთან თანაარსებობდა.

1848 წელს დიმიტრი ყიფიანმა შემდეგი განაცხადი გააკეთა: „მე რუსი ვარ ჩემის სამსახურით, ლუკმა პურით, რომელსაც ვჭამ და ჩემის აზრის მიმართულებით. მე ქართველი ვარ გვარტომით და მოძმეთა ენით. საჭიროა წაშლა იმ ლარისა, რომელიც ამ ორ სიტყვათა შორის არის გადებული, საჭიროა ორი სიტყვიდან – რუსი და ქართველი – ერთი სიტყვის შემუშავება, მათი მნიშვნელობის შედუღება ერთ მცნებაში, სიტყვითა და საქმით, საჭიროა აგრეთვე ამ შედუღებულ სიტყვის აღბეჭდვა როგორც მთავრობის, ისე ჩვენი ხალხის შემეცნებაში“ (ჯოლოგუა 2022, 212). ცდუნებაა, რომ ამ სიტყვებში საქართველოს დენაციონალიზაციისათვის მზაობა დავინახოთ. მაგრამ თუ ყიფიანის ლოიალობა იმპერატორის ტახტისადმი ეჭვგარეშეა, მთელი ეს ციტატა უფრო რუსთა და ქართველთა სამოქალაქო თანასწორობის მოთხოვნას გულისხმობს და, ამდენად, ანტიკოლონიური ემოციის მატარებელია. ბუნებრივია, პიროვნების მსოფლმხედველობა მისი ერთი გამონათქვამით არ უნდა გავიგოთ. ყიფიანი აგრეთვე ამბობდა, რომ მრავალსაუკუნოვანი ისტორიის ხალხს არ უნდა მოეთხოვოს მისი დავიწყება. იგი ხაზს უსვამდა, რომ იმპერატორის ქვეშევრდომობა ქართვე-

ლებში ღვთის ტრადიციულ რწმენასთან და სამშობლოსადმი ერთგულებასთან თანაარსებობდა (ჯოლოგუა 2016, 16). ყოველივე ეს უფრო ნაციონალისტურად ჟღერდა. დაბოლოს, დიმიტრი ყიფიანი სტავროპოლში გადაასახლეს და იქ მოკლეს. გადასახლება კი მან იმით „დაიმსახურა“, რომ ადგილობრივი ეკლესიის კოლონიური მეთაურის, ეგზარქოსი პავლე ლებედევის საქართველოდან გაძევება მოითხოვა. შეუფერებელი ქცევისათვის პავლე მართლა გაიწვიეს,[9] ყიფიანის მკვლელობა კი შეიძლება არა პოლიტიკური, არამედ კრიმინალური შემთხვევა ყოფილიყო. მაგრამ ამ ამბავმა დიმიტრი ყიფიანს საბოლოოდ დაუმკვიდრა ადგილი ეროვნულ იდეას შეწირულ ადამიანთა პანთეონში. მისი ჩამოსვენება და თბილისში დაკრძალვა მასშტაბურ ეროვნულ დემონსტრაციად გადაიქცა.

მთლიანობაში, დიმიტრი ყიფიანის დისკურსი შეიძლება მისი თანამედროვე ქართული არისტოკრატიის – ანუ ელიტის – კოლექტიური განწყობისა და განზრახულობების გამომხატველად დავინახოთ. პრივილეგიების შესანარჩუნებლად და იმპერატორის კეთილგანწყობის მოსაპოვებლად ამ წრემ ლოიალობა აირჩია. კავკასიაში რუსული იმპერიული მმართველობა ორ ფართო კატეგორიამდე დაიყვანება: ადმინისტრატორთა ნაწილი ადგილობრივ კონტექსტს ითვალისწინებდა და რუსული წესრიგის თანდათანობით დამკვიდრებას უჭერდა მხარს. მეორე ნაწილი რადიკალური ზომების მომხრე იყო და ბიუროკრატიულ მოუხეშაობას ავლენდა (Rhinelander 1975, 234). კავკასიის მეფის ნაცვალი თავადი მიხეილ ვორონ-

9 მას შემდეგ, რაც თბილისის სემინარიიდან გარიცხულმა სტუდენტმა იოსებ ლაღიაშვილმა რექტორი მოკლა, პავლემ მისი აღმზრდელი „გარემო და წრე“ ანათემას გადასცა და ამ კონტექსტში ქვეყანაც ახსენა. დიმიტრი ყიფიანმა ეს ქართველი ერის წყევლად აღიქვა და ეგზარქოსს ქვეყნის დატოვებისაკენ მოუწოდა. ისიც საყურადღებოა, რომ მკვლელ ლაღიაშვილს, რომელიც სემინარიიდან არალეგალური ხელნაწერი ჟურნალის ფლობისათვის გარიცხეს, მაშინდელი თბილისის ქართული საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილი თანაუგრძნობდა. თავად სემინარიაში კი ბევრი მომავალი ნაციონალისტიც სწავლობდა და რევოლუციონერიც.

ცოვი (1844-1954) პირველ ნაწილს ეკუთვნოდა. დიმიტრი ყიფიანი მას დიდ პატივს სცემდა და მიიჩნევდა, რომ ქართველთა და რუსთა ორმხრივი ნდობის მშენებლობა ვორონცოვის განსაკუთრებულ მიღწევას წარმოადგენდა (ჯოლოგუა 2017, 43). ასე მარტო ყიფიანი არ ფიქრობდა. ზემოთ ნახსენები არჩილ ჯორჯაძე, რომელიც მოგვიანებით საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის თვალსაჩინო ფიგურად ჩამოყალიბდა, წერდა, რომ ვორონცოვი ქართული ელიტის მოლოდინებს პასუხობდა და ეს მოლოდინი იყო ქართველობის კულტურული აღორძინება პოლიტიკური მორჩილების სანაცვლოდ (ჯორჯაძე 1989, 104-105).

ვორონცოვის მმართველობის დროს საქართველოში რამდენიმე მნიშვნელოვან სიახლეს ჰქონდა ადგილი. 1846 წელს პირველი საჯარო ბიბლიოთეკა გაიხსნა. ორი წლის შემდეგ ვორონცოვმა კავკასიის განათლების ოლქი დააარსა, რომელიც რუსეთის განათლების სამინისტროსაგან ავტონომიურად ფუნქციონირებდა. 1852 წელს კი დაარსდა ქართულენოვანი ჟურნალი „ცისკარი“ (ჯოლოგუა 2022, 80-87). ვორონცოვი იმჟამინდელი რუსული იმპერიული პოლიტიკის ძირითად ხაზს მისდევდა. ეს გულისხმობდა „ადგილობრივი ხალხების განათლებას“ და მათი ცხოვრების სტანდარტების „ამაღლებას“, რათა „უცხოები“ იმპერიული რუსეთის მოკავშირეებად ქცეულიყვნენ (Khomyakov 2020, 236). აღსანიშნავია, რომ განათლებისა და კულტურის ვორონცოვისეულ პატერნალიზმს 1832 წლის შეთქმულთა მიმართ შედარებით რბილი დამოკიდებულება ერთოდა და ყოველივე ეს მადლიერების განცდას აჩენდა. როგორც ამ ამბების ერთ-ერთი მონაწილე, ალექსანდრე ორბელიანი წერდა, ყველა კმაყოფილი იყო, რომ იმპერატორმა ეს საქმე ასე მსუბუქად დაასრულა (ჯოლოგუა, 2022, 275). იგი ორენბურგში იყო გადასახლებული. რამდენიმე წლის შემდეგ კი დაბრუნდა და საბოლოოდ თავისი საჯარო ცხოვრება ჟურნალ „ცისკარს“ დაუკავშირა.

მე-19 საუკუნის ქართველთა იდენტობის მნიშვნელოვანი ნიშანი, რასაც იმპერია სათავისოდ იყენებდა, მისი არისტოკრატიის ჩრდილო კავკასიელებისადმი მტრული დამოკიდებულება იყო. ამ დამოკიდებულებას ხაზს უსვამდა სოლომონ დოდაშვილი, ხოლო გრიგოლ ორბელიანი პრაქტიკაში ავლენდა. ეს რომანტიკოსი პოეტი და რუსეთის არმიის გენერალი ისტორიული მეხსიერებით საზრდოობდა – მთიელთა თავდასხმები საქართველოს ისტორიის მნიშვნელოვანი მახასიათებელი იყო. ამავე დროს, ზოგიერთი მკვლევარი თვლის, რომ რუსეთის კავკასიურ ომებში ქართველთა მონაწილეობას ისიც განაპირობებდა, რომ ბევრი მათგანის აღქმაში კავკასიონი ბუნებრივ და პოლიტიკურ დაბრკოლებას წარმოადგენდა საქართველოს მოდერნიზაციისა და ევროპასთან დაახლოების გზაზე (Ram and Shatirishvili 2004, 24-25).

კავკასიელთა ანტირუს ლიდერთან, იმამ შამილთან ბრძოლაში გრიგოლ ორბელიანი მაქსიმალურად იყო ჩართული, რისთვისაც მას რუსული ადმინისტრაცია მეტად აფასებდა. 1857 წელს ორბელიანს გენერალ ადიუტანტის წოდება მიენიჭა. მაშინდელი მეფის ნაცვალი, ალექსანდრე ბარიატინსკი სწერდა ქართველ გენერალს: „აღარ მაცდით თითქმის გონს მოვიდე, უპატივცემულესო თავადო გრიგოლ დიმიტრის ძევ, ისე თაბრუს ვსმხვევთ თითქმის ყოველდღე თქვენის ბრწყინვალე და ჩინებულ გამარჯვებათა გრგვინვა-ქუხილით... ხვალ ვატან თქვენს მოხსენებას ფელდსგერემს ხელმწიფე იმპერატორისათვის წარსადგენად, რომელიც, ეჭვი არ არის, მოხარული იქმნება თავისს ახალ გენერალ-ადიუტანტის წარმატებისა“ (მეუნარგია 1905, XI).

მაგრამ იმავდროულად, ქართულ პატრიოტულ რომანტიზმზე ფიქრი გრიგოლ ორბელიანის და იმავე ალექსანდრე ჭავჭავაძის პოეზიის გარეშე შეუძლებელია. დიმიტრი ყიფიანის მსგავსად, მათაც შეჰქონდათ წვლილი ქართული ნაციონალისტური დისკურსის სპეციფიკური ფორმის განვითარებაში. ამ ვერსიაში პოლიტიკური

ავტონომიის სურვილი საბოლოოდ ინიღბებოდა, რადგან სრულიად არარეალისტურად მოჩანდა. სამაგიეროდ, ხდებოდა შუა საუკუნეების ქართულ სამეფო-სამთავროთა განდიდება. აქ ნახსენებ პერსონაჟებს რუსული დროშის ქვეშ სამსახური წინაპართა საგმირო საქმეების გაგრძელებად მიაჩნდათ.

60-70-იან წლებში, როდესაც ილია ჭავჭავაძის მეთაურობით ახალგაზრდა ქართველებმა გრიგოლ ორბელიანის თაობასთან მწვავე პოლემიკა გამართეს, ე.წ. მამათა და შვილთა ბრძოლაში ყველაზე რეზონანსული ალბათ ილიას შემდეგი სიტყვები იყო:

ჩვენ ვვლეთ რუსეთი,
მაგრამ არც ერთი
ხელობა თქვენი არ გვისწავლია;

ჩვენი ქვეყანა,
მკვდარი თქვენგანა,
თქვენებრ ჩინებზედ არ გაგვიცვლია. (ჭავჭავაძე 1872)

იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ ახალ თაობას ეროვნული გამოღვიძების მაცნეობაზე ჰქონდა პრეტენზია, „მამებს“ კი მოღალატეებად თუ არა, იმპერიის ჩამორჩენილ მსახურებად თვლიდა. მაგრამ ორბელიანის პასუხში არანაკლებ ნაციონალისტური და მწარე არგუმენტები იყო. მისი თქმით, იმედი, რომ ახალი თაობა „დავრდომილ მხარეს“ გაანათლებდა, იმსხვრეოდა (ორბელიანი 1874). ნაციონალურ დისკურსში აღმოცენებული დაპირისპირება სპეციალურ ყურადღებას იმსახურებს. აქ მხოლოდ იმის თქმა გვინდოდა, რომ, ორბელიანის უკმაყოფილების მიუხედავად, „შვილები“ იმ ნიადაგზე აღმოცენდნენ, რომელიც „მამებმა“ რუს მეფისნაცვლებთან თანამშრომლობით შეამზადეს. ქართული ნაციონალური ხაზის განგრძობადობას კარგად აჩვენებს ის ფაქტიც, რომ გრიგოლ ორბელიანის დაკრძალვაზე ილიამ ძველი წყენები გვერდით გადადო და პოეტი-გენერალი „სასიქადულო მა-

მულიშვილად, სახელოვან ქართველად“ და „დიდებულ მწერლად“ მოიხსენია (ჭავჭავაძე 1883).

ყოველივე ეს აჩვენებს, რომ, იმპერიული პროექტის საზიანოდ, ვორონცოვის რბილი ასიმილატორული პოლიტიკა მხოლოდ დროებითა და სანახევროდ იყო წარმატებული. თავისდაუნებურად, მან ქართული ნაციონალიზმის საფუძვლები შექმნა (Rhinelander 1975, 223). განათლება, რომელსაც მე-19 საუკუნეში ცარიზმმა შეუწყო ხელი, ქართული ეროვნული თვითშეგნების მნიშვნელოვანი ფაქტორი აღმოჩნდა (Jones 1987, 58).

მოდერნული ნაციონალისტური აზრის კონსოლიდაცია

მიუხედავად იმისა, რომ ქართული იდენტობის ფორმირება ნელა და თაობების მანძილზე მიმდინარეობდა, ბევრი მკვლევრისათვის მე-19 საუკუნის 60-80-იანი წლები ერის ევროპული სტილის კონსოლიდაციის გზაზე მიღწეული პროგრესის ხანაა. ამ პერიოდში მოხდა იმპერიულ-კოლონიზატორული მოდერნიზაციის გაუთვალისწინებელი შედეგების მატერიალიზაცია, რაც სწორედ თანამედროვე ქართული ნაციონალიზმის მთავარ პოსტულატთა ფორმულირებაში გამოვლინდა. გერმანელ-ქართველი მკვლევარი ოლივერ რაისნერი თვლის, რომ ეს სიახლეები, კერძოდ კი „ეროვნულ ნიადაგზე ტრადიციული საზოგადოების“ რეფორმირების ახალი ცდა, ახალგაზრდათა მხოლოდ შედარებით მცირე წრეს შეეხო. რაისნერის აზრით, რუსეთში განათლებამიღებული ახალგაზრდების დასი ტრადიციულ-ფეოდალური საზოგადოებისაგან გაუცხოებულ მარგინალებად რჩებოდა (Reisner 2018, 236-237). მართლაც, მათი სულისკვეთება, რომელსაც რაისნერი „ეროვნულ ინტერესად/საქმედ“ მოიხსენიებს, ეთნიკური, რეგიონული თუ წოდებრივი საზღვრების გადალახვის სირთულეს აწყდებოდა. მაგრამ ჩვენ მაინც ვრჩებით იმ მოსაზრებაზე, რომელიც ღრმადაა გამჯდარი ქართულ ისტორიოგრაფიაში,[10] რომ

10. ეს მოსაზრება კიდევ ერთხელ გაჟღერდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩატარებულ სპეციალურ სესიაზე, რომელიც ცნობილი ისტორიკოსის, მე-19-20 საუკუნეების სპეციალისტის, აკაკი სურგულაძის დაბადების 110 წლისთავს მიეძღვნა. სესია 2023 წლის 26 სექტემბერს გაიმართა. მასზე გამომსვლელთა უმეტესობა არანაკლებ საუბრობდა ილია ჭავჭავაძეზე, ვიდრე სურგულაძეზე, რომელიც ასევე სწავლობდა ქართული ინტელიგენციის ისტორიას.

70-იანი წლებიდან მაინც, როდესაც ილია ჭავჭავაძე წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ერთ-ერთი დამფუძნებელი გახდა, კულტურულ ელიტაში სწორედ ამ ახალგაზრდების სულისკვეთება იმარჯვებდა.

ნაციონალიზმის შესწავლისას რაოდენობრივ მონაცემებზე დაყრდნობა და იდეური მიმდინარეობების მიმდევართა რაოდენობით შეფასება არასაკმარისია. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ილია ჭავჭავაძე, რომელსაც სიცოცხლეშივე ერის უგვირგვინო მეფედ მოიხსენიებდნენ, თავადაც სწუხდა არა მხოლოდ მხარდამჭერთა სიმცირეზე, არამედ საზოგადოების ფართო ფენებში ეროვნული შეგნების სისუსტეზე. ასეთი იყო ნაციონალიზმის სპეციფიკა ძლიერი ფეოდალური და კლანური ტრადიციების მქონე საზოგადოებაში, რომელიც რუსული ადმინისტრაციის კონტროლისა და ევროპული ყაიდის ბურჟუაზიის არარსებობის პირობებში ცხოვრობდა. მაგრამ ჩვენ ვვარაუდობთ, რომ იმ მოძრაობის აღმოცენება, რომელიც ილია ჭავჭავაძის სახელთან ასოცირდებოდა, სწორედაც რომ ნაციონალიზმის უკვე ნახსენები მიროსლავ ჰროჩისეული მოდელის მეორე დონეს წარმოადგენდა: სწორედ 60-80-იან წლებში იმრავლა შედარებით ორგანიზებულმა და აქტიურმა ჯგუფებმა, რომლებიც ნაციონალიზმის გზავნილს ხალხში ავრცელებდა. იდეოლოგიური მოძრაობისათვის ამ ჯგუფების წევრთა რაოდენობაც არ იყო ხელწამოსაკრავი. მაგალითისათვის, 1874 წლის აპრილში ილია ჭავჭავაძეს ქუთაისის ლიტერატურულმა სალონმა უმასპინძლა. ილიამ ნაციონალიზმის საკუთარი ვერსიის ერთ-ერთი ბრწყინვალე ნიმუში, „მგზავრის წერილები“ წაიკითხა და დაახლოებით ორმოცი დამსწრეს გულითადი მხარდაჭერა მიიღო (ნინიძე და ამირხანაშვილი 2017, 92). ქუთაისის იმდროინდელი დემოგრაფიიდან გამომდინარე, ეს რიცხვი განათლებული კლასის სოლიდურ სეგმენტს წარმოადგენდა.[11]

11 იმპერიული სტატისტიკის თანახმად, 1886 წელს ქუთაისში 22 000 მოსახლე ცხოვრობდა. აქედან ქართველობა, რომელიც ძირითა-

ერის მშენებლობის ეს ეტაპი ახალი პერიოდული გამოცემების, სამოქალაქო ასოციაციების, ქველმოქმედების და ისეთი აკადემიური კვლევების შექმნასთან ასოცირდება, რომლებიც საქართველოს ისტორიის, ენის და კულტურის შესწავლა-პროპაგანდირებას ემსახურებოდა. ჟურნალ-გაზეთების მთავარი თემები, რომლებიც გარდაუვალად იწვევდა კამათს, სამშობლოს სამსახური, თავისუფლება და მოდერნიზაცია იყო. ამ დროს იმპერიაში ბატონყმობის გაუქმების პროცესი დაიწყო. მას ერთოდა სასამართლო სისტემის, თვითმმართველობის და განათლების სისტემის რეფორმირება. რუსეთში ცვლილებებს ლიბერალიზმის და რევოლუციური რადიკალიზმის ახალი ტალღები ახლდა. საინტერესოა, რომ საბჭოთა ისტორიოგრაფია ქართველთა ახალ თაობას, ე.წ. შვილებს, საერთო რუსული ინტელიგენციის მოძრაობასთან აკავშირებდა. ეს უკანასკნელი ნიკოლაი ჩერნიშევსკის ჟურნალი „სოვრემენნიკის“ და ემიგრაციაში მყოფი ალექსანდრე ჰერცენის „კოლოკოლის“ ირგვლივ კრისტალიზდებოდა. რუსულ რევოლუციურ-დემოკრატიულ მიმდინარეობას საქართველოში მიმდევრები ნამდვილად ჰყავდა. მან ილია ჭავჭავაძეზეც იქონია გავლენა. მაგრამ ილია მკაფიოდ გაემიჯნა გლეხური რევოლუციის ჩერნიშევსკისეულ იდეებს (თევზაძე 2010). სიცოცხლის ბოლომდე ილია სოციალური მშვიდობის პოზიციაზე იდგა, რადგან იგი ეროვნული მიზნის მიღწევის საწინდრად მიაჩნდა.

გარკვეულწილად, ახალი ქართული ინტელიგენციის ანტიკოლონიური, ეროვნულ-გამათავისუფლებელი სულისკვეთება მიზანში ლოიალისტ ქართველ არისტოკრა-

---

დად ორ დასავლეთ ქართულ სუბეთნიკურ ჯგუფს, იმერლებს და მეგრელებს წარმოადგენდა, 15000-მდე ადამიანს ითვლიდა. ბუნებრივია, ილიას ვიზიტის დროს მათი რაოდენობა კიდევ უფრო მცირე იქნებოდა. იმ დროებაში, როდესაც ილია დასავლეთ საქართველოს ქართველებში ეროვნული შეგნების დეფიციტზე სწუხდა, 40 განათლებული ქართველის მიერ ილიასათვის გამართული დახვედრა შესამჩნევ და არამარგინალურ მოვლენად უნდა ჩაითვალოს.

ტებს, ანუ 1832 წლის თაობას იღებდა. ქართული საბჭოთა ისტორიოგრაფია ამ გარემოებას საგანგებოდ უსვამდა ხაზს (ანთელავა 1970, 11-17; თავზიშვილი 1977, 216-217). ილია აკრიტიკებდა ბატონყმურ ეკონომიკასა და იმპერიულ კარიერაზე დაფუძნებულ მათ ცხოვრების სტილს. იგი ასევე მოითხოვდა ლიტერატურული ენის რეფორმას, მის დაახლოებას ხალხურ მეტყველებასთან. ამ თაობათა კონფლიქტს უდავოდ ჰქონდა სოციალური სურნელი: ბევრი „მამისაგან“ განსხვავებით, როგორც წესი, „შვილები“ ანუ „თერგდალეულები“[12] არც სამხედრო სამსახურში იყვნენ და არც სამეფო ოჯახს ენათესავებოდნენ. „მამათა და შვილთა“ ერთ-ერთი უმწვავესი განხეთქილება 1871 წელს განვითარდა და იმპერატორი ალექსანდრე მეორის კავკასიაში ვიზიტს დაუკავშირდა. იმ წლის სექტემბერში „შვილები“ მობილიზდნენ და იმპერატორისათვის უნივერსიტეტის გახსნის თხოვნის წერილი მოამზადეს. მაგრამ „მამებმა“ გაიმარჯვეს და იმპერატორმა თბილისში სამხედრო სკოლის გახსნის თხოვნა მიიღო. სწორედ ამ ამბავს მოყვა „მამათა და შვილთა“ განსაკუთრებული პოლემიკა (ნინიძე და ამირხანაშვილი 2017, 69-71).

ერთი ყველაზე მწვავე თემათაგან, რომელიც ორ ბანაკს ყოფდა, ბატონყმობის გაუქმება იყო. 1861 წელს იმპერატორის მიერ დეკლარირებული შესაბამისი გადაწყვეტილება ქართულ გუბერნიებში რამდენიმე წლის დაგვიანებით განხორციელდა. რეფორმას წინ უძღოდა დებატები, რომელშიც ქართული არისტოკრატიის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ. თბილისის გუბერნიის მემამულეთა ერთ-ერთ შეკრებაზე უმდიდრესი მიწათმფლობელი, ივანე მუხრან-ბატონი ილია ჭავჭავაძეს პერსონალურად დაუპირისპირდა, რამდენადაც ეს უკანასკნელი გლეხთათვის სახნავ-სათესის ნაწილის გადაცემის

12 თერგი რუსეთისა და საქართველოს სიმბოლური წყალგამყოფი იყო. ახალი საქართველოს დაბადება კი პარადოქსულად „შვილთა“ მიერ თერგის გადალახვას და რუსულ-ევროპული განათლების მიღებას დაუკავშირდა.

მომხრე იყო (ნინიძე და ამირხანაშვილი 2017, 31). ილია ჭავჭავაძე მუდამ იყო ჩართული სოციალური და ეკონომიკური პრობლემების არა მხოლოდ განხილვაში, არამედ მათ გადაწყვეტაშიც. 70-იან წლებში იგი ინტენსიურად ლობირებდა საადგილმამულო ბანკის დაარსების პროექტს. საბოლოოდ, არაერთი საქველმოქმედო ინიციატივის მხარდამჭერი ბანკი შეიქმნა და ილია მისი გამგეობის თავმჯდომარე გახდა (კობახიძე 2020ა).

ილია ჭავჭავაძის ლიტერატურული და ესეისტური მემკვიდრეობა მდიდარია სოციალური თემატიკით. როგორც ბანკსა და წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაში საქმიანობით, ისე თავისი პუბლიკაციებით ილია ავითარებდა იდეას, რომ ხმალი აღარ იყო თანამედროვე ეროვნული ძალის სიმბოლო: „ეხლა ხმალი თაროზე უნდა შევდვათ, აღარაფრის მაქნისია; ეხლა ან ადლი უნდა გვეჭიროს ხელში, ან გუთანი, ან ჩარხი ქარხანისა, ან მართულები მანქანისა. ეხლა ვაჟკაცობა ომისა კი არ უნდა, რომ სისხლსა ჰღვრიდეს, ვაჟკაცობა უნდა შრომისა, რომ ოფლი ჰღვაროს“ (ჭავჭავაძე 1897). ჭავჭავაძე წერდა გზების მშენებლობის საჭიროებაზე თუ გადასახადებზე. ჰქონდა რა იურისტის გამოცდილება, იგი განსაკუთრებულად შეჭირვებულ თემთა პრობლემებზე რეაგირებდა. ყოველივე ამით, მისი შრომა პოლონური „ორგანული საქმის“ ან „პოზიტივიზმის“ მსგავსი იყო, რასაც წიგნის შემდეგ თავში ვეხებით. მაგრამ განსხვავებით ეროვნულ-გამათავისუფლებელი ბრძოლის ზოგიერთი პოლონელი თუ ქართველი უარისმყოფლისა, ილია ღრმად ნაციონალისტ მოაზროვნედ რჩებოდა. 1905 წლის რევოლუციამდე მას პოლიტიკური მოთხოვნები ღიად არ დაუყენებია, რადგან კარგად ესმოდა, რომ მსგავსი რამ უშედეგო იქნებოდა. მაგრამ 50-იანი წლებიდან მოყოლებული, როდესაც ილიამ ჯუზეპე გარიბალდის იტალიურ ბრძოლას ლექსი მიუძღვნა, მთელ მის შემოქმედებაში სოციალური და ეკონომიკური თემები მხოლოდ დამოკიდებული ცვლადებია. ილიას ეთოსი 1832 წლის უშედეგო შეთქმულების

საძირკველზე აღმოცენდა. როგორც „მამებმა“, ილიამაც გააცნობიერა, რომ შეიარაღებული წინააღმდეგობა იმპერიის დამარცხების ქმედითი სტრატეგია ვერ იქნებოდა. ამიტომ საქართველოს განვითარება კოლონიური რეალობის ფარგლებში უნდა განხორციელებულიყო. რუსეთის იმპერიის ქვეშ მცხოვრები ქართველებისათვის ჭავჭავაძემ ჩამოაყალიბა ხედვა, რომლის მიდევნებასაც ერის მომავალი უნდა უზრუნველეყო. არსებითად, იგი იღვწოდა გაერთიანებული ქართველი ერის ფორმირებისათვის, რომელიც გაზიარებულ მეხსიერებას, ინტერესებს და სამომავლო ამოცანებს უნდა დაჰყრდნობოდა (წიფურია 2019, 454).

აღსანიშნავია, რომ „მამათა და შვილთა“ პერიოდული და რეზონანსული დაპირისპირებების მიუხედავად, ილიას არასოდეს უთქვამს უარი წინა თაობის წარმომადგენლებთან თანამშრომლობაზე. ილიასა და გრიგოლ ორბელიანის დავები უფრო ტაქტიკური იყო, ვიდრე იდეოლოგიური. ჭავჭავაძე აფასებდა „მამების“ წარსულისაკენ მიმართულ ეროვნულ სენტიმენტებს და თავის გვიანდელ ნაწერებში ეროვნული კონსოლიდაციისაკენ მოუწოდებდა. კონსოლიდაციის საფუძველი უნდა ყოფილიყო საერთო ეროვნული პასუხისმგებლობა, რომელიც სოციალური სტატუსის საზღვრებს გასცდებოდა (ჯოლოგუა 2022, 336). ამ განზრახულობაში მას ჰქონდა „მამების“ იმედი და არც თუ უსაფუძვლოდ. თუ ორბელიანი მაინც კონსერვატორად შეიძლება ჩაითვალოს, 1832 წლის თაობის მეორე წარმომადგენელი, დიმიტრი ყიფიანი, რომელიც იმპერიას ემსახურებოდა, მაგრამ თავი ეროვნული ინტერესისთვის დადო, ლიბერალურად იყო განწყობილი. იგი ილიას ბევრ წამოწყებას უჭერდა მხარს და 1864 წელს წერდა: „ყოველივე მზათა გვაქუს ევროპელებისაგან მოფიქრებული, გაკეთებული და საქმეში შემოტანილი. ჩვენ ღა, რომელთაც არასფერზე შრომა არ გაგვიწევიარა, გვრჩება მხოლოთ, რომ ეს მზათ შემოღებული მივითვისოთ“ (საბანაძე და ჯგერენაია 2021, 7-8).

ილია ჭავჭავაძისა და მისი მიმდევრების პოზიცია იმ ეროვნულ ნიადაგზე აღმოცენდა, რომელიც სოლომონ დოდაშვილისა და დიმიტრი ყიფიანის მიერ იყო განოყიერებული. მაგრამ თუ ეს უკანასკნელნი 1832 წლის გამოცდილებით იყვნენ დემორალიზებულნი, ახალმა თაობამ – პირველ რიგში ილია ჭავჭავაძემ – ახალი ეროვნული იდეოლოგია შეიმუშავა. ამ იდეოლოგიის არსის გააზრებას ქართული აკადემიური სამყარო მუდმივად ცდილობს. ზოგადად მიღებული და პოლიტიკური კლასის მიერ უტილიზებულია შეხედულება, რომ ილიამ ეროვნული ნარატივი სამ იდეურ საყრდენზე – მამული, ენა, სარწმუნოება – დააფუძნა. გია ნოდიას თქმით, ილიას „სამებაში“ განსაკუთრებული მნიშვნელობა მამულს და ენას ჰქონდა. პირველი განასახიერებდა წინაპართაგან დანატოვარ მემკვიდრეობას, ენა კი ცოდნისა და ეროვნული შეგნების გავრცელების არხი იყო. ნოდია აღნიშნავს, რომ სარწმუნოება ილიასთვის ნაკლებმნიშვნელოვანი იმიტომ იყო, რომ: ა) იგი რუსეთის იმპერიისაგან განმასხვავებელ მარკერად ვერ გამოდგებოდა და ბ) იმპერიის მიერ ავტოკეფალიის ჩამორთმევის შემდგომ, საქართველოს ეკლესიას ეროვნული იდეის გავრცელების უნარები მოაკლდა (Nodia 2009).

რწმენისა და ეკლესიის როლი თანამედროვე ქართველი ერის ფორმირებაში ცალკე განხილვას საჭიროებს. მთლიანობაში, შეიძლება ითქვას, რომ რუსების და ქართველების საზიარო მართლმადიდებლობას არანაირად არ დაუბრკოლებია ეროვნული თვითშეგნების პროცესი. მეტიც, ცნობილი ქართველი საერო და სასულიერო მოღვაწეები არასოდეს წყვეტდნენ ავტოკეფალიის აღდგენაზე ოცნებას. ფაქტი, რომ ყიფიანი ქართული ეკლესიის რუს კოლონიურ მეთაურთან დაპირისპირებას შეეწირა, ასევე მრავლისმეტყველია. რაც შეეხება ერისა და ნაციონალიზმის ილიასეულ ფორმულას, საბოლოო ჯამში იგი ლიბერალიზმისა და კონსერვატიზმის ზღვარზე გადიოდა. ილიას შეხედულებებს ეტყობოდა ე.წ. ინტეგრალური ნაციონალიზმის გავლენა, რომელიც მე-19 საუ-

კუნის მიწურულის ევროპაში აღმოცენდა. ამასთან, ილიას მემკვიდრეობაში სხვა ერებისადმი ტოლერანტობის ელემენტებიც იგრძნობა. მაგალითისათვის, იგი გმობდა ანტისემიტიზმს, თუმცა, იმავდროულად, ოპონენტები მას ანტისომხურ განწყობას სწამებდნენ (რატიანი 2022, 368-385). ფაქტია, რომ 1903 წელს კავკასიის სტუდენტთა დახმარების საზოგადოებამ უარი განაცხადა შემოწირულების მიღებაზე ილიას „ქვათა ღაღადის“ გაყიდვებით მიღებული შემოსავლიდან. ეს ნაშრომი პოლემიკური ხასიათის იყო: მასში ილია სომეხ ინტელექტუალებს რიგი მიწების და კულტურის ძეგლების ისტორიულ საკუთრებაზე ედავებოდა. თბილისში გამომავალი სომხური გაზეთის, „მშაკის“ რედაქცია სტუდენტური საზოგადოების გადაწყვეტილებას მიესალმებოდა და, ილიას ნაშრომის გამო, ქართველებს „ძმათამჭამელებად“ მოიხსენიებდა.[13] ილიას მიერ დაარსებული გაზეთი „ივერია“ ასეთ ბრალდებებს უსაფუძვლოს ეძახდა (ნინიძე და ამირხანაშვილი 2017, 498). მტყუან-მართლის გარჩევის გარეშე შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ როგორც თავისი დროის პროდუქტი, ილიას ნაციონალიზმი, ისევე როგორც სომხური ანალოგი, არ და ვერ დააკმაყოფილებდა თანამედროვე მულტიკულტურალიზმის თუ სოციალური კონსტრუქტივიზმის პრინციპებს.

ჩვენ ილიას მემკვიდრეობას არაპროპორციულად ვრცელ ადგილს იმიტომ ვუთმობთ, რომ ა) ქართულ საზოგადოებაზე მას განსაკუთრებული გავლენა ჰქონდა და აქვს; ბ) მისი ნარატივები წინააღმდეგობრიობისაგან თავისუფალი არაა: დღევანდელი გადმოსახედიდან თუ შევაფასებთ, რიგ კითხვებზე ვერ ვიპოვით პასუხს. კერძოდ, ილიასთან არ ჩანს ერის ფარგლებში ინტერ-ეთნიკური შეთანხმების რეცეპტი. ერისა და ეროვნული ურთიერთობების სოციალისტური ვერსია, რაც ავსტრო-მარქსისტთა

13 მე-19 საუკუნეში და მე-20 საუკუნის დასაწყისში თბილისი სომეხთა კულტურული, ეკონომიკური და პოლიტიკური ცხოვრების ერთ-ერთი ცენტრიც იყო.

მზარდად გავლენიან სკოლასთან ასოცირდებოდა, ქართული ნაციონალიზმის მამის მიერ შედარებით იგნორირებულია. ილია ზოგადად ეთანხმებოდა აზრს, რომ კავკასიელთა ეთნიკური სოლიდარობა მათი კულტურული განვითარების წინაპირობა უნდა ყოფილიყო. იგი თბილისის სათათბიროში ქართველთა და სომეხთა ტრადიციულ მეტოქეობაზეც რეაგირებდა და გამოსავალს ეთნიკური კვოტების შემოღებაში ხედავდა (რატიანი 2022, 385). მაგრამ ნაციონალიზმის ილიასეულ ვერსიაში ჩვენ ვერ ვიპოვეთ მსჯელობა იმის შესახებ, თუ როგორ უნდა დარეგულირებულიყო მზარდი დისპუტები მეზობლებთან ან თვითშეგნების მქონე ეთნიკურ ჯგუფებთან. ილია არც ერის ფორმირების საგარეო პოლიტიკურ თუ რეგიონულ განზომილებაზე წერდა.

მაგრამ ქართველი ერის რაობაზე ილიას ნარატივი მრავლისმეტყველია. პარადოქსი ისაა, რომ ზემოთ ნახსენები ფორმულა – „მამული, ენა, სარწმუნოება“ – ილიამ ახალგაზრდობაში გაკვრით ახსენა და მოწიფულობაში არსებითად მას აღარც მიბრუნებია. 40 წლის ილიამ კი დაწერა ესეი „ოსმალოს საქართველო“ და გამოაცხადა: “ ჩვენის ფიქრით, არც ერთობა ენისა, არც ერთობა სარწმუნოებისა და გავრტომობისა ისე არ შეამსჭვალებს ხოლმე ადამიანს ერთმანეთთან, როგორც ერთობა ისტორიისა. [...] არ გვაშინებს მეთქი ჩვენ ის გარემოება, რომ ჩვენ ძმებს ოსმალოს საქართველოში მცხოვრებთა, დღეს მაჰმადიანის სარწმუნოება უჭირავთ, ოღონდ მოვიდეს კვლავ ის ბედნიერი დღე, რომ ჩვენ ერთმანეთს კიდევ შევუერთდეთ, ერთმანეთი ვიძმოთ” (ჭავჭავაძე 1877, 1-3). 50 წელს გადაბიჯებული ილია კიდევ ერთხელ დაუბრუნდა თავის მთავარ საფიქრალ საკითხს და ესეიში „ერი და ისტორია“ ერად ყოფნის სხვა „სამება“ წარმოგვიდგინა: „წარსული – მკვიდრი საძირკველია აწმყოსი, როგორც აწმყო – მომავლისა. ეს სამი სხვადასხვა ხანა, სხვადასხვა ჟამი ერის ცხოვრებისა ისეა ერთმანეთზედ გადაბმული,

რომ ერთი უმეოროდ წარმოუდგენელი, გაუგებარი და გამოუცნობია“ (ჭავჭავაძე 1888).

ეს ნაშრომები და ყველაზე ტევადი ესეი – „ქვათა ღაღადი“, რომელიც ილიამ 1899 წელს გამოსცა – ისტორიას იმ ტაძრად წარმოგვიდგენს, „საცა უწირავს ერთიან სულსა ერისას“ (ჭავჭავაძე 1888). ერი ილიასათვის ისტორიის მიერ შედუღაბებული ერთობაა, რომელმაც უნიკალური სახე ამ პროცესში მიიღო. ილიას სჯეროდა, რომ ისტორიის მსვლელობის და აღწერის მეშვეობით იგებს შვილი, თუ სად გაჩერდა მამა, როდის იყო იგი მართალი ან მტყუანი. საუკუნოვანი კავშირის ამგვარ ხედვაში ჩანდა ჰეგელის ისტორიის ფილოსოფიის გავლენა და პოზიტივისტური რწმენა, რომ წარსულის საიდუმლოებათა ახსნა ობიექტურად შეიძლებოდა. თანამედროვე ისტორიკოსებმა იციან, რომ გარდასულ დროთა კომპლექსური სოციალური მოვლენები დაუსრულებელ ინტერპრეტაციათა წყაროა. სოციალური მეცნიერება უარყოფს ერის ბუნების პრიმორდიალურ ხედვას. მაგრამ ჭავჭავაძის ფიქრები იდეოლოგიურია და ერად ყოფნის მე-19 საუკუნისეულ ინტელექტუალურ ხაზს მიჰყვება (დარჩიაშვილი 2021, 24-29). მისი ნარატივები და დისკურსი – თუ ზემოთ ნახსენებ სოციალისტურ მიმდინარეობას გამოვრიცხავთ – იმდროინდელი ევროპული აზრის ანალოგიური იყო.

ერის კონცეფციაზე მუშაობისას ილია თავს იკავებდა ღიად პოლიტიკური მოთხოვნებისაგან, სანამ იმპერია რევოლუციურმა ქარტეხილმა არ მოიცვა. შეიძლება დაისვას კითხვა, თუ რამდენადაა რელევანტური საუბარი ნაციონალისტურ იდეოლოგიაზე პოლიტიკური ავტონომიისათვის ბრძოლის გარეშე. მაგრამ ნაციონალური თვითშეგნებისათვის მუდმივ ზრუნვაში მყოფი ილია ჭავჭავაძე მხოლოდ შესაფერის დროს ელოდა, რომ პოლიტიკური განაცხადი გაეკეთებინა. ეს ცხადია ლექსებიდან და ესეებიდან რომლებსაც ილია 50-იანი წლებიდან წერდა. 900-იან წლებში, როდესაც საერთორუსულმა რევოლუციურმა პროცესმა საქართველოს პოლიტიკური ერის გაღვიძების

შესაძლებლობა გააჩინა, ჭავჭავაძე ავტონომისტთა რიგებში ჩადგა. 1906 წელს ილია პირადად მუშაობდა ავტონომიის კანონზე პეტერბურგის ქართული სათვისტომოს დახმარებით და შემდეგ სახელმწიფო სათათბიროს პოლონური დეპუტაციის წევრებთან ლობირებდა მას (კობახიძე 2020ბ).[14] შესაბამისად, ცხოვრების მიწურულს ილია უშუალოდ ჩაება პოლიტიკაში. მეტიც, მან ქართული ნაციონალისტური პარტიების შექმნას მისცა სტიმული. სამწუხაროდ, პარტიულ პოლიტიკაში წვლილის შეტანა ილიას აღარ დასცალდა.

14 მოსკოველი ადვოკატი ალექსანდრე ლედნიცკი, რომელმაც, რატი კობახიძის თანახმად, ილიას კანონპროექტი სახელმწიფო სათათბიროში დაარეგისტრირა, იყო პოლონელი, ეკუთვნოდა კონსტიტუციური დემოკრატების რუსულ პარტიას და წარმოადგენდა „კრეესის“ (ისტორიული ჟეჩპოსპოლიტას აღმოსავლეთი მიწები) სადეპუტატო ჯგუფს (Kminikowska, Pękała (red), 2007, 274); Aleksander Lednicki, Artikuł, Wikipedia, Wolna Enciklopedia (ნანახია 23.02.2023) https://pl.wikipedia.org/wiki/Aleksander_Lednicki

ქართველი პოლიტიკური ერის გენერლები

რა თქმა უნდა, ილია ჭავჭავაძის დისკურსს მთელი განათლებული საზოგადოება არ გაჰყოლია. მაშინ, როცა „მამების“ თაობის ცნობილი წარმომადგენლები არ უარყოფდნენ ილიას ეროვნული იდეოლოგიის არსს, მცირე ერების მიმართ ნიჰილიზმი ასევე არ იყო ნაციონალიზმის ეპოქისათვის უცხო. 1872 წელს ილია მწვავედ რეაგირებდა გიორგი ბაგრატიონ მუხრანელის შეხედულებაზე, რომლის თანახმად, პატარა ერები დიდ ეროვნულ ერთობებში უნდა ასიმილირებულიყვნენ (ნინიძე და ამირხანაშვილი 2017, 73). ეს პიროვნება, რომელიც ილია ჭავჭავაძეს ცოლის მხრიდან ენათესავებოდა, მაინც მეტ-ნაკლებად მარგინალად დარჩა. მაგრამ ნელ-ნელა ჩნდებოდნენ ინტელექტუალები, რომლებიც ილიას იდეოლოგიას უფრო სოლიდური ნიადაგიდან უპირისპირდებოდნენ.

როგორც ითქვა, საზოგადოებრივ ასპარეზზე გამოსვლისას, ილია „მამებს“ სხვადასხვა მიზეზის გამო აკრიტიკებდა. „თერგდალეულებსა“ და ძველ რომანტიკოსებს შორის გაუგებრობა წარსულის და მომავლის განსხვავებული ხედვებიდან მომდინარეობდა. რომანტიკოსები საქართველოს მეფეებს ადიდებდნენ (კილანავა 2013), ილია კი ეროვნულ საქმეში ფართო სახალხო ჩართულობასა და ცვლილებების საჭიროებას ქადაგებდა. იგი იწუნებდა ალექსანდრე ჭავჭავაძის კრედოს, რომელიც მისი ცნობილი პოეტური ფრაზით – მე იგივე ვარ, მარად და მარად – იყო გადმოცემული (ჭავჭავაძე 1928, 5-9).

ბუნებრივია, ილია არ და ვერ უარყოფდა წარსულს – ზემოთ აღვნიშნეთ მისი გატაცება ისტორიით, როგორც ერის ფორმირების ფუნდამენტური ნიადაგით. მეტიც, ერთ-ერთ მის გამორჩეულ თხზულებაში, „მგზავრის წერილებში“, ანტიკოლონიური ნარატივი ეყრდნობა მთიე-

ლისაგან განაგონ თუ მთიელისათვის მიწერილ სიტყვებს: „ერობა სადა არნ? რუსობაჩი ვართ. აწინა ყველაი გაცუდ-დის, ყველაი გაუქმდის. [...] ადრიდა ავად თუ კარგად ჩვენ ჩვენი თავნი ჩვენადვე გვეყუდნეს, მით იყვის უკედ. ადრიდა ერი ერობდის, გული გულობდის, ვაჟაი ვაჟაბ-დის, ქალაი ქალაბდის“. მთიელთან დიალოგს ავტორი ასე აჯამებს: მიგიხვდი, ჩემო მოხევევ, რა ნესტრითა ხარ ნაჩხვლეტი. „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნესო“ – სთქვი შენ და მე გავიგონე (ჭავჭავაძე 1861). ეს პასაჟი რომანტი-ზმზე დამყნობილი ნაციონალიზმია. ოცნებობდა რა ნა-თელ, განათლებულ მომავალზე, ხედავდა რა რუსეთში კოლონიურ ბატონს, ილიას არ შეეძლო წარსულისადმი თბილი გრძნობები არ ჰქონოდა.

ილიას იდეოლოგიის კონსერვატიული შემადგენელი, რაც ამ სიტყვებიდანაც ჩანს და სოციალური მშვიდობის უფრო გვიანდელი ფორმულიდანაც, თანდათანობით ქა-რთველ განმანათლებელთა თუ მოდერნიზატორთა მე-ორე და მესამე დასის კრიტიკას იმსახურებდა.[15] ქართული პოლიტიკურ-იდეოლოგიური დისკურსის შემქმნელთა მე-ორე დასისა თუ ტალღის გამორჩეული წარმომადგენელი, ნიკო ნიკოლაძე, რომელიც საბოლოოდ საქართველოს 1918 წლის დამოუკიდებლობის აქტის ხელმომწერიც გახდა, 1865 წელს რუსი ემიგრანტების ჟურნალ „კოლო-კოლში“ განსხვავებულ ემოციას გამოხატავდა. იგი აღნიშ-ნავდა, რომ ქართველების პროგრესისათვის ყველაზე რე-ალისტური რუსეთის იმპერიის ფარგლებში ყოფნა იყო. ნიკოლაძე წერდა, რომ ბედის რუსეთთან დაკავშირებით, საქართველოს სამომავლოდ უკეთესი პირობები ჰქონდა,

15 ე.წ. თერგდალეულები არ წარმოადგენდნენ ბოლომდე ინტეგრი-რებულ გუნდს. ილიასეული მისწრაფებების შედარებით ახალგა-ზრდა მიმდევრები, რომლებმაც განათლება მასსავით უცხოეთში მიიღეს, მალე „მეორე დასად“ ჩამოყალიბდნენ. ამ დასში შედი-ოდნენ ნიკო ნიკოლაძე, სერგი მესხი, გიორგი წერეთელი. მოგვი-ანებით, 90-იანებში, გაჩნდა მესამე დასიც, რომლის ხიდი წინამო-რბედებთან გიორგი წერეთელი იყო. ქართული იდეოლოგიური მიმდინარეობების დასებად სახელდება მასვე მიეწერება (გაფრი-ნდაშვილი 1970, 505-506).

ვიდრე [...] სხვა რომელიმე ევროპული ქვეყნისა ან, მით უმეტეს, ოსმალეთისა და სპარსეთის მფარველობის შემთხვევაში ექნებოდა (ციტირებულია: Reisner 2009, 41). იგი ითხოვდა განმანათლებლობის გამდიდრებას პოზიტივიზმით და აცხადებდა, რომ ეროვნული მისწრაფებები მხოლოდ სოციალური პრობლემების გადაწყვეტით მიიღწეოდა (გაფრინდაშვილი 1970, 518-519). გარკვეულწილად, ნიკოლაძის მსგავსი მოაზროვნენი წააგავდნენ პოლონელ პოზიტივისტებს, რომელთაც ქვემოთ დავუბრუნდებით. ისინი ფიქრობდნენ, რომ ნაციონალისტური მისწრაფებები შეიძლებოდა დროში მოდერნიზაციის სასარგებლოდ გადადებულიყო. საინტერესოა, რომ 1880 წელს ნიკოლაძემ და ილია ჭავჭავაძემ დუელიც კი განიზრახეს – საბედნიეროდ, ის არ განხორციელებულა (ნინიძე და ამირხანაშვილი 2017, 137). პარადოქსულად ჟღერს, მაგრამ მათ კამათში ილია უფრო მოდერნისტად, ნიკოლაძე კი ტრადიციონალისტად გამოჩნდა: ჭავჭავაძე მოითხოვდა, რომ საადგილმამულო ბანკს ქართველ თავად-აზნაურთა დაგირავებული მამულები ნებისმიერი მსურველისათვის მიეყიდა, ნიკოლაძე კი ამ მამულთა მხოლოდ ქართველთათვის მიყიდვის მომხრე იყო. ეს პარადოქსი იმით შეიძლება აიხსნას, რომ ნიკო ნიკოლაძე ქართული ეროვნული ბურჟუაზიის შექმნის იდეით იყო შეპყრობილი (კობახიძე 2020a).

ნიკოლაძისა და ჭავჭავაძის ზიგზაგისებურმა ურთიერთობებმა ბოლოს ისინი პოლიტიკურად და იდეოლოგიურად დააახლოვა. ზოგიერთი მოწმობის თანახმად, 1903 წლიდან ილია ჭავჭავაძე საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის ფორმირების თაობაზე მიმდინარე კონსულტაციებში მონაწილეობდა (ნინიძე და ამირხანაშვილი 2017, 506). თუმცა, საბოლოოდ, იგი ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის დაფუძნების იდეისაკენ იხრებოდა. ამ პარტიის ზოგიერთი მომავალი წევრი ჟენევაში 1904 წელს დაფუძნებული სოციალისტ-ფედერალისტების მემარჯვენე ფრთას ეკუთვნოდა. ჟენევის

შეკრებას მაშინ ბევრი ქართველი ინტელექტუალი დაესწრო. მათ შორის იყვნენ როგორც ნაციონალისტურად, ისე ინტერნაციონალისტურად განწყობილნი. ამ უკანასკნელებს ეკუთვნოდნენ ევროპაში მყოფი ქართველი სოციალ-დემოკრატებიც, რომლებიც რუსეთის მუშათა ერთიან პარტიას წარმოადგენდნენ. ბუნებრივია, ქართული სოციალიზმ-ფედერალიზმი მათთვის ზედმეტად ნაციონალისტური აღმოჩნდა – ყოველ შემთხვევაში, გარკვეული ხნით მაინც.

რაც შეეხება მომავალ ეროვნულ-დემოკრატებს, ისინი პირველი „თერგდალეულების“ მემკვიდრეობასთან უფრო ღიად აიდენტიფიცირებდნენ თავს. მათ მიიზიდეს ილიაც და 1905-1906 წლებში უკვე საკმაოდ მოხუცებული საზოგადო მოღვაწე ეროვნული დემოკრატების საწესდებო დოკუმენტების შედგენაშიც მონაწილეობდა (ჯანელიძე 2002, 46). საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ვეტერანის მკვლელობამ პარტიის ფორმირება 1917 წლამდე შეაფერხა. ჩვენ არ ვიცით, შეუერთდებოდა თუ არა პარტიას ილია პერსონალურად. მაგრამ საყურადღებოა, რომ 75 წლის ნიკო ნიკოლაძე ეროვნულ-დემოკრატების გამორჩეული სახე გახდა: 1917 წლის ივნისში იგი პარტიის დამფუძნებელი ყრილობის პრეზიდიუმის საპატიო თავმჯდომარედ აირჩიეს (ჯანელიძე 1998, 12).

1918-1921 წლებში ნიკოლაძეს იმპერიის ნანგრევებზე აღმოცენებული დამოუკიდებელი საქართველოს ხელისუფლებაში ვხედავთ. ამასთან, სიფრთხილით გამორჩეული ქართველი პოზიტივისტი ჯერ კიდევ 1917 წლის დეკემბერში, როდესაც მისი თანაპარტიელები ენთუზიაზმითა და უმრავლესობით ირჩევდნენ პროგერმანულ ორიენტაციას, ამბივალენტურად აცხადებდა: „სანამ განათლება და ცხოვრება ბიზანტიაში ენთო, საქართველოსაც მზესუმზირასავით თვალი იქით ეკავა. როცა სპარსეთი აყვავდა ინდოეთის კულტურაზე დაწაფებით, ჩვენი აღორძინებაც მისკენ მიიმართა, აზრი მისკენ გვქო-

ნდა. პეტრე დიდის და ეკატერინე მეორის ამაგმა რუსეთი რომ გააჩაღა, საქართველოც ძალაუნებურად მან წარიტაცა. ფიზიკის კანონით, როცა სხვადასხვა ძალა ერთ და იმავე საგანს თავისკენ უქაჩავს, ამ საგნის მდებარეობას სწყვეტს მებრძოლი ძალების უძლიერესობა. [...] გონიერება იმას უნდა ვალიოთ, რომ ფხიზლად თვალი ვადევნოთ, თუ ჩვენს გარშემო რა ძალები ვარჯიშობენ, რა ურთიერთგანწყობებში დგებიან“ (ჯანელიძე 1998, 18). ემსახურა რა ქართულ ხანმოკლე სახელმწიფოებრიობას ერთგულად, საბჭოთა რუსული ოკუპაციის შემდეგ ნიკოლაძე აჯანყების წინააღმდეგ გამოდიოდა. 80 წელს მიტანებული ნიკოლაძე ემიგრაციიდან დაბრუნდა და საბჭოთა ხელისუფლების შედარებითი პატივისცემაც მიიღო.

მთლიანობაში, ეროვნულ-დემოკრატთა ორიენტაცია პოლიტიკური ავტონომიის მოთხოვნიდან დამოუკიდებლობის მოთხოვნის მიმართულებით ვითარდებოდა. პარტია ასევე დიდ ყურადღებას უთმობდა ინდივიდუალური თავისუფლებისა და საკუთრების დაცვას. ამასთანავე, პირველი მსოფლიო ომის დროს გერმანიაში მყოფმა მომავალმა ეროვნულ-დემოკრატებმა საქართველოს გამათავისუფლებელი კომიტეტი შექმნეს. ისინი იმედებს გერმანულ და თურქულ დახმარებაზე ამყარებდნენ. კომიტეტი თურქეთის ტერიტორიაზე ქართული ლეგიონის ფორმირებასა და საქართველოში იარაღის არალეგალურად შემოტანის საქმეში იყო ჩართული.

მაგრამ მე-20 საუკუნის დამდეგის მთავარი იდეოლოგი და ილიას დისკურსული ხაზის გამგრძელებელი სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის დამფუძნებელი არჩილ ჯორჯაძე იყო. ჯორჯაძე ავტონომისტთა ყველა მიმდინარეობის ინსპირაციის წყაროს წარმოადგენდა. მიუხედავად იმისა, რომ ახალგაზრდა და რადიკალი ჯორჯაძე ილია ჭავჭავაძეს ზოგჯერ რეტროგრადობას უკიჟინებდა, არსებითად, „საერთო მოქმედების ნიადაგის“ ჯორჯაძისეული თეორია ილიას სოციალური მშვიდობის განახლებული ვერსია იყო. ჯორჯაძის დისკურსში თვალში საცემია ეთ-

ნონაციონალისტური ელემენტებიც: 1908 წელს ჯორჯაძე ცენტრალურ ქართლში ოსი ხიზნებისათვის მიწის დარიგების წინააღმდეგ გამოდიოდა, რადგან ასეთ ქმედებას ქართული მიწის დაკარგვად განიხილავდა (ბლუაშვილი 2016, 52). მთლიანობაში, მისი ფიქრები, რომლებიც სანქტ-პეტერბურგში, ვარშავაში, პარიზსა და ლონდონში სამართლის, ბუნებისმეტყველებისა და სოციოლოგიის შესწავლის საფუძველზე ყალიბდებოდა, ევროპული ნაციონალიზმის მაგალითია. თავის ნაწერებში ჯორჯაძემ ქართველი ერის ფორმირების იმდროინდელ სოციალურ თეორიებზე დაფუძნებული სურათი შემოგვთავაზა.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს მე-20 საუკუნისა და თანამედროვე ისტორიოგრაფია ჯორჯაძის გავლენას ირეკლავს. როგორც ვთქვით, 1832 წლის შემდგომი პერიოდის დახასიათებისას, ჯორჯაძე ქართველ არისტოკრატებს ვორონცოვის შედარებით რბილი პოლიტიკით გამოწვეულ პრორუსულობას საყვედურობდა (ჯორჯაძე 1989, 104-107). ეს შეფასება იმდენადვე თანამედროვედ ჟღერს, რამდენადაც მისი პოლემიკა სოციალ-დემოკრატებთან. ამ უკანასკნელთა შეხედულებებმა, რომლებსაც კიდევ დავუბრუნდებით, ასევე შეიტანეს წვლილი მე-20 საუკუნის ქართველ ისტორიკოსთა დისკურსში. ასე მაგალითად, ქართველ სოციალ-დემოკრატთა ერთ-ერთი ლიდერი, ნოე ჟორდანია ეთანხმებოდა ჯორჯაძეს, რომ ქართული არისტოკრატია ახლომხედველი იყო, მაგრამ თან თვლიდა, რომ რუსეთმა საქართველო გარე და შიდა პრობლემებისაგან იხსნა (ჟორდანია 2015, 34). რუსეთის როლზე ჯორჯაძეს სხვა შეხედულება ჰქონდა: იგი ამტკიცებდა, რომ ქართული კულტურის განვითარება რუსეთის ბატონობის შედეგი არ ყოფილა (ჯორჯაძე 1911, 68). იგი ამატებდა, რომ მიუხედავად თავადაზნაურობის პრორუსულობისა, უბრალო ხალხი რუსთა წინააღმდეგ ჯანყდებოდა (ჯორჯაძე 1911, 70). ეს თემები ქართველ კომუნისტ და პოსტკომუნისტ ისტორიკოსთა დაუსრულებელი ფიქ-

რის საგანია და მათი დავა ჯორჯაძისა და ჟორდანიას მიერ შემოთავაზებულ ჩარჩოში მიმდინარეობს.

არჩილ ჯორჯაძე, რომელიც უფრო ნაციონალისტი იყო, ვიდრე სოციალისტი, ხუთ პრობლემაზე კონცენტრირდებოდა. ესენი იყო ქართული ენის სტატუსი, უცხოელთა დომინირება ბიზნესში, მიწის დაკარგვა ქართველი მემამულეების – ანუ ერის – მიერ, განათლება და არაქართველთა დომინირება თვითმმართველობაში (შველიძე 2022, 128). სჯეროდა რა, რომ ერი მხოლოდ სახელმწიფოს ფორმირებით იქმნება (ბლუაშვილი 2016, 60), ამ პრობლემათა გადაწყვეტას ჯორჯაძე საქართველოს პოლიტიკური ავტონომიის აღდგენით იმედოვნებდა.

შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მე-19 საუკუნიდან მოყოლებული, ავტონომიის იდეის პოპულარობა განუხრელად იზრდებოდა განათლებულ ქართველთა შორის. საბჭოთა ისტორიოგრაფიაც კი, რომელიც რევოლუციამდელი ქართული დისკურსის მიმართ გარდაუვალი კრიტიკულობით გამოირჩეოდა, საგანგებოდ აღნიშნავდა, რომ 1905 წელს ქუთაისისა და თბილისის გუბერნიების თავადაზნაურობამ იმპერატორს საქართველოს ავტონომიის მოთხოვნით მიმართა. ასევე არ იჩქმალებოდა 1907 წელს ჰააგის საერთაშორისო კონფერენციისადმი გაგზავნილი ქართული პეტიცია, რომელშიც ქართლ-კახეთის სამეფოს ანექსია იყო გაპროტესტებული. საბჭოთა ქართველი ისტორიკოსების გარკვეული ნაწილი სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის პროგრამას ეკლექტიკას უწუნებდა, მაგრამ მის დაარსებაში მაინც განმანათლებლობის გაგრძელებასა და წინგადადგმულ ნაბიჯს ხედავდა (გაფრინდაშვილი 1972, 238-240).

რაც შეეხება ჰააგის კონფერენციაზე გაგზავნილ პეტიციას, იგი ქართველი ანარქისტის, ვარლამ ჩერქეზიშვილის მიერ იყო ორგანიზებული და მას 3000 ხელმოწერა ახლდა. ეს იყო დრო, როდესაც ილია ჭავჭავაძე იმავეს ლობირებდა რუსეთის იმპერიის სახელმწიფო სათათბიროში. იგი ახერხებდა შეურიგებელი ოპონენტების, სო-

ციალ-დემოკრატების დარწმუნებასაც, რომ ავტონომიის კანონპროექტისათვის წინააღმდეგობა არ გაეწიათ (შველიძე 2022, 191-197). ვფიქრობთ, ყოველივე ეს მიუთითებდა, რომ 1905-1907 წლებში მოდერნული ნაციონალიზმი ფართოდ გავრცელებული იყო არა მარტო ქართული ინტელექტუალური ელიტის რიგებში, არამედ ჩვეულებრივ ქართველთა შორისაც.

თუმცა არსებობდა და თანდათან იზრდებოდა საჯარო ცხოვრების ის მიმდინარეობა, რომელიც ნაციონალისტური აზროვნებისადმი განსაკუთრებით კრიტიკული იყო – ესაა უკვე ნახსენები ქართული სოციალ-დემოკრატია. იგი 70-80-იანი წლების შედარებით მცირერიცხოვანი ხალხოსნური მოძრაობიდან ამოიზარდა და 90-იანებში „მესამე დასის“ სახელით ჩამოყალიბდა. არსებითად დაარსებისთანავე, მესამე დასელები რუს სოციალ-დემოკრატებს უკავშირდებოდნენ და, საბოლოო ჯამში, რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის კავკასიის კავშირის ფარგლებში გაითქვიფნენ.

იმპერიულ ქალაქებში – განსაკუთრებით ვარშავაში – სწავლისას, მომავალი ქართველი რევოლუციონერები ავსტრიულ მარქსიზმს და პოლონეთის ეროვნულ მოძრაობას გაეცნენ. ეს ორივე პოლიტიკურ-იდეოლოგიური ფენომენი მაშინდელი რუსული და ევროპული სოციალ-დემოკრატიის განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებდა. ბუნებრივია, ქართველები ამ ცოდნის ქართული რეალობისათვის მისადაგებას ცდილობდნენ და ამ პროცესში მათი ერთიანობა ირღვეოდა. მე-20 საუკუნის დამდეგს ეროვნების, ნაციონალიზმის და ინტერნაციონალიზმის საკითხებს სოციალ-დემოკრატთა რიგებში დისონანსი შეჰქონდა. თანამედროვე ისტორიკოსის, ირაკლი ირემაძის თქმით, პარტიაში ოთხი დაჯგუფება გამოიკვეთა: რადიკალი მემარცხენე ინტერნაციონალისტები, ზომიერი მემარცხენეები, ზომიერი პატრიოტები და პატრიოტები (ირემაძე 2015, 7-8).

თუმცა პრაქტიკაში ამ ფრაქციათა ზუსტი საზღვრების დადგენა საკმაოდ რთულია, რადგან დროთა განმავლობაში მათი წარმომადგენლები შეხედულებებს იცვლიდნენ. ის ქართველი მარქსისტებიც, რომლებიც მომავალში რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის „ბოლშევიკურ“ (რსდმპ (ბ) ფრთაში, შემდგომ კი პარტიაში თამაშობდნენ მნიშვნელოვან როლს – მაგალითად, ფილიპე მახარაძე – ბოლომდე არ იყვნენ დაცლილნი პატრიოტული სენტიმენტებისაგან. ილია ჭავჭავაძის ერთ-ერთი ყველაზე მწვავე ოპონენტი, რომელიც მის მკვლელობასთან კავშირშიც იყო ეჭვმიტანილი, მახარაძე 1921 წელს ე.წ. ნაციონალ-უკლონისტებისაკენ იხრებოდა.[16] იგი თავის პარტიულ მეგობარ სტალინზე ნაკლებად ოპორტუნისტი ვერ იქნებოდა, ისეთი პარტიული სკოლა ჰქონდა გავლილი. ეს იგრძნობა კიდეც წერილში, რომელსაც ქვემოთ ვციტირებთ. მაგრამ ვფიქრობთ, აღნიშნული ტექსტი მახარაძის ნაციონალიზმსაც გამოხატავს. წერილი, რომელიც მახარაძემ რუსეთის მმართველ კომუნისტურ (ბოლშევიკთა) პარტიის ცენტრალურ კომიტეტს გაუგზავნა, 1921 წელს, საქართველოს მეორე ოკუპაციის პირობებშია დაწერილი:

„უნდა ვაღიაროთ ის ფაქტი, რომ უკანასკნელი სამოოთხი წლის განმავლობაში საქართველოს მასები შეეჩვიენ საქართველოს სახელმწიფო დამოუკიდებლობას. [...] ჩვენ ყველანი ყველგან ვაცხადებდით, რომ საბჭოთა რუსეთი არას გზით არ მოსპობს დამოუკიდებელ საქართველოს, რომ წითელი არმია მოვიდა მხოლოდ მშრომელთა მასის გასანთავისუფლებლათ. [...] მასების მოტყუილება პოლიტიკით ხომ შეუძლებელია და განსაკუთრებით ქართველი ხალხის. [...] საჭირო იყო ამ მასებისათვის გვეჩვენებინა, რომ ჩვენ მართლაც დამოუკი-

16 ეს ტერმინი იოსებ სტალინს მიეწერება. იგი გულისხმობდა იმ ქართველ ბოლშევიკთა გმობას, რომლებიც საქართველოს გასაბჭოების შემდგომ ახალი რუსულ-კომუნისტური ცენტრისაგან ქვეყნისათვის მეტ ავტონომიას ითხოვდნენ.

დებლობის ნიადაგზე ვდგავართ, რომ შეუძლებელი იყო სიტყვით დამოუკიდებლობაზე ლაპარაკი და საქმით მისი უარყოფა და მოსპობა. [...] ჩვენ იმას გვაბრალებდენ, რომ ბოლშევიკებს სურს საქართველოს სახელმწიფოს მოსპობა, საქართველო უნდა გადააქციონ რუსეთის უბრალო გუბერნიათ, როგორც ეს იყო ცარიზმის დროსაო. სამწუხაროდ ბევრი კომუნისტი ფიქრობდა და დღესაც ფიქრობს ეს ასე უნდა იქმნა დაუყონებლივ“ (მახარაძე 1921).

უფრო ადრე, როდესაც რსდმპ ბოლშევიკთა და ე.წ. მენშევიკთა ფრაქციები ფორმალურად ერთ ორგანიზაციას წარმოადგენდნენ, იოსებ ჯუღაშვილი/სტალინი წერდა, რომ რუსეთისაგან გამოყოფა შეიძლებოდა, ოღონდ არა უპირობოდ, რადგან მთავარი მუშათა კლასობრივი ერთობა იყო (გაფრინდაშვილი 1972, 250). შესაბამისად, იგი მიიჩნევდა, რომ ბოლშევიკთა პასუხი დამოუკიდებლობის მოთხოვნაზე კონკრეტულ გარემოებებზე იქნებოდა დამოკიდებული (შველიძე 2022, 188-189). მოგვიანებით სტალინი ავსტრო-მარქისტების მოსაზრებების დამუშავებას შეუდგა და, მათი გავლენით, ერის ისეთი კონცეფცია ჩამოაყალიბა, რომელიც ქართულ ისტორიოგრაფიაში ათწლეულების განმავლობაში რეზონირებდა. ცნობისმოყვარე ახალგაზრდიდან, რომელსაც ილია ჭავჭავაძე „ივერიაში“ ლექსებს უბეჭდავდა, სტალინი საბოლოოდ რუს რევოლუციონერად და პოლიტიკოსად გადაიქცა. შესაბამისად, შეიძლება გაჩნდეს კითხვა, თუ რატომ უნდა ვიხილავდეთ მის მოსაზრებებს ქართული ნაციონალიზმის განვითარებისადმი მიძღვნილ ტექსტში. ჯერ ერთი, იმიტომ, რომ სტალინის პოზიციამ საქართველოს ბედს ფუნდამენტური კვალი დააჩნია. და მეორეც, მისმა მსოფლმხედველობამ მნიშვნელოვანწილად განაპირობა ქართული ნაციონალიზმის ფორმა და შინაარსი სსრკ-ში ინკორპორირების შემდეგ. სტალინური ფორმულით ერი საზიარო ენაზე, ტერიტორიაზე, სამეურნეო ყოფასა და კულტურაში განსხეულებულ ფსიქოლოგიურ წყობაზე დამყარებული ისტორიულ ერთობაა. იგი ავსტრო-მარქსისტ

ოტო ბაუერის ნააზრევს ეყრდნობა, თუმცა იდეოლოგიური თვალსაზრისით, ანუ ნაციონალური პრობლემების გადაწყვეტის პოლიტიკაში სტალინი ემიჯნებოდა ავსტრო-მარქსიზმს (Stalin 1954). მიუხედავად იმისა, რომ ნიშნების მსგავსი ჩამონათვალი თანამედროვე სოციალური მეცნიერების კრიტიკას ვერ უძლებს, ზოგი ქართველი ისტორიკოსი ამ ფორმულას დღესაც ერის საუკეთესო განსაზღვრებად თვლის (ბლუაშვილი 2016, 57-58).

სტალინმა ეს ნაშრომი 1913 წელს დაასრულა. ამ დროს ბოლშევიკები უკვე ავლენდნენ ოპორტუნიზმს ეროვნული სუვერენიტეტის აღიარება-არაღიარების საკითხში. მაგრამ რასაც ისინი ცალსახად უარყოფდნენ, სწორედ ავსტრო-მარქსისტების ზეტერიტორიული, კულტურული ავტონომიის იდეა იყო. მთლიანობაში, ძალაუფლების მოწყობის ბოლშევიკური და, უპირველეს ყოვლისა, ვლადიმირ ლენინისეული ლოგიკა შეიძლება სამ არგუმენტად თუ მოტივად დავშალოთ: 1. რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ეს ბოლშევიკური ფრთა, რომელიც ცალკე პარტიად გამოყოფაზე იყო ორიენტირებული, მმართველობის ცენტრალიზებულ ფორმას უჭერდა მხარს. თავად მენშევიკებად და ბოლშევიკებად დაყოფა ამ უკანასკნელთა მიერ არჩეულმა „დემოკრატიული ცენტრალიზმის“ კონცეფციამ განაპირობა. იგი პარტიის ქვემდგომი ერთეულების ზემდგომისადმი მორჩილებას გულისხმობდა, ქვემდგომთა რაიმე ავტონომიზმს გამორიცხავდა. მოგვიანებით, როდესაც ბოლშევიკებმა რუსეთში ძალაუფლება იგდეს ხელთ, ეს წესი საბჭოთა სახელმწიფოს ტოტალიტარული ბუნების საფუძველი გახდა; 2. როგორც ითქვა, ბოლშევიკებს პოლიტიკის მიმართ ოპორტუნისტული დამოკიდებულება ჰქონდათ. ერთადერთი იდეალი, რომელსაც ისინი უპირობოდ მისდევდნენ, კლასობრივი ბრძოლა და „მჩაგვრელ კლასთა“ განადგურება იყო. თუმცა „პერმანენტული ბრძოლის“ ლოგიკა და ძალაუფლებისაკენ სწრაფვა მათ სხვადასხვანაირი კომპრომისების, სიახლეებისა თუ რევიზიებისაკენ უბიძგებდა. სტა-

ლინის პოზიცია, რომ ამა თუ იმ ერის სუვერენიტეტის მხარდაჭერა კონკრეტულ გარემოებებზე უნდა ყოფილიყო დამოკიდებული, ამ ლოგიკიდან მომდინარეობდა; 3. ბოლშევიკებს გულწრფელად ეშინოდათ ნაციონალური სენტიმენტების, რომლებიც კულტურული თუ ტერიტორიული ავტონომიის მოთხოვნაში გამოიხატებოდა. მათ მიაჩნდათ, რომ ნაციონალიზმი რევოლუციურ აღტყინებას და მუშათა სოლიდარობას ასუსტებდა: პირველი რუსული რევოლუციის დროს ქართველი ბოლშევიკი ა. წულუკიძე თვლიდა, რომ ქართველმა და სომეხმა მუშებმა ძლივს ჩაკიდეს ერთმანეთს ხელი და ავტონომიის იდეა ისევ უთანხმოებებს გააღვივებდა (გაფრინდაშვილი 1972, 251).

საბჭოურ მსჯელობებს ინტერნაციონალიზმისა და ნაციონალიზმის შესახებ სათანადო ადგილას დავუბრუნდებით. აქ იმის დამატება გვსურს, რომ ბოლშევიკთა მსგავსი ძალაუფლებას მოწყურებული ძალის დისკურსული ფლუქტუაციები მხოლოდ მისი იდეოლოგიის ანალიზით ვერ აიხსნება. ეს ითხოვს ვილფრედო პარეტოს ელიტათა თეორიის მოხმობასაც. პარეტო პოლიტიკური ელიტის წევრებს სოციოლოგიურ-ფსიქოლოგიურ კატეგორიებად აჯგუფებდა. აქცენტირებდა რა ძალაუფლების მპყრობელთა იმპულსებზე და იმპულსთა რაციონალიზაციის მცდელობებზე, იტალიელი თეორეტიკოსი ამ მახასიათებლებს ელიტების ქცევის მნიშვნელოვან დამოუკიდებელ ცვლადებად მიიჩნევდა.[17] იმპულსების/მიდრეკილებების და მათი რაციონალიზაციის პარეტოსეული კლასიფიკაცია მეტად მრავალფეროვანია საიმისოდ, რომ აქ დეტალურად იქნეს განხილული. ჩვენ მხოლოდ მის იმ მეტაფორას ვიყენებთ, რომლის თანახმადაც, ელიტის წევრები მანიპულაციებისაკენ, კლიენტელათა შექმნი-

17 პარეტოს თანახმად, იმპულსების თუ მიდრეკილებების რაციონალიზაციის მაგალითებია ფრაზები: „ეს ზომები პროგრესს ემსახურება“; „საყოველთაოდ ცნობილია, რომ“. ამგვარ რაციონალიზაციას პარეტო დერივაციებს უწოდებდა და დერივაციული დისკურსის მახასიათებლად ავტორიტეტთა ციტირება თუ ტერმინოლოგიური მანიპულაციები მიაჩნდა.

საკენ და, ამავე დროს, ინოვაციებისაკენ მიდრეკილ „მელიებად“ და ფანატიკოს „ლომებად“ იყოფიან. პარეტო თვლიდა, რომ ამ ორი ტიპის კომბინაცია ელიტის სტაბილურობის საუკეთესო ნიადაგი იყო (Парето 2008, 146-236; 378-382). ბოლშევიკები, რომლებიც ბოლოს ყოფილი რუსეთის იმპერიის უდიდესი ნაწილის მმართველ კლასად ჩამოყალიბდნენ, სწორედ ისეთ სიმბიოზს წარმოადგენდნენ, რომელშიც ლომების უკომპრომისო, მოძალადე ბუნება მელიების ელასტიკურობას ერწყმოდა. პოლიტიკური რეჟიმის ცენტრალიზებული სტრუქტურიდან გამომდინარე, ბოლშევიკთა ორივე ტიპი ვერტიკალური კლანობრივი სისტემის მშენებლობისაკენ იყო მიდრეკილი. ისეც ხდებოდა, რომ „მელია“ და „ლომი“ ერთ პიროვნებაში – მაგალითად, სტალინსა ან მახარაძეში – ერთდებოდა. თუ ხელისუფლებაში ყოფნის დასაწყისში იდეოლოგიური დისპუტები ბოლშევიკთა შიდა წრეში მაინც იყო ნებადართული, თანდათანობით, სტალინის ერთპიროვნული მმართველობის დამყარებისას, და მერეც, დებატები მკაცრი ერთსულოვნებით ჩანაცვლდა, რომელიც რიტუალურ მეტყველებასა და დემაგოგიაში გამოიხატებოდა. თუმცა ამაზე ქვემოთ.

რაც შეეხება რუსეთის სოციალ-დემოკრატიის მენშევიკურ ფრთას, იგი დინამიზმით და მოვლენებთან ადაპტაციის საკუთარი გზით გამოირჩეოდა. რუსეთის რიგით მეორე, 1917 წლის თებერვლის რევოლუციაში უშუალოდ ქართველმა მენშევიკებმა განსაკუთრებული პოზიციები დაიკავეს, რაც შემდგომ, საქართველოს დამოუკიდებლობის წლებშიც გაგრძელდა. ბოლშევიკებისაგან განსხვავებით, ისინი თავის მეტსახელს ოფიციალურად არ იყენებდნენ და საბოლოოდ რუსი თანაპარტიელებისაგან ცალკე მდგომ ქართულ სოციალ-დემოკრატიულ პარტიად გაფორმდნენ. თუმცა ეს არ მოხდა მანამ, სანამ ბოლშევიკებმა სანქტ-პეტერბურგში/პეტროგრადში ძალაუფლება ძალით არ ჩაიგდეს ხელში. უფრო ადრინდელ პერიოდში კი ქართველი სოციალ-დემოკრატები სხვა განხეთქილებაზე

პასუხისმგებლებად ითვლებიან: ესაა კონფლიქტი ქართულ დემოკრატიულ ბანაკში. თანამედროვე ქართველ ისტორიკოსთა საგრძნობი ნაწილი მხარს უჭერს მოსაზრებას, რომ 1900-იან წლებში საქართველოს პოლიტიკური კლასი ავტონომიის ან დამოუკიდებლობის მომხრე და ანტინაციონალურ, მხოლოდ სოციალურ საკითხებზე კონცენტრირებულ ბანაკებად იყოფოდა. ასეთი ინტერპრეტაცია ტირაჟირებულია მედიის მიერ და ამ გზით საჯარო დისკურსად იქცევა.[18] ამ დისკურსის თანახმად, ნოე ჟორდანია მეორე ბანაკის საკვანძო ფიგურადაა მიჩნეული.

ერთი მხრივ, ასეთი შავ-თეთრი წარმოდგენები გასაგებია, რადგან განხეთქილებას მართლაც ჰქონდა ადგილი. მეტიც, იგი ილია ჭავჭავაძის მკვლელობით იქნა დაღდასმული. 1907 წლის 12 სექტემბრის ამ ტრაგიკული აქტის შემდეგ, მის მომზადებაში სოციალ-დემოკრატიის ორივე ფრთა იყო ეჭვმიტანილი. საბჭოთა პერიოდში მკვლელობის ორგანიზება რუსულ იმპერიულ პოლიციას ჰბრალდებოდა. მაგრამ მე-20 საუკუნის 90-იანი წლებიდან დომინანტური გახდა ვერსია, რომლის თანახმად, სასიკვდილო თავდასხმა ილიაზე სოციალ-დემოკრატთა ნახელავი იყო, მეფის პოლიცია კი არაფერს აკეთებდა არც მკვლელობის პრევენციისათვის და არც სრულფასოვანი გამოძიებით იყო დაინტერესებული. ილიას სიკვდილში იმპერიის დაინტერესების არგუმენტი ისაა, რომ ილია ჭავჭავაძე ავტონომიის იდეით ქართველთა გაერთიანებისა და ამ იდეის როგორც საიმპერატორო კარზე, ისე უცხოეთში ლობირების შემძლე იყო. მისი სიკვდილის შემდეგ არავინ იყო ისეთი, ვინც ამ ამოცანებს ეფექტურად შეასრულებდა. რაც შეეხება სოციალ-დემოკრატიულ კვალს, იგი საგამოძიებო მასალებიდან ჩანს: მკვლელები ეკუთვნოდნენ რევოლუციურ „წითელ რაზმებს“, რომლებიც მთელ საქართველოში იქმნებოდა როგორც ბოლშევიკების, ისე

18 იხ. მაგალითად, ჩაგელიშვილი. თომა. 2002. ილია ჭავჭავაძის მკვლელობა. Youtube ვიდეო (ნანახია 01.01.2024).

მენშევიკების მიერ. მაგრამ საქმე ისაა, რომ ამ მკვლელობის შეკვეთაში ფილიპე მახარაძის, სერგო ორჯონიკიძის, თუ თავად სტალინის მონაწილეობაზე რიგ ისტორიკოსთა მიერ გამოთქმული მოსაზრების მიუხედავად, ასეთი ბრალდებების პირდაპირი სამხილები არ არსებობს. ასევე არ მოიპოვება უეჭველი სამხილი, რომ ნოე ჟორდანიამ ყველაფერი წინასწარ იცოდა, მაგრამ არაფერი იღონა.[19]

ამასთან, ის მწვავე პოლემიკა, რაც მკვლელობას მოჰყვა, ქართულ პოლიტიკურ კლასში არსებული განხეთქილების მკაფიო ილუსტრაციაა. რადგანაც ჟორდანია ილიას იდეოლოგიის ერთ-ერთი ყველაზე მწვავე კრიტიკოსი იყო, უშუალოდ მას მკვლელობის სულიერ მომზადებაში ადანაშაულებდნენ. ჟორდანიას პასუხი 1907 წლის 9 ოქტომბერს სოციალ დემოკრატიულ გაზეთში „ჩვენ გზა“ დაიბეჭდა. მიმომხილველთა ნაწილში ეს წერილი დღესაც ნეგატიურ ემოციებს იწვევს:

“საქართველოს ბნელ ძალებმა, ეს ერთი ხანია თავჩაქინდრულმა და ხალხის მრისხანებით მიჯაჭულმა, უცებ

---

19 მე-20-21-ე საუკუნეების მიჯნაზე ქართველი ისტორიკოსები არაერთხელ დაუბრუნდნენ ილიას მკვლელობის თემას. იხ. მაგალითად: ბადრიძე, შოთა, 1991, წიწამურის ტრაგედიის გამოცანები, თბილისი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა; ყორანაშვილი, გურამ, 2004, წიწამურის ტრაგედიის საიდუმლო, თბილისი, პდპ; გურული, ვახტანგ. 2008. საქართველოს მკვლელები, ილია ჭავჭავაძის მკვლელობის ისტორიისადმი მიძღვნილი წერილები, თბილისი, უნივერსალი; სიმაშვილი, თენგიზი. 2020. ვინ მოკლა ილია. ახალმოძიებული საარქივო მასალები. ნაწილი პირველი. თბილისი: მერიდიანი. მაგრამ თუ დანაშაულის უშუალო ჩამდენთა ვინაობა, ასე თუ ისე, გარკვეულია, შემკვეთების შესახებ ისტორიოგრაფია სუბიექტური მსჯელობების მიღმა ვერ მიდის. იქმნება შთაბეჭდილება, რომ ისტორიკოსთა უმრავლესობა ბოლშევიკთა, მენშევიკთა თუ იმპერიის შესახებ არსებული სტერეოტიპების ტყვეობაშია. როგორც ახალგაზრდა მკვლევარი, დავით ხვადაგიანი ამბობს, რევოლუციის დაღმასვლისას „წითელ რაზმელებს“ შეიძლება სრულიად დამოუკიდებლადაც ემოქმედათ. არ არსებობს სანდო ცნობა, რომ სტალინი, მით უმეტეს კი ნოე ჟორდანია ილიას მკვლელობასთან რაიმე შეხებაში იყვნენ (ხვადაგიანი, დავით. ინტერვიუ ჩაატარა დავით დარჩიაშვილმა. თბილისი. იანვარი 7, 2024).

აიწყვიტა და სათამაშოთ გამოინავარდა. ფეოდალი, კლერიკალი, ფედერალისტი, დემოკრატი, რეაქციონერი, ნაციონალისტი და სხვა და სხვა „მხსნელი“ საქართველოსი კიდევ ერთხელ შეერთდნენ და „ისარის“ რედაქციის წინამძღოლობით იერიშით მივიდნენ სოციალდემოკრატიაზე. [...] თავის თავათ ცხადი უნდა ყოფილიყო, რომ ილიას ასეთი ტრაღიკული ბოლო ყველა კლასის და პარტიისთვის სამწუხარო და აღსაშფოთებელი იქნებოდა. აქ ორი აზრი ყოვლად შეუძლებელია. და არა თუ ტრაღიკული სიკვდილი, არამედ ჩვეულებრივი სიკვდილიც შემოკრებს ხოლმე მგოსნის კუბოსთან სხვა და სხვა მოწინააღმდეგე პარტიას და კლასს. [...] მარა ჩვენმა ფედერალისტებმა და მათმა ამყოლ-დამყოლებმა. [...] ილიას ცხედარი თავის საპოლემიკო იარაღათ გაიხადეს! [...] ილიას საფლავი აქციეს პარტიული ბრძოლის მოედნათ.

[...] როგორც ხედავთ, მთელი ეს ბრალდება ეხება ქართველ სოციალდემორატიას. ვთქვათ, სოც.-დემოკრატიის მიერ მომზადებულ ნიადაგმა დაბადა ეს მკვლელობა, მერე ამისთვის დასაგმობია თვით ნიადაგი? ამ ნიადაგმა დაბადა ის დიდებული მოძრაობა, ის გონებრივი და პოლიტიკური გადასხვაფერება, რომელიც ქართველ ხალხმა განიცადა და დღე მუდამ განიცდის. ამ ნიადაგზე აღმოცენდა კავკასიის რევოლიუცია, მთელი ახალი ისტორია, და თქვენ გსურთ ყველა ეს უკუ აგდოთ, დაგმოთ იმიტომ, რომ სადაც ხე იჭრება, იქ ნაფოტებიც ცვივა. დიდმა რევოლიუციამ სიკვდილით დასაჯა დიდებული ქიმიკი ლავუაზიე, მარა ამიტომ თვით რევოლიუცია არავის დაუგმია, გარდა რეაქციონერებისა“. (ჟორდანია 2019).

თანამედროვე ქართველი ისტორიკოსი ვახტანგ გურული თვლის, რომ სოციალ-დემოკრატებმა მთელი საზოგადოება დააშინეს და გააჩუმეს. შესაბამისად, „რევოლუციური ნიადაგით“ ჟორდანიასეული სიამაყე და ილიას დაღუპვის ანალიზისას „ნაფოტების“ ალუზია დიდწილად უპასუხოდ დარჩა.[20] მაგრამ საქმე ის გვგონია,

20 თბილისელები. 2018. რას წერდნენ ილიას მკვლელობის შემდეგ

რომ ჟორდანიას წერილი მკვლელობასთან ყოველგვარი კავშირის უარყოფას და რევოლუციის იდეალთა ზოგად დაცვას ეძღვნებოდა. იგი სრულდებოდა არა ილიას ნაფოტებთან შედარებით, არამედ მისდამი პატივისცემის გამოხატვით:

„დასასრულ უნდა ვაღვიარო, რომ პოლემიკის ატეხა განსვენებულის სახელის გარეშემო, თუნდაც ეს მას პირადაპირ არ ეხებოდეს, მეტათ უხერხულად მიმაჩნია, და თუ მაინც ეს წერილი დავსწერე – ამის მიზეზი მოკითხეთ ფედერალისტებს, რომელთაც გლახა ჭრიაშვილივით არ გაათავეს თავისი განაგაში და რომელთა შესახებ განსვენებულ ილიას ერთი რამ ეთქმის: ღმერთო მაშორე ასეთ მეგობრებს...“

ვფიქრობთ, რომ ჟორდანიას ჩათვლა საზოგადოების დამთრგუნველად და შეურაცხმყოფლად უფრო პოსტსაბჭოთა ანაქრონიზმზე მიუთითებს, ვიდრე მე-20 საუკუნის დამდეგს არსებულ რეალობაზე. საინტერესოა, რომ 1909 წელს ჟორდანიას იტალიაში გამგზავრება პატრიოტულად განწყობილმა ქართველმა ბიზნესმენებმა, დავით სარაჯიშვილმა და ლევან ზუბალაშვილმა დააფინანსეს (საზოგადოებრივი არქივი 2024).

ნოე ჟორდანიას სოციალ-დემოკრატია ქართული პოლიტიკური ცხოვრების განსაკუთრებული შემთხვევაა, რამდენადაც იგი ნაციონალიზმისაგან დისტანცირების ცდა იყო. ზემოთ ციტირებულ წერილში „ნაციონალისტები“ რეაქციონერების გვერდით იყვნენ მოხსენიებულნი. მაგრამ როგორც იდეოლოგი, ჟორდანია საბოლოოდ ავსტრო-მარქსიზმის მიმდევრად ჩამოყალიბდა, სოციალიზმის ეს ვერსია კი ნაციონალიზმისაგან მოწყვეტილი არ ყოფილა. ჟორდანია თავის მემუარებში წერდა, რომ ჩეხ-ავსტრიელ მარქსისტ თეორეტიკოსს, კარლ კა-

– ვაჟა ფშაველა, კონსტანტინე გამსახურდია, იაკობ გოგებაშვილი და ნოე ჟორდანია. ინტერვიუ ვახტანგ გურულთან. *For.ge*. აპრილი, 2018. https://for.ge/view/50015/ras-werdnen-ilias-mkvlelobis-Semdeg—vaJa-fSavela-konstantine-gamsaxurdia-iakob-gogebaSvili-danoe-Jordania.html (ნანახია 7.01.2024).

უცკის მასზე განსაკუთრებული გავლენა მოუხდენია. საქართველოს მთავრობის მომავალმა თავმჯდომარემ კაუცკის ნაწერებიდან გაიგო, რომ მარქსიზმი ნაციონალურ საკითხსა და ნაციონალურ ბრძოლას არ უარყოფდა (ჟორდანია 1990, 29). აღსანიშნავია ისიც, რომ ახალგაზრდა ჟორდანიას მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაში ვარშავაში მიღებულმა განათლებამაც შეიტანა წვლილი: მან აღმოაჩინა, რომ ბევრი პოლონელი რუსულ ენას ბოიკოტს უცხადებდა და იმპერიას იატაკქვეშეთიდან ებრძოდა. როგორც ჟორდანია იგონებდა, ამ ბრძოლის შედეგად ვარშავა გარეგნულადაც და სულიერადაც წმინდა პოლონური ქალაქი იყო (ჟორდანია 1990, 22).

ანტინაციონალისტური განცდა, რაც ჟორდანიას მაინც ახასიათებდა, ეროვნული იდენტობის პრინციპული უარყოფით გამოწვეული არ ყოფილა. იგი უფრო ქართული მაგალითის სპეციფიკური ინტერპრეტაციიდან მოდიოდა. 1898 წელს მშობლიურ ლანჩხუთში ჩასულ ჟორდანიას მეზობლებთან დისკუსიებში აღმოუჩენია, თუ როგორ იწვევდა საქართველოს დამოუკიდებლობის იდეა ფეოდალიზმის მობრუნების შიშს. ამიტომ იგი ასკვნიდა, რომ ხალხის გაერთიანება თავდაპირველად სხვა იდეების საფუძველზე უნდა მომხდარიყო (ჟორდანია 1990, 34).

1908 წელს ნოე ჟორდანიას „ქართველი ხალხი და ნაციონალიზმი“ დაიბეჭდა (ჟორდანია 2015). მასში ავტორი ამტკიცებდა, რომ ქართველი ხალხი დემოკრატიულ ნაციონალიზმსაც უარყოფდა და სოციალისტურსაც. ჟორდანიას აზრით, ხალხისათვის ავტონომიის იდეა ანტირუსულ პოლიტიკას ნიშნავდა, რასაც იგი უარყოფდა. ჟორდანია წერდა, რომ ქართველებს სურდათ ეროვნული სკოლა, თეატრი თუ სხვა დაწესებულებები, მაგრამ არ უნდოდათ ეროვნული პოლიტიკა. მისი თქმით, სწორედ ამიტომ უჭერდა სოციალ-დემოკრატიული პარტია კულტურულ და არა პოლიტიკურ ავტონომიას მხარს – ამით პარტია ხალხის სურვილებს პასუხობდა (ჟორდანია 2015, 30-31).

მასობრივ ეროვნულ ნიჰილიზმს ჟორდანია იმით ხსნიდა, რომ, პოლონელებისაგან განსხვავებით, ქართველები არ იყვნენ სამოქალაქო ცხოვრებით ინტეგრირებულნი და ამიტომ ნაციონალიზმის განვითარებისათვის არ იყვნენ მზად (ჟორდანია 2015, 33). რა თქმა უნდა, ჩნდებოდა კითხვა, თუ რატომ არ იყო ჟორდანიასათვის ქართული ინტელიგენციის აქტიურობა პოლონურის მსგავსი, ან რამდენი ხანი უნდა დალოდებოდა იგი ეროვნულ ინტეგრაციას. მაგრამ ერთი რამ ნათელია: ჟორდანია არ ყოფილა პოლიტიკური ნაციონალიზმის პრინციპული მოწინააღმდეგე. იგი მხოლოდ საქართველოში ვერ ამჩნევდა ამის ნიადაგს. სტატიის ბოლოს ჟორდანია თავის კრედოდ ინტერნაციონალურ თვითგამორკვევას აცხადებდა, ოღონდ მოითხოვდა ქართული ენის პოლიტიკურ სტატუსს (ჟორდანია 2015, 44-46).

თუმცა მალე მის შეხედულებებში ტრადიციულმა ნაციონალისტურმა სენტიმენტებმა იმატა. პირველი მსოფლიო ომის წინ ჟორდანია კულტურულ ავტონომიასთან თვითმმართველობის შერწყმის აუცილებლობაზე ალაპარაკდა (ბლუაშვილი 2016, 56). ომის მსვლელობისას იგი საიდუმლოდ შეხვდა საქართველოს დამოუკიდებლობის მომხრე გიორგი მაჩაბელს და ე.წ. გათავისუფლების კომიტეტის გერმანელებთან მუშაობის მიზანშეწონილობას დაეთანხმა (შველიძე 2022, 198).

თავის მემუარებში ჟორდანია წერდა, რომ საქართველოს თავისუფლებაზე ფიქრისაკენ მას პირველად ილიას თანამოაზრის, აკაკი წერეთლის პოეზიამ უბიძგა. შემდეგ ეს იყო კაუცკი, რომლის პოლონური ნაციონალიზმისადმი გამოხატულმა სიმპათიამ შეძრა ჟორდანია (რატიანი 2022, 365-366). როგორც ვნახეთ, ყოველივე ამას ქართველი სოციალ-დემოკრატის მერყეობისათვის წერტილი არ დაუსვამს. მაგრამ, ჩვენ არ შეგვიძლია ამ ისტორიული ფიგურის ეროვნული მოძრაობიდან და ეროვნული იდენტობის ფორმირების პროცესიდან ამოგდება. როგორც ისტორიკოსი სტივენ ჯონსი წერს, ჟორდანიას სჯეროდა, რომ

ეროვნული კულტურული ავტონომია თვითგამორკვევას რუსეთის ფარგლებშივე უზრუნველყოფდა და, მაშასადამე, ქვეყანას ისევ ირანისა და ოსმალეთის პირისპირ არ დატოვებდა. ჯონსის თქმით, სოციალ-დემოკრატების ლოგიკა თერგდალეულებისას მისდევდა (Jones 2005, 234). ჟორდანიას მსოფლმხედველობრივ ტრაექტორიას თუ შევხედავთ, არც ისაა გამორიცხული, რომ, გადარჩენის შემთხვევაში, ილიას და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მომავალ მეთაურს შეხების წერტილები ენახათ.

ბუნებრივია, რომ მე-20 საუკუნის ქართული იდენტობის განვითარებას და პოლიტიკური დისკურსის ფორმირებას მხოლოდ ჭავჭავაძე და ჟორდანია არ განსაზღვრავდა. უკვე ვახსენეთ არჩილ ჯორჯაძე და სოციალისტ-ფედერალისტები, ისევე როგორც მომავალი ეროვნულ-დემოკრატები. მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ ის სოციალ-დემოკრატებიც, რომელთა პოზიცია ჟორდანიას შეხედულებებზე უფრო ნაციონალისტურად იყო შეფერილი. ასეთებს მიეკუთვნებოდნენ ვლადიმერ დარჩიაშვილი და აკაკი ჩხენკელი. ილიას უკრიტიკო მიმდევართაგან აღსანიშნავია იაკობ გოგებაშვილი. წიგნის მიზნიდან გამომდინარე, არ აქვს აზრი ყველა იმ გამოჩენილი პიროვნების ჩამოთვლას, ვინც იმპერიის ნგრევისდროინდელ ქართულ დისკურსში შეიტანა წვლილი. მაგრამ ერთი მათგანისათვის გვერდის ავლა არ გამოვა და ეს მიხაკო წერეთელია. სხვადასხვა დროს იგი როგორც ანარქისტებს, ისე სოციალისტ-ფედერალისტებს და ეროვნულ დემოკრატებს უახლოვდებოდა. მიხაკო წერეთელი თანამშრომლობდა ქართველ მარქსისტებთანაც. ნაციონალისტურ პოზიციებზე მყარად დადგომამ და ემიგრაციამ იგი გერმანიაში მოქმედი საქართველოს გამათავისუფლებელი კომიტეტის ერთ-ერთ წამყვან წევრად აქცია. მას ეკუთვნის ნაშრომი „ერი და კაცობრიობა“, რომელიც, სამწუხაროდ, დიდხანს იყო მივიწყებული საბჭოთა საქართველოზე ჩამოფარებული „რკინის ფარდის“ გამო.

როგორც ნაშრომის სათაურიდანაც ჩანს, წერეთელთა არისტოკრატული გვარის ეს წარმომადგენელი ნაციონალიზმისა და ინტერნაციონალიზმის თავსებადობაზე მსჯელობდა. გარკვეულწილად, მიხაკო მხარს უჭერდა კავკასიის ფედერაციის იდეას, რომელიც, საქართველოში და მის ირგვლივ ეროვნული იდენტობების განვითარების კვალდაკვალ, ქართულ ნაციონალურ დისკურსში შემოდიოდა. თვლიდა რა, რომ ერი მხოლოდ სახელმწიფოს დაარსებით ჩნდება (ბლუაშვილი 2016, 60), წერეთელი კავკასიური ერთობის ისტორიული ნიადაგის არარსებობას უსვამდა ხაზს. ამიტომ, მისი თქმით, კავკასიელ ერებს ჯერ თვითგამორკვევაზე უნდა ეზრუნათ და ფედერაციის შენება მხოლოდ შემდგომ ეცადათ (დარჩაშვილი 2005, 45-46). მთლიანობაში, მისი ნააზრევი მიუთითებს, რომ ქართული შეფერილობის ფედერალიზმი მარტო რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებს არ ეხებოდა. ის აგრეთვე გულისხმობდა რეგიონული განზომილებას: მე-20 საუკუნის დასაწყისში კავკასიის გეოკულტურული რეალობაც ინტელექტუალური რეფლექსიის საგანს წარმოადგენდა.

დისკურსიდან სახელმწიფოს მშენებლობის პრაქტიკამდე

საქართველოს თვითგამორკვევა თავიდანვე დამოუკიდებელი სახელმწიფოს ფორმით არ განხორციელებულა: იგი ამიერკავკასიის ფედერაციის ბუნდოვნად განსაზღვრულ ნაციონალურ ერთეულად გადაიქცა. ასეთი იყო გარკვეული სისტემური და იდეური ფაქტორების დამთხვევის შედეგი. 1917 წლის თებერვლის რევოლუციისა და რომანოვთა იმპერიის აღსასრულის ფონზე სანქტ-პეტერბურგში/პეტროგრადში დროებითი მთავრობა შეიქმნა. თან ეს ორხელისუფლებიანობის დრო იყო, რადგან დროებით მთავრობას აკონტროლებდა პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭო, რომელშიც სოციალ-დემოკრატები და სოციალისტ-რევოლუციონერები დომინირებდნენ. მიმდინარე მსოფლიო ომის პირობებში იმპერიული ელიტის მთავარი საყრდენი – არმია – თანდათანობით დემორალიზაციას განიცდიდა და ეკონომიკაც მძიმე წნეხის ქვეშ იყო. შექმნილ ვითარებაში კავკასიის მეფისნაცვლის ინსტიტუტმა არსებობა შეწყვიტა. ქართულ, სომხურ და აზერბაიჯანულ გუბერნიებში მისი ადმინისტრაციული პასუხისმგებლობები გადაეცა ე.წ. ოზაკომს – ამიერკავკასიის განსაკუთრებულ კომიტეტს, რომელშიც რუსეთის ყოფილი სახელმწიფო სათათბიროს რამდენიმე წევრი შევიდა. კომიტეტს რუსი ეროვნების თავმჯდომარე ჰყავდა, მაგრამ მასში რეგიონის წარმომადგენლები დომინირებდნენ. კომიტეტის წევრი იყო ქართველი სოციალ-დემოკრატი აკაკი ჩხენკელი. ამ დროს ნოე ჟორდანია თბილისის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების პრეზიდიუმის თავმჯდომარე გახდა. საბჭოსა და ოზაკომის ურთიერთობა პეტერბურგში შექმნილ მოდელს წააგავდა. მოკლედ, საქართველოში რევოლუცი-

ური ცვლილებები სრულად ხორციელდებოდა: რუსეთის ცენტრალურ ხელისუფლებას ადგილობრივ საქმეებზე შეზღუდული გავლენა ჰქონდა.

რუსული პოლიტიკური კლასის მხრიდან ეს ცვლილებები არც დაგეგმილი ყოფილა და არც სახელმწიფოს მიზანმიმართული ფედერალიზაციის გადაწყვეტილებაზე მიანიშნებდა. პეტროგრადში მყოფ დროებით მთავრობას მხოლოდ დამფუძნებელი კრების არჩევნების მომზადება ხელეწიფებოდა. ასეთ ფუნდამენტურ საკითხებზე კი სწორედ ამ კრებას უნდა ემსჯელა. იმპერიის დროსაც არსებობდნენ რუსი მოაზროვნენი, რომელთაც ფედერალიზაცია ოპტიმალურ გამოსავლად მიაჩნდათ. ოღონდ ასეთები მარგინალებად რჩებოდნენ. რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს მთავარი ლიბერალური ფრთა – კონსტიტუციურ-დემოკრატიული პარტია – საკმაოდ ნეგატიურად იყო განწყობილი იგივე უკრაინის ავტონომიზაციის მიმართ და სპეციალურ სტატუსს მხოლოდ პოლონელებისა და ფინელებისათვის განიხილავდა.[21] საქართველოსა და მთელ კავკასიაში კი სხვა განწყობები დომინირებდა. საქართველოში ყველაზე პოპულარული სოციალ-დემოკრატიული პარტიაც და პოპულარობით მეორე ადგილზე მყოფი სოციალისტ-ფედერალისტებიც რეგიონულ ავტონომიზაციას უჭერდნენ მხარს. ამიერკავკასიური ადმინისტრაციულ-პოლიტიკური ერთეულის სპონტანური წარმოქმნა, პირველ რიგში, ასეთი განწყობების შედეგი და გამოვლინება იყო.

ჯერ კიდევ 1905 წელს ქართველი სოციალისტ-ფედერალისტების ბეჭდვითმა ორგანომ ქართველ ავტონომის-

---

21 რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია, რომელსაც ქართველი სოციალ დემოკრატებიც ეკუთვნოდნენ, ამ საკითხზე ბოლომდე ჩამოყალიბებული არ ყოფილა და იმპერიის ფედერალიზაციის ღია მხარდაჭერისაგან თავს იკავებდა. ფედერალიზაციის მომხრე იყვნენ სოციალისტ-რევოლუციონერები, მაგრამ 1906 წელს პირველი მოწვევის სახელმწიფო სათათბიროს გარეკვის შემდეგ ეს რადიკალური პარტია ბოიკოტის რეჟიმში გადავიდა და იმპერიის საპარლამენტო ცხოვრებაში მონაწილეობას არ იღებდა.

ტთა კონსტიტუციურ-დემოკრატიული პარტიის პროგრამა დაბეჭდა. ასეთი პარტია არასოდეს მატერიალიზებულა, მაგრამ ქართული პოლიტიკური ცხოვრების იდეური თუ დისკურსული ასპექტების გასაგებად მისი ხსენება ღირებულია. მით უმეტეს, რომ პროგრამა მიეწერებოდა ილია ჭავჭავაძის ირგვლივ შემოკრებილ ჯგუფს. მასში აღინიშნებოდა, რომ საქართველოს მომავალ ავტონომიას რუსეთის იმპერიის ფარგლებში სხვა ავტონომიებთან გაერთიანების უფლება უნდა ჰქონოდა (დარჩაშვილი 2005, 12-14). რაც შეეხება უშუალოდ სოციალისტ-ფედერალისტებს, ისინიც თვლიდნენ, რომ მომავალში რუსეთი ფედერაციად უნდა გადაქცეულიყო და საერთო საქმეთა სამართავად მის ცალკეულ სუბიექტებს დროებითი ან მუდმივი კავშირები უნდა შეექმნათ (დარჩაშვილი 2005, 20). მათი ლიდერი, არჩილ ჯორჯაძე კი 1909 წელს წერდა, რომ იგი პოზიტიურ ტენდენციას სოციალ-დემოკრატთა შეხედულებებშიც ხედავდა. მისი თქმით, ფედერალისტთა ეს ტრადიციული ოპონენტები დადებითად უყურებდნენ რეგიონული თვითმმართველობის იდეას. ჯორჯაძისათვის კავკასიური და ქართული ავტონომიზმი თავსებადი იყო და რახან სოციალ-დემოკრატები პირველის მხარდაჭერისაკენ იხრებოდნენ, დროთა განმავლობაში მეორის აუცილებლობასაც დათანხმდებოდნენ (შველიძე 2011, 287-288; დარჩაშვილი 2005, 21-22).

1900-იან წლებში ჟორდანია მართლაც უჭერდა მხარს ამიერკავკასიის ავტონომიის იდეას. იგი წერდა, რომ რეგიონში უნდა შექმნილიყო ერთი ცენტრი, რომელიც საყოველთაო, პირდაპირი, თანასწორუფლებიანი და საიდუმლო კენჭისყრით აირჩეოდა (ჟორდანია 2015, 46). სავარაუდოდ, მისი მოთხოვნა მარტო ნაციონალიზმის და ინტერნაციონალური თანაარსებობის კონცეფციებს კი არ ეყრდნობოდა, არამედ მთელ კავკასიაში მაშინ შექმნილ ვითარებასაც ითვალისწინებდა. იშვიათ შემთხვევებში და სპეციფიკური ენით, მაგრამ საბჭოთა ისტორიოგრაფიაც რეალობასთან მიახლოებით ასახავდა მაშინდელ

მოვლენებს. ერთი ასეთი შემთხვევა არის ხაზგასმა იმაზე, რომ იმპერიის პირობებში მრავალეროვნული ამიერკავკასიის არც ერთ ერს არ გააჩნდა მკაფიოდ შემოფარგლული განსახლების არეალი. ეს ქმნიდა ნიადაგს, რომ კლასობრივი ბრძოლა „ნაციონალური დროშებითა და საჟღარუნოებით გადაეფარათ“ (სურგულაძე 1972, 414). აღნიშნული ფრაზა კლასობრივი პოზიციიდან იყო ნათქვამი, რაც საბჭოთა ისტორიოგრაფიის გარდაუვალ იდეოლოგიზაციაზე მიუთითებდა. ჩვენ შეიძლება დავამატოთ, რომ ადგილობრივი ნაციონალიზმების დაპირისპირება იმპერიასთან ბრძოლას ართულებდა. მაგრამ მოყვანილი ციტატის რეალობასთან ადეკვატურობაზე ის მიუთითებს, რომ არსებითად, ასევე ფიქრობდა ნოე ჟორდანია. იგი შფოთავდა მზარდად დაპირისპირებულ ნაციონალიზმთა გამო და თვლიდა, რომ, ეკონომიკურ განვითარებაზე აქცენტირებით, რეგიონული მასშტაბის თვითმმართველობა კონფლიქტებს შეარბილებდა. როგორც ვნახეთ, ქართველ სოციალ-დემოკრატთა ლიდერისათვის ტერმინს „ნაციონალიზმი“ ნეგატიური მნიშვნელობა ჰქონდა. ჟორდანია მოითხოვდა, რომ ქართველ „ინტერნაციონალისტ“ მუშებს მთელი რეგიონისათვის სოციალისტური სოლიდარობის მაგალითი მიეცათ. ისტორიამ მალე აჩვენა, თუ რამდენად ნაადრევი და გულუბრყვილო იყო ასეთი პოზიცია.

ამგვარ შეხედულებათა საწინააღმდეგოდ, სოციალისტ-ფედერალისტების განაყოფი ეროვნულ-დემოკრატები სიხარულით განსაზღვრავდნენ თავს ნაციონალისტებად (დარჩაშვილი 2005, 18). მაგრამ ჯორჯაძის ზემოთ ნახსენები იმედები პარტიათაშორის კოოპერაციაზე ლოგიკური იყო: ბოლშევიკების გამოკლებით, ყველა სხვა ქართულ პოლიტიკურ ჯგუფს ჰქონდა შეხების წერტილები. 1917 წლიდან ინტერპარტიული თანამშრომლობის ნიადაგი გაფართოვდა და რეგიონული მასშტაბიც შეიძინა. საკმაოდ მალე კი ეროვნული სახელისუფლო ინ-

სტიტუტების მშენებლობის შანსი გაჩნდა და სოციალ-დემოკრატებმა ამ შანსის რეალიზაციასაც მოჰკიდეს ხელი.

რეგიონული დონის პოლიტიკური ინტეგრაციის პროცესი მარტო ოზაკომის შექმნით არ შემოფარგლულა. პარალელურად იქმნებოდა საბჭოების ქსელი. 1917 წელს ამიერკავკასიის მუშათა და გლეხთა საბჭოების ყრილობა ჩატარდა. საბჭოებში გამყოფი ხაზი არა ნაციონალობა, არამედ სოციალ-დემოკრატებსა და ბოლშევიკებს შორის დაპირისპირება აღმოჩნდა. ეს უკანასკნელი ლენინის ხელმძღვანელობით მოქმედი ცენტრალური კომიტეტის და „დემოკრატიული ცენტრალიზმის“ პრინციპის ერთგული რჩებოდა. განსაკუთრებული გავლენა ბოლშევიკებს ბაქოში ჰქონდათ. მაგრამ რეგიონის მასშტაბის პოლიტიკური პროცესი თბილისში იყო კონცენტრირებული, აქ კი სოციალ-დემოკრატებს განსაკუთრებული პოზიციები ეკავათ. მას შემდეგ, რაც ბოლშევიკებმა 1917 წლის ნოემბერში პეტროგრადში გადატრიალება მოაწყვეს, სოციალ-დემოკრატები საბოლოოდ შეტრიალდნენ ქართველი, სომეხი და აზერბაიჯანელი ნაციონალისტებისაკენ: თბილისის მუშათა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი, ქალაქის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობა, ოზაკომი და კავკასიაში ჯერაც მოქმედი რუსული არმიის სარდლობა ამიერკავკასიის მთავრობის შექმნაზე შეთანხმდა. მას რუსეთისაგან დამოუკიდებლად უნდა ემოქმედა. უშუალოდ რუსეთი კი ამ დროს ანარქიაში ეხვეოდა.

ამიერკავკასიის მთავრობამ, რომელიც აღმასრულებელი კომისარიატისა და საკანონმდებლო სეიმისაგან შედგებოდა, რეგიონის დამოუკიდებლობა თავისი არსებობიდან თითქმის ნახევარი წლის შემდეგ, 1918 წლის აპრილში გამოაცხადა. მოვლენათა ლოგიკა, კერძოდ, ქაოსი რუსეთში და უთანხმოება პეტროგრადთან პირველი მსოფლიო ომიდან გამოსვლის პირობებზე, ამიერკავკასიის მმართველებს ამ გადაწყვეტილებისაკენ უბიძგებდა. მაგრამ დამოუკიდებლობა ამიერკავკასიის პოლიტიკური არსებობის დასასრულის საწინდარი გახდა. ნათელი

იყო, რომ მოცემულ გარემოებებში რეგიონის ერებს ინტეგრირება არ შეეძლოთ. სოციალისტ-ფედერალისტთა შეხედულება, რომლის თანახმად, რეგიონალიზაცია ნაციონალიზაციით, ანუ ეროვნული სახელმწიფოების ფორმირებით უნდა დაწყებულიყო და მხოლოდ შემდგომ გაგრძელებულიყო ზეეროვნულ დონეზე, მართალი აღმოჩნდა და სოციალ-დემოკრატებიც, ნებსით თუ უნებლიეთ, ამ შეხედულების რეალიზაციაში ჩაებნენ. ჯერ კიდევ 1917 წლის ნოემბერში ქართულმა პარტიებმა ეროვნული ყრილობა მოიწვიეს, რომელმაც მუდმივმოქმედი საბჭო შექმნა. ყრილობაზე ნაციონალისტურ პარტიათა და სოციალ-დემოკრატთა ტრადიციული დავა გრძელდებოდა, მაგრამ ამ უკანასკნელებმა მაინც გადაწყვიტეს ეროვნული სახელმწიფოს ჩანასახ სტრუქტურაში, ეროვნულ საბჭოში ყოფნა და საკუთარი უმრავლესობაც უზრუნველყვეს (ბლუაშვილი 2016, 82-84). ამიერკავკასიის დეზინტეგრაციის კიდევ ერთი მიზეზი ეროვნული სამხედრო ფორმირებების შექმნა გახდა. ამას პრაქტიკული საჭიროება განაპირობებდა: რუსული არმია თითქმის მთლიანად იყო დემორალიზებული. და საერთოდაც, სახელმწიფო მშენებლობა, ეროვნულ დონეზე მოხდებოდა ეს თუ რეგიონულ დონეზე, საკუთარი სამხედრო პოლიტიკის ფორმირებასაც გულისხმობდა. მაგრამ იგივე ქართული კორპუსის ჯარისკაცები ომისაგან არანაკლებ დაქანცულნი აღმოჩნდნენ, ვიდრე მათი ყოფილი რუსი თანამებრძოლები. კორპუსი მებრძოლთა ნაკლებობას და უდისციპლინობას განიცდიდა (სილაქაძე 2018, 224).

ნოე ჟორდანია, როგორც ამიერკავკასიის სეიმის წევრი, კარგად იყო ინფორმირებული, რომ პირველი მსოფლიო ომის კავკასიის ფრონტზე თურქთა შემოტევის ერთობლივად შეჩერების ნაცვლად, სომხური და აზერბაიჯანული ფორმირებები, პოლიტიკოსები თუ ადგილობრივი მილიციის ქვედანაყოფები ერთმანეთს უპირისპირდებოდნენ. სომხური მიწები, რომლებიც ოსმალეთის იმპერიას ესაზღვრებოდა, რუსეთზე არანაკლები ქაოსით იყო

მოცული (ვენ-სონ 1918, 3). აზერბაიჯანი არც იყო დაინტერესებული თურქთა შეჩერებით, იმედოვნებდა რა, რომ თურქები ბაქოში არსებული ბოლშევიკური ანკლავის განადგურებაში დაეხმარებოდნენ. ამასთანავე, აზერბაიჯანელები თურქებთან არსებული ლინგვისტური და კულტურული კავშირების მოიმედეებიც იყვნენ. სომეხთათვის ოსმალეთი ბოლშევიკურ რუსეთზე უფრო დიდ საფრთხეს წარმოადგენდა. ქართველები ამ ორ ექსტრემალურ პოზიციათა შუაში გრძნობდნენ თავს. ამგვარი გეოსტრატეგიული რეალობის პირობებში, ამიერკავკასიური ერთობა სულ უფრო ემსგავსებოდა აუხდენელ სოციალისტურ ოცნებას და ქართველი სოციალ-დემოკრატებიც გადარჩენის უფრო რეალისტური გზების ძიებას შეუდგნენ.

მართალია, ამიერკავკასიის ფედერაციის პროექტი ადგილობრივი დემოკრატიული და ნაციონალისტური საჭიროებების საფუძველზე აღმოცენდა, მისი სრული დამოუკიდებლობა ოსმალეთის მოთხოვნებით იყო ინსპირირებული. ამიერკავკასიის კომისარიატმა უარყო თურქებისა და ბოლშევიკების მიერ ბრესტ-ლიტოვსკში მიღწეული სამშვიდობო შეთანხმება, რომელიც ე.წ. ცენტრალურ სახელმწიფოებსა და რუსეთს შორის დიდი სამშვიდობო მოლაპარაკებების ნაწილს წარმოადგენდა. კომისარიატი თურქებთან მოლაპარაკების ცალკე ფორმატს ითხოვდა. ოსმალეთის მთავრობა დათანხმდა, ოღონდ იმ პირობით, რომ ამიერკავკასია საერთაშორისო ურთიერთობების დამოუკიდებელი სუბიექტი გახდებოდა. მას შემდეგ, რაც ამიერკავკასიის სეიმმა შესაბამისი რეზოლუცია მიიღო, თურქებმა ფრონტზე შეტევა განაახლეს და ბრესტ-ლიტოვსკში შეთანხმებული საზღვრების შემდგომი ცვლილება მოითხოვეს. რამდენადაც ამიერკავკასიის დამფუძნებელი ერები შექმნილ ვითარებაში თანამშრომლობას ვერ ახერხებდნენ, ფედერაციის დაშლა უახლოესი მომავლის საკითხი ხდებოდა. შექმნილი ვითარების გამო და მიუხედავად განსხვავებული რიტორიკისა, ქართველი სოციალ-დემოკრატები ნაციონალისტური

პარტიების პოზიციებზე გადავიდნენ. 1918 წლის 26 მაისს საქართველოს ეროვნულმა საბჭომ, რომელშიც ჟორდანია ისეთივე გავლენით სარგებლობდა, როგორითაც ფედერაციულ სეიმში, დამოუკიდებლობის დეკლარაცია მიიღო. აზერბაიჯანსა და სომხეთს სხვა არაფერი დარჩენოდა, თუ არა ქართველთა მაგალითის განმეორება.

ამდენად, სოციალ-დემოკრატთა ინტერნაციონალიზმი პრაქტიკული ნაციონალიზმის დღის წესრიგმა დაჩრდილა. მცირე ხანში რუსეთის მენშევიკთა აქამდე განუყოფელი ქართული ნაწილი საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ პარტიად გაფორმდა და მმართველი ეროვნული ძალის როლი იკისრა. საქართველოს ეროვნულმა საბჭომ პარლამენტის ფუნქცია შეიძინა. მასში, ისევე როგორც მთავრობაში, სოციალ-დემოკრატები უმრავლესობას წარმოადგენდნენ. მთავრობის თავმჯდომარე ჯერ ნოე რამიშვილი გახდა, შემდეგ კი ნოე ჟორდანია. დიპლომატი და ეროვნულ-დემოკრატი ზურაბ ავალიშვილი, ქართველ სოციალ-დემოკრატთა ტრანსფორმაციას ერთგვარი სარკაზმით აკვირდებოდა და თავის წიგნში ერთ-ერთ თავგამოდებულ ინტერნაციონალისტს, ირაკლი წერეთელს შემდეგნაირად დასცინოდა: „წერეთლის ადგილი „რუსეთის რევოლუციის პანთეონში“ და თვით უმაღლესი დადასტურება სახელისა – მისი სურათის დაწეპება მონპასიეს კოლოფზე – უეჭველად უზრუნველყოფილია. მაგრამ მის კარიერაში იყო რაღაც განსაკუთრებული. [...] ტრიუმფით დაბრუნება პეტროგრადში. [...] მისწრაფება ერთიდაიმავე დროს ომისკენ, ზავისკენ, სოციალური წინააღმდეგობისკენ და ყველა ეს ბურჟუაზიასთან კავშირში, მარქსის მეთოდით რევოლუციის მეცნიერულათ გატარების სახელით [...] და შემდეგ, უეცრათ, მცირე სიჩუმის შემდეგ [...] ”სტრატეგიული საზღვრები საქართველოისა – ბორჩალოს მაზრაში“[22] [...] სახე ტანჯული, ასკეტიური –

22 ამჟამად სომხეთსა და საქართველოს შორის გაყოფილი ეს ისტორიული მხარე იმპერიის დროს თბილისის გუბერნიაში შედიოდა. უფრო ადრე იგი ქართლ-კახეთის სამეფოს ნაწილი იყო და სხვადა-

პირდაპირ გრეკოს ტილოდან არის ჩამოსული. [...] მაგრამ როცა კარგად ჩაუკვირდებით, თქვენ ამჩნევთ თვალებს, რომელნიც გამოიყურებიან სულ ქვეშ-ქვეშ, მგლურათ“ (ავალიშვილი 1925, 234-235).

ეს სიტყვები ხატოვნად გადმოსცემდა აზრს, რომ საერთაშორისო თუ რუსეთის დონის სოციალისტური ტრანსფორმაციიდან, რაში მონაწილეობის სურვილიც ქართველ სოციალ-დემოკრატებს ჰქონდათ, მოულოდნელად წერეთელი და სხვები ეროვნული უსაფრთხოების ტრადიციულ ამოცანათა გადაწყვეტას შეუდგნენ. ჟორდანია ეროვნულ-დემოკრატის მსგავს ირონიას არ დაეთანხმებოდა, თვლიდა რა, რომ პოლიტიკის ეროვნული და ინტერნაციონალური განზომილებები გადაჯაჭვული იყო. მსოფლიოში კარგად ცნობილი მარქსისტის, კარლ კაუცკის აზრით, საქართველოს „გლეხთა სოციალ-დემოკრატიულ რესპუბლიკაში“, სადაც მან სამი თვე გაატარა, ჟორდანია თანამიმდევრულად ახორციელებდა ევროპულ მარქსიზმს (კაუცკი 2018, 89-93; 135-136); იგი ცდილობდა, საგარეო და თავდაცვის პოლიტიკა სოციალისტურ იდეოლოგიაზე მოერგო, მიმდინარე კონფლიქტებში ნეიტრალიტეტი აერჩა და ამით უარი ეთქვა ალიანსისათვის „იმპერიალისტურ“ ძალებთან (კაუცკი 2018, 139-142). თუმცა რეალობა უფრო კომპლექსური აღმოჩნდა.

1920 წლის იანვარში, ანტანტის წევრთა მიერ საქართველოს დე-ფაქტო აღიარების შეფასებისას, ნოე ჟორდანია აცხადებდა, რომ ამ გზას ქვეყანა ევროპაში მიჰყავდა, რუსეთი კი აზიისკენ მიდიოდა. მისი სიტყვებით, აზიელ ფანატიკოსებთან ყოფნას დასავლეთის იმპერიალისტთა გვერდით დგომა სჯობდა (Zhordania 2020). დამოუკიდებლობის გამოცხადება გერმანიის იმპერიის

სხვა სახელებით (მათ შორის, სომხითი) მოიხსენიებოდა. სომეხი მკვლევრები ხაზს უსვამენ იმ გარემოებას, რომ მე-10 საუკუნეში აქ სომხური დინასტია ბატონობდა. მე-20 საუკუნეში ბორჩალოს მოსახლეობის უმეტესობას თურქულენოვანი მუსლიმები შეადგენდნენ, რომელთა შთამომავლები თავს აზერბაიჯანელებად აიდენტიფიცირებენ.

მფარველობით ასეთივე ცივილიზაციური არჩევანით იყო ნაკარნახევი. არსებითად, 1918 წელს სოციალურ-დემოკრატიული მთავრობა იმპერიალისტთა პროტექტორატზე თანხმდებოდა, ოღონდ კი ოსმალური და ბოლშევიკური საფრთხეები აეცილებინა. გერმანელები მართლაც დაეხმარნენ ქართველებს ზემოთ ნახსენები ბორჩალოს გაკონტროლებაში. როდესაც გერმანელები ამიერკავკასიაში ბრიტანელებმა ჩაანაცვლეს, მათ ჟორდანიას მთავრობას, როგორც ყოფილი მტრის მოკავშირეს, ისე დაუწყეს ყურება.

საქართველოს მთავრობა ბრიტანეთის იმპერიასთან ურთიერთობების გაუმჯობესებას ცდილობდა, მაგრამ ამ ცდებს ორმხრივი სარგებელი არ მოუტანია. ბრიტანული ჯარების შემოსვლას საქართველო 1918 წლის დეკემბერში მიესალმა. მაგრამ პირველი მსოფლიო ომის შემდგომ ვითარებაში ბრიტანელებს ქართულ მასპინძლობაზე მეტად რუსეთის სამოქალაქო ომი და შუა აღმოსავლეთი აინტერესებდათ. შესაბამისად, დიდი ბრიტანეთი მაქსიმალურად იკავებდა თავს ადგილობრივ პოლიტიკაში ჩარევისაგან, თუმცა მის წარმომადგენლებს შეჰქონდათ წვლილი საქართველოს სამხრეთ და ჩრდილოეთ საზღვრებზე განვითარებული შეიარაღებული კონფლიქტების განმუხტვაში. იმავდროულად, საქართველოსა და მისი ახლად აღმოცენებული სამეზობლოს ბედი პარიზის სამშვიდობო კონფერენციაზე ირჩეოდა. მართალია, 1920 წლის იანვარში გამარჯვებული ანტანტის წევრებისგან საქართველოს ხელისუფლებამ დე-ფაქტო აღიარება მიიღო, სიტუაცია დაძაბული და წინააღმდეგობრივი რჩებოდა. ამ დროისათვის ბრიტანული ჯარი არსებითად მხოლოდ ბათუმში იდგა. ქალაქზე პრეტენზია საქართველოს ჰქონდა, მაგრამ ფაქტობრივად ბათუმიც და მისი ოლქიც ბრიტანელი სამხედრო გუბერნატორის კონტროლს ექვემდებარებოდა. ეს უკანასკნელი რუს კონტრრევოლუციონერებს თავისუფალი მოქმედების საშუალებას

აძლევდა. ამის გამო ქართულ-ბრიტანული ურთიერთობები ადგილზე საკმაოდ დაძაბული იყო (სამუშია 2022).

ბათუმში განვითარებული მოვლენები ქართული სახელმწიფოებრიობის კომპლექსურობასა და დრამატულ დასასრულს ირეკლავს. როგორც აზერბაიჯანული ნავთობის ტრანსპორტირების კარიბჭეს, ბათუმს სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა. ბრიტანელებიც ამიტომ იდგნენ აქ უფრო ხანგრძლივად, ვიდრე ამიერკავკასიის სხვა ადგილებში. გარდა დიდი ბრიტანეთისა და საქართველოსი, ბათუმი იზიდავდა არა მხოლოდ ზემოთ ნახსენებ ანტიბოლშევიკ რუსებს, არამედ ბოლშევიკებს, რეგიონის მუსლიმურ ძალებს და სომხეთს. ირონიაა, რომ ჟორდანიას მთავრობამ მოახერხა დაუფლებოდა ბათუმს, მაგრამ ამით საქართველოს დამოუკიდებლობის დასრულებაზე მეტოქეთა თანხმობას შეუწყო ხელი.

საქართველოს ისტორიის ამ მონაკვეთის ექსპერტები მიიჩნევენ, რომ 1920 წელს აზერბაიჯანისა და სომხეთის გასაბჭოებით, ანტანტისა და, კერძოდ, დიდი ბრიტანეთისათვის ამიერკავკასიის ტრანზიტულმა გზამ გეოპოლიტიკური მიმზიდველობა დაკარგა. გარდა ამისა, კონტრრევოლუციის მარცხმა რუსეთის სამოქალაქო ომში და შუა აღმოსავლეთში ნავთობის ახალი რეზერვების აღმოჩენამ კავკასიურ საქმეებში დასავლეთის ჩართულობა შეამცირა (Jones 2014, 4). შედეგად, 1921 წელს წამყვანმა სახელმწიფოებმა საქართველო დე-იურედ კი აღიარეს, მაგრამ პრაქტიკულად მათ რუსეთის განახლებულ პრეტენზიებთან გამკლავების სურვილი აღარ ჰქონდათ. იმავე წელს დიდმა ბრიტანეთმა ბოლშევიკებთან სავაჭრო ხელშეკრულება გააფორმა და შუა აღმოსავლეთში საკუთარი კოლონიური ინტერესების დაცვაზე კონცენტრირდა.

თუმცა საქართველოს მაშინდელი დიპლომატიური კორპუსის თვალსაჩინო წარმომადგენელი, ზურაბ ავალიშვილი თვლიდა, რომ ბრიტანეთის რეგიონული ინტერესების შემცირებაზე საქართველოს ხელისუფლებაც

იყო პასუხისმგებელი. იგი ამტკიცებდა, რომ 1920 წელს ამიერკავკასიის სამივე რესპუბლიკის დე-ფაქტო აღიარება ლონდონიდან პოტენციური თანადგომის მიმანიშნებელი იყო. ოღონდ საამისოდ საქართველოს, სომხეთსა და აზერბაიჯანს კოოპერაციის უნარი უნდა ეჩვენებინა.

სამწუხაროდ, სასურველი ერთობა არ შედგა. ავალიშვილის აზრით, ამიერკავკასიური თანამშრომლობის ჩაშლას ჟორდანიას მთავრობამ ორი კრიტიკული გადაწყვეტილებით შეუწყო ხელი. პირველი ბათუმის თაობაზე სომხეთთან წარუმატებელ მოლაპარაკებებს ეხებოდა. მოლაპარაკებების მედიაციას დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა სახელმწიფო მდივნის, ლორდ კერზონის გუნდი ახორციელებდა. 1920 წლის სან-რემოს კონფერენციის დროს მიმდინარე ქართულ-სომხურ შეხვედრაზე საქართველოს დელეგაციის ხელმძღვანელს, კარლო ჩხეიძეს განუცხადებია, რომ ასეთი საკითხების განხილვისას ქართული საზოგადოებრივი აზრი იყო გასათვალისწინებელი. იგი არ დაეთანხმა წინადადებას, რომ სომხეთს ბათუმამდე მისასვლელად ასაშენებელ რკინიგზაზე ექსტერიტორიული საკუთრების უფლება მისცემოდა. ეს იყო სომხეთის მოთხოვნა საქართველოსთან ხელშეკრულების დადების სანაცვლოდ. ავალიშვილს სჯეროდა, რომ ხელშეკრულების ტექსტში სიტყვების „ექსტერიტორიული საკუთრება“ ჩაწერა არაფერს დააშავებდა, რადგან პრინციპის დონეზე სომხეთს ისედაც ჰქონდა ეს უფლება. შესაბამისად, ჩხეიძის უარი ულოგიკო იყო (ავალიშვილი 1925, 340).

ამასთან, ავალიშვილი აკრიტიკებდა 1920 წლის საქართველო-რუსეთის და საქართველო-აზერბაიჯანის ხელშეკრულებებს. მას აოცებდა, თუ რა სწრაფად აღიარა საქართველომ ბოლშევიკური გადატრიალება ბაქოში, რითაც 1919 წლის ქართულ-აზერბაიჯანული ხელშეკრულება გააუქმა. ახლა ჟორდანიას მთავრობა უკვე საბჭოთა აზერბაიჯანთან ცდილობდა საზღვრების თაობაზე მოლაპარაკებას. რაც შეეხება ხელშეკრულებას რუსეთთან,

საქართველოს ხელისუფლება თანხმდებოდა, რომ საკუთარი ტერიტორიიდან უცხო ქვეყნის სამხედრო ძალები გაეძევებინა და ქართულ არმიაში უცხოელთა სამსახური არ დაეშვა. ავალიშვილისათვის ეს მუხლი ბათუმიდან ბრიტანელთა გაყვანის პირობას გულისხმობდა. იგი მიიჩნევდა, რომ 1920 წლის მაისის რუსეთ-საქართველოს სამშვიდობო ხელშეკრულებამ დასავლეთთან სამხედრო თანამშრომლობა გამორიცხა, რადგან ასეთი თანამშრომლობა ბათუმის „ინტერნაციონალიზაციის“ პერსპექტივაზე იყო დამოკიდებული (ავალიშვილი 1925, 353-354).

თანამედროვე ქართველი ისტორიკოსი ბექა კობახიძე არსებითად არ ეთანხმება ძველი დიპლომატისა და ისტორიკოსის ლოგიკას და ამტკიცებს, რომ საქართველოს მთავრობა რეგიონში ბრიტანელთა სამხედრო ყოფნას უფრთხილდებოდა. მთავრობა იმ აზრისა იყო, რომ ბათუმის საქართველოსათვის გადაცემას ბრიტანული სამხედრო კონტინგენტის ევაკუაცია არ უნდა მოჰყოლოდა (Kobakhidze 2024). კობახიძე მხარს უჭერს ზემოთ ნახსენებ არგუმენტს, თითქოს ბრიტანელთა ბათუმიდან გასვლა კავკასიისადმი მათი ინტერესის დაკარგვით იყო გამოწვეული (*Civil Georgia* 2021). რეგიონში საბჭოეთის შემოღწევის მიზეზი მისთვის ისაა, რომ დასავლეთს არ სურდა რუსეთთან კავკასიისათვის ბრძოლა. მაგრამ ასე რომც ყოფილიყო, ანუ ქართველებს გულწრფელად ნდომებოდათ ბრიტანელთა ბათუმში დატოვება და ბრიტანელებიც დათანხმებულიყვნენ, რჩება კითხვა: როგორც უნდა მომხდარიყო ეს რუსეთ-საქართველოს ხელშეკრულებით შექმნილ ახალ სისტემაში?

ვინც არ უნდა იყოს მართალი, საინტერესოა კობახიძის ხაზგასმა ქართული მთავრობის შიშზე, რომ ბრიტანეთს ბათუმი შეიძლება დამოუკიდებელ მინისახელმწიფოდ გამოეცხადებინა. ასეთი პერსპექტივით შეშფოთებული ჟორდანიას მთავრობა ისტორიულ მიწათა შემოკრების პროპაგანდას მისდევდა და ჯარს ბათუმისაკენ აგზავნიდა (Kobakhidze 2024). ეროვნული ინტერესების გადმოსახე-

დიდან მსგავსი ნაბიჯები გასაგები იყო, მაგრამ იმ მომენტში, როდესაც ქართულ-ბრიტანული თანამშრომლობა სწორედ საქართველოს ინტერესებში შედიოდა, მსგავსი პოლიტიკა მას ხელს არ უწყობდა. ავალიშვილი წერდა, რომ ბათუმის ოლქის საქართველოსათვის გადმოცემა თბილისში დემოკრატიის იმპერიალიზმზე გამარჯვებად აღიქვეს (ავალიშვილი 1925, 358). ასეთი რეაქციები ავალიშვილს ქართული მთავრობის თანამიმდევრულობაში აეჭვებდა.

გარდა დიდი ქვეყნების გეოპოლიტიკური მანევრებისა, რასაც საქართველო ვერ გააკონტროლებდა, ჟორდანიას ეროვნული პოლიტიკა სხვა გამოწვევების წინაშეც იდგა, რაზეც იგივე კარლ კაუცკის ნარატივი ბევრს არაფერს ამბობდა. ერთი მხრივ, საქართველოს სომხეთთან უფრო მნიშვნელოვანი – ტერიტორიული – დავა ჰქონდა, რასაც 1918 წელს ომიც მოჰყვა. მისი შეჩერება ბრიტანელთა ჩარევით მოხერხდა. იგივე ხდებოდა შავი ზღვის ჩრდილოდასავლეთ სანაპიროზეც, აფხაზეთის რეგიონში, სადაც ქართულ ხელისუფლებას რუსეთის ე.წ. თეთრგვარდიელი ანტიბოლშევიკები დაუპირისპირდნენ. ქართულ-აზერბაიჯანული ურთიერთობებიც დაძაბულობით იყო დაღდასმული. პირველ დაპირისპირებებს 1918 წელს ჰქონდა ადგილი, აზერბაიჯანის გასაბჭოების შემდეგ დაპირისპირებამ სახელმწიფოთაშორისი კონფლიქტის სახე მიიღო. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში ოსმალთა არმიის შემოჭრამ ასევე დატოვა ინტერკომუნალური დაპირისპირების ჭრილობები. სხვათა შორის, ამ ჭრილობებმა ბრიტანელებთან ბათუმის გამო დავაშიც შეიტანა წვლილი. მაგრამ ალბათ ყველაზე დიდი გამოწვევა მანამ, სანამ საქართველოში წითელი არმიის მასშტაბური ინტერვენცია განხორციელდებოდა, აფხაზეთსა და ცენტრალურ საქართველოში, ოსთა მიერ დასახლებულ ზონაში განვითარებული ინტერეთნიკური კონფლიქტები იყო. ამის მიზეზს ეთნიკურ ჯგუფებში ეროვნული თვითგამორკვევის იდეის მზარდი პოპულარობა წარმოადგენდა.

ქართველი სოციალ-დემოკრატები, რომლებიც ავსტრო-მარქსიზმის იდეებზე აღიზარდნენ, მზად იყვნენ კომპრომისებისათვის როგორც აფხაზურ, ისე ოსურ თემთან. აფხაზებთან ურთიერთობა შედარებით მშვიდობიანად წარიმართა. მიუხედავად იმისა, რომ აფხაზური არისტოკრატიის ნაწილი მარქსისტულ სოციალურ პოლიტიკას არ იღებდა და ხან პროთურქული, ხანაც პრორუსული ორიენტაციით გამოირჩეოდა, 1921 წლამდე საქართველოს მთავრობა სოხუმში მრავალპარტიული სახალხო საბჭოს ოპერირებას უზრუნველყოფდა და ავტონომიაზე მსჯელობებიც შედარებით მშვიდობიანად მიმდინარეობდა.[23] მოვლენები უფრო სისხლიანი გამოდგა ე.წ. სამხრეთ ოსეთში, როგორადაც ოსი ნაციონალისტები ცენტრალური საქართველოს გარკვეულ ტერიტორიებს მოიაზრებდნენ. 1918-1920 წლებში აქ აჯანყებები ხდებოდა, რომელთაც ბოლშევიკები ხელმძღვანელობდნენ. აფხაზეთისაგან განსხვავებით, ოსი გლეხების კომპაქტურად განსახლების არეალში ბოლშევიკები თითქმის სრული მხარდაჭერით სარგებლობდნენ. ინტერეთნიკულ ძალადობას ამწვავებდა სასოფლო-სამეურნეო მიწების მფლობელობისათვის განვითარებული დავები. თაობების მანძილზე, ოსი მთიელები ხიზნებად სახლდებოდნენ ქართველი თუ გაქართველებული არისტოკრატიის

23 აღსანიშნავია, რომ აფხაზეთს ფეოდალური ავტონომიის რამდენიმე საუკუნოვანი ტრადიცია ჰქონდა. მე-8 საუკუნეში მისმა მმართველებმა გავლენა მთელ დასავლეთ საქართველოზე განავრცეს. მოგვიანებით, აფხაზური დინასტია ქართველ ბაგრატიონებს დაუმოყვრდა, რის შემდეგაც ერთიანი სამეფოს ბაგრატიონ მმართველთა ტიტულატურა „მეფე აფხაზთათი“ იწყებოდა. ერთიანობის დაშლის შემდეგ აფხაზეთმა ავტონომიური არსებობა განაგრძო და დასავლეთ საქართველოს მეგრულ სამთავროსთან მტერ/მოყვრული მეზობლობა განავითარა. გარკვეულწილად, შუა საუკუნეების დროინდელ აფხაზთა და ქართველთა მმართველების შერწყმა იაგელონიანთა დინასტიის მიერ გაერთიანებული ლიტვა-პოლონეთის შემთხვევას წააგავს. აფხაზური არისტოკრატია ისეთივე ქართულ აკულტურაციას განიცდიდა, როგორსაც ლიტვური პოლონეთში. თუმცა შემდგომში ლიტვისა და აფხაზეთის განვითარება სხვადასხვა გზით წარიმართა.

მამულებში და, ბუნებრივია, რომ აგრარულ ქვეყანაში ეს კონფლიქტოგენური ნიადაგი იყო.[24] აჯანყებები საბჭოთა რუსეთიდან იყო წახალისებული და მხარდაჭერილი.

ამ აჯანყებებს ქართული არმია და ე.წ. სახალხო გვარდია ახშობდა. ამან ოსთა ჩრდილოეთში გადასახლება და მათ შორის პრორუსული სენტიმენტების გაძლიერება გამოიწვია. მთლიანობაში, დამოუკიდებელი არსებობის სამი წლის მანძილზე საქართველოს მთავრობას არ შეეძლო ეროვნულ უსაფრთხოებასთან და იდენტობასთან დაკავშირებული ყველა პრობლემის გადაწყვეტა. 1921 წლის 21 თებერვლისათვის, როდესაც საქართველოს დამფუძნებელმა კრებამ კონსტიტუცია მიიღო, საბჭოთა რუსეთის წითელი არმია უკვე ღრმად იყო ქვეყანაში შემოჭრილი. აგრესიის საბაბად რუსეთმა გამოიყენა ქართულ-სომხურ საზღვარზე არსებული დაძაბულობა და სადავოდ ქცეულ ბორჩალოში ადგილობრივ სომეხთა და რუსთა აჯანყება (საქართველოს რესპუბლიკა 1921), რაც ბოლშევიკების მიერვე იყო ორგანიზებული თუ ინსცენირებული. 25 თებერვალს თბილისი დაეცა.

---

24 მიწებზე დავებთან დაკავშირებული ძალადობა კარგადაა დოკუმენტირებული ქართულ საბჭოთა ისტორიოგრაფიაში (სურგულაძე 1972, 488, 574-580). იდეოლოგიური მიზეზების გამო, საბჭოთა ისტორიკოსები ამ ძალადობის ეთნიკურ შემადგენელს ხაზს არ უსვამდნენ, თუმცა აღნიშნავდნენ, რომ ქართული მთავრობა მოვლენებს ნაციონალურ პრიზმაში ხედავდა. პოსტსაბჭოთა ისტორიოგრაფია უფრო გულახდილია იმის თაობაზე, რომ ამ დავების ფარგლებში უმიწაწყლო ოსები ქართველ მემამულეებსა და სხვა ქართველ მოსახლეებს ესხმოდნენ თავს (იხ. მაგალითად გუნცაძე 2022).

საბჭოთა ჰიბრიდულობა

ცხადია, რომ საქართველოს ძალისმიერი გასაბჭოებით ეროვნული იდენტობისა და ნაციონალიზმის პრობლემა არ ამოიწურებოდა. ზემოთ აღვნიშნეთ, რომ ქართველ ბოლშევიკთა ერთ-ერთი ლიდერი ფილიპე მახარაძე, რომელიც ბორჩალოში რუსების მეხუთე კოლონის შექმნით იყო დაკავებული, ცოტა ხანში რუსი კურატორების კრიტიკოსი გახდა. მართალია, მას ტონი მალევე შეაცვლევინეს და მახარაძემ მოსკოვში მზარდი გავლენის მქონე ანტინაციონალისტი სტალინის ბანაკში გადაინაცვლა, მაგრამ ადგილობრივ ქართველ კომუნისტთა სეპარატიზმი ამით არ დასრულებულა.

„ნაციონალ-უკლონიზმი“, როგორადაც ოპონენტები საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტის იმჟამინდელი ხელმძღვანელობის პოზიციას ახასიათებდნენ, ქართული არმიის და ვალუტის გაუქმებას ეწინააღმდეგებოდა. „უკლონისტებს“ არც კავკასიის რკინიგზის მენეჯმენტის გაერთიანება სურდათ (ჟვანია 1990, 7-15). მოგვიანებით „უკლონისტები“ დაუპირისპირდნენ ამიერკავკასიის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის შექმნის გეგმას, რომელიც რეგიონის კურატორის, რუსეთის კომუნისტური პარტიის კავკასიის ბიუროს მიერ იყო შემოთავაზებული (ჟვანია 1990, 21-22). ქართველ კომუნისტთა ხელმძღვანელობა მხოლოდ იმას ითხოვდა, რომ ასეთი ცვლილებები ფრთხილად და ეტაპობრივად განხორციელებულიყო – ისინი არ და ვერ ეწინააღმდეგებოდნენ მომავალ სოციალისტური ერთა საბოლოო ინტეგრაციის კომუნისტურ პრინციპს. მაგრამ ნაციონალური სუვერენტის სიმბოლოებისადმი გამოჩენილი ეს სიფრთხილე აჩვენებდა, თუ რამდენად ღრმად იყო თანამედროვე ეროვნული თვითშეგნება ქა-

რთველებში გამჯდარი. ბევრი იმჟამინდელი ადგილობრივი კომუნისტისათვის სოციალიზმი უფრო ტრადიციული იმპერიალისტური ძალებისადმი მტრობას ნიშნავდა, ვიდრე საკუთარი სახელმწიფოებრიობის უარყოფას.

საბოლოო ჯამში, ლენინმა არჩია, რომ 1922 წლის დეკემბერში რუსეთის, უკრაინის, ბელორუსის და ამიერკავკასიის დელეგაციების კონფერენციაზე დაარსებულ საბჭოთა კავშირს თანასწორ პარტნიორთა თავისუფალი ფედერაციის ელფერი ჰქონოდა. შესაბამისად, „უკლონისტთა“ შიშები ნაწილობრივ მოიხსნა. არსებობს საბჭოთა ისტორიოგრაფიული კლიშე, რომლის თანახმადაც ლენინი და სტალინი საბჭოთა კავშირის აგებულებაზე დავობდნენ. ითვლება, რომ სტალინს რუსეთის ფედერაციის განვრცობა სურდა, რომლის ფარგლებშიც ყოფილი იმპერიის განაპირა გუბერნიებში მცხოვრებ ერებს ავტონომიის სტატუსი უნდა მიეღო. ლენინი კი უფრო „დემოკრატად“ და ქართველთა თუ უკრაინელთა წუხილების გულშემატკივრად იყო მიჩნეული. საბჭოთა ისტორიკოსების თანახმად, 1922 წლის სექტემბერში სტალინს ლენინი „ნაციონალ-ლიბერალად“ მოუნათლავს (ჟვანია 1990, 43).

რასაკვირველია, ერის მშენებლობაში მნიშვნელოვანია ფორმა, სიმბოლო, დისკურსი. საქართველოსათვის რესპუბლიკის სტატუსის მინიჭება, ისევე როგორც 1936 წელს ამიერკავკასიის საბჭოთა სოციალისტური ფედერაციის გაუქმება, ქვეყნის პარტიული ბიუროკრატიისათვის შეიძლება მთელი საბჭოთა კავშირის თანამესაკუთრის განცდის მიმცემი ყოფილიყო. 1922 წელს ქართველი კომუნისტები დაეთანხმნენ ჯერაც არგაუქმებულ მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიას და რესპუბლიკის პირველ კონსტიტუციაში ქართული ენის სახელმწიფო სტატუსიც დააფიქსირეს (ბლუაშვილი 2016, 141). ზოგიერთი სხვა რესპუბლიკისაგან განსხვავებით, ეს მუხლი შემდგომ მიღებულ საბჭოურ კონსტიტუციებსა თუ მათ ახალ რედაქციებშიც რჩებოდა. ამის პარალელურად, სიტყვა „ავტონომია“ ნელ-ნელა კარგავდა მიმზიდველობას

როგორც საერთო-საბჭოურ, ისე კონკრეტულად ქართულ სემანტიკაში. მაგალითისათვის, თავდაპირველად აფხაზეთმა საქართველოსთან „ასოცირებული“ სრულფასოვანი რესპუბლიკის სტატუსი მიიღო. როდესაც 1931 წელს აფხაზეთი საქართველოს ავტონომიურ რესპუბლიკად გადაკეთდა, აფხაზურ ელიტას შორსმიმავალი რესენტიმენტის განცდა განუვითარდა.

ყოველივე ზემოთქმულთან დაკავშირებით ისიც არ უნდა დავივიწყოთ, რომ საბჭოთა ფედერალიზმს და რესპუბლიკათა თვითმმართველობას შეზღუდული პრაქტიკული გამოყენება ჰქონდა, რადგან მთელ ახალ სახელმწიფოს ზეცენტრალიზებული კომუნისტური პარტია მართავდა. ასეთ ჩარჩოში მოქცეული როგორც ქართული, ისე აფხაზური ელიტა ე.წ. საერთო საკავშირო ნომენკლატურას ეკუთვნოდა. პარტიული მშენებლობის ყავლგასულელი პრინციპი – დემოკრატიული ცენტრალიზმი – უშუალოდ ვლადიმერ ლენინის სახელს უკავშირდება. მოგვიანებით სტალინმა მასზე „ნომენკლატურა“ დააფუძნა. ნომენკლატურა ანუ კლასიფიკაცია საჯარო/ადმინისტრაციული თანამდებობების და მათზე დანიშნული/დასანიშნი კადრების სიას წარმოადგენდა. იგი სხვადასხვა დონეებს გულისხმობდა და, არსებითად, ახალი მმართველი კლასის მატრიცის ფუნქციას ასრულებდა. ნომენკლატურა საბჭოთა კავშირის მთავარ პოლიტიკურ, ადმინისტრაციულ, ეკონომიკურ და კულტურულ სტრუქტურადაც შეგვიძლია გავიგოთ. მისი მეშვეობით ირკვეოდა თუ რომელი დონის პარტიული ორგანიზაცია იყო პასუხისმგებელი კონკრეტული თანამდებობის პირის დანიშვნასა და მოხსნაზე. ცხადია, რომ მთავარი საკადრო გადაწყვეტილებები საკავშირო კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დონეზე წყდებოდა.

ამ სისტემით მკვლევრები განსაკუთრებით იუგოსლავი ექსკომუნისტისა და დისიდენტის, მილოვან ჯილასის წიგნის „ახალი კლასი“ გამოცემის შემდეგ დაინტერესდნენ. ჯილასი კომუნისტურ ბიუროკრატიას „სოციალისტური

საკუთრების“ დე-ფაქტო მფლობელად თვლიდა (Djilas 1957). როგორც საბჭოთა ისტორიის ცნობილი ექსპერტი მოშე ლევინი წერდა, მე-20 საუკუნის 40-იან წლებში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ დასანიშნ და მოსახსნელ პირთა რაოდენობა 43 000 იყო (Lewin 2005, 139). მათ შორის იგულისხმებოდნენ საკავშირო რესპუბლიკებისა და ავტონომიების ხელმძღვანელები, რომელთაც თავისი კლასიფიცირებული პერსონალი ჰყავდათ. ეს არ ნიშნავდა, რომ კონკრეტულ ტერიტორიულ ერთეულში მოქმედი ნომენკლატურული პოზიცია/აქტორი მხოლოდ იმ ერთეულის კომუნისტურ ორგანიზაციას ექვემდებარებოდა. მაგალითისათვის, საქართველოში მოსკოვი მარტო რესპუბლიკური ხელმძღვანელობის „არჩევას“ არ აკონტროლებდა – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის კანდიდატურაც საკავშირო ცენტრალურ კომიტეტთან უნდა შეთანხმებულიყო (კომუნისტური პარტიის არქივი 2019). საერთო სტრუქტურაში იყო ორმაგი დაქვემდებარების ნომენკლატურული პოზიციები, რომლებსაც როგორც ცენტრი, ისე უფრო ქვედა დონის პარტიული ორგანიზაცია კურირებდა.

თანამედროვე რუსი სოციოლოგები ყურადღებას კომუნისტური ნომენკლატურის ქცევითი მოდელების, პოლიტიკური იდეების და ღირებულებების პოსტკომუნისტურ განგრძობადობაზე ამახვილებენ (Nisnevich and Ryabov 2017, 86). რონალდ სუნისთვის, ეს მოდელები გულისხმობდა „გამოუვალ სიტუაციებში გადარჩენისათვის იძულების, რეპრესიების, სიცრუისა და კანონდარღვევების გამოყენებას [...] საკუთარი მარცხისათვის ბრალის მოგონილ მტრებზე გადატანას“ (Suny 1994, 262).

პრაქტიკაში ასეთი სისტემა პატრონ-კლიენტური ქსელების შექმნას უწყობდა ხელს. ქსელები თავს იყრიდა მოსკოვში, სადაც ძალაუფლების ცენტრი მდებარეობდა. პერიფერიებში სისტემა ეროვნულ კლანებს წარმოშობდა. თუმცა, ეროვნულ დონეზე ეს კლანები თითქმის არასო-

დეს ერთიანდებოდა, რადგან რესპუბლიკებში, ავტონომიებსა თუ რაიონებში ძალაუფლებისათვის ბრძოლა არ წყდებოდა. შედეგად, ბრძოლების მონაწილე ყველა დაჯგუფება მფარველებს საკავშირო დონეზე ეძებდა. ასეთი კლანებისა და ქსელური კავშირების გარეშე, საეჭვოა, რომ 1985 წელს ედუარდ შევარდნაძეს საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრობამდე მიეღწია. ვერც ჯუმბერ პატიაშვილი გახდებოდა შევარდნაძის მემკვიდრე რესპუბლიკის ხელმძღვანელ თანამდებობაზე, რომ არა პირადი ნაცნობობა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის გენერალურ მდივანთან, მიხეილ გორბაჩოვთან: სავარაუდოდ, შევარდნაძეს არ სურდა, რომ პატიაშვილი მისი მემკვიდრე გამხდარიყო.[25]

რაც არ უნდა ყოფილიყო კომუნისტი ლიდერების იდეოლოგიური ხედვა, საბჭოთა ეპოქაში საქართველო ხელახლა ემსგავსებოდა ფეოდალურ ერთეულს, რომლის უფლისწულები უცხოელი მბრძანებლის კეთილგანწყობისათვის იბრძოდნენ. მსგავს ტენდენციას არც რუსეთის იმპერიის საბოლოო გაბატონებისა და, არც დამოუკიდებლობის სამწლიან პერიოდში არ ჰქონია ადგილი. ოღონდ ახლა ყველაფერი სოციალისტური მოდერნიზაციის ლოზუნგების ქვეშ ხდებოდა და უფლისწულებიც წითლები იყვნენ. თუ საბჭოური სოციალიზმი კლანურ-ფეოდალურ ურთიერთობებს ვერ აღკვეთდა, მით უმეტეს უძლური იყო იგი ნაციონალური განცდების წინაშე. მეტიც, შეგვიძლია დავეთანხმოთ რონალდ სუნის, რომ „ქართველების ეროვნული კონსოლიდაცია საბჭოთა ხელისუფლების სამოცდაათწლიანი მმართველობის პირობებში დასრულდა“ (Suny 1994, 334).

ნაციონალიზმის თვალსაზრისით, 1921-1988 წლები ალბათ ყველაზე პარადოქსული იყო. პოლონურ ანალოგს თუ შევადარებთ – რაც ჩვენი ნაშრომის მთავარი მიზანია – ქართველი საბჭოთა ერი ამ პერიოდში მას უფრო

25 ფოფხაძე, ნუგზარ. ინტერვიუ ჩაწერა მიხეილ მაჭავარიანმა და დავით დარჩიაშვილმა. თბილისი მარტი, 2019.

დასცილდა, ვიდრე მე-19 საუკუნეში. თუ პოლონელები კომუნისტური რეჟიმის დამყარების შემდეგაც უსმენდნენ თავის ემიგრირებულ ინტელექტუალებს და, ჯერ 50-იან წლებში, შემდეგ კი 80-იანების დამდეგს მასობრივად გამოხატავდნენ ეროვნულ იდენტობაზე დაფუძნებულ კულტურულ, სოციალურ თუ პოლიტიკურ მოთხოვნებს, ქართული საზოგადოება საბჭოთა ხელისუფლებას უფრო იყო შეგუებული. 1924 წელს ქართველები აჯანყდნენ, მაგრამ აჯანყება შედარებით მცირე მასშტაბის იყო, რამაც შემდგომში ნიჰილიზმი გააძლიერა. ქართული ემიგრაცია, რომელიც მემარცხენე და მემარჯვენე ნაციონალისტ მოაზროვნეებს აერთიანებდა, საკმაოდ იზოლირებული იყო. ამავდროულად, განსაკუთრებით კი 30-იანი წლებიდან, კომუნისტური რეჟიმი საქართველოში არა მხოლოდ მასობრივ რეპრესიებს აწყობდა, არამედ შედარებით ეფექტურ კულტურულ პოლიტიკასაც ატარებდა. როგორც ერთი, ისე მეორე, ზემოდან, სტალინისაგან მოდიოდა. „შინაარსით სოციალისტური და ფორმით ეროვნული“ – ასეთი იყო კომუნისტური იდეოლოგემა კულტურასთან მიმართებით, რომელიც საბჭოთა კავშირის მიღმაც ვრცელდებოდა. მის ქვეშ სტალინი გულუხვად აფინანსებდა ქართულ მეცნიერებასა და ხელოვნებას. 1937 წელს ილია ჭავჭავაძის დაბადების 100 წლისთავი მთელ საბჭოეთში აღინიშნა. მოდერნული ქართული ნაციონალიზმის დამფუძნებელი მამა რევოლუციური ცვლილებების წინამორბედად გამოცხადდა. სტალინი მხარს უჭერდა რუსეთის იმპერიის კრიტიკას და იმდროინდელი ოფიციალური ისტორიოგრაფიის კვალობაზე, ქართული სამეფო-სამთავროების გაუქმებას „ნაკლებ ბოროტებად“ აღიქვამდა. ეს იყო დრო, როდესაც ე.წ. სოციალისტური რეალიზმის პარალელურად, ლიტერატურაში ისტორიული რომანები იყო წახალისებული.

ამასთან, ისტორიული ინტერპრეტაციები იმ ერების წინააღმდეგ უნდა ყოფილიყო მიმართული, რომლებიც რუსეთისათვისაც ნეგატიური კონოტაციებით დატვირთულ

„სხვას“ წარმოადგენდნენ. საქართველოს შემთხვევაში, ასეთები თურქ-ოსმალები და სპარსელები იყვნენ. თუმცა, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ნებადართული იყო იმპერიისდროინდელ რუს ოკუპანტთა კრიტიკაც, თუ მას კლასობრივი ბრძოლის ელფერი ექნებოდა. ამის ნიმუშია მიხეილ ჯავახიშვილის „არსენა მარაბდელი“. ეს ტენდენცია ჩანდა კომუნისტურ პოლონეთშიც, სადაც პოლონურ-გერმანული და პოლონურ-შვედური ისტორიული დაპირისპირებანი ფილმებში ცოცხლდებოდა და კინემატოგრაფიული პროპაგანდის სახეს იძენდა.

სტალინი საბჭოთა ხელისუფლების ლეგიტიმაციის და კონსოლიდაციის სხვა არაკომუნისტურ საშუალებებსაც ეძებდა. 1937 წელს ალექსანდრე პუშკინი რუსობის ფუნდამენტურ საყრდენად გამოცხადდა, მალე კი ივანე მრისხანეს და რუსეთის სხვა ისტორიული ფიგურების განდიდება დაიწყო. ამ დროის პროპაგანდისტულ კლიშედ იქცა „უფროსი ძმის“ ცნება: რუსები სოციალისტური ერების ოჯახის უფროს წევრად ცხადდებოდნენ.

ბევრი საბჭოთა მწერალი, რეჟისორი, მხატვარი თუ მეცნიერი ნომენკლატურაში ირიცხებოდა და განსაკუთრებული სოციალური პრივილეგიებით სარგებლობდა (Lewin 2005, 141). საქართველოში ისინი კომუნისტურ ხელმძღვანელობასთან ერთად ქმნიდნენ ელიტას. პარტიის აპარატში ახალგაზრდა მეცნიერების მოზიდვას გვიანსაბჭოური კომუნისტი ლიდერი, ედუარდ შევარდნაძე განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა.[26] საქართველოს გასაბჭოების განდიდების პარალელურად, ქართველ ისტორიკოსებს 1918-1921 წლების მოკრძალებული ქებაც შეეძლოთ, ოღონდ ეს მხოლოდ ისეთ კულტურულ მოვლენებს თუ ეხებოდა, როგორიც ეროვნული უნივერსიტეტისა და კონსერვატორიის გახსნა იყო (სურგულაძე 1972, 588). მსგავსი შერბილებები შეიძლება პოლონეთში 1956 წლის შემდეგ ანტიკომუნისტური „არმია კრაიოვას“ წევრების

26 ლორთქიფანიძე, ვაჟა. ინტერვიუ ჩაწერა დავით დარჩიაშვილმა. თბილისი. მარტი, 2023.

რეაბილიტაციას შეედაროს. მაგრამ ქართული მაგალითი მაინც ფერმკრთალია პოლონურთან შედარებით.

1956 წლის მარტი თბილისში ისეთივე სისხლიანი აღმოჩნდა, როგორიც 1956 წლის ივნისი პოზნანში. საქართველოს დედაქალაქსა და ერთ-ერთ უმსხვილეს პოლონურ ქალაქში მაშინ განვითარებული მასობრივი პროტესტი ღიად ანტიკომუნისტური არ ყოფილა. პოლონელმა მუშებმა სოციალური პირობების გაუმჯობესება მოითხოვეს, ქართველი სტუდენტებმა და სხვებმა კი ნიკიტა ხრუშჩოვის მიერ პარტიის მე-20 ყრილობაზე დაწყებული დესტალინიზაციის კამპანია გააპროტესტეს. თუ პოლონეთში დემონსტრანტების დარბევას ერთგვარი დათბობა მოჰყვა, მარტის ამბები საქართველოს ისტორიაში შეიძლება კონსერვატიულ რეაქციადაც მოინათლოს. მაგრამ, ჯერ ერთი, ეს იყო 1924 წლის შემდეგ არნახული სახალხო მღელვარება და მეორეც, როგორც ამ ამბების ბევრი მონაწილე იგონებდა, სტალინი მათთვის მხოლოდ ქართველობის სიმბოლო იყო, რომლის გმობაც ეროვნულ შეურაცხყოფად აღიქმებოდა (ბლუაშვილი 2016, 244). თბილისის გამოსვლებმა აჩვენა, თუ როგორ ახერხებდა მკვდარი დიქტატორის აჩრდილი ხალხის ტვინების გამორეცხვას. მაგრამ პროტესტი იმასაც აჩვენებდა, თუ რა ძლიერი იყო ეროვნული იდენტობის განცდა. მხოლოდ დროის ამბავი იყო, რომ ეს განცდა სხვა კალაპოტში მოქცეულიყო.

1978 წლის 14 აპრილს საბჭოთა საქართველოში ეროვნული გრძნობების კიდევ ერთი ამოფრქვევა მოხდა. ამ დღეს სტუდენტური მასა თბილისის ცენტრალურ პროსპექტზე ქართული ენის სახელმწიფო სტატუსის დასაცავად გამოვიდა. ამჯერად პროტესტმა შედეგი გამოიღო, რადგან მოსკოვში კონსტიტუციის შესაბამისი მუხლის ამოღება გადაიფიქრეს. ეს სიახლე პროტესტანტებს ედუარდ შევარდნაძემ პირადად აცნობა. როგორც ერთი მაშინდელი მაღალჩინოსანი იხსენებდა, ამ დროის კომუნისტების საგრძნობ ნაწილს ოფიციალური იდეალებისა

და ლოზუნგების თავადაც აღარ სჯეროდა.[27] თუმცა საბ-ჭოთა საქართველოს ხელისუფლება კვლავ ცდილობდა იმ დისიდენტთა დევნას, ვინც პოლიტიკური მოთხოვნე-ბის წამოყენებას შეეცდებოდა. ეს იყო დრო, როდესაც შე-ვარდნაძემ მოსკოვის თვალთმაქცური მსახურების მწვე-რვალს მიაღწია – მან განაცხადა, რომ მზე საქართველო-სათვის ჩრდილოეთიდან ამოდიოდა და ეს ლენინის იდე-ათა მზე იყო (Chikovani and Kakitelashvili 2015, 131). მსგა-ვსი დისკურსული პასაჟები ნათლად მიუთითებდა, რომ ქართული ელიტა ვასალური ბუნების იყო. იგი ირჩევდა მსახურებას როგორც პერსონალური თუ ჯგუფური, ისე ეროვნული სარგებლის გამო. ნაციონალურ ამოცანებთან მიმართებით, კომუნისტები კულტურის მხარდაჭერაზე კონცენტრირდებოდნენ. ნებსით თუ უნებლიეთ, მათი პოლიტიკა ეთნიკური ნაციონალიზმის ზრდას უწყობდა ხელს: სამოქალაქო ნაციონალიზმი – სუროგატული ფორ-მით – მოსკოვის მიერ იყო მონოპოლიზებული.

საბჭოთა ნაციონალური პოლიტიკის თავსატეხის ყველა ეს ნაწილი შეიძლება იმ ჰიბრიდულობის გამო-ვლენად იქნეს დანახული, რომლის შესახებაც შესავალში ვსაუბრობდით. ჰიბრიდულობა იმპერიულ ჩარჩოში მოქ-ცეულ კოლონიზატორთა და კოლონიზებულთა ურთიერ-თმიმართების აღმწერი კონცეპტია. მისი ნიშნები იყო რო-გორც თბილისისა და მოსკოვის, ისე მოსკოვისა და ვარშა-ვის ურთიერთობებში. საბჭოთა კავშირის კოლონიური ბუ-ნება კარგად აქვს გააზრებული პოლონეთის მკვლევარ ევა ტომპსონს. იგი წერდა, რომ „კოლონიალიზმი მყარდება და ხორციელდება ძალადობით. ამ გარემოებას არ აქცე-ვენ ყურადღებას ისინი, ვისაც პოლონეთისა და საბჭოთა კავშირის ურთიერთობა მხოლოდ დამოკიდებულება ჰქო-ნია“ (Thompson 2014, 73). მაგრამ ძალადობის გარდა, კო-ლონიალიზმი იდეურ განზომილებას – დაპყრობილთა გულითა და გონებით მანიპულაციასაც საჭიროებდა. ჰი-

27 ლორთქიფანიძე, ვაჟა. ინტერვიუ ჩაწერა დავით დარჩიაშვილმა. თბილისი. მარტი, 2023.

ბრიდულობის ნიადაგი შეიძლება საქართველოს ავტონომიურობის გარკვეულ სიმბოლოებთან ცენტრის შემგუებლობაში დავინახოთ, თუმცა ეს სიმბოლოები თითქმის მთლიანად იყო დაცლილი პოლიტიკური საზრისისაგან; კომუნისტური სახელმწიფო საქართველოში გარკვეულ ეკონომიკურ და კულტურულ პროექტებს აფინანსებდა და მისი ხელოვნების მიღწევების საკავშირო პოპულარიზაციას ეწეოდა; ხდებოდა საქართველოს წარმომადგენელთა კომუნისტური ელიტის უმაღლეს ეშელონებში კოოპტაცია როგორც სტალინის დროს, ისე შემდეგშიც. ქართველთა გავლენები ე.წ. ჩრდილოვან ეკონომიკაში და ორგანიზებულ დამნაშავეობაში ასევე საგანგებო აღნიშვნას იმსახურებს. ეს სექტორები მთელ საბჭოთა კავშირში ნომენკლატურული პოლიტეკონომიის პარალელურად ყვაოდა. შეუძლებელი იყო, რომ ყველაფერ ამას ნაციონალიზმის წისქვილზე არ დაესხა წყალი: „თანამდევი სოციალური და ეკონომიკური განვითარებით, კოლონიალიზმი ნაციონალიზმის განვითარებას უწყობდა ხელს“ (Carey and Raciborski 2004, 219).

პოსტკომუნისტური საქართველოს იდეური და დისკურსული პროფილი

უნივერსალური კონფლიქტოგენური პოტენციალის მქონე ეთნიკური ნაციონალიზმი საქართველოში ორი დრამატული პროცესის ხელშემწყობი გახდა: ერთია არანაკლებ მომთხოვნ აფხაზურ და ოსურ ეთნიკურ ნაციონალიზმებთან დაპირისპირება, მეორე კი – ამ დაპირისპირებებში რევიზიონისტული რუსეთის ფედერაციის ჩარევა. ერთობლიობაში, ამ ფაქტორებმა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობები ქართული პოლიტიკური დისკურსის და ჩანასახოვანი უსაფრთხოების პოლიტიკის ქვაკუთხედად აქცია. ქართული საზოგადოების ნაწილისათვის მაინც, მზარდი ევროატლანტიკური ორიენტაციის მიზეზი არა იმდენად ქვეყნის ისტორიულ ტრაექტორიაზე რეფლექსია ან ღირებულებითი არჩევანი იყო, არამედ რუსულ აგრესიულობაზე პასუხი.

ნათქვამი არ ნიშნავს, რომ საბჭოთა კავშირის კრიზისის პირობებში, იმპერიული და საბჭოთა ხანის რესენტიმენტი ახალი ძალით არ იღვიძებდა. სიტყვის უპრეცედენტო თავისუფლებაში მატერიალიზებული „გლასნოსტი“ და „პერესტროიკა“, რომლებიც საკავშირო კომუნისტური პარტიის უკანასკნელმა გენერალურმა მდივანმა, მიხაილ გორბაჩოვმა დააინიციირა, ჩაკლულ იდეებსა და ემოციებს აძლევდა გასაქანს. საქართველოში ყოველივე ისეთი იდეოლოგიური სქოლასტიკის უარყოფაში გამოიხატა, როგორიც იყო მტკიცება, თითქოს „ბურჟუაზიულ ისტორიოგრაფიას“ არ ესმოდა საბჭოთა დაგეგმვის დემოკრატიული ცენტრალიზმის არსი და რესპუბლიკური ინტერესების ცენტრისადმი დაქვემდებარება ეროვნული რესპუბლიკების რუსეთისადმი მორჩილება ეგონა (სტურუა და ნათმელაძე 1980, 80). ამის ნაცვლად, ისტორიკოსები,

რომლებიც წინა ცხოვრებაში საქართველოს გასაბჭოებას განადიდებდნენ, ახლა ენთუზიაზმით წერდნენ, რომ 1921 წელს დამოუკიდებელი რესპუბლიკის ოკუპაცია და ანექსია განხორციელდა. 1990 წლის მარტში, როდესაც საბჭოთა კავშირი ჯერ არ გაუქმებულიყო და გორბაჩოვს რეფორმების იმედი არ განელებოდა, კომუნისტებით დაკომპლექტებულმა საქართველოს სსრ უზენაესმა საბჭომ იგივე ტერმინოლოგიის შემცველი რეზოლუცია მიიღო.

ქართველ კომუნისტთა ტრანსფორმაციის გულწრფელობა ინტერპრეტაციის საკითხია. მსგავსი მოსაზრებები და ეროვნული დამოუკიდებლობის მოთხოვნა თავდაპირველად ციხიდან გათავისუფლებულ დისიდენტთა არაფორმალური ორგანიზაციების მიერ იყო გაჟღერებული. მაშინდელი საქართველოს კომუნისტური პარტიის პირველი მდივანი, ჯუმბერ პატიაშვილი დისიდენტებთან კომუნიკაციისა და ეროვნულ გამათავისუფლებელ მოძრაობაში ჩაბმისათვის შეუფერებელი აღმოჩნდა.[28] მოძრაობის კულმინაცია იყო 1989 წლის 9 აპრილი – პატიაშვილის უმოქმედობისა თუ ჩუმი თანხმობის ფონზე, დამოუკიდებლობის მომთხოვნი დემონსტრანტები საბჭოთა არმიამ სასტიკად დაარბია. მაგრამ 1956 წლის მარტისაგან განსხვავებით, დარბევამ ქართული საზოგადოება ვერ გააჩუმა. დროება შეცვლილიყო და ეროვნული მოძრაობა მასობრივი გახდა. მასში აღმოჩნდნენ კომუნისტებიც. 1990 წლის ოქტომბერში ჩატარებული უზენაესი საბჭოს პირველ მრავალპარტიულ არჩევნებში დისიდენტმა ზვიად გამსახურდიამ გაიმარჯვა.

ქართულ განათლებულ კლასში ყოველთვის იყვნენ ინდივიდები, რომელნიც ეთნიკური უმსჯელობებიდან ნაციონალიზმის რეფორმებზე, ტოლერანტობაზე, ეტაპობრიობის რელსებზე გადაყვანას ცდილობდნენ. მაგრამ ლოზუნგი „ჯერ დამოუკიდებლობა, მერე დემოკრატია“ უფრო ძლიერი აღმოჩნდა. ყოველ შემთხვევაში,

28 ლორთქიფანიძე, ვაჟა. ინტერვიუ ჩაწერა დავით დარჩიაშვილმა. თბილისი. მარტი, 2023.

ფილოსოფოსი მამარდაშვილის მაქსიმა – ჭეშმარიტება პატრიოტიზმზე მეტია – უკუგდებულ იქნა (გვახარია 2013, 203). ამ სიტყვებისათვის მამარდაშვილი ერთგვარად შერისხეს და გარიყეს. ამან შეიძლება დააჩქარა გულის შეტევა, რომელიც ფატალური აღმოჩნდა. ოდესღაც საერთაშორისო მასშტაბით ცნობილი მოაზროვნე, რომელიც სამშობლოში 80-იან წლებში დაბრუნებულიყო, ფართო მასებისათვის შეუმჩნევლად გარდაიცვალა. რევოლუციური ცვლილებების დრო იყო და, როგორც ერთხელ ნოე ჟორდანიას სხვა კონტექსტში წამოსცდა, ხეს რომ ჭრიან, ნაფოტები ცვივა...

ქართული ეროვნული იდენტობის კონსტრუირებისა და რუსეთთან დაპირისპირების თანამედროვე დისკურსი კომპლექსური და წინააღმდეგობრივია. იგი შეიძლება დავინახოთ როგორც პოსტსაბჭოთა ნაციონალიზმის ფუნქცია. ამ დისკურსის აღწერა ქართული უმრავლესობისა და ეროვნულ უმცირესობათა ზემოთ აღნიშნულ კონფლიქტსაც უნდა მოიცავდეს. საჭიროა ევროატლანტიკური ორიენტაციის ანალიზიც: აღიქმებოდა და აღიქმება იგი თვითმიზნად, თუ რუსული რევიზიონისტული მისწრაფებების საწინააღმდეგო საშუალებად? ქვემოთ პოსტსაბჭოური ხანის ქართული ნაციონალიზმისა და იდენტობის ფორმირების მახასიათებელთა ჩვენეული ხედვაა მოცემული. წინამდებარე ანალიზი საბჭოთა წარსულსაც ეხება, რადგან თანამედროვე ქართული ნაციონალიზმის ზოგიერთი ნიშანი მაშინ ჩამოყალიბდა. განვსაზღვრავთ რა თანამედროვე ქართული ნაციონალური ფენომენის ძირითად მახასიათებლებს როგორც ეთნიკურ ნაციონალიზმს, სახელმწიფო ნაციონალიზმს და გეოკულტურულ არჩევანს, ჩვენ ამ მახასიათებელთა სისრულისა და თავსებადობის გარკვევას ვცდილობთ. ჩვენი დასკვნაა, რომ საქართველოს იდენტობის ფორმირება და შესაბამისი პოლიტიკის შემუშავება დაუსრულებელია. თუმცა კითხვა ისიცაა, სრულდება კი ოდესმე ერის მშენებლობა? პოლონურ მაგალითთან შედარება, რაც შემდგომ თავებშია

შემოთავაზებული, ამ კითხვაზე რეაგირების სურვილითა-ცაა სტიმულირებული.

ეთნიკური ნაციონალიზმი

მიმდინარე პოლიტიკური პროცესების მონაწილენი და ანალიტიკოსები, დავით ზურაბიშვილი და დავით ბერძენიშვილი წერენ, რომ მე-20 საუკუნის 70-იანი წლებიდან მაინც, ეთნიკური ნაციონალიზმი საქართველოს არაფორმალური იდეოლოგია ხდებოდა (ბერძენიშვილი და ზურაბიშვილი 2020, 142). როგორც ითქვა, კომუნისტური ხელმძღვანელობა მფარველობდა ეროვნულ ხელოვნებას და ისეთ ისტორიულ კვლევებს, რომლებიც ცალსახად ანტისაბჭოთა არ იქნებოდა. მაშინდელი მთავრობა ეთნიკურ უმსჯელობებს ღიად ვერ წაახალისებდა. ვეთანხმებით ისტორიკოს უჩა ბლუაშვილის ინტერპრეტაციას (ბლუაშვილი 2016, 157-159), რომ რეტროსპექტიულად შექმნილი რწმენა, თითქოს კომუნისტთა მიერ დაარსებული ეთნო-რელიგიური ავტონომიები საქართველოს ნიადაგში შეგნებულად ჩადებული ნაღმები ყოფილიყოს, დაუსაბუთებელი გაზვიადებაა. თუმცა შეგნებულად თუ შეუგნებლად, ეროვნულ კულტურებსა და ადმინისტრაციულ მოწყობაზე ჩატარებული საბჭოურ-მარქსისტული ექსპერიმენტები ეთნიკური გაუცხოების გამაღვივებელი ნიადაგი აღმოჩნდა. როგორც აფხაზური, ისე სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ინტელიგენცია ამ მიწებზე ქართული შუასაუკუნეობრივი კულტურის როლის დამაკნინებელ ნარატივებს ქმნიდა. ჩვენ არ ვთვლით თავს არც კომპეტენტურად და არც მოვალედ, რომ ამ წიგნის ფურცლებზე აფხაზი და ოსი ერების ისტორიის სიღრმეებში შევიდეთ. საკმარისია ითქვას, რომ ამ ისტორიათა აფხაზური და ოსური ვერსიები ქართველ მწერალთა თუ ისტორიკოსთა საპასუხო რეაქციებს იწვევდა.

ერთი მთავარი ქართველი ნარატორთაგანი, ვინც ქართულ-აფხაზური აკადემიური დებატები ახალ სიმაღლეზე აიყვანა, პავლე ინგოროყვა იყო. მისი წიგნი, რომე-

ლიც 50-იან წლებში დაიბეჭდა, შუა საუკუნეების ქართველ ბერს და მწერალს, გიორგი მერჩულეს ეძღვნებოდა. იგი შეიცავდა გრძელ მსჯელობებს ანტიკური და შუა საუკუნეების ისტორიის შესახებ. ინგოროყვა ამტკიცებდა, რომ ძველ ანალებში მოხსენიებული აფხაზები ეთნიკურად ქართველები იყვნენ: სხვაგვარად ისინი ხომ არ შეიტანდნენ წვლილს ქართული ფეოდალური სამეფოს მშენებლობაში?! მისი კონცეფცია იშვიათი და ბუნდოვანი ანტიკური წყაროების, ისევე როგორც ისტორიული ტოპონიმების სპეციფიკურ წაკითხვას ეყრდნობოდა (ინგოროყვა 1954, 114-295). მისი ჰიპოთეზა გულისხმობდა, რომ თანამედროვე აფხაზები ჩრდილო კავკასიიდან შედარებით გვიან იყვნენ შემოსულნი და ანტიკურ აფხაზთა მემკვიდრეობასთან მათ არაფერი ჰქონდათ საერთო.

აფხაზმა ისტორიკოსმა ზურაბ ანჩაბაძემ საპასუხოდ დაწერა, რომ წყაროების ინგოროყვასეული წაკითხვა არაპროფესიონალურად სუბიექტური იყო და მისი ჰიპოთეზა ავტორიტეტული ქართველი ისტორიკოსების, ივანე ჯავახიშვილის და სიმონ ჯანაშიას შეხედულებებს ეწინააღმდეგებოდა. ანჩაბაძე არ უარყოფდა, რომ მე-8-9 საუკუნის აფხაზი მეფეები პროქართულ პოლიტიკას ატარებდნენ, მაგრამ ორი ხალხის პოლიტიკურ სიახლოვეს არა ნათესაობით, არამედ მეზობლობით ხსნიდა (Anchabadze 2011). ინგოროყვას და ანჩაბაძეს თანამედროვე სოციალური თეორიები რომ სცოდნოდათ, სავარაუდოდ, არგუმენტებს შეცვლიდნენ – აფხაზურ-ქართულ ლინგვისტურ დიფუზიაში არაფერს განსაკუთრებულს არ დაინახავდნენ და ფეოდალიზმის ხანაში „პროქართულობას“ არ დაუწყებდნენ ძიებას. ან, უკიდურეს შემთხვევაში, მათ კულტურული ნაციონალიზმის კონცეპტის მოხმობა შეეძლებოდათ, როგორც ეს პოლონელებმა ჯერ კიდევ მე-19 საუკუნეში სცადეს. კულტურული ნაციონალიზმის ნიშანთა მატარებელ „რენაციონალიზაციის“ (przenarodowenie) პოლონურ მაგალითს შემდეგ თავში ვიხილავთ. თუმცა აქ აღსანიშნი ისიცაა, რომ ინგოროყვას თავის დროზე უთქვამს

– „სამშობლოს სიყვარული რას არ გაგაკეთებინებს კაცსო“: მკვლევარი მერაბ ღაღანიძის თქმით, ინგოროყვასთვის ამა თუ იმ თეორიას ან შეხედულებას მხოლოდ მაშინ ჰქონდა ღირებულება, თუკი ის საქართველოს სასარგებლოდ იქნებოდა მიმართული (ღაღანიძე 2021, 192-194).

კომუნისტთაგან საგრძნობლად დისტანცირებული პოეტის, მუხრან მაჭავარიანის ლექსთა ციკლი „1832“ ქართული ეთნიკური ნაციონალიზმის სიმბოლოდ ითვლება (ბერძენიშვილი და ზურაბიშვილი 2020, 146). 1832 წლის შეთქმულების მონაწილეთა გაცოცხლებითა და მათ შორის წარმოსახვითი გაბაასების პოეტური ხატებით მაჭავარიანი ეთნო-დემოგრაფიულ წუხილებს გადმოსცემდა. ეს წუხილები 70-80-იანი წლების საქართველოში მეტად აქტუალური გამხდარიყო. მოქალაქეთა ეთნიკური წარმომავლობის რეგისტრაციის საბჭოური პრაქტიკის პირობებში ქართული ინტელიგენცია არაქართველთა ქართველებად ჩაწერას ეწინააღმდეგებოდა. კომუნისტები ამ წუხილებს არაპირდაპირ პასუხობდნენ – აორგანიზებდნენ ქართველთა გამრავლების კამპანიას (ბერძენიშვილი და ზურაბიშვილი 2020, 146).

80-იან წლებში ქართული ეთნიკური ნაციონალიზმის კულტურული ასპექტები სულ უფრო არტიკულირებული ხდებოდა. ეს გამოჩნდა მიკერძოებულ დამოკიდებულებაში საბჭოთა კინემატოგრაფის ვარსკვლავის, თბილისში დაბადებული ეთნიკური სომეხი რეჟისორის სერგეი ფარაჯანოვის მიმართ. ქართული კლასიკური ტექსტების ეკრანიზაციის მისეულ მცდელობებს მოსდევდა კულტურის პოლიტიკაში გავლენიანი ზოგიერთი პიროვნების რეაქცია, რომ ასეთი შემოქმედება „ქართული კულტურის გასომხების“ საფრთხეს ქმნიდა. მე-19 საუკუნის დროინდელი რომანის „სურამის ციხე“ ფარაჯანოვისეულ ეკრანიზაციას საქართველოს მწერალთა კავშირის ორგანოს ფურცლებზე ისეთი კრიტიკა მოჰყვა, რომ კინოკრიტიკოსი გოგი გვახარია პროფაშისტურ რეაქციებზე ალაპარაკდა. მაგრამ გამოქომაგებამ ფარაჯანოვს არ უშველა. მას

ძველი ქართული ჰაგიოგრაფიული ძეგლის – „შუშანიკის წამება“ – ეკრანიზაციის უფლება არ მიეცა (გვახარია 2013, 187-188). აღსანიშნავია, რომ ამ ნაწარმოების მთავარი გმირი, ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის მიერ წმინდანად შერაცხილი შუშანიკი სომხური არისტოკრატიული გვარის წარმომადგენელი იყო. ერთი შეხედვით, სომეხი რეჟისორისათვის სომეხი დიდებული ქალის შესახებ ფილმის გადაღების აკრძალვა ეთნიკური ნაციონალიზმის ლოგიკაში არ უნდა ჯდებოდეს. მაგრამ ერთ დროს იტალიის პრემიერ-მინისტრის, ანტონიო სალანდრას მოხდენილი გამოთქმისა არ იყოს, ნაციონალიზმი „წმინდა ეგოიზმთან“ ასოცირდება: ხედავდნენ რა თანამედროვე ერების საწყისს უხსოვარ დროებაში, ქართველი ეთნონაციონალისტები ალბათ ფრთხილობდნენ, რომ ქართველი წმინდანის „უცხოურ“ წარმომავლობაზე ხაზგასმა ეროვნულ მიზანსწრაფვას შეასუსტებდა. იმავდროულად, ქართული ეკლესია და ეთნიკური ნაციონალიზმის სხვა მიმდევრებიც არასოდეს გაურბოდნენ აქცენტირებას კიდევ ერთი შუასაუკუნეობრივი წმინდანის, აბოს არაბულ წარმომავლობაზე. სამწუხაროდ, ეთნიკური ნაციონალიზმი ყველა შესაძლო წინააღმდეგობრიობისაგან ვერასოდეს გათავისუფლდება.

რა თქმა უნდა, ნაციონალიზმის ზემოთ აღწერილი ფორმა ეროვნული დისკურსის ერთადერთი ნაირსახეობა თუ საფუძველი არ ყოფილა. ქართული კინოს ბევრი წარმომადგენელი მეგობრობდა ფარაჯანოვთან და, საერთოდაც, მულტიკულტურული დამოკიდებულებებით გამოირჩეოდა. ქართველი მსახიობები ენთუზიაზმით თამაშობდნენ ფარაჯანოვის ფილმებში. მაგრამ ამ შემთხვევამ აჩვენა, ვისი დისკურსი ხდებოდა დომინანტური და ვისი – მარგინალიზებული. აქ ხაზგასასმელია ფარაჯანოვის ხელოვნების საკმაოდ არაკომუნისტური, ინოვაციური ბუნება, რაც მის დაცვას ართულებდა. სახელმწიფოს ხელმძღვანელობა შეიძლება ნაკლებად ეთნონაციონალისტი ყოფილიყო, ვიდრე ისინი, ვინც ფარაჯანოვი დაგმო, მა-

გრამ კომუნისტები ფარაჯანოვის მოკავშირენი ნამდვილად არ ყოფილან. აღწერილ სკანდალამდე ფარაჯანოვი ციხეშიც იყო ნაჯდომი იდეოლოგიურად შეფერილი განაჩენით. მისი გათავისუფლება მხოლოდ საერთაშორისო რეზონანსის გამო მოხდა.

აკადემიური თუ კულტურასთან დაკავშირებული პოლემიკა, რომელიც საქართველოს სსრ ტიტულარული ერისა და უმცირესობათა წარმომადგენლებს შორის მიმდინარეობდა, პოლიტიკას მოწყვეტილი არ ყოფილა. საერთოდ, ტოტალიტარულ რეჟიმებში ყველანაირი საჯარო აქტივობა, ამა თუ იმ ფორმით, პოლიტიკური ხდება. აფხაზები, რომლებიც საკურორტო ზონას აკონტროლებდნენ და საკავშირო ნომენკლატურის სიმპათიებით სარგებლობდნენ, არც თუ წარუმატებლად ახერხებდნენ საკუთარი ეროვნული ხედვების ლობირებას მოსკოვში. შედეგად, შევარდნაძის საქართველოში მმართველობის დროს აფხაზებმა ეროვნული ტელევიზიისა და უნივერსიტეტის დაარსება მოახერხეს (ბლუაშვილი 2016, 265). ეთნიკური ნაციონალიზმი მეცნიერებისა და კულტურის დონეზე ვერ დარჩებოდა და, საბჭოთა კავშირში დეზინტეგრაციული პროცესების დაწყების კვალობაზე, მან დემოგრაფიული და ადმინისტრაციული ცვლილებებისათვის ბრძოლის ფორმა მიიღო. ახლად გაჩენილ ეროვნულ ფიგურებთან ერთად, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ნომენკლატურა ამ პროცესის სათავეში იდგა, რადგან სტატუს კვო ქართველებისათვის უსამართლოდ მომგებიანად მიაჩნდა. ქართველები თითქოს თავს იცავდნენ. თუმცა, თბილისი ასევე აინიციირებდა ადმინისტრაციულ აქტებს – კერძოდ, საქართველოს ენის 1989 წლის სახელმწიფო პროგრამას – რომლებსაც უმცირესობის წარმომადგენლები ასიმილატორული პოლიტიკის საშუალებად აღიქვამდნენ.

ამ წელს სიტყვებს, დისკურსებს ქმედებები მოჰყვა და ეთნიკურ ნიადაგზე პირველი სისხლიც დაიღვარა. ასპარეზზე საბჭოთა/რუსი სამხედროები გამოჩნდნენ,

ქართულ დისკურსში კი დომინანტური ადგილი საბ-ჭოთა უშიშროების სამსახურის გმობამ დაიკავა. ე.წ. კგბ ანუ სახელმწიფო უშიშროების კომიტეტი მოიაზრებოდა ეთნიკური დაძაბულობების ორგანიზატორად, რისი მიზანიც ქართველთა ანტიიმპერიული თუ ანტიკოლონიური ბრძოლის დეზორიენტაცია იყო. ამ საკითხს შემდეგ სექციაში ვუბრუნდებით. აქ კი ის უნდა ითქვას, რომ ქართული ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერთა უმრავლესობა – დისიდენტითა და მომავალი პირველი პრეზიდენტით, ზვიად გამსახურდიათი დაწყებული და პოპულარული მწერლით, ორატორით თუ აზრთა მპყრობელი აკაკი ბაქრაძით დამთავრებული – ერის პრიმორდიალისტური გააზრების მომხრე იყო. ეს გარემოება არ უწყობდა ხელს ეთნიკური ემოციების დაცხრობას. მაგალითისათვის, დემოკრატიის გავლენიან ქომაგს, აკაკი ბაქრაძეს შეჰქონდა წვლილი ალარმისტულ დამოკიდებულებაში ე.წ. მესხეთელ თურქთა მიმართ. 1944 წელს დეზორიენტირებული იდენტობის მქონე ეს ეთნო-ლინგვისტური და რელიგიური თემი სამხრეთ საქართველოდან შუა აზიაში ძალით გადაასახლეს. საბჭოთა კავშირის დემოკრატიზაციამ მესხეთელთა მასობრივად დაბრუნების მოლოდინი გააჩინა. ასეთ ვითარებაში ბაქრაძეს მიუმართავს თავისი აუდიტორიისათვის, რომ ასეულ ათასობით მესხეთელი თურქის დაბრუნებით საქართველოს ისტორია დასრულდებოდა (ბერძენიშვილი და ზურაბიშვილი 2020, 149).[29]

---

29 ამ პრობლემას რამდენიმე განზომილება ჰქონდა: 70-იანი წლებიდან მოყოლებული, საქართველოში ასეულობით მაჰმადიანი მესხი იყო დაბრუნებული, რომელთა შორის ქართული იდენტობის გავრცელებაზე რამდენიმე ქართველი ინტელექტუალი ზრუნავდა. მაგრამ 80-იანი წლების მიწურულს გადასახლების პირველი ადგილიდან, შუა აზიიდან მთელ რუსეთში და აზერბაიჯანში განსახლებულ მესხებს შორის თურქული იდენტობა მძლავრობდა. ეს ქართულ საზოგადოებას აშინებდა და შემდგომი რეპატრიაციის წინააღმდეგ განაწყობდა. ამასთან, სამხრეთ საქართველოში, ანუ იგივე მესხეთსა თუ სამცხე-ჯავახეთში, დეპორტირებულთა ნასახლარებზე სხვები (მთიანი რაიონებიდან გადმოსახლებული

რაც შეეხება გამსახურდიას წარმოდგენებს ერისა და ეროვნული საკითხის შესახებ, ისინი თავმოყრილია წიგნში „საქართველოს სულიერი მისსია“ (გამსახურდია 1990). ამ წიგნის ფურცლებზე მომავალი პრეზიდენტი უარყოფდა იდეას, რომ ერები მე-19 საუკუნის პროდუქტია. იგი მსგავს შეხედულებებს მიიჩნევდა მარქსისტულად, რომელთა მიმდევრებიც ქართველებში არასრულფასოვნების კომპლექსის ჩასანერგად იყვნენ მოწადინებულნი (გამსახურდია 1990, 8). გამსახურდია მითოპოეტურ სტილში ამტკიცებდა, რომ უხსოვარი დროიდან პროტოქართველებს მისტიკური სიბრძნე ჰქონდათ, ხოლო ბერძნები ამ სიბრძნის დაუფლებას ესწრაფვოდნენ (გამსახურდია 1990, 17). იგი აგრეთვე წერდა, რომ ქრისტიანული ხანის დადგომის შემდეგ საქართველოს მისია სულიწმინდის და ღვთისმშობლის მისიებს – კაცობრიობის განწმენდასა და მატერიალიზმის დათრგუნვის ამოცანებს დაუკავშირდა (გამსახურდია 1990, 22-23). ცხადია, რომ ამგვარი აზრები თუ დისკურსი ეთნიკურ ნაციონალიზმთან იყო წილნაყარი.

მოვლენათა განვითარების კვალობაზე, საქართველოს ლიდერთა ეთნონაციონალიზმი ერთგვარ ელასტიკურობას იძენდა. 1991 წლის აპრილში დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდგომ ზვიად გამსახურდიამ სეპარატისტულად განწყობილ აფხაზურ მხარესთან შეთანხმება სცადა. შეთანხმების თანახმად, აფხაზურ პარლამენტში ეთნიკური კვოტები იქმნებოდა და აფხაზური თემი დისპროპორციულ გავლენას იძენდა. როგორც ძალაუფლების განაწილების პრინციპი, კვოტირება გამსახურდიასეული ნაციონალიზმის არსიდან პირდაპირ არ გამოიყვანება. ამ მომენტში საქართველოს პირველმა პრეზიდენტმა პავლე ინგოროყვას ზემოთ ნახსენებ შეხე-

ქართველები, სომხები) სახლობდნენ. მათ უმეტესობას მაჰმადიანთა დაბრუნების მიმართ მეტად ნეგატიური განწყობა ჰქონდა. რეგიონში ღრმად იყო გამჯდარი 1918-1919 წლების დროინდელი მოგონებები მაჰმადიანურ და ქრისტიანულ თემთა კონფლიქტების შესახებ.

დულებებზე თითქოს უარი თქვა და პოლიტიკური პრაგ-მატიზმისაკენ შებრუნდა. სამხრეთ ოსეთის შემთხვევაში კი იგი სხვაგვარად მოიქცა: ამ ავტონომიური ერთეულის ლიდერთა სეპარატისტული ნაბიჯების საპასუხოდ, რაც ავტონომიის სტატუსის ცალმხრივად გაზრდასა და საქართველოსაგან გამოყოფის დეკლარირებულ სურვილებში გამოიხატა, გამსახურდიამ ავტონომიის სტატუსი საერთოდ გააუქმა და წესრიგის დამყარება რეგიონში მდგომ საბჭოთა სამხედრო ძალებისაგან მოითხოვა. აღსანიშნავია, რომ ორივე შემთხვევაში გამსახურდიამ ოპოზიციის კრიტიკა დაიმსახურა. ოპოზიცია ერთნაირად აკრიტიკებდა პრეზიდენტს აფხაზეთში „აპარტეიდის მაგვარი“ რეჟიმის მხარდაჭერისათვის, სამხრეთ ოსეთში კი ოსთა უფლებების შელახვისა და „კოლონიური სამხედრო ძალის“ გამოყენების მცდელობისათვის. როდესაც გამსახურდიას ხელისუფლება სამხედრო გადატრიალებით დაემხო და ედუარდ შევარდნაძე სამოქალაქო ომით გახლეჩილი ქვეყნის ხელმძღვანელობას დაუბრუნდა, ამ უკანასკნელმა წინამორბედის მმართველობა „პროვინციულ ფაშიზმად“ მონათლა.

პრაგმატიკოსისა და სახეცვლილი კომუნისტის, შევარდნაძის ნაციონალისტური დისკურსი ბუნდოვანებით გამოირჩეოდა. ერთ მომენტში იგი მხარს უჭერდა საქართველოს სახელმწიფოებრიობის 3000 წლისთავის აღნიშვნას, რაც შეიძლება პრიმორდიალისტურ-ეთნონაციონალისტურ მისწრაფებად წარმოვიდგინოთ. მაგრამ ეს არც მისი ინიციატივა ყოფილა და, რეალიზაციის თვალსაზრისითაც, მას დიდი შედეგი არ ჰქონია: ყველაფერი ამ „თარიღისადმი“ მიძღვნილი მონეტის გამოშვებით ამოიწურა. მიხეილ სააკაშვილი, რომელმაც 2003 წელს შევარდნაძე მშვიდობიანი „ვარდების რევოლუციით“ გადაყენა, ალბათ ყველაზე ნაკლებად ეთნონაციონალისტი იყო ქართველ ლიდერთა შორის. თუმცა მისი დისკურსიც ატარებდა წინააღმდეგობრიობის ნიშნებს:

ერთი მხრივ, სააკაშვილი საჯაროდ აცხადებდა, რომ მათთვის, ვისაც ოსი, სომეხი ან სხვა ეროვნების ადამიანები არ მოსწონდა, იგი თავად იქნებოდა ოსი, სომეხი და ა.შ. მისი მმართველობის დროს სომხურ უმცირესობასთან ურთიერთობა, რომელიც არასოდეს იყო უღრუბლო, მაგრამ ქართულ-აფხაზური ან ქართულ-ოსური კონფლიქტების დონეს არ აღწევდა, რადიკალურად გაუმჯობესდა. ჯავახეთის რეგიონში მცხოვრებ სომხებს, რომლებიც საკმაოდ იყვნენ გაუცხოებულნი ქართული სახელმწიფოს მშენებლობის პროცესისაგან, დიდხანს არ სურდათ იქ არსებული რუსული სამხედრო ბაზის დახურვა. მაგრამ სააკაშვილის მმართველობის წლებში ეს ბაზა ზედმეტი გართულების გარეშე დაიხურა.

მეორე მხრივ, სააკაშვილს გამოარჩევდა განსაკუთრებული საჯარო ვნება მე-12 საუკუნის მეფის, დავით IV აღმაშენებლის მიმართ. დავითი, როგორც მითოლოგემა, ნამდვილად შეიძლება გამოყენებული იქნეს რელიგიური ტოლერანტობის თუ სახელმწიფო რეფორმატორობის იდეოლოგიურ საყრდენად. მაგრამ მისი ხატებით გატაცება ასევე აღძრავდა კითხვას – ხედავდა თუ არა მიხეილ სააკაშვილი თვისებრივ განსხვავებას შუა საუკუნეების პოლითეასა და თანამედროვე ნაციას შორის? როგორიც არ უნდა იყოს ამ კითხვაზე პასუხი, სააკაშვილის იდენტობასა და დისკურსზე მსჯელობისას კიდევ ერთი გარემოებაა გასათვალისწინებელი: მიზეზი, რატომაც იგი არ მოსწონდა ოპოზიციისა და ქართველი სამღვდელოების დიდ ნაწილს, განპირობებული იყო არა მხოლოდ და არა იმდენად სააკაშვილის პოლიტიკის ავტორიტარული ნიშნებით, რამდენადაც კარგად კულტივირებული უმსჯელობით, რომ საქართველოს მესამე პრეზიდენტი ტრადიციების უარისმყოფელი ანტიეროვნული პიროვნება იყო. მას შემდეგ, რაც სააკაშვილის პარტიამ ხელისუფლება არჩევნების გზით დათმო, მისმა ერთ-ერთმა ოპონენტმა განაცხადა, რომ სააკაშვილი კოლექტიურ მეხსიერებაში მე-17 საუკუნის პროსპარსელ, ეროვნულად გადაგვარე-

ბულ ქართლის მეფესთან თუ გაიგივდებოდა. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მსგავს აზრებში ირეკლებოდა შეხედულება, რომლის თანახმად სააკაშვილი ეკლესიას არ სცემდა სათანადო პატივს: მართლმადიდებლობისადმი ერთგულებით არც ამ კონტექსტში გახსენებული მეფე გამოირჩეოდა (გოგოლაძე 2013). რაც შეეხება ბიძინა ივანიშვილს, რომელიც ხელისუფლებაში სააკაშვილის დამარცხების შემდეგ მოვიდა, მას უთქვამს – სააკაშვილს სახელმწიფო უნდოდა, მე კი სამშობლო მინდაო.[30]

ინტერპრეტაციის საკითხია, თუ რატომ წარმოშობდა სააკაშვილის მოდერნიზატორული დღის წესრიგი ასეთ რეაქციებს და რა აქვთ მათ ივანიშვილის დროს კვლავ აღორძინებულ ეთნიკურ ნაციონალიზმთან საერთო. ივანიშვილის პარტიის სახელწოდება – ქართული ოცნება – შეიძლება ამ მხრივ მრავლის მთქმელი იყოს. თუმცა ერთადერთი დისკურსული ხაზი, რასაც ქართული ოცნება ბოლო დრომდე ექსპლიციტურად და უცვლელად მიჰყვებოდა, სააკაშვილისა და მთელი ოპოზიციის დემონიზაცია იყო. უშუალოდ ეროვნული იდენტობის საკითხში ახალი მმართველი ელიტა მერყევ და ეკლექტურ შთაბეჭდილებას ტოვებდა. იდეოლოგია ახალი ხელისუფლების ძლიერი მხარე არ ყოფილა, საგარეო პოლიტიკაში კი, ბოლო დრომდე, იგი თითქოს ბალანსირებდა ლიბერალურ დასავლეთსა და ავტორიტარულ რუსეთს შორის.[31] ლიბერალიზმისა და სამოქალაქო ნაციონალიზმისაკენ გადახრილი დისკურსული პრაქტიკები, ძირითადად, ოპო-

---

30 ეს სიტყვები გადმოცემულია სააკაშვილის მიერ, 2012 წლის მიწურულს, ამ წიგნის თანაავტორის, დავით დარჩიაშვილის პრეზიდენტთან შეხვედრის დროს.

31 წიგნის გამოსაცემად მომზადების დროს სიტუაცია უფრო ნათელი გახდა: 2024 წლის 17 ოქტომბერს ევროპის კავშირის ევროპულმა საბჭომ დაასკვნა, რომ „რამდენადაც საქართველოს მთავრობის ქმედებები „ეწინააღმდეგება ღირებულებებსა და პრინციპებს, რომლებზედაც ევროპის კავშირია დაფუძნებული“ იგი „დე ფაქტო აჩერებს (საქართველოს) გაწევრიანების პროცესს“ (Delegation of the European Union to Georgia 2024)

ზიციურ ბანაკს ახასიათებდა. თუმცა ეკლექტიკა შესამჩნევია ოპოზიციაშიც – განსაკუთრებით, ეროვნულ კონსოლიდაციაში მართლმადიდებლობისათვის მინიჭებული წონის თვალსაზრისით.

სახელმწიფო ნაციონალიზმი

არაერთი აჯანყებისა და შეთქმულების მიუხედავად, დაპყრობილი საქართველოს ნაციონალიზმი, უმეტესწილად, დამოუკიდებლობაზე ოცნებებით, ალეგორიებით და შედარებით შეზღუდული ავტონომიზმის დღის წესრიგით ხასიათდებოდა. 1918-1921 წლების ხანმოკლე დამოუკიდებლობის შემდგომი, რუსული კომუნიზმის სუროგატად აღმოცენებული ქართული საბჭოთა ეთნიკური ნაციონალიზმი ხელოვნებასა და ისტორიულ-დემოგრაფიულ პრობლემებზე კონცენტრირდა. ვითარება გვიან და პოსტსაბჭოთა ეტაპზე შეიცვალა: 80-იანი წლების მიწურულიდან დამოუკიდებლობა – თუნდაც დეკლარაციულ დონეზე – მთელი ქართული პოლიტიკური სპექტრის წამყვან ღირებულებად გადაიქცა. რამდენადაც მთავარი „სხვა“ იყო რუსული სახელმწიფო, რომელთან ურთიერთობაშიც ქართული საზოგადოება საკუთარ თავსა და ინტერესს განსაზღვრავდა, პოლიტიკური დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა რუსული ფენომენის დისკურსიულ დეფინიციას მოითხოვდა. განახლებული ქართული ეროვნული დისკურსის მეორე კარდინალური ხაზი იყო იმ ქართველთა იდენტიფიკაცია და განსჯა, ვინც წარსულსა თუ აწმყოში „სამშობლოს ღალატობდა“. ეროვნული მშენებლობის ტრაექტორიის რეტროსპექტიული აღქმა ამ კოლექტიური ინტელექტუალური სამუშაოს მნიშვნელოვან ნაწილს ქმნიდა. გარკვეულწილად, ეს იყო დაბრუნება რომანტიზმთან ან ახალი რომანტიზმი, რომელიც ქართული ნაციონალური დისკურსიდან არასოდეს ქრებოდა: მე-19 საუკუნეში ნიკოლოზ ბარათაშვილი აფასებდა წარსულს და აწმყოს ერეკლე მეორის ხატსახების მეშვეობით, მე-20 საუკუნის ბოლო ათწლეულებში კი მუხრან მაჭავარიანი

ცდილობდა 1832 წლის შეთქმულების მონაწილეთა გაცოცხლებას და მათი პირით ეროვნულ ღირსებათა კონსტრუირებას.

თუ თანამედროვე სოციალურ თეორიებს დავეყრდნობით, გამოჩნდება, რომ ერები უნიკალური ავთენტურობით კი არ განსხვავდებიან, არამედ იმ აღქმებით, რომლებიც მათთან მიმართებით იქმნება (Wodak et al. 2009, 3). შესაბამისად, ერები და მათი ქმედებები დისკურსული ფენომენებია. მიშელ ფუკოზე დაყრდნობით, სტუარტ ჰელი ხაზს უსვამს, რომ დისკურსის ფორმირების პროცესი სხვადასხვა ჯგუფთა ტექსტებსა და ნარატივებს აერთიანებს, მნიშვნელობებს აგენერირებს და ამით პრაქტიკას განაპირობებს (Hall 1996, 201-202). მნიშვნელობების მაპროეცირებელი დისკურსები ეყრდნობა ისტორიულ კონტექსტს, რომელიც, თავის მხრივ, დროშია ცვალებადი (Hall 2001, 74).

მაგრამ არც ეს ისტორიული კონტექსტია სადღაც იქ, წარსულში, სრულყოფილად შენახული და ობიექტურად ხელმისაწვდომი. კონტექსტზე, როგორც დისკურსის, მოქმედების და კომუნიკაციის გააზრების საფუძველზე, საინტერესოდ საუბრობს პროფესორი ტოონ ვან დაიკი (Van Dijk 2009, 1-3). მიიჩნევს რა, რომ დისკურსი მარტო კონტექსტიდან მომდინარე კი არ არის, არამედ მას თავად შეაქვს კონტექსტში წვლილი, ვან დაიკი გვეუბნება, რომ კონტექსტი დისკურსის მწარმოებელთა და მომხმარებელთა მენტალური მოდელებით იქმნება. ამ მოდელებს ფორმას ინდივიდის პერსპექტივა, ინტერესები, შეფასებები, ემოციები და გამოცდილება აძლევს. მენტალური მოდელები სუბიექტურია, მაგრამ მათ სოციალური, ინტერსუბიექტური განზომილებაც აქვს. ინტერაქციით, კომუნიკაციით და სოციალიზაციით, ენის მომხმარებელნი იძენენ გაზიარებულ ცოდნა-წარმოდგენებს, რისი მეშვეობითაც სპეციფიკურ მოვლენათა ინტერპრეტაციას ახდენენ (Van Dijk 2009, 5-6).

ერის ფორმირების ამგვარი მენტალურ მატრიცაზე დაყრდნობით, ჩვენ, მაგალითად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ რუსეთის მიერ ქართლ-კახეთის დაპყრობა ისტორიული ფაქტია; გავიდა ხანი და ქართულმა არისტოკრატიამ არჩევანი იმპერიულ სამხედრო და სამოქალაქო თანამდებობებზე გააკეთა, რაც ასევე წარმოადგენს ისტორიულ ფაქტს. მაგრამ ეს ფაქტი კოლონიზატორთან კოლაბორაციაა, რეჟიმის მიმართ ლოიალობაა თუ ქართული იდენტობის გადარჩენის პრაგმატული გზა – ამას უკვე ცვალებადი დისკურსი განსაზღვრავდა და განსაზღვრავს.

თითქმის მთელი მე-19 საუკუნის მანძილზე დომინანტური დისკურსის თანახმად, ქართველი თავადაზნაურობის იმპერიული ლოიალობა ნაკლებად იყო ღალატად მონათლული და სტიგმატიზებული. სანაცვლოდ, იმპერიისადმი მორჩილება ორლესულ მახვილად აღიქმებოდა – მოდერნიზაციის გზად და საუკუნოვანი მტრული გარემოცვისაგან თავდაცვად. ბუნებრივია, ამგვარ დისკურსს იმპერიული ცენზურაც უწყობდა ხელს, რისი კვალიც ილია ჭავჭავაძის პუბლიკაციებსაც აჩნდა. მაგრამ, მთლიანობაში, ილიას სენტიმენტები ლოიალისტი გრიგოლ ორბელიანის მიმართ, ამ დისკურსის ადგილობრივ ფესვებზე მიუთითებს. მე-19 საუკუნის მიწურულს დაიწყო კოლაბორაცია-ლოიალიზმთან დაკავშირებული დისკურსის ცვლა, რასაც რევოლუციური ნიავქარი განაპირობებდა. შემდეგ აღმოცენდა საბჭოთა დისკურსი, რომლის შესახებაც ზემოთ გვქონდა საუბარი.

საქართველოს მეორე დამოუკიდებლობამ რუსეთთან ისტორიული ურთიერთობების აღქმათა რევიზია მოიტანა. რაც ადრე გადარჩენისა და პროგრესის გზად ჩანდა, ახლა ბუნდოვანი და საკამათო გახდა. პოსტსაბჭოთა კონტექსტმა, რომელიც ნაციონალისტურ დისკურსს განაპირობებდა, რამდენიმე ტექტონიკური ძვრა განიცადა. ცვლილებები უკავშირდებოდა დრამატულ ფაქტებს, რომლებიც კონტექსტუალიზაციას, ქართულ-რუსული ურთიერთობების პერსპექტივიდან გააზრებას ითხოვდა.

ეს ფაქტებია: (1) საბჭოთა კავშირის დანგრევა, დამოუკიდებლობის მიღწევა და იმავდროულად განვითარებული ეთნო-სამოქალაქო შეიარაღებული კონფლიქტები; (2) 2003 წლის „ვარდების რევოლუცია“ თავისი ტრანსფორმაციული საზრისითა და დრამატული ცვლილებებით; (3) რუსეთ-საქართველოს 2008 წლის ომი; (4) ხელისუფლების პირველი მშვიდობიანი ცვლილება, რომელიც 2012 წლის არჩევნებით იქნა მიღწეული.

საეჭვოა, რომ დისკურსის რომელიმე შემოქმედი თუ მიმღები მის წარმოდგენებსა და მეტყველების აქტებზე აკადემიურ რეფლექსიას დაეთანხმოს – სხვაგვარად იგი დრამატული პროცესების აქტიური მონაწილე ვერ იქნება. ახალი პოლიტიკური პროცესების მონაწილენი საკუთარი რწმენითა და ინტერესებით ხელმძღვანელობდნენ, როდესაც ისტორიულ მოვლენათა და პერსონაჟთა გადაფასებას ახდენდნენ. შედეგად, საქართველოს ეროვნული მოძრაობის დისკურსი მანიქეველური მსოფლხედვის ნიშნებს იძენდა. როდესაც ამ მოძრაობის ლიდერებმა ნოე ჟორდანიას ხატება გვერდით გაწიეს და სპარსეთის დახმარებით რუსეთის იმპერიასთან მეომარი უფლისწული ალექსანდრე ბაგრატიონის პორტრეტი აღმართეს, წარსულისათვის გამოტანილი განაჩენი და მომავლის ახალი ხედვის დაბადება ნათელი და ცალსახა გახდა.

ჩვენ არ შეგვიძლია იმის თქმა, რომ ზვიად გამსახურდია უშუალოდ მონაწილეობდა საქართველოს პირველი რესპუბლიკის მესვეურთა მარგინალიზაციასა და დემონიზაციაში. მაგრამ როგორც ჯაბა დევდარიანი წერს, 90-იან წლებში საჯარო ასპარეზზე ჟორდანიას კრიტიკოსთა ახალი პლეადა გამოჩნდა. დევდარიანის აზრით, კრიტიკოსებს არ შეეძლოთ იმის გაგება და ატანა, რომ 1918 წლის დამოუკიდებლობის აქტით რუსული „ხალხთა საპყრობილიდან“ საქართველოს თავდახსნის უფლება კი არ იყო დეკლარირებული, არამედ დამოუკიდებლობის მიზეზად იმპერიის დეზინტეგრაცია სახელდებოდა (დევდარიანი 2021). ჟორდანიას რეინტერპრეტაცია ქა-

რთული ნაციონალისტური დისკურსის რეკონსტრუქციის საინტერესო მაგალითია. დევდარიანი ამის მიზეზს ხედავს სიძულვილში, რომელსაც ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობა რუსეთთან ასოცირებული ნებისმიერი პოლიტიკის მიმართ ავითარებდა (დევდარიანი 2021). ნათქვამს შეიძლება სოციალ-დემოკრატიული პარტიის ყველა ფრთის მიმართ განახლებული ბრალდებები დაემატოს, რომელთა თანახმადაც. ილია ჭავჭავაძის მკვლელობა სწორედ მენშევიკების და ბოლშევიკების იდეოლოგიური თუ პრაქტიკული საქმიანობის შედეგად ცხადდებოდა. ამ არეულ დროში, რომელსაც ქვეყანა მეორე დამოუკიდებლობისაკენ მიჰყავდა, ქართულმა მართლმადიდებლურმა ეკლესიამ ილია ჭავჭავაძე წმინდანად შერაცხა.

მაგრამ ახალ ლიდერთა მთავარი საზრუნავი რუსეთთან ასე თუ ისე დაკავშირებული გავლენიანი ადამიანების გაუვნებელყოფა იყო. საჯარო გამოსვლებსა და ინტერვიუებში ზვიად გამსახურდია აღნიშნავდა, რომ კრემლს საქართველოში ჰყავდა აგენტები თუ მეხუთე კოლონა, რომელიც კომუნისტური პარტიის ყოფილი ნომენკლატურის მაღალი რანგის წევრების ირგვლივ კონცენტრირდებოდა.[32] ამ კონტექსტში, საქართველოს პირველი პრეზიდენტი გამორჩეულად მტრობდა შეიარაღებული ფორმირება „მხედრიონის“ მეთაურს, ჯაბა იოსელიანს. ეს მტრობა, ნაწილობრივ მაინც, ორი ქარიზმატული პიროვნების მენტალურ შეუთავსებლობას ეფუძნებოდა. ჯაბა იოსელიანი ეკუთვნოდა ორგანიზებული დანაშაულის პროფესიულ გილდიას, თუმცა, პარალელურად, იგი მწერალიც იყო და თეატრალური ინსტიტუტის პროფესორიც. ასეთ კოლორიტულ პერსონაჟს მეგობრული კავშირები კომუნისტურ ნომენკლატურაშიც ჰქონდა. საბჭოთა

32 საქართველოს რესპუბლიკა. 1991. კრემლი ულტიმატუმებით გველაპარაკება. ზვიად გამსახურდია. *საქართველოს რესპუბლიკა* 52 (72): 1.

კავშირის დაისისას ეს კავშირები ჯაბას შეიარაღებული ფორმირების შექმნაში გამოადგა.

მას შემდეგ, რაც 1990 წლის ოქტომბრის პირველ მრავალპარტიულ საპარლამენტო არჩევნებში კომუნისტები დამარცხდნენ, იოსელიანმა ახალ ხელისუფლებასთან თანამშრომლობასა და მხედრიონის დაშლაზე უარი განაცხადა. ეს გარემოება ხსნიდა მხედრიონელების წინააღმდეგ განხორციელებულ რეპრესიებს, მაგრამ ზვიად გამსახურდია კრემლთან კოლაბორაციაში ადანაშაულებდა ყველას, ვინც იოსელიანის დაცვას თუნდაც სიტყვით შეეცდებოდა. გასაგები იყო ეჭვიანობა ყოფილი კომუნისტური ხელმძღვანელობის მიმართ, მაგრამ შესაძლოა, რიგ შემთხვევებში, იოსელიანის ქომაგობა ქართული საზოგადოების კლანური ბუნების ფუნქციას უფრო წარმოადგენდა, ვიდრე მოსკოვთან რაიმე გარიგების სამხილს: ჯაბა არა მარტო კრიმინალურ სამყაროს, არამედ თბილისის ზედაფენასაც ეკუთვნოდა, რომელიც აგრეთვე ნაციონალისტური გამხდარიყო. ახალი მთავრობის მტრული დამოკიდებულება სხვადასხვა შეფერილობის ოპონენტებისადმი ამ უკანასკნელთა კონსოლიდაციას იწვევდა, რამაც გამსახურდიას დამხობის ნიადაგი მოამზადა. მიუხედავად იმისა, რომ მოსკოვის ხელი ქართულ პოლიტიკაში ყოველთვის ძლიერად იგრძნობოდა, პრეზიდენტის საწინააღმდეგო შეიარაღებული გადატრიალება შეიძლება ვერც განხორციელებულიყო, ოპონენტებთან დამოკიდებულებაში გამსახურდიას რომ მეტი ნიუანსურობა გამოეჩინა.

ედუარდ შევარდნაძე, რომელიც საქართველოში მოსკოვიდან 1991-1992 წლის დეკემბერ-იანვრის გადატრიალების შემდეგ დაბრუნდა, ოპონენტთა ეროვნულ ღალატში დადანაშაულების ენთუზიასტი არასოდეს ყოფილა. მსგავსი ბრალდებები გამსახურდიას მომხრეთა სტილს წარმოადგენდა – ისინი დღემდე თვლიან, რომ გადატრიალებაც და შემდგომში გაგრძელებული შეიარაღებული დაპირისპირებანიც იყო არა სამოქალაქო ომი, არამედ რუსეთის ახალი ინტერვენცია. მათ ასევე სწამთ,

რომ 1993 წლის მიწურულს გამსახურდია შევარდნაძემ თუ უშუალოდ რუსეთის აგენტებმა მოკლეს, მაშინ როცა მათი მოწინააღმდეგენი თვითმკვლელობის ვერსიას იზიარებენ. არეულობის დასრულებისათვის შევარდნაძე, რომელიც ე.წ. სახელმწიფოს მეთაურად გამოცხადდა, დევნისა და ამნისტიების კომბინაციას იყენებდა. 1995 და 1998 წლებში შევარდნაძის წინააღმდეგ წარუმატებელი ტერორისტული აქტები განხორციელდა. ირონიაა, რომ პირველ შემთხვევაში ჯაბა იოსელიანი იქნა მხილებული. დაადანაშაულეს ყოფილი უშიშროების მინისტრი და საბჭოთა კგბ-ს კადრი, იგორ გიორგაძეც. ჯაბა დაიჭირეს, გიორგაძემ კი თავი რუსულ სამხედრო ბაზას შეაფარა და იქიდან გაუჩინარდა. და მაინც, შევარდნაძეს „რუსულ ხელზე“ საუბარი არ დაუწყია: ინტერპრეტაციის საკითხია, არ სჯეროდა მას რუსეთის ხელისუფლების უმაღლესი ეშელონის მტრული განზრახულობანი თუ ჩუმად ყოფნას შიშის გამო ამჯობინებდა.

შევარდნაძემ შედარებით დაბალანსებული მმართველი კლასის შექმნა სცადა. ბუნებრივია, იგი ყოფილ ნომენკლატურას იახლოებდა, მაგრამ მის გაზავებას ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის ამა თუ იმ ფრთის წარმომადგენლებით ცდილობდა. მიუხედავად მეტად რთულ ვითარებაში წარმართული კომპლექსური პოლიტიკისა და მოსკოვში გავლენიანი მტრების ყოლისა, საქართველოს ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის რადიკალური ნაწილისათვის შევარდნაძე მაინც რუსეთის მარიონეტად დარჩა.

რუს აგენტთა და ქართველ მოღალატეთა ძიება ქართულ დისკურსში 2003 წლის ვარდების რევოლუციით დაბრუნდა. რევოლუცია მშვიდობიანი იყო და შევარდნაძემ, გამსახურდიასაგან განსხვავებით, ხელშეუხებლობის გარანტია მიიღო. მაგრამ საკმაოდ სწრაფად, ყოფილ და მოქმედ მოხელეთა კორუფციული საქმეების გამოძიებას „რუსეთის აგენტებზე“ ნადირობა მოჰყვა. 2006 წლიდან ეს ტენდენცია განსაკუთრებით თვალნათელი გახდა,

რამდენადაც ქართულ პოლიტიკაში მოღალატეების გამოვლენაზე ფოკუსირებული დისკურსი ბატონდებოდა. რევოლუციური მთავრობა რუსეთს მრისხანე საგარეო მეტოქედ აღიქვამდა და შიდა ღალატზე ყურადღების კონცენტრირებას კრიტიკულ ეროვნულ გამოწვევად თვლიდა (Batiashvili 2022).

2006 წელს, საქართველოში „რუს ჯაშუშთა სკანდალი“ განვითარდა, რომლის ფარგლებშიც ოთხი რუსი ოფიცერი და საქართველოს ათი მოქალაქე დააპატიმრეს. მოგვიანებით რუსები თავიანთ სამშობლოში საერთაშორისო შუამავლობით გაამგზავრეს, პრეზიდენტმა სააკაშვილმა კი ეს საქმე რუსეთის მიერ წახალისებული დესტაბილიზაციის წინააღმდეგ წარმატებული მოქმედების ისტორიულ მომენტად მონათლა (Civil Georgia 2006).

ამ ინციდენტს წინ უძღოდა პოლიტიკური აქტივისტების დაკავება, რომელნიც მიმალვაში მყოფ ყოფილ უშიშროების მინისტრთან, იგორ გიორგაძესთან სავარაუდო თანამშრომლობაში იყვნენ ბრალდებულნი. აღსანიშნავია, რომ ოკუპაციის მუზეუმის გახსნისადმი მიძღვნილ ცერემონიალზე თბილისის მაშინდელმა მერმა გიგი უგულავამ დაკავებულები 1921 წელს ქვეყნის დამოუკიდებლობის წინააღმდეგ მოქმედ ქართველ ბოლშევიკებს შეადარა (Kobakhidze 2021, 8).

როგორც გამსახურდიას დროს, ისე შევარდნაძის და სააკაშვილის პრეზიდენტობისას, ჯერ საბჭოთა, შემდეგ კი რუსეთის სამხედრო და უშიშროების სტრუქტურები ნამდვილად მონაწილეობდნენ ღია და ფარულ ოპერაციებში საქართველოს სახელმწიფოს წინააღმდეგ. არსებობს მოწმობები, რომ ისინი აწვდიდნენ შეიარაღებას გამსახურდიას წინააღმდეგ ამბოხებულებს, ეხმარებოდნენ ოს და აფხაზ სეპარატისტებს. ბოლოს კი – 2008 წლის აგვისტოში – რუსეთის ფედერაციამ ღია სამხედრო ინტერვენცია განახორციელა. გასაკვირი არ არის, რომ ასეთი ქმედებები ხელს უწყობდა პარანოიას ჯაშუშებსა და მოღალატეებზე, რაც სარისკო იყო ახალგაზრდა სახელმწიფოს შიდაპოლი-

ტიკური ვითარებისათვის. უგულავას განცხადებაში არეკ-ლილი დისკურსი წლების განმავლობაში ვითარდებოდა. ამ პროცესში ორი მთავარი ნარატივის კრისტალიზაცია მოხდა. პირველის თანახმად, საქართველო მუდმივად იცავდა თავის იდენტობას გარეშე მტრებისაგან. მეორე ნარატივი კი ეხებოდა ადგილობრივ კოლაბორაციო-ნისტებს, რომელთა ქმედებები საგარეო გამოწვევებს აუ-არესებდა (Batiashvili 2012, 191). როგორც წერს ანთროპო-ლოგი ნუცა ბათიაშვილი, წინააღმდეგობის, მსხვერპლისა და ღალატის თემები ქართველის ეროვნულ ცნობიერე-ბაში ღრმადაა ჩანერგილი (Batiashvili 2022, 8).

და მაინც, ამ ცნობიერებიდან მომდინარე ანტიχაშუ-შური და ანტიმოღალატეობრივი კამპანიები დომინა-ნტური ქართული დისკურსის დამოკიდებული ცვლადე-ბია. დისკურსის კარდინალური ხაზი ანუ დამოუკიდე-ბელი ცვლადი რუსეთის აღქმაა. როგორც ცვლადს, მას ცვალებადობა ახასიათებდა: ამ აღქმას ხშირად რუსული ელიტის კონკრეტული ნაბიχები განაპირობებდა. რამდე-ნადაც ეს ნაბიχები საქართველოს ინტერესთა საზიანო იყო – არსებითად, რუსეთი ხელს უწყობდა საქართვე-ლოს დეზინტეგრაციას და ეწინააღმდეგებოდა ქვეყნის დასავლურ კურსს – გასაგებია, რომ ქართული დისკურსიც უმეტესწილად ანტირუსული იქნებოდა. χერ კიდევ 1991 წლის 2 მარტს ოფიციალურ გაზეთში „საქართველოს რესპუბლიკა“ გამოქვეყნდა საქართველოს უზენაესი საბ-ჭოს მიმართვა „გაეროს, მსოფლიოს ქვეყნების ხალხებსა და მთავრობებს“. მასში ხაზგასმული იყო, რომ კრემლი ქვეყანაში დესტაბილიზაციის კერებს ქმნიდა (საქართვე-ლოს რესპუბლიკა 1991).

ეს განცხადება კრემლის განზრახულობებსა თუ ქმე-დებებზე საერთაშორისო საზოგადოების ალარმიზა-ციის მხოლოდ დასაწყისი იყო. საბჭოთა რეჟიმის რუსე-თის ფედერაციის მთავრობით ჩანაცვლებას ქართულ დისკურსში არსებითი ცვლილება არ შეუტანია. შევარ-დნაძეც, რომელიც რუსეთიდან იყო დაბრუნებული და

ჩრდილოეთ მეზობელთან ურთიერთობათა დალაგებას იმედოვნებდა, 1993 წლის 21 სექტემბერს „სამშობლოს ყველა მეგობარს“ ღია წერილით მიმართავდა და შველას ითხოვდა. ამ დროს აფხაზეთში ფინალური ბრძოლები მიმდინარეობდა და შევარდნაძის ჯარებს დრამატული მარცხი ემუქრებოდა. შევარდნაძე წერდა, რომ ყოველივე რუსეთის სამგზის ღალატის ბრალი იყო, რადგან იგი დანაპირებ მედიატორობას არ ახორციელებდა (Chikovani and Kakitelashvili 2015, 134).

როგორც დისკურსით, ისე ქმედებებით, შევარდნაძის მემკვიდრე მიხეილ სააკაშვილი რუსეთის ელიტისათვის ალბათ ყველაზე პრობლემური ქართველი ლიდერი იყო. მის „ვარდების რევოლუციას“ რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი არა მხოლოდ პოლიტიკურად, არამედ სოციალურად და კულტურულად მტრულ ფენომენად მიიჩნევდა, რამდენადაც იგი ყოფილი კომუნისტური ნომენკლატურის მმართველობის დასასრულთან ასოცირდებოდა. გაუცხოება გაღრმავდა, როდესაც რევოლუციური ცვლილებები უკრაინაშიც დაიწყო. საბჭოთა კავშირის მემკვიდრე დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში (დსთ) ჯერ კიდევ მყოფი საქართველო შესაბამის ფორუმებზე ახლა უკვე ყოფილ სამოქალაქო აქტივისტებს აგზავნიდა, რაც პუტინის ანტურაჟისათვის დამატებითი შფოთის საფუძველი ხდებოდა.

რა თქმა უნდა, რუსეთისათვის მიუღებელი იყო, რომ ნატოსა და ევროპის კავშირში ინტეგრაციის კურსს სააკაშვილი ყველაზე დეკლარირებულად და ენერგიულად ატარებდა. კურსის რეალისტურობა მეორე ამბავია, ფაქტი კი ისაა, რომ სამხრეთელი მეზობლის ასეთი ორიენტაცია რუსეთს არ აწყობდა. ამის შესაბამისად ვითარდებოდა პუტინის პოლიტიკა საქართველოს მიმართ. მაგრამ როგორც პერსონი და მაკ ფოლი მიუთითებენ, პუტინს იმდენად საქართველოს ნატოში გაწევრიანების პერსპექტივა არ ადარდებდა, რამდენადაც რეგიონული დემოკრატიზაცია, რასაც საქართველო განასახიერებდა

და რაც რუსეთისათვის საფრთხის მატარებლად აღიქმებოდა (Person and McFaul 2022).

უსაფრთხოების ცნობილი მკვლევრები ბარი ბუზანი და ოლე ვივერი რუსეთის პოსტსაბჭოურ პოლიტიკას უფრო ხანგრძლივვადიან ჭრილში და განსხვავებულად აფასებენ: მათი თქმით, ე.წ. „მახლობელი საზღვარგარეთი“ რუსეთისათვის სტრატეგიული და სპეციფიკური მნიშვნელობების მატარებელია. „გავლენის ზონის“ შექმნა მისთვის საერთაშორისო სტატუსის გამაძლიერებლად აღიქმება. ამასთან, რუსეთის ხელისუფლება დაინტერესებულია ყოფილ საბჭოთა კავშირში განფენილი რუსების ბედით, მეზობელი ქვეყნებიდან კრიმინალის და კონფლიქტების გადმოღვრის რისკით და წარმოების ძველი ქსელების შენარჩუნებით (Buzan and Wæver 2003, 409-410).

დავეთანხმებით ამგვარ ახსნებს თუ არა, ვფიქრობთ, რომ რუსული პოლიტიკა საქართველოს, უკრაინის, სომხეთისა თუ მოლდოვას მიმართ დამატებით არგუმენტაციასაც საჭიროებს. მისი გასაღები საყურადღებო განცხადებაა, რომელიც რუსეთის პარლამენტის მაშინდელმა თავმჯდომარემ, ვლადიმირ შუმეიკომ 1995 წელს გააკეთა. იგი აჩვენებს, რომ განსხვავება ელცინისა და პუტინის პოლიტიკურ იდენტობებს შორის დიდად თვისებრივი არ ყოფილა. შუმეიკომ კი განაცხადა, რომ საქართველოს ტერიტორიაზე რუსული სამხედრო ბაზების არსებობა ამ მონაკვეთის რუსეთის მიერ „მონიშვნაზე“ მიუთითებს და სხვა ძალები აქ არ უნდა შემოდიოდნენ (Дарчиашвили 2023). ეს სიტყვები დასავლეთის მისამართით ითქვა: ამ დროს საქართველო უკვე ინტენსიურად თანამშრომლობდა ნატოსა და ალიანსის წევრებთან. შუმეიკოს ნათქვამი მიუთითებდა, რომ რუსეთის პოლიტიკურ კლასს მეზობლების მიმართ ისეთი დამოკიდებულება ჰქონდა, რასაც გამოთქმა „ძაღლი თივაზე“ შეეფერება. არსებითად, მსგავსი დამოკიდებულება ანაქრონისტული იმპერიული აზროვნებისათვისაა დამახასიათებელი.

ისეც არ ყოფილა, რომ თანამედროვე ქართველ პოლიტიკოსებს რუსეთთან ურთიერთობების დალაგება არასოდეს ეცადოთ. ე.წ. ორ რუსეთზე მსჯელობანი საინტერესო დისკურსული კონსტრუქცია იყო ამ მხრივ. გამსახურდიამაც და შევარდნაძემაც სცადეს, მიემართათ „დემოკრატიული რუსეთისათვის“, რომლის წარმომადგენლადაც ისინი ბორის ელცინს მიიჩნევდნენ. მათ ჰქონდათ იმედი, რომ რუსი დემოკრატები საქართველოს სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობისა თუ საგარეო პოლიტიკურ ინტერესებს გაითვალისწინებდნენ სააკაშვილის მმართველობაც რუსეთთან კონსტრუქციული ურთიერთობის მნიშვნელობაზე ხაზგასმით იწყებოდა (Jones 2012). 2004 წელს იგი საერთაშორისო თანამეგობრობის დიდ ნაწილთან ერთად იმედოვნებდა, რომ ვლადიმერ პუტინი საერთაშორისო სამართლის დამცველი იქნებოდა. როგორც მალე გამოჩნდა, პუტინმა მე-19 საუკუნის ლოგიკა და კოლონიური ომების წარმოება ამჯობინა. მან ეს საქართველოში დაიწყო და უკრაინაში გააგრძელა. ამ უკანასკნელ შემთხვევაში, რომლის კულმინაციაც 2022 წლის ფართომასშტაბიანი სამხედრო ინტერვენცია იყო, ადგილი ჰქონდა იდენტობისათვის ომსაც – პუტინმა ეჭვის ქვეშ უკრაინელთა იდენტობის უფლება დააყენა.

რუსული პოლიტიკის ანატომია ჩვენი წიგნის ფარგლებს სცდება. აქ მხოლოდ იმის დამატება გვსურს, რომ სააკაშვილის მთავრობა 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგაც განაგრძობდა „სხვა რუსეთის“ ძიებას. დიდი იმედების გარეშე, იგი რუსეთის ოპოზიციის მხარდაჭერას ცდილობდა. ევროპული პოლიტიკური ოჯახების დახმარებით ხდებოდა კომუნიკაცია მმართველ ერთიან ნაციონალურ მოძრაობასა და ბორის ნემცოვის მსგავს რუს დემოკრატებს შორის. ამავე დროს, საქართველომ შეწყვიტა დიპლომატიური ურთიერთობები ოფიციალურ მოსკოვთან. აფხაზეთსა და ყოფილ სამხრეთ ოსეთში განლაგებული რუსი სამხედროები საოკუპაციო ძალად გამოცხადდნენ.

ეს ყოველივე სახელმწიფო ნაციონალიზმის ლოგიკური გამოვლინება იყო. ასეთ იდეასა და შესაბამის პოლიტიკას ქართული პოლიტიკური კლასი დამოუკიდებლობის გამოცხადებისთანავე მისდევდა. ზოგჯერ ეს ეთნიკური ნაციონალიზმის ქოლგის ქვეშ ხდებოდა, სხვა შემთხვევებში მატულობდა ერის სამოქალაქო გაგება. მთელი ამ წლების განმავლობაში, მაშინაც კი, როდესაც საქართველო დსთ-ში შევიდა და რუსულ იმპერიულ დღის წესრიგზე მორგება სცადა,[33] არ წყდებოდა ადგილის ძიება ევროატლანტიკური უსაფრთხოების არქიტექტურაში. ამ მიმართულებით ცვლილებები 2012 წელს დაიწყო.

პარტია „ქართული ოცნების“ ერთი მნიშვნელოვანი დისკურსული მახასიათებელი მის პირველ საარჩევნო პროგრამაში იძებნება. მასში მეორდებოდა მანტრად ქცეული განაცხადი, დასავლეთის დემოკრატიებისაკენ საქართველოს სწრაფვის შესახებ. მაგრამ იქვე ეწერა, რომ „საქართველოს ფაქტორი აღარ უნდა არსებობდეს დასავლეთსა და რუსეთს შორის წინააღმდეგობრივ საკითხთა ნუსხაში“ (ivote.ge 2021, 22). მოცემულ ისტორიულ ეტაპზე, როდესაც მზარდად მომთხოვნი და აგრესიული რუსეთისაგან სუვერენიტეტის დაცვის გარანტიად მხოლოდ დასავლური თანადგომა ჩანდა და ამას დსთ-ში საქართველოს შემყვანი ედუარდ შევარდნაძეც აცნობიერებდა, ქართული ოცნების პროგრამის ეს პასაჟი, მინიმუმ, კითხვებს აღძრავდა.

„ქართული ოცნების“ ოპოზიციად ქცეული ყოფილი ერთიანი ნაციონალური მოძრაობა, რომელიც სხვადასხვა განაყოფებად დანაწევრდა, ახალი ხელისუფლების დე-ფაქტო ლიდერს, რუსეთში გამდიდრებულ მილიარდერ ბიძინა ივანიშვილს „რუსულ პროექტად“ მიიჩნევს. „ქართული ოცნების“ მთავრობამ ევროპის კავშირთან

33 1993-1998 წლებში საქართველოს თავდაცვის მინისტრი ქართული წარმოშობის რუსი გენერალი იყო. ვარდიკო ნადიბაიძის ამ თანამდებობაზე დანიშვნა შევარდნაძისათვის რუსეთის დაშოშმინების პოლიტიკის ნაწილად განიხილებოდა.

ასოცირების შეთანხმება გააფორმა, 2023 წელს კი ევროპის კავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსიც მიიღო, მაგრამ, მეორე მხრივ, რიგი ოფიციალური განცხადებები და ნაბიჯები მის პროევროპულობას ჩრდილს აყენებს. რჩება შთაბეჭდილება, რომ კანდიდატობის სტატუსი უფრო ევროპული ინიციატივა იყო, ვიდრე ქართული, რაც რუსეთის უკრაინაში აგრესიით გამოწვეული გეოპოლიტიკური წუხილებით იყო ნაკარნახევი. ქართული ოცნების საეჭვო ნაბიჯებიდან კი აღსანიშნავია შემდეგი: 2023 წელს მთავრობამ დაიწყო, 2024 წელს კი დაასრულა რუსული ანალოგის მსგავსი კანონის მიღება უცხოური გავლენების გამჭვირვალეობის შესახებ, რომლის მიზანიც დასავლური დახმარების მიმღები სამოქალაქო ორგანიზაციების თავისუფლების შეზღუდვაა; საქართველოს მთავრობის საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის კოორდინაცია ევროპის კავშირთან დაბალ ნიშნულზეა – განსაკუთრებით, უკრაინაში მიმდინარე ომთან დაკავშირებით; „ქართული ოცნების“ წარმომადგენლები მწვავედ რეაგირებენ ევროპის კავშირის პარლამენტარების კრიტიკულ განცხადებებზე, რომლებიც ქვეყანაში არსებული არადემოკრატიული ტენდენციებითაა გამოწვეული.

„ქართული ოცნება“ მაქსიმალურად იკავებს თავს რუსეთის ანტიქართული, თუ ზოგადად, აგრესიული რეგიონულ პოლიტიკის კრიტიკისაგან, და ამით რუსული ოფიციოზის კმაყოფილებას იწვევს. საქართველოს მთავრობამ შეწყვიტა „რუსეთის აგენტების“ გამოვლენის ტრადიციული პოლიტიკა და არაერთხელ დაადანაშაულა წინამორბედი სააკაშვილის მთავრობა რუსეთთან ომის დაწყებაში. მაგალითისათვის, როდესაც ივანიშვილის რჩეულსა და მის მემკვიდრეს პრემიერ-მინისტრის პოსტზე, ირაკლი ღარიბაშვილს პრესკონფერენციაზე ჰკითხეს, იყო თუ არა პუტინი საქართველოსა და უკრაინის მტერი, მან უპასუხა, რომ მტერი სააკაშვილია (Kobakhidze 2021,11). აღსანიშნავია ისიც, რომ „ქართული ოცნების“ მმართვე-

ლობის პირობებში რადიკალურად პრორუსული ჯგუფები უპრეცედენტოდ ღიად და აქტიურად მოქმედებენ.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, სავარაუდოა, რომ ივანიშვილის პარტია საქართველოს ეროვნული იდენტობის საგარეო და რეგიონული პოლიტიკის ასპექტებს არა ცივილიზაციურ თუ იდეოლოგიურ არჩევანზე, არამედ შიდა პოლიტიკურ დღის წესრიგსა და ძალაუფლების შენარჩუნების ლოგიკაზე აფუძნებს. მთავრობასა და ოპოზიციას შორის არსებული მტრული დამოკიდებულების გამო, „ქართული ოცნება“ ძირითადად საშინაო ოპონენტების და მათი უცხოელი პარტნიორების დემონიზაციით არის დაკავებული. ზოგჯერ მმართველი ელიტა მიმართავს რიტორიკულ ხრიკს და პრორუსულობის ბრალდებაზე პასუხობს, რომ ჭეშმარიტად რუსულ საქმეს პროდასავლური ოპოზიცია აკეთებს. რამდენადაც ეს დაპირისპირება მიმდინარე პროცესია, ჩვენ, როგორც ისტორიკოსები, ამ ამბის დასრულებას და ყველა რელევანტური წყაროს გამომზეურებას უნდა დაველოდოთ. აქ კი დავძენთ: სახელმწიფო ნაციონალიზმის ხელშემწყობი ფაქტი ისაა, რომ წლების მანძილზე ქართული ხელისუფლების ყველა მოწილეს სძულს, როცა მას რუსეთისათვის მუშაობას აბრალებენ.

გეოკულტურული პრეფერენციები

შესავალში აღვნიშნეთ, რომ ცნების – გეოკულტურა – პოპულარიზაცია მიეწერება ემანუელ ვალერშტაინს, რომელიც მას ე.წ. მსოფლიო-სისტემის დომინანტურ და ცვალებად ნორმათა, სიმბოლოთა და იდეათა იარლიყად იყენებდა. ვალერშტაინის აზრით, გეოკულტურის ძალა გარკვეულ სოციალურ ქმედებათა შემზღუდავ/წამახალისებელ უნარშია (Wallerstein 1991). არსებითად, ტერმინი დომინანტურ დისკურსებს ან მსოფლიოს კულტურულ ურთიერთქმედებათა სტრუქტურას ეხება. ამ ხედვის ზოგიერთი მიმდევრისათვის გეოკულტურის ვალერშტაინისეული აღქმა წინააღმდეგობრივია, რადგან ცნობილი თე-

ორეტიკოსი ამ ცნებაში, არსებითად, მხოლოდ ლიბერალიზმის გავრცელებას და მე-19 საუკუნის ევროპულ ტრანსფორმაციას გულისხმობდა (Gelis-Filho 2019, 168-170). გვთავაზობს რა ვალერშტაინის ახლებურ წაკითხვას, ბრაზილიელი მკვლევარი გელის-ფილჰო ამტკიცებს, რომ, მართალია, ლიბერალურმა გეოკულტურამ სახალხო სუვერენიტეტის მსგავსი ახალი კატეგორიების დამკვიდრებას შეუწყო ხელი, მაგრამ თავად გეოკულტურა ლიბერალიზმამდელი ისტორიული ფენომენია (Gelis-Filho 2019, 173).

როგორც ვალერშტაინისათვის, ისე მისი ბრაზილიელი კომენტატორისათვისაც პრეფიქსი „გეო“ მსოფლიო სისტემის ბირთვად, ნახევარპერიფერიად და პერიფერიად დაყოფაზე მიუთითებს. ამათგან ბირთვი კულტურული ღირებულებების ექსპორტს ახორციელებს. ნახევარპერიფერიისა და პერიფერიის ადგილობრივ კულტურებთან შეხებისას, მსოფლიო-სისტემის ბირთვის ღირებულებები დომინირებას აღწევს და ესაა გეოკულტურის არსი (Gelis-Filho 2019, 175). ამ მარქსისტული შეფერილობის მქონე თეორიით, გეოკულტურა მატერიალურ გაცვლასთან კავშირში მოქმედებს და პერიფერიაზე ბირთვის გაბატონებას უწყობს ხელს. ნახევარპერიფერიების კულტურა კი ბირთვთან კონკურირებს ან ერწყმის მას. ნახევარპერიფერიის ელიტა დომინანტური გეოკულტურის გამავრცელებელიც შეიძლება გახდეს. საინტერესოა, რომ ვალერშტაინიც და გელის-ფილჰოც პოლონეთის მაგალითს აკვირდებოდნენ და მის ამბიციურ არისტოკრატიას გეოკულტურული გაცვლების პროდუქტად მიიჩნევდნენ (Gelis-Filho 2019, 179).

მსოფლიო-სისტემის ცნება და მისი გეოკულტურული კომპონენტი საერთაშორისო სტრუქტურაზე შემდგომ მსჯელობებს ითხოვს, მაგრამ ჩვენი ამოცანა უფრო მოკრძალებულია: ესაა ეროვნულ დისკურსებზე და ერის ფორმირებაზე კონცენტრირება. არის ამ მხრივ გეოკულტურის ცნება რამის მომცემი? როგორც წიგნის შესავალში ითქვა, ქართულ-პოლონური შედარებითი ანალიზისას

უფრო რელევანტური გეოკულტურის ის წაკითხვაა, რომელსაც პოლონელ ისტორიკოსებთან და საერთაშორისო ურთიერთობების ექსპერტებთან ვხვდებით. ისინი, უმეტესწილად, გეოკულტურაში ხედავენ რეგიონული დონის გეოპოლიტიკური ურთიერთქმედების კულტურულ განზომილებას, რომელიც ცვალებად გარემოებებსა და აღქმებზეა დამოკიდებული. ანჟეი ნოვაკი არ განიხილავს პოლონეთის ნახევარპერიფერიად თუ რაიმე სხვად ყოფნის ცოტა წინააღმდეგობრივ საკითხს. იგი, საერთოდაც, უფრო გეოპოლიტიკას ახსენებს, ვიდრე გეოკულტურას (Nowak 2008). მაგრამ, როგორც გეოკულტურა, ისე გეოპოლიტიკა მისთვის გარკვეულ სივრცეზე სპეციფიკური ცივილიზაციური პრინციპებისა და კულტურული ნორმების დაცვა-გავრცელებასთან ასოცირდება. ჩვენთვისაც, სამყაროში საკუთარი როლის იდენტიფიცირება ან, სხვაგვარად რომ ვთქვათ, რეგიონული დონის გეოკულტურა ნაციონალური ფორმირების მნიშვნელოვანი ასპექტია. იგი იმ ადგილის ფუნქციაა, რომელსაც ერი თუ მისი ინტელექტუალური ელიტა იღებს და გარე სამყაროში პროეცირებს. არსებითად, გეოპოლიტიკური როლი, მისი ფუნქცია ეროვნული დისკურსით უნდა მკვიდრდებოდეს. ნაციონალიზმის ამ ასპექტს პოლონური ელიტა დიდ ყურადღებას უთმობდა და, შესაბამისად, პოლონეთის რეგიონული როლის განგრძობად ნარატივს ქმნიდა. ჩვენ ამ როლს და მის დისკურსულ არტიკულაციას წიგნის სათანადო ადგილას დავუბრუნდებით. აქ კი ქართული ანალოგის გარკვევას ვცდილობთ და ჩვენი კვლევითი კითხვაა – ჰქონდა ან აქვს თუ არა ქართულ საზოგადოებას მსოფლიოში საკუთარი ადგილის მკაფიო ხედვა, რომელიც მის ეროვნულ იდენტობას შეკრავდა.

ბუნებრივია, რომ ეროვნული ნარატივები რეგიონულ კონტექსტსაც ირეკლავს. შესაბამისად, ქართველ ისტორიკოსებს ქვეყნის ეკონომიკურ და კულტურულ გზაჯვარედინად წარმოდგენაში შეჰქონდათ წვლილი. ივანე ჯავახიშვილის, ნიკო მარის თუ სხვათა მიერ თანამედროვე

ქართული ისტორიოგრაფიისა და ლინგვისტიკის ფორმირება კავკასიელთა ერთობის შუასაუკუნეობრივ მითს ახალ სიცოცხლეს აძლევდა. ამგვარი ერთობის ძიება ქართველთა ეთნოგენეზის კვლევის განუყრელი ნაწილი ხდებოდა. როგორც აღინიშნა, ფედერაციული კავკასიისა თუ ამიერკავკასიის პოლიტიკური პროექტები ამ აკადემიური კონსტრუქტების პარალელურად იქმნებოდა. მაგრამ ჩვენ აგრეთვე ვნახეთ, რომ რეგიონული ინტეგრაციის მცდელობები არასიცოცხლისუნარიანი იყო. მიხაკო წერეთლის, სოციალისტ-ფედერალისტებისა თუ ნოე ჟორდანიას ძალისხმევის მიუხედავად, პრაქტიკული გეოპოლიტიკური სირთულეები თუ ეთნონაციონალისტური სურვილები რეგიონული გეოკულტურის პერსპექტივას გასაქანს არ აძლევდა. ნიადაგი ისეთი თეორიისა თუ მოძრაობისათვის, რომელიც საქართველოს რაიმე ფორმის რეგიონული გრავიტაციის ცენტრად აქცევდა ან წარმოიდგენდა, არ იყო ნაყოფიერი. ვერ გამოვრიცხავთ, რომ დამატებითი მცდელობების შემთხვევაში, რეგიონალიზაციას ხორცი შესხმოდა, რადგან იმპერიის ეპოქაში თბილისი რეგიონული მნიშვნელობის კულტურული და ადმინისტრაციული ცენტრი იყო. მაგრამ 1918-1921 წლებში შესაბამისი პოლიტიკის ჩამოუყალიბებლობა ინტელექტუალური სიღარიბის თუ ენერგიის ნაკლებობის შედეგი არ ყოფილა – მაშინ საქართველო გადარჩენის რეჟიმში იმყოფებოდა და, საბოლოო ჯამში, მისი მესვეურები წითელ რუსეთთან მშვიდობას ირჩევდნენ. ყველა იმ რეგიონულ ინიციატივას, რომლებიც კვლავ მოძლიერებული ჩრდილოეთის რისხვას გამოიწვევდა, პატარა საქართველოსათვის დიდი რისკი ახლდა. პოსტსაბჭოთა ხანაში კი კომუნისტური მმართველობისას გაღვივებულმა ეთნიკურმა სტერეოტიპებმა რეგიონული სოლიდარობის იდეა კიდევ უფრო მარგინალური გახადა.

კულტურის დონეზე ამის მანიფესტაცია სერგეი ფარაჯანოვის მაგალითია. ფარაჯანოვს, რომელიც თბილისის კოსმოპოლიტურ ტრადიციას განასახიერებდა, ჰქონდა

სოციალური ნიადაგი და ჰყავდა მიმდევრებიც. როგორც აღინიშნა, ქართველ ხელოვანთა ნაწილი მოხიბლული იყო მისი ქმნილებების მულტიკულტურული ბუნებით. მაგრამ ეთნიკური ნაციონალიზმი კოლექტიური იდენტობის მთავარ მარკერად რჩებოდა. იგი ადამიანებს ეთნოკულტურულად აჯგუფებდა და ინტერნაციონალურ თუ რეგიონულ სოლიდარობას ჩრდილავდა. რიგითი ქართველისათვის ფარაჯანოვის ფილმებს ბევრად ნაკლები მიმზიდველობა ჰქონდა, ვიდრე იმავე მუხრან მაჭავარიანის პოეზიას: სისხლის სიწმინდეზე პოეტური აქცენტები კულტურული თუ პოლიტიკური ინტეგრაციისათვის შეუსაბამო მენტალურ ნიადაგს ანაყოფიერებდა.

აღსანიშნავია, რომ ტრანსკავკასიურ თანამშრომლობაზე ფიქრს, რაც ყოვლისმომცველ ეთნიკურ ნაციონალიზმს ბოლომდე ვერასოდეს დაეჩრდილა, უფრო მეტად სამოქალაქო და კულტურული ელფერი ჰქონდა, კავკასიური იდეა კი საერთო ნათესაობის ძიებაზე და განცდაზე იყო დაფუძნებული. ქართველთა ეთნოგენეზის ზემოთ ნახსენები ისტორიული და ლინგვისტური ძიებანი, რომლებიც, თავის მხრივ, ეთნიკური ნაციონალისტური ემოციების რეზერვუარს წარმოადგენდა, ეყრდნობოდა რწმენას, რომ საერთო ფესვები ქართველებს მხოლოდ ჩრდილო კავკასიელ მთიელებთან ჰქონდათ. ქართულ-სომხურ-აზერბაიჯანული აკულტურაციის კვლევები საქართველოს რეგიონული პოზიციონირებისათვის უფრო პერსპექტიული უნდა ყოფილიყო, მაგრამ მსგავსი მცდელობები იგვიანებდა. ეს კიდევ ერთხელ აჩვენებდა, რომ ერის პრიმორდიალური გააზრება – ათასწლოვანი ლინგვისტური მემკვიდრეობით აღფრთოვანება – ეთნიკური სიწმინდის, ხასიათის, ერის მეტაფიზიკური თუ მისტიკური იმიჯების იდეოლოგიას კვებავდა. ქართულ პოლიტიკაში მსგავსი მსოფლმხედველობის ყველაზე გამორჩეული წარმომადგენელი ზვიად გამსახურდია იყო. ალბათ არაა შემთხვევითი, რომ იგი სწორედ კავკასიური კოოპერაციით დაინტერესდა და, დამხობის შემდეგ, თავშესაფარი ჩე-

ჩენ ამბოხებულ გენერალთან, ჯოხარ დუდაევთან იპოვა. შესაძლოა ვიფიქროთ, რომ მისი აზროვნების ტრაექტორია განაპირობებდა 1991 წელს აფხაზებთან შეთანხმებასაც – გამსახურდიას მათი ჩრდილოკავკასიური წარმომავლობის სწამდა. სამწუხაროდ, არც გამსახურდიას დროს და არც შემდგომში, ყოველივე ამას არ მოჰყოლია რაიმე ხელშესახები პოლიტიკური კონცეფცია, რომელიც ქართველ და ჩრდილო კავკასიელ პოლიტიკურ კლასებს თანაბრად მიიზიდავდა.[34]

იმავდროულად, როგორც სამოქალაქო, ისე, გარკვეულწილად, ეთნიკური ნაციონალიზმი საქართველოს ძლიერი საერთაშორისო ცენტებისაკენ იზიდავდა. რუსეთისაგან გაქცევის სურვილი სხვა ვერაფერში მატერიალიზდებოდა, თუ არა ევროატლანტიკური სამყაროს პროტექციის ძიებაში. შეგვიძლია ეს სწრაფვა ვალერშტაინის პრიზმიდანაც დავინახოთ: მსოფლიო-სისტემის ბირთვი ახალ პერიფერია/ნახევარპერიფერიაში აღწევდა. ასევე ლოგიკურია, თუ პროცესს საერთაშორისო უსაფრთხოებისა და დემოკრატიზაციის ჭრილში განვიხილავთ, რაც ისევ ცივილიზაციური განზომილების თანამდევია: 1999 წელს, საქართველოს ევროპის საბჭოში გაწევრიანებისას მაშინდელმა პარლამენტის სპიკერმა ზურაბ ჟვანიამ საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის სხდომაზე დასამახსოვრებელი სიტყვა წარმოთქვა – მე ვარ ქართველი, მაშასადამე, მე ვარ ევროპელი. მაგრამ იგივე დემოკრატიზაციისა და უსაფრთხოების მიზნებისათვის დასავლურ ინსტიტუტებს არა უბრალოდ საქართველო, არამედ რეგიონული სტაბილობა სჭირდებოდა. ეს შესაბამის ინი-

34 თუმცა იყო ერთი აღსანიშნავი ნაბიჯი, რომელიც მიხეილ სააკაშვილის მთავრობამ გადადგა: 2011 წლის მაისში საქართველოს პარლამენტმა მე-19 საუკუნეში რუსეთის იმპერიის მიერ წარმოებული კავკასიური ომი ჩერქეზი ხალხის გენოციდად აღიარა. ამით საქართველო ჩრდილო კავკასიელებთან დაახლოებას შეეცადა. ქართულ რეზოლუციას ჩერქეზთა მსოფლიო დიასპორაში ჰქონდა რეზონანსი. მაგრამ მას რაიმე განგრძობადი პოლიტიკის განვითარება აღარ მოჰყოლია.

ციატივებს ითხოვდა და ქართველთაგან ისევ რეგიონულ პროფილზე ფიქრი ხდებოდა საჭირო.

ეს ზოგადი მოთხოვნილება, რომელიც შეიძლება მსოფლიო-სისტემის ბირთვიდან მომდინარე გეოკულტურულ ნორმადაც მივიჩნიოთ, რამდენიმე პროექტში მატერიალიზდა. ისინი ქართული ინიციატივები არ ყოფილა, მაგრამ საქართველო გულწრფელ ინტერესს ავლენდა მათ მიმართ. პირველი იყო ტრასეკა – აზია-ევროპის სატრანსპორტო კორიდორი სამხრეთ კავკასიის გავლით. მისი ინაუგურაცია 1993 წელს ბრიუსელში განხორციელდა. ტრასეკამ ხელი შეუწყო საქართველო-აზერბაიჯანის თანამშრომლობას, რასაც ნავთობსადენებისა და გაზსადენის მშენებლობის თურქული ინიციატივების მატერიალიზაცია მოჰყვა. თურქეთმა განსაკუთრებული როლი შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის შექმნაშიც ითამაშა. საქართველო ასევე მონაწილეობს გუამში – დემოკრატიისა და ეკონომიკური განვითარების ორგანიზაციაში, რომლის დანარჩენი წევრები არიან უკრაინა, აზერბაიჯანი და მოლდოვა. 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ ევროპის კავშირმა აღმოსავლეთ პარტნიორობის ინიციატივა წამოიწყო, რომლის მიზანი სამხრეთ კავკასიის, უკრაინის, მოლდოვას და ბელარუსის პროევროპული კოოპერაციის წახალისება იყო.

მაგრამ გარდა მილსადენებისა, რომლებიც მატერიალურ, გეოეკონომიკურ ღირებულებას წარმოადგენს, ამ პროექტებს ხელშესახები რეგიონული შედეგი არ მოჰყოლია. მილსადენთა პოლიტიკა არ აღმოჩნდა ასოცირებული ისეთ პოლიტიკურ თუ ცივილიზაციურ ინტეგრაციასთან, რომელიც რაიმე ფორმისა და საზღვრების გეოკულტურის საფუძველი გახდებოდა. მხოლოდ გუამი, როგორადაც ის ჩაიფიქრეს, რუსეთის დამაბალანსებელ მრავალგანზომილებიან რეგიონულ სოლიდარობას ისახავდა მიზნად. მაგრამ პრაქტიკაში ისიც სუსტი და არაეფექტური იყო (Buzan and Wæver 2003, 412). უფრო გვიან

კონსტრუირებული აღმოსავლეთის პარტნიორობის ინიციატივა ან უსაფრთხოების თემატიკას არიდებდა თავს ანდა სომხურ-აზერბაიჯანული პოზიციების შეუთავსებლობით და ბელარუსის ლიდერის ანტიევროპული ქცევით შედიოდა ჩიხში.

იყო ერთი გამონაკლისი – პოლონეთის პრეზიდენტის ანჟეი დუდას „სამი ზღვის ინიციატივა“ (Starczyk and Tomaszewska 2017), რომელმაც პრეზიდენტ სააკაშვილის განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია. უკვე „ქართული ოცნების“ მიერ ბრალდებულმა და თავისუფლებააღკვეთილმა სააკაშვილმა 2021 წელს „ჩემი მანიფესტი“ დაწერა. იგი ხაზს უსვამდა, რომ ევროპულ ორიენტაციას ალტერნატივა არ გააჩნდა, მაგრამ აზუსტებდა, რომ ამ მიზნის რეალიზაციისათვის სწორედ პოლონური ინიციატივის განხორციელება იყო საშური. სააკაშვილისათვის „სამი ზღვის ინიციატივა“ იყო მზარდი მნიშვნელობის გეოპოლიტიკური მოთამაშე, მოქნილი და ეფექტური პლატფორმა, რომელიც რუსეთის გეოპოლიტიკურ ამბიციებს აღუდგებოდა წინ და მის გაფართოებას შეაჩერებდა (Saakashvili 2021). თეორიულად მაინც, „სამი ზღვის ინიციატივას“ ჰქონდა ის, რაც სხვა პროექტებს აკლდა – ისტორიულ-გეოპოლიტიკური ტრადიცია, რომლებიც იუზეფ პილსუდსკის „ინტერმარიუმის“ ფედერაციის იდეიდან მომდინარეობდა. ერთი შეხედვით, ესაა ინიციატივა, რომელიც უკანასკნელ დრომდე მხოლოდ ევროპის კავშირის ბალტიის, შავი და ადრიატიკის ზღვებს შორის მდებარე წევრების სატრანსპორტო, ენერგეტიკული და ტექნოლოგიური სექტორების თანამშრომლობას მოიაზრებდა. მაგრამ პოლონელთა სურვილი, რომ პროექტში საქართველო, უკრაინა და მოლდოვა მოეზიდა, ისევე როგორც ლიტველთა ბოლოდროინდელი აქცენტი არეალში სამხედრო მობილობის გაზრდის აუცილებლობაზე, სწორედაც რომ პროექტის ისტორიულ-გეოპოლიტიკურ ფესვებზე – მის ანტიკრემლისტურ სულისკვეთებაზე მიუთითებს. კავშირი „სამი ზღვის ინიციატივასა“ და „ინტე-

რმარიუმის“ ცივილიზაციურ ამბიციას შორის პოლონური აკადემიური წრეების მიერაა არტიკულირებული. პოლონელი მკვლევრები აღნიშნავენ, რომ „ინტერმარიუმის“ ტრადიცია მრავალი პოსტკომუნისტი პოლონელი პოლიტიკოსის ინსპირაციის წყარო იყო და „სამი ზღვის“ თანამედროვე ინიციატივა არაა მხოლოდ კაჩინსკი-დუდას პოლიტიკური ოჯახის ექსკლუზივი (Starczyk and Tomaszewska 2017, 16-26).

მაგრამ ჯერჯერობით „სამი ზღვის ინიციატივა“ პოლონური გეოპოლიტიკური და გეოკულტურული პროდუქტია. სააკაშვილი პატიმრობაშია და საქართველოს ამჟამინდელი ხელისუფლება ამ პროექტის გააზრების განსაკუთრებულ სურვილს არ ავლენს. როგორც აღინიშნა, „ქართული ოცნება“ დეკლარაციულად არაა ევროპის კავშირის წევრობის წინააღმდეგი, თუ ასეთი რამ საგარეო თუ საშინაო პოლიტიკური რისკების გარეშე განხორციელდება. მთავარი კი მისთვის ისევ ის ძველი წინასაარჩევნო პოსტულატია – „საქართველოს ფაქტორი აღარ უნდა არსებობდეს დასავლეთსა და რუსეთს შორის წინააღმდეგობრივ საკითხთა ნუსხაში“. პასუხი კითხვაზე, თუ რამდენად თავსებადია წევრობის პერსპექტივა ამ პოსტულატთან, არ არსებობს. პარალელურად, ქართული ოცნების ხელისუფლება აკეთებს განცხადებებს ჩინეთთან სტრატეგიული პარტნიორობის სასურველობაზე. პოლიტიკის შიდა ფრონტზე გრძელდება კოოპერატიული ურთიერთობები მასსა და ღიად პრორუსულ ძალებს შორის. ეს უკანასკნელი ცალსახად უარყოფს ევროპული ინტეგრაციის კურსს და პარტნიორობს რუსული იდეოლოგიური სამყაროს ისეთ ოდიოზურ პერსონაჟებთან, როგორიცაა ალექსანდრე დუგინი. ბუნებრივია, რომ ასეთი პოლიტიკურ-ინტელექტუალური პრეფერენციების მქონე ქართული ოფიციოზის „სამი ზღვის ინიციატივით“ მოხიბვლა ნაკლებ სავარაუდოა.

საყურადღებოა, რომ ევროპული ორიენტაციის უარმყოფელმა ქართულმა ჯგუფებმა ზურაბ ჟვანიას ზემოთ

ნახსენები დიქტუმი – მე ვარ ქართველი და მაშასადამე მე ვარ ევროპელი – სოციალურ ქსელში ჩაანაცვლეს ფრაზით „მე ვარ ქართველი და არავითარი მაშასადამე“. საერთოდ, იზოლაციონიზმი ეთნონაციონალისტთა ტრადიციული მახასიათებელია: პოპულარული ნოველისტი, ოთარ ჭილაძე ათწლეულების წინ წერდა, თუ როგორ გადააგვარეს დასავლეთიდან მოსულმა არგონავტებმა ქართული ცივილიზაცია ჯერ კიდევ უხსოვარ დროში (ბერძენიშვილი და ზურაბიშვილი 2020, 14). ეს ყოველივე აჩვენებს, რომ გეოპოლიტიკური არჩევანი ქართველ ერს ისევ გასაკეთებელი აქვს. ან, სხვაგვარად რომ ვთქვათ, ქართული პოლიტიკური და ინტელექტუალური ელიტა ჯერაც ვერ ქმნის ეროვნული იდენტობის შეთანხმებულ საგარეო პოლიტიკურ განზომილებას.

დასკვნითი შენიშვნები

სტივენ ჯონსი საქართველოში ბოლო 30 წლის მანძილზე გამოკვეთილი სამი ტიპის ნაციონალიზმზე საუბრობს. მისი აზრით, ესენია: მსხვერპლის ნაციონალიზმი, რომელსაც ზვიად გამსახურდია განასახიერებდა. იგი ერის საშინაო და საგარეო საფრთხეების წნეხის ქვეშ ყოფნისა და აღქმული მტრების წინააღმდეგ ერთიანობის იდეას ეყრდნობოდა; ამის სანაცვლოდ, სააკაშვილის ნაციონალიზმი განვითარების მისიაზე იყო ორიენტირებული და დინამიზმი ახასიათებდა. თუმცა, ჯონსის თქმით, მას ტოლერანტობა აკლდა; დაბოლოს, კონსერვატიული ნაციონალიზმი, რომელთანაც „ქართული ოცნება“ ასოცირდება. ნაციონალიზმის ეს ფორმა ისტორიული დიდებისა და ეკლესიის, ოჯახის, თუ ბინარული გენდერული როლების თაყვანისცემას გულისხმობს (Gabrichidze 2023).

მსგავსი კლასიფიკაცია თავისთავად საინტერესოა, მაგრამ იგი ნამდვილად არ არის განზოგადების ერთადერთი ფორმა. ქართულ ეროვნულ იდენტობაზე ასევე შეიძლება ვიფიქროთ, როგორც ეთნიკურ და სამოქალაქო ვერსიებსა თუ მოდერნულ და პრიმორდიალურ პარადიგმებს შორის გაყოფილზე. იგი შეგვიძლია სოციალური სტრუქტურაციის პრიზმაშიც დავინახოთ – როგორც დაუსრულებელი კონფლიქტი ყოფილ კომუნისტურ კლიენტელასა და, თავის დროზე, მისი წინაპრებისაგან რეპრესირებულთა შთამომავლებს შორის. ან, სულაც, მივდიოთ პოპულარულ დისკურსს და პოლიტიკური კლასი პროდასავლურ და პრორუსულ ფრაქციებად დავაჯგუფოთ.

ერის პრიმორდიალურ გაგებაზე დაფუძნებული ეთნიკური ნაციონალიზმიც ქართული იდენტობის წინააღმდეგობრივი ბუნების დამაინტრიგებელ ახსნებს იძლევა. ამ სააზროვნო სკოლის ცნობილი წარმომადგენელი აკაკი

ბაქრაძე 1988 წელს წერდა, რომ ქართველ ერს მე-12-13 საუკუნეებში ჰქონდა მისიის განცდა. მისი თქმით, შუა საუკუნეებში ერის თვითდამკვიდრების მექანიზმს მესიანიზმი წარმოადგენდა. საქართველოს შემთხვევაში იგი ეყრდნობოდა ენისა და მმართველი დინასტიის ღვთიური დანიშნულების იდეას და რწმენას, რომ ქვეყანა მარიამ ღვთისმშობლის წილხვედრი იყო. ბაქრაძის თანახმად, ეს იდეოლოგემები კავკასიისათვის ბრძოლის ნაწილს წარმოადგენდა და როგორც სომხური იდეოლოგიური ამბიციების, ისე ბიზანტიური პოლიტიკურ-რელიგიური აგრესიულობის წინააღმდეგ გამოიყენებოდა (ბაქრაძე 1988, 5-9). შემდეგ ავტორი გვეუბნება, რომ მე-13 საუკუნეში შემოსეულმა მონღოლებმა ქართველებს მისიის განცდა დააკარგვინეს (ბაქრაძე 1988, 16). მე-18 საუკუნისათვის მისიის ხელახალი აღმოჩენა იყო მომწიფებული, რაც ქრისტეს რწმენის დაცვას და საგანმანათლებლო სისტემის აღორძინებას უკავშირდებოდა (ბაქრაძე 1988, 25-26), მაგრამ ქართველებმა პირი რუსეთისაკენ, როგორც ბიზანტიის მაგვარი პატრონისა და მფარველისაკენ იბრუნეს. „ქართული პოლიტიკურ-რელიგიური რუსიზმი უშუალო გაგრძელება იყო ქართული პოლიტიკურ-რელიგიური ბიზანტინიზმისა. [...] ჩვენს ისტორიაში ბიზანტიური სენის საშიშროებას ძველად გიორგი მთაწმინდელი და დავით აღმაშენებელი ხედავდნენ, უფრო გვიან – სულხან-საბა ორბელიანი და ახალგაზრდა ანტონ კათოლიკოსი, მეცხრამეტე საუკუნეში – ნიკო ნიკოლაძე“ – აღნიშნავს ბაქრაძე ქართველთა საუკუნოვანი, მაგრამ მუდმივად მოწყვლადი მისიის შესახებ (ბაქრაძე 1988, 26-28). ბაქრაძისათვის ქართული მისიის თავდაპირველი არსიც და მისი დაბრუნების იდეაც ევროპისაკენ სწრაფვასთან ასოცირდებოდა, რასაც მუდმივად ბლოკავდა რუსეთის სახით აღორძინებული ბიზანტიური სინდრომი.

რა შეგვიძლია ვთქვათ ამასთან დაკავშირებით? აკაკი ბაქრაძის შეხედულება იმ ტელეოლოგიური ისტორიოსოფიის ელფერისაა, რომლის თანახმადაც მე-12 და მე-19

საუკუნის საზოგადოებრივი ცნობიერება ერთგვარია, რელიგიური და დინასტიური ღირებულებანი თუ ნორმები თანამედროვე ნაციონალიზმის ტოლფასია და ჩვენ, არსებითად, დავით აღმაშენებლის თუ გიორგი მთაწმინდელის მენტალურ სამყაროში ვცხოვრობთ. პრინციპში, მსგავსი განაზრებანი ტრადიციულად პოპულარული ეთნონაციონალისტურ/პრიმორდიალისტური დისკურსის მაღალი ნიმუშია. დარწმუნების ძალის მქონე ასეთი ხედვის საპირისპიროდ იმის თქმაა უპრიანი, რომ შუასაუკუნეობრივი დოქტრინები ენაზე, მმართველი დინასტიის წარმომავლობაზე და რელიგიის ინსტრუმენტალიზაცია ნაციონალიზმის ნიშნები კი არ იყო, არამედ მაშინდელ ელიტათა საბრძოლო არსენალი. რა თქმა უნდა, რეტროსპექტიულად თუ შევხედავთ, ეს „იარაღები“ ერის მშენებლობის ფუნდამენტია. მაგრამ თანამედროვე სოციალური თეორიების გადმოსახედიდან, ძველ მეფეთა და პატრიარქთა ავტოკრატიული მისწრაფებების თანამედროვე ეროვნულ შეგნებასთან გაიგივება მეტაფიზიკაა. ნაციონალიზმი მასობრივი ფენომენია, რომლის პოსტულატებს პოლიტიკური და განათლებული კლასები მსოფლმხედველობრივად იზიარებენ და არა ფეოდალურ იერარქიაში კუთვნილი ადგილისა თუ სექტარული განცდის გამო. გარკვეულ ტერიტორიებთან ეთნო-ლინგვისტური თუ რელიგიური ჯგუფების მიახლოებითი ბმა უხსოვარ წარსულშიც ხდებოდა, მაგრამ ასეთი კავშირების განვითარებულ ეროვნულ სახელმწიფოებად წარმოდგენა ანაქრონიზმია. თუმცა ბაქრაძე მაინც უფრო იდეოლოგი იყო, ვიდრე ისტორიკოსი და სავსებით შეეძლო, ანაქრონისტული შეფასებებისათვის გასაქანი მიეცა. სხვა მხრივ, ვინძლო ამ მიმართულებით მსჯელობათა გაგრძელებაში ისტორიის ინტერპრეტაციებზე დაფუძნებული, ოღონდ თანამედროვეობის შესაფერისი ქართული გეოკულტურის გასაღებიც იძებნებოდეს.

ქართული ნაციონალიზმი მისდევს აწმყო ინტერესებითა და გემოვნებით წარსულის დაუსრულებელი ინტე-

რპრეტაციებისა და რეკონსტრუქციების უნივერსალურ ქარგას. ჩვენც ამიტომ მოვყევით მისი ისტორია განგრძობადობისა და კონტექსტუალიზაციის ჭრილში და ერეკლე მეორის, ნოე ჟორდანიას თუ ედუარდ შევარდნაძის მიმართ არსებული სტერეოტიპული შეხედულებების დეკონსტრუქციას შევეცადეთ. თუმცა, მივდევთ რა ბენედეტო კროჩეს ზემოთ ნახსენებ დიქტუმს – „ყველა ისტორია თანამედროვეობის ისტორიაა“ – ჩვენც ვერ ვიკავებთ თავს, რომ წარსულს დღევანდელობის პოლიტიკური, ეთიკური თუ ესთეტიკური საჭიროებებიდან გამომდინარე არ შევხედოთ. ამ მიზნით ვუხმობთ პოლონურ მაგალითსაც: მისით გვინდა უკეთ გავიაზროთ, თუ რაა სახელმწიფოსა და ერის მშენებლობის წარმატებულობის გასაღები.

პატრიოტიზმის პოლონური მაგალითი: ჟეჩპოსპოლიტას იდეოლოგემებსა და ინტეგრალურ ნაციონალიზმს შორის

პოლონური ნაციონალიზმის კლასიფიკაციის მცდელობა

ვფიქრობთ, ლოგიკურია, რომ პოლონური ნაციონალიზმის ისტორიის თხრობა მე-18 საუკუნის მეორე ნახევრიდან დაიწყოს. ამ დროისათვის ძველი რელიგიური და ფეოდალური ლოიალობანი და სარმატიზმის არისტოკრატული განცდა[35] ევროპული განმანათლებლობით გამდიდრდა, რასაც მალე რომანტიზმი მოჰყვა. საქართველოს მსგავსად, მაგრამ რიგი სხვა ევროპული ქვეყნებისაგან განსხვავებით, ერის მშენებლობის მოთავეობა ტრადიციულმა მმართველმა კლასმა ითავა: არისტოკრატიის წილი პოლონეთის მოსახლეობაში საკმაოდ მაღალი იყო როგორც ფეოდალიზმის დროს, ისე შემდგომშიც.[36] მაგრამ შლახტას ქართველ კლასობრივ თანამოძმეებზე

35 სარმატიზმი პოლონეთის თავადაზნაურობის – შლიახტას – იდეოლოგიად თუ ცხოვრების სტილადაა მიჩნეული. იგი არისტოკრატიის თვითიდენტიფიკაციის მარკერს წარმოადგენდა და ეყრდნობოდა მითს, რომ „შლახტიჩები“ ძველი სარმატების შთამომავლები იყვნენ.

36 ზოგიერთი შეფასებით, შლახტა მთელი მოსახლეობის 15-16% იყო (ინტერვიუ პოლონეთის სენატში სახალხო პარტიის აპარატის წარმომადგენელთან, მარიან პრჟეძიეცკისთან, დავით დარჩიაშვილი, 7. 09.2022, კარპაჩი, პოლონეთი); ისტორიკოსები თვლიან, რომ ძველი პოლონურ-ლიტვური თანამეგობრობის მართვაში მოსახლეობის 8-10% ან 7-10% მონაწილეობდა (Wandicz 1996, 5; Nowak 2008, 52). შედარებისათვის, ევროპის დიდ ნაწილში ნობილიტეტის წილი 1%-ზე ნაკლები ან 1-3% იყო (Leonhard and Wieland 2011). ამ მხრივ, საქართველო პოლონეთს ჰგავდა: 1924 წელს კომუნისტთა ერთ-ერთი ლიდერი, ლევან ღოღობერიძე აცხადებდა, რომ საქართველოს არისტოკრატიის პროცენტი „უჩვეულოდ მაღალი“ იყო, 6%-ს აღწევდა და შემცირებას საჭიროებდა.

გაცილებით მეტი შესაძლებლობა ეძლეოდა, რომ ევროპული მოდერნიზაციის მონაწილე ყოფილიყო. პოლონეთის ელიტას მოდერნულობის ერთ-ერთ შემოქმედთან, ჟან ჟაკ რუსოსთან უშუალო შეხება ჰქონდა. რუსომ პოლონურ თემას ესეი მიუძღვნა. ეს მოხდა პოლიტიკური კრიზისის პირობებში, რომელსაც მეზობელი სახელმწიფოების მიერ პოლონურ-ლიტვური თანამეგობრობის – ჟეჩპოსპოლიტას საბოლოო დანაწილება მოჰყვა. მეორე მხრივ, კრიზისმა მოდერნული პოლონური ნაციონალიზმის სხვადასხვა მიმდინარეობებს მისცა დასაბამი. ეყრდნობა რა ცნობილი მკვლევრის, ანჟეი ვალიცკის ინტელექტუალურ მემკვიდრეობას,[37] თანამედროვე პოლონელი ისტორიკოსი ანჟეი ნოვაკი ამ მიმდინარეობებს განსაზღვრავს, როგორც „პრინციპულ გზებს, რომლებზედაც პოლონურ პოლიტიკურ ტრადიციაში პატრიოტიზმია დაშენებული“ (Nowak 2008, 87).

ვალიცკის ინტერპრეტაციით, პატრიოტული თუ ნაციონალისტური ნაკადები, რომლებიც მეორე ჟეჩპოსპოლიტას შექმნამდე (1918) ვითარდებოდა და, გარკვეულწილად, დღემდე რეზონირებს, შემდეგია: 1. ეროვნული ნების ერთგულება – ზრუნვა საშინაო და საგარეო სუვერენიტეტზე; 2. ლოიალობა ეროვნული იდეისადმი – ეროვნული იდენტობისა და განსაკუთრებულობის დაცვა; 3. „რეალისტურად კონსტრუირებული“ ეროვნული ინტერესების დაცვა. თუმცა, ამ მიმდინარეობათა ისტორიოგრაფიის კითხვისას, იქმნება შთაბეჭდილება, რომ არც ერთი მათგანი არ არის სრულიად თანამიმდევრული და დანარჩენებისაგან გამიჯნული. გამოჩენილ საჯარო ფიგურებთან ასოცირებული ეს ტრადიციები კვეთდა ერთმანეთს და ჰიბრიდულ ვერსიებში გადადიოდა. მაგალითისათვის, ვალიცკი პირველ პატრიოტულ ნაკადს ჟეჩპოსპო-

37 პოლიტიკური აზრის მკვლევარი ანჟეი ვალიცკი (1930-2020) პოლონურ აკადემიურ წრეებში საერთაშორისო მასშტაბის ავტორიტეტად მიიჩნევა. ვალიცკი რუსეთის პოლიტიკური აზრის შესწავლით იყო დაკავებული მაშინ, როდესაც ეს საგანი პოლონელ მეცნიერებს იშვიათად თუ იზიდავდა (Styczyński 1999, 6).

ლიტას არისტოკრატიის რესპუბლიკურ ტრადიციასთან აკავშირებდა და, იმავდროულად, მას ევროპულ იდეათა კონტექსტში სვამდა (Nowak, 2008, 87). მაგრამ მე-18 საუკუნის პოლონელი პოლიტიკოსები ამ ტრადიციას სხვადასხვაგვარად უყურებდნენ: ჩნდებოდა ბანაკები, რომელთა წარმომადგენლები კი იყვნენ ლოიალურნი რესპუბლიკანიზმის მიმართ, მაგრამ თანამეგობრობის მართვით შესაძლებლობებსა და გეოპოლიტიკას სხვადასხვანაირად აფასებდნენ. შეიძლება დავასკვნათ, რომ მზარდ ნაციონალურ დებატებს როგორც ცვალებადი გეოპოლიტიკა, ისე ევროპული განმანათლებლობა განაპირობებდა.

ანჟეი ნოვაკს ვალიცკის ფორმულიდან სამი ტიპის პოლონური პატრიოტიზმი გამოჰყავს: 1. რესპუბლიკური, რომელიც პოლიტიკურ ტრადიციას და აქტიური მოქალაქის იდეასთან ასოცირებულ ე.წ. პოზიტიური თავისუფლების პრინციპებს ეფუძნებოდა. მისთვის სახელმწიფოს სიძლიერე თვითმიზანი არ იყო. რესპუბლიკანიზმი გულისხმობდა ეჭვს პოლიტიკური განათლების, უცხოური ჩვევების და კომერციული ეთოსის მიმართ; 2. დამოუკიდებლობაზე ორიენტირებული იმპერიული პატრიოტიზმი, რომლის ფარგლებშიც სიტყვა „იმპერიული“ სუვერენული ძალაუფლების მნიშვნელობის მატარებელი იყო. ასეთი პატრიოტიზმისათვის სამშობლო საგარეო პოლიტიკურ ძალას ნიშნავდა. იგი იცავდა ისტორიულ საზღვრებს და უპირისპირდებოდა არაპოლონურ იდენტობებს ამ საზღვრების შიგნით. პატრიოტიზმის ეს ტიპი სხვა იმპერიათა – განსაკუთრებით რუსეთის იმპერიის – მოწინააღმდეგე იყო. იგი მე-19 საუკუნეში დომინირებდა და ინსპირაციას რესპუბლიკურ, თავისუფლებაზე ორიენტირებულ პატრიოტიზმშიც პოულობდა. იუზეფ პილსუდსკის ფედერალისტური მისწრაფებანი ასეთი სიმბიოზის სიმბოლოა; 3. მოდერნიზაციის პატრიოტიზმი, რომელიც, ნაწილობრივ მაინც, პოლონეთზე უფრო დიდ სამშობლოს ეძიებდა. ამ გადმოსახედიდან ნაციონალური საზღვრები შემზღუდველად მოჩანდა და ცივილიზაციი-

სადმი კუთვნილების განცდით უნდა ჩანაცვლებულიყო. მისი მიმდევრებისათვის რესპუბლიკანიზმი ქსენოფობიად აღიქმებოდა. ნოვაკის აზრით, ასეთი პატრიოტიზმი ვესტერნიზაციასთან იყო ასოცირებული, მაგრამ მასში პრორუსული შემადგენელიც არ გამოირიცხებოდა (Nowak 2008, 123-126).

ვფიქრობთ, რომ ასეთი სქემატიზაცია სოციალურ მეცნიერებებში აპრობირებული მოდელების თუ „იდეალურ ტიპების“ კონსტრუირებას წააგავს და, როგორც ასეთი, რიგ უპასუხო კითხვებს ტოვებს. სადაა აქ ადგილი რომან დმოვსკისა და მისი ეროვნულ-დემოკრატიული მოძრაობისათვის, რომელიც პილსუდსკის ეპოქაში საკმაოდ გავლენიანი იყო და უშუალოდ პისლუდსკისთან ოპონირებდა? ჩვენთვის დმოვსკის შეხედულებები მოდერნიზაციისა და მე-19-20 საუკუნის მიჯნაზე ევროპაში აღმოცენებული ეთნიკური თუ ინტეგრალური ნაციონალიზმის სიმბიოზია. ნებისმიერ შემთხვევაში, როგორც ამას ვალიცკის და ნოვაკის სქემებიც აჩვენებს, პოლონური ნაციონალიზმის ტრაექტორია არასოდეს იყო ცალსახა. აქედან გამომდინარეობს შედარებითი ანალიზისათვის ღირებული დასკვნა, რომ რეალური ნაციონალიზმი არაა ამბავი პატრიოტთა კარგად ინტეგრირებული ბანაკის მოღალატეებთან დაპირისპირებაზე. პატრიოტები ხშირად იყოფიან მტრულ ბანაკებად და ერთმანეთს იარლიყებით აჯილდოებენ, რაც ეროვნული ღალატის ფარგლებსა თუ განსაზღვრებას აბუნდოვანებს. ეს თუ სხვა სქემები ასევე გვკარნახობს, რომ ისტორიული ფიგურების პოზიციათა დინამიკის და მისი გამომწვევი გარემოებების ანალიზია საჭირო. შესაბამისად, შეუცვლელი ხდება დისკურსული ანალიზიც.

თანამედროვე ნაციონალიზმის ფესვები ჟეჩპოსპოლიტაში და მისი შემდგომი ტრაექტორია

ნოვაკი იმეორებს ფართოდ მიღებულ აკადემიურ და პოლიტიკურ შეხედულებას, რომ მე-18 საუკუნის სტანდარტებით, პოლონურ-ლიტვური თანამეგობრობა – ჟეჩპოსპოლიტა – უფრო ანარქიული ასოციაცია იყო ელიტისა, ვიდრე მოდერნული სახელმწიფო (Nowak 2008, 52). ცენტრალური მთავრობის სისუსტე და ლიბერუმ ვეტოს პრინციპი,[38] პოლითეას ერთიანობის პარალიზებას იწვევდა. მეზობელი სახელმწიფოები სარგებლობდნენ პოლონური სისტემის ანარქიულობით, რამაც ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზრის გამორჩეული კორპუსის შექმნას შეუწყო ხელი. სტანისლავ კონარსკის ტრაქტატი „განსჯის ეფექტური მეთოდის შესახებ“, რომელიც მე-18 საუკუნის 60-იან წლებში დაიბეჭდა, ლიბერუმ ვეტოს კრიტიკის ერთ-ერთი პირველი მაგალითია. იგი დანახულია, როგორც საგარეო სუვერენიტეტისათვის ზიანის მომტანი. მღვდელი და პოლონური განმანათლებლობის ადრეული მედროშე, სტანისლავ კონარსკი პატივით ეკიდებოდა პოლონური არისტოკრატული მოქალაქეობის სულისკვეთებას, მაგრამ სვამდა კითხვას: სადღა იქნება ეს თავისუფლება, თუ თანამეგობრობა დაეცა? (Nowak 2008, 91-92). ტრაქტატს მოჰყვა პოლემიკა ორ პატრიოტულ მიმდინარეობას შორის, რომელსაც ანჟეი ნოვაკი სამოქალაქო სუვერენიტეტის ძველი სისტემის დამცველებსა და სახელმწიფოს დამოუკიდებლობის მომხრეთა ბრძოლას უწოდებს (Nowak 2008, 90). ისტორიკოსს ესმის პირველთა

38 Liberum Veto-ს პრინციპის გამოყენებით ნობილიტეტის ნებისმიერ წარმომადგენელს შეეძლო სეიმის – თანამეგობრობის არისტოკრატული პარლამენტის – გადაწყვეტილებები დაებლოკა. ეს პრინციპი მოქმედებდა მე-17 საუკუნის შუახნებიდან.

სიბრმავე და ანაქრონიზმი (Nowak 2008, 90), მაგრამ შესაშური ობიექტურობით აფასებს მათ. ნოვაკისათვის ეს პოლემიკა გარდასულ დროთა იდეური ჯახია, რომლის განსჯისას ანაქრონიზმისაგან უნდა შევიკავოთ თავი.

სახელმწიფოთა მოდერნული ცენტრალიზაციის ადრეული ოპონენტი იყო ვაცლავ რჟევუსკი. იგი ითხოვდა, რომ ლიბერუმ ვეტოს უფლება სეიმის თითოეულ სესიაზე ერთხელ მაინც ყოფილიყო ნებადართული, რადგან, სხვა შემთხვევაში ძლიერ მეფეს ყოველთვის შეეძლებოდა ლოიალური უმრავლესობის შექმნა (Nowak 2008, 93). ისიც აღსანიშნავია, რომ ისტორიული უფლებების დაცვის პარალელურად, „რესპუბლიკელი“ პატრიოტები არ გაურბოდნენ ბრძოლას რუსეთის იმპერიასთან, რომელიც მზარდად ერეოდა ჟეჩპოსპოლიტას შინაურ საქმეებში (Nowak 2008, 95). თუმცა, ავსტრიის, პრუსიის და რუსეთის მიერ პოლონეთის პირველი გაყოფის შემდეგ, ზოგიერთი რესპუბლიკელი რადიკალიზაციის საკმაოდ წინააღმდეგობრივ გზაზე დადგა.

80-იან წლებში ჟან ჟაკ რუსოს ესეი პოლონეთზე ჯერ ფრანგულად, შემდეგ კი პოლონურად გავრცელდა. იგი შეიცავდა მოწოდებას, რომ დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის ნაცვლად პოლონელებს უფრო საკუთარი იდენტობის შენარჩუნებაზე უნდა ეფიქრათ; თუ მეზობლები თანამეგობრობას გადაყლაპავენ, პოლონელებმა უნდა იფრთხილონ, რომ არავინ მოინელოს იგი. ნოვაკის აზრით, ასეთ იდეებს ბევრი არაფერი ჰქონდა საერთო განმანათლებლობასთან – ისინი რომანტიზმის დადგომას მოასწავებდა (Nowak 2008, 98-99). ჩვენ ფრთხილად შევნიშნავთ, რომ პოლონურ პოლიტიკურ აზროვნებაში რომანტიზმი მაინც უფრო მე-19 საუკუნის ბრძოლებთან და პილსუდსკის მოღვაწეობასთან ასოცირდა. მე-19-20 საუკუნის განსხვავებული ტრადიცია, კერძოდ, რომან დმოვსკის ინტეგრალური ნაციონალიზმი კი ერთგვარად დავალებული ჩანს რუსოსაგან.

თუმცა მე-18 საუკუნის მიწურულს რუსოს აზრებმა წყალი რესპუბლიკელთა წისქვილს დაასხა. მათ ორი ლოიალობის შერწყმისაკენ დაიწყეს პარადოქსული სვლა: რესპუბლიკელები შეეცადნენ, რომ არისტოკრატული რესპუბლიკა უცხოური აბსოლუტისტური იმპერიებისადმი ერთგულებით გადაერჩინათ. ეს იყო დრო, როდესაც დამოუკიდებლობის რეფორმისტულად განწყობილი მომხრეები შეტევაზე გადადიოდნენ – ჟეჩპოსპოლიტას 1791 წლის კონსტიტუციამ, რომელიც განმანათლებლობის იდეებზე იყო დაფუძნებული, გააუქმა ლიბერუმ ვეტო. კონსტიტუციის მამებმა ვერ გაბედეს ან არ ისურვეს შლახტას, გლეხებისა და ბიურგერების სრული გათანაბრება, მაგრამ, იგივე კონსტიტუციით, გლეხები კანონისა და მთავრობის მფარველობას იღებდნენ, ბიურგერებს კი საჯარო თანამდებობათა დაკავების უფლება ეძლეოდათ. შესაბამისად, როგორც აღქმებისა და იდეურ დონეზე, ისე სამართლებრივადაც, პოლონური საზოგადოება თანამედროვე ერის ფორმირების გზაზე დგებოდა. საინტერესოა, რომ რესპუბლიკელი პატრიოტი, ვიტებსკის კასტელანი,[39] რომელმაც საბოლოოდ კონსტიტუციას დაუჭირა მხარი (Nowak 2008, 116), ადამ ვავრჟინიეც რჟევუსკი გლეხთა უფლებების უფრო რადიკალურად გაუმჯობესებას მოითხოვდა და წერდა, რომ თუ ერი მილიონი მოქალაქისაგან და 7 მილიონი მონისაგან შედგება, იგი გარდაუვალი დამხობისთვისაა განწირული (Nowak 2008, 112). ამასთან, სარმატიზმზე ორიენტირებულ ოჯახში გაზრდილ ადამ ვავრჟინიეც რჟევუსკის კალამს ეკუთვნის ტრაქტატი „რესპუბლიკური მმართველობის ფორმის შესახებ“, რომელიც „რესპუბლიკური აზრის ყველაზე გამორჩეულ სინთეზადაა“ მიჩნეული (Nowak 2008, 106-107).

ადამი ეყრდნობოდა რუსოს და სხვა განმანათლებელთა შემოქმედებას, იმედით უყურებდა ამერიკულ რევოლუციას და ცდილობდა დაესაბუთებინა, რომ აქტიური

39 შუა საუკუნეებისდროინდელი თანამდებობა, რომელიც შეიძლება ციხისთავად ითარგმნოს

მოქალაქეობა აბსოლუტისტური მონარქიების ძალმოსილებაზე უფრო მნიშვნელოვანი იყო. მისი მოწოდება ჩანს სიტყვებში: „რაა სიკეთე იმაში, რომ შენი ერი ექსპანსიას ახორციელებს [...] თუ შენი უფლებები და პრივილეგიები გათელილია“(Nowak 2008, 108). თუმცა კი სხვა არისტოკრატი რესპუბლიკელები, რომლებმაც საბოლოოდ კონსტიტუციას ომი გამოუცხადეს, ამ მორალური პოზიციის მიღმა მიდიოდნენ. ერთმა მათგანმა, ჰეტმანმა[40] სევერინ რჟევუსკიმ, რომელიც ადამს ბიძად ეკუთვნოდა და რომლის მამაც, ჰეტმანი ვაცლავი ათწლეულებით ადრე იცავდა ლიბერუმ ვეტოს, ვარშავის რეფორმისტული მთავრობის წინააღმდეგ რუსული სამხედრო ძალის მოწვევას დაუჭირა მხარი. მის გვერდით იყვნენ შჩენსნი პოტოცკი და კსავერი ბრანიცკი.

ანჟეი ნოვაკი თვლის, რომ პოლონელ მაგნატთა ამბოხმა, რომელსაც ტარგოვიცას კონფედერაცია[41] ეწოდა, ორი ფორმის პატრიოტიზმის თანაარსებობა შეუძლებელი გახადა (Nowak 2008, 115-116). რუსებს რომ კონფედერატებისათვის მხოლოდ დახმარება აღმოეჩინათ და შემდეგ დაეტოვებინათ ქვეყანა, რესპუბლიკელებს კიდევ ექნებოდათ ლეგიტიმური და მორალური გადარჩენის შანსი. მაგრამ ჟეჩპოსპოლიტას მეორე და მესამე – საბოლოო – დაყოფამ მსგავსი პერსპექტივა დაასამარა. სევერინ რჟევუსკიმ და მისმა თანამოაზრეებმა იმთავითვე და საშვილიშვილოდ დაიმკვიდრეს მოღალატეების იარლიყი. ასეთი იყო თავისებურად ლეგიტიმური პოლონური არისტოკრატული ნაციონალიზმის რესპუბლიკური მიმდინარეობის შედეგი. თუმცა, მეორე მხრივ, საგარეო ძალებთან გარიგების ტრადიცია, რასაც საერთაშორისო

40 ჰეტმანი ანუ სარდალი, ჟეჩპოსპოლიტას უმაღლესი თანამდებობა იყო მეფის შემდეგ.

41 კონფედერაცია, ანუ პოლონელ მაგნატთა, შლახტიჩთა, მოქალაქეთა დროებითი გაერთიანება, ზოგჯერ პირდაპირი დემოკრატიის გამოვლენად მიიჩნევა. კონფედერაცია გარკვეული მიზნის ირგვლივ ორგანიზებასა და მოქმედებას გულისხმობდა. იგი შეიძლება ყოფილიყო როგორც პროსამთავრობო, ისე ანტისამთავრობო.

ურთიერთობების თანამედროვე ჟარგონზე „მიტმასნება“ დაერქმეოდა, ტარგოვიცათი არ დასრულებულა. გარდა ადამ ვავრჟინიეც რჟევუსკისა, რესპუბლიკურ მიმდინარეობაში კიდევ იყო ერთი საინტერესო თეორეტიკოსი – უფრო პრაგმატიკოსი, ვიდრე იდეალისტი და მორალისტი – იან პოტოცკი. 1788 წელს მან თავისი „თეორემა“ ჟეჩპოსპოლიტას სამეფო კარზე წარადგინა. პოტოცკი ამტკიცებდა, რომ საშინაო თავისუფლებებზე ორიენტირებული რესპუბლიკა სისტემურ საგარეო პოლიტიკას ვერ განახორციელებდა. შესაბამისად, მას ესაჭიროება მფარველი რომელიმე მეზობელი იმპერიის სახით. პოტოცკი თვლიდა, რომ თუ ბრიტანული იმპერია ჰოლანდიას მფარველობდა, ხოლო საფრანგეთი შვეიცარიას, რუსეთიც შეიძლებოდა პოლონური თანამეგობრობის ბუნებრივი პროტექტორი ყოფილიყო (Nowak 2008, 105). როგორც ქვემოთ ვნახავთ, შემდგომში იგი უკვე რუსეთის მონარქს მიმართავდა იგივე აზრებით.

სახელმწიფოზე ორიენტირებულ იმ ადრეულ ნაციონალისტთა შორის, რომლებიც რეფორმატორულ პოზიციაზე იდგნენ, საგანგებო აღნიშვნას სტანისლავ სტაშიცი (1755-1826) იმსახურებს. მღვდელი და ბიურგერთა ოჯახიდან გამოსული სტაშიცი (Wandycz 1996, 10) მოითხოვდა, რომ პოლონეთის დამოუკიდებლობის გადასარჩენად „ავტოკრატიული“ მთავრობა შექმნილიყო (Nowak 2008, 101). სინამდვილეში კონსტიტუცია, რომლის მიღებაც რეფორმატორთა მორალურ და პოლიტიკურ გამარჯვებას აჩვენებდა, მე-18 საუკუნის სტანდარტებით ავტოკრატიულად ვერ ჩაითვლებოდა. მას მთელი ევროპის ლიბერალები მიესალმებოდნენ. ევროპული ისტორიის ცნობილი მკვლევარი, ნორმან დევისი კონსტიტუციის ტექსტის თანამედროვე შეფასებებზე დაყრდნობით ასკვნის, რომ ჟეჩპოსპოლიტა მოდერნულ კონსტიტუციურ სახელმწიფოდ გარდაიქმნა (Davies 1996, 699). თუმცა ავტოკრატიამ არ დააყოვნა, ოღონდ არა ეროვნული მთავრობის, არამედ რუსულ-იმპერიული კოლონიალიზმის სახით. პოლიტი-

კური მოვლენების განვითარებამ დარტყმა ყველა ფორმისა თუ მიმდინარეობის პოლონურ პატრიოტიზმს მიაყენა. რა თქმა უნდა, ეს ერის მშენებლობის დასასრული არ ყოფილა. არა მხოლოდ რეფორმებზე ორიენტირებული პატრიოტიზმი, არამედ რესპუბლიკური სულისკვეთებაც არ ჩაჰბარებია წარსულს.

1791 წლის კონსტიტუცია გაუქმების შემდგომაც რჩებოდა ეროვნულ სიამაყედ და პატრიოტთა თაობების შემაკავშირებელ ხიდად. მოდერნული ცხოვრების საწყის ეტაპზე მსგავსი სამართლებრივი და პოლიტიკური აქტის არსებობით ბევრი ეროვნული საზოგადოება ვერ დაიკვეხნიდა. როგორც წინა თავში აღვწერეთ, ქართულ არისტოკრატიასაც ჰყავდა იგნაცი პოტოცკის, ჰუგო კალანტაის და პოლონური კონსტიტუციის სხვა დამფუძნებელი მამების მსგავსი პერსონაჟები. მაგრამ საქართველოს აკლდა სათანადო სოციალური გარემო, სტანისლავ უვგუსტუსის მსგავსად მოქმედი მეფე[42] და დრო, რომელსაც არ იძლეოდნენ მეზობლები. ანჟეი ნოვაკი, ანჟეი ვალიცკი, პიოტრ ვანდიჩი და მრავალი სხვა ცნობილი პოლონელი მკვლევარი წერდა თანამედროვე პოლონელი ერის მშენებლობის უწყვეტ კონტინუუმზე.[43] მე-19 საუკუნის გარიჟრაჟზე

42 თუმცა საბოლოოდ, რეფორმებისა და კონსტიტუციის მხარდაჭერის შემდგომ, ჟეჩპოსპოლიტას ბოლო მეფემ გიორგი მეთორმეტეზე არანაკლებ ჩაიქნია დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაზე ხელი.

43 გარდა ანჟეი ნოვაკის (2008) და პიოტრ ვანდიჩის (1996) ნაშრომებისა, ჩვენი გზამკვლევი პოლონეთის პოლიტიკურ დისკურსსა და იდეოლოგიაში შემდეგი კვლევები იყო: Szwarc, Andrzej i Wieczorkiewicz, Pawel, (red), 2002, Unifikacia za Wszelką Cenę, Sprawy Polskie w Politice Rosyjskiej na Przełomie XIX i XX Wieku, Studia i Materialy, Wydawnictwo DIG, Warszawa; Broda, Marian, Kurczak, Justyna, Waingertner, Przemysław, 2006, Komunizm w Rosji i jego Polskie Interpretacje, Łodz, Wydawnictwo Ibidem; Wiech, Stanisław, 2002 Społczeństwo Królewstwa Polskiego w Oczach Carskiej Policji Politicznej (1866-1896), Wydawnictwo Akademii Świętokrzyskiej, Kielce 2002; Żurawski Vel Grajewski, Przemysław, 2008, Politika Unii Europejsiej Wobec Rosji a Interesy Polski 1991-2004, Krakow-Warszawa; Materski, Wojciech, Paczkowski, Andrzej (red), 1998, NKWD o Polsce i Polakach,

Rekonesans Archiwalny, Institut Studiów Politicznych Polskiej Akademii Nauk, Warszawa 1996; Kminikowska, Aleksandra, Pękała, Elzbieta, (red), 2007, Polacy i Rosjane: Wzajemne Relacje, Materialy z debaty 18 października 2006, Nadbałtyckie Centrum Kultury, Gdańsk; Jakimowicz, Robert, 2000, Zaryś stodunków Polsko-Rosyjskich w latach 1992-1997, Polska Foundacja Międzynarodowych, Warszawa; Pod redakcją Czapiewski, Edward i Żerelik, Rościslaw, 2008, Od Rusi Kijowskiej do Rosji współczesnej. Stan stosunków Polsko-Rosyjskich w Obowiązujących Podręcznikach do Liceów i Szkół Wyższych, Wrocławsko-Petersburskie spotkania historiczne, Wrocław; Bobryk, Roman i Jerzy Faryno, Jerzy, (red), 2000, Wizerunek Sąsiadow: Polacy w Oczach Rosjan – Rosjane w Oczach Polaków, Polska Academia Nauk, Institut Slawistyki, Warszawa; Niewiara, Aleksandra, 2006, Moskwicin-Moskal-Rosjanin w Dokumentach Prywatnych, Portret, Interdyscyplinarny zespól badań Sowietologicznych Uniwersitetu Lódzkiego, łódż, Ibidem; Styczyński, Marek, 1999, O Ideach, że złowrogie bywaja: Recepja Rosyjskej Myśli Filozoficzno-politycznej w Polsce po roku 1989, Ibidem, Łódz; Sienkiewicz, Bartłomiej, 2000, Pochwala Minimalizmu, Tygodnik Powszechny, N52-53, ctr 12, 24.02; Rolicki, Janusz, 2002, Edward Gierek, Zycie, Narodziny Legendy, Iskry, Warszawa; Bernhard, Michael, Kubik, Jan, 2014, Roundtable Discord: the Contested Legacy of 1989 in Poland, In: Bernhard, Michael, Kubik, Jan (edt), Twenty Years After Communism, The Politics of Memory and Commemoration, pp 60-84, Oxford University Press, NY; Brzechczyn, Krzysztof, 1993, Unsuccessful Conquest and Successful Subordination. A Contribution to the Theory of Intersocial Relations. Poznań studies in the Philosophy of the sciences and the Humanities, Vol. 33, pp. 445-456; Brzechczyn, Krzsysztof, 2020, The Historical Distinctiveness of Central Europe. A Study in the Philosophy of History. Studies in History, Memory and Politics, edt. By Anna Wolff-Powęska and Piotr Forecki, Vol. 31, Peter Lang, Berlin; Brzechczyn, Krzsysztof, September 2016, Interpreting Poland, The Sarmatian Review, pp 2023-2031, Polish Institute of Houston at Rice University, USA; Figura, Marek, 2008, Rosja W Myśli Politicznej Władysława Studnickiego, Wydawnictwo Naukowe UAM, Poznań; Brzeziecki, Andrzej, Giedroyc – man of the east, Kultura, https://kulturaparyska.com/en/topic-article/giedroyc-czlowiek-wschodni (ნანახია 8.02.2023); Pietrzak, Piotr February 3, 2023, The Giedroyć-Mieroszewski Doctrine and Poland's Response to Russia's Assault on Ukraine, moderndiplomacy, Europe, https://moderndiplomacy.eu/2023/02/03/the-giedroyc-mieroszewski-doctrine-and-polands-response-to-russias-assault-on-ukraine/ (ნანახია 8.02.2023). გარდა ამისა, კვლევაში ფასდაუდებელი დახმარება გაგვიწია ინტერვიუებმა სოციალური მეცნიერებების წარმომადგენლებთან, ისტორიკოსებთან და საჯარო მოღვაწეებთან: Krzysztof Brzechczyn, Andrzej Nowak, Adam Perlakowski, Marek Figura, Violetta Julkowska, Mariusz

სუდსკისა და რომან დმოვსკის ძალისხმევით შექმნილ მეორე ჟეჩპოსპოლიტაზე გადის და შემდგომ განვითარებულ არანაკლებ დრამატულ მოვლენებამდე გრძელდება. იგი მომდინარეობდა იმ ძლიერი პატრიოტული სულისკვეთებიდან, რომელსაც ტრადიციული შლახტიჩური ოჯახები და პოლონეთის კათოლიკური ეკლესიის მესვეურები ატარებდნენ (Wiech 2002a). რა თქმა უნდა, ერის მშენებლობის პროცესი საზოგადოებრივი აზრის მპყრობელთა და პოლიტიკოსთა ფუნქცია იყო. როგორც ყოფილი ჟეჩპოსპოლიტას მესვეურნი, ისე მათი შთამომავლები გულხელდაკრეფილნი არასოდეს დარჩენილან.

ანჟეი ნოვაკი დაპყრობილი პოლონეთის ეროვნული მიზნის განვითარების ღირებულ ნარატივს გვაძლევს. ეს ნარატივი პოლონურ პატრიოტიზმთა ვალიცკისეულ ფორმულაში დამატებითი სინათლის შემტანია. ნოვაკის აზრით, რესპუბლიკურმა პატრიოტიზმმა გზა გაუხსნა ერის რომანტიკულ ხედვას, რაც ადამ მიცკევიჩის პოეზიასთან ასოცირდებოდა. დამოუკიდებლობასა და რეფორმაციაზე ორიენტირებული პატრიოტიზმი ორად – დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ და რეფორმატორულ მიმდინარეობებად იყოფოდა. საბოლოოდ, პირველმა იუზეფ პილსუდსკი წარმოშვა, მეორე კი ნოვაკისათვის იმ მოღვაწეებთან იყო კავშირში, ვინც კონკრეტულ სოციალურ, ეკონომიკურ, სამეცნიერო თუ ცივილიზაციურ საკითხებზე კონცენტრირდებოდნენ. თუმცა ასეთი „არაპოლიტიკური“ მოღვაწეობა შეიძლება წარმართულიყო როგორც დამოუკიდებლობისათვის ბრძოლისაგან განცალკევებულად, ისე მასთან კავშირში. რეფორმისტები მუდმივად არსებობდნენ, მაგრამ რუსეთის იმპერატორის წინააღმდეგ 1863 წლის იანვარში მომხდარი ამბოხების შემდეგ ეგრეთ წოდებული პოზიტი-

---

Maszkiewicz, Marian Przedziecki. დავით დარჩიაშვილის მონაწილეობა კონფერენციაში „პოლონური და ევროპული ისტორიოგრაფია ჟეჩპოსპოლიტას დანაწილების შესახებ“, რომელიც პოზნანის ადამ მიცკევიჩის უნივერსიტეტში 2022 წლის 28 სექტემბერს ჩატარდა, ასევე იყო პოლონურ აკადემიურ, პოლიტიკურ და იდეოლოგიურ შეხედულებებში გარკვევის უნიკალური შანსი.

ვისტები რომანტიზმსა და დამოუკიდებლობის იდეას საფუძვლიანად დასცილდნენ. მიიჩნევდნენ რა, რომ პოლიტიკური ბრძოლის მიტოვება ერს არასაჭირო ხარჯისა და მსხვერპლისაგან დაიფარავდა, პოზიტივისტები ეკონომიკური და ინტელექტუალური განვითარების ამოცანებზე კონცენტრირდნენ (Nowak 2008, 117-122). პოლონური პოზიტივიზმის საინტერესო ნიმუში ცნობილი იურისტისა და ლიტერატურული კრიტიკოსის, ვლოძიმიეჟ სპასოვიჩის შეხედულებებია. სპასოვიჩი 1863 წლის ამბოხს აკრიტიკებდა, რადგან მიიჩნევდა, რომ შეიარაღებულმა ბრძოლამ უარყოფითად იმოქმედა რუსულ საზოგადოებასთან ურთიერთობაზე და შეაჩერა რეფორმები (Kminikowska i Pękała, 2007, 274). პოზიტივისტთა წრეს ეკუთვნოდა მე-19-20 საუკუნეების ცნობილი ნოველისტი, ბოლესლავ გლოვაცკი (პრუსი). 1875 წელს იგი წერდა, რომ რუსული ადმინისტრაციის მიერ სოფლად განხორციელებული მუნიციპალური რეფორმა სასარგებლო იყო და იმავეს ითხოვდა ქალაქებისათვის (Wiech 2002a, 258).

ნოვაკი რომან დმოვსკის ეროვნულ-დემოკრატიულ მოძრაობას პოზიტივიზმისაგან განცალკევებით განიხილავს. ეროვნულ-დემოკრატები საზოგადოების ვესტერნიზაციას უჭერდნენ მხარს და, იმავდროულად, მათ მოდერნიზატორულ პატრიოტიზმს „იმპერიული“ ელფერი გადაჰკრავდა (Nowak 2008, 122). როგორც ვთქვით, ნოვაკისათვის „იმპერიული“ პოლონეთის დამოუკიდებლობისა და სიძლიერის გამომხატველი ცნებაა. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ეროვნულ-დემოკრატიული მოძრაობის ასეთი შეფასება უფრო მისი მოღვაწეობის შედარებით გვიანდელ პერიოდს მიესადაგება. სხვათა ანალიზით, მოღვაწეობის დასაწყისში ეროვნულ-დემოკრატთა მსოფლმხედველობა ზემოთ ნახსენები სპასოვიჩისას უახლოვდებოდა (Kminikowska i Pękała 2007, 274).

მთლიანობაში, მეორე ჟეჩპოსპოლიტას ორი მთავარი შემოქმედის,[44] იუზეფ პილსუდსკისა და რომან დმოვსკის

44 პილსუდსკი რუსეთის წინააღმდეგ უფრო მიზანმიმართულად

ნოვაკისეული შეფასება დამარწმუნებელია: მოღვაწეობის პიკზე, რაც პირველი მსოფლიო ომის პერიოდს დაემთხვა, ისინი გამათავისუფლებელი მოძრაობის ორ ფრთას განასახიერებდნენ. თუმცა ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ ერთი მათგანი ნაციონალიზმის „იმპერიულ“ ფორმამდე რესპუბლიკური ტრადიციიდან მივიდა, მეორე კი პოზიტივიზმიდან.[45] პიოტრ ვანდიჩი გვეხმარება იმის გააზრებაში, თუ როგორ გახდა შესაძლებელი ეროვნულ-დემოკრატიული მსოფლმხედველობის დაბადება პოზიტივიზმის წიაღში. პოზიტივიზმი პოლონეთში უფრო ლიტერატურული მიმდინარეობა იყო, ვიდრე ფილოსოფიური და, იმავდროულად, მისი მიმდევრები ცხოვრების სოციალურ-ეკონომიკურ მხარეზე კონცენტრირდებოდნენ. პოზიტივიზმი უარყოფდა იდეას, რომ პოლონელები „რჩეული ხალხია“ და ერებს ბუნებრივ ორგანიზმებად აღიქვამდა. მართალია, პოზიტივიზმს ე.წ. სამმაგ ლოიალიზმთა-

---

იბრძოდა და მსოფლიო ომის დროს ავსტრიელებსა და გერმანელებს ემხრობოდა. დმოვსკი კი რუსებთან მორიგებას გეგმავდა და ამ საქმეში იმედებს ფრანგებსა და ინგლისელებზე ამყარებდა. ვანდიჩის შეფასებით, ორივე მათგანმა გადამწყვეტი როლი ითამაშა 1918 წელს პოლონეთის ხელახლა დაბადებასა და რევოლუციური ქაოსისაგან მის დაცვაში (Wandycz 1996, 363-370).

45 პირადი საუბრისას ანჟეი ნოვაკმა დმოვსკის ნაციონალიზმს პოსტპოზიტივისტური და დარვინისტული უწოდა, პილსურდსკის ნაციონალიზმს კი რომანტიკული. ნოვაკის აზრით, განსხვავება ორი პოლიტიკოსის დაბადების ადგილების სოციალურ-კულტურულმა კონტექსტმაც განაპირობა: დმოვსკი შედარებით პოზიტივისტურ ვარშავაში დაიბადა, პილსუდსკი კი წარმოშობით ლიტვიდან იყო. აქ, ანუ ისტორიული ჟეჩპოსპოლიტას კრესის მიწებზე მცხოვრებ ეთნიკურ პოლონელებში ძველი ჟეჩპოსპოლიტას ღირებულებები და სიმბოლოები განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობდა (ინტერვიუ ანჟეი ნოვაკთან, დავით დარჩიაშვილი, კრაკოვი, პოლონეთი, 19.09.2022); პოზიტივისტურ წარმონაქმნად მიაჩნია დმოვსკი და მთელი ეროვნულ-დემოკრატიული მოძრაობა მარიან ჰჟეძიეცკის სახალხო პარტიიდან. მისთვის ტრადიციულ პატრიოტიზმს მარტო პილსუდსკი და მისი მიმდევრები განასახიერებდნენ (ინტერვიუ მარიან ჰჟეძიეცკისთან, დავით დარჩიაშვილი, კარპაჩი, პოლონეთი, 7.09.2022).

ნაც[46] აკავშირებდნენ, მან გამოზარდა ძალა, რომელიც, საბოლოო ჯამში, მისი დისკურსი უარყო. რომან დმოვსკის სოციალური დარვინიზმი და ინტეგრალური ნაციონალიზმი ერის, როგორც ორგანიზმის პოზიტივისტური გაგებიდან აღმოცენდა. პოზიტივისტთა მსგავსად, საზოგადოებრივი აქტიურობის დასაწყისში დმოვსკიც არ ითხოვდა პოლონეთის დამოუკიდებლობას. თანდათან კი მისი მსოფლმხედველობა გერმანულ ეთნონაციონალიზმს ემსგავსებოდა. ნიშანდობლივი ხდებოდა მისი ანტისემიტური მიდრეკილებაც (Wandycz 1996, 262-263, 287-293, 325).

ეროვნული იდენტობის კონსტრუირების კომპლექსურობა მატულობს, როდესაც ვიხსენებთ, რომ პილსუდსკის შეხედულებები არა მხოლოდ რომანტისტულ პატრიოტიზმში იყო ფესვგადგმული, არამედ სოციალისტურ იდეოლოგიაშიც. ნოვაკი აღნიშნავს, რომ ის სოციალისტები, ვინც ეროვნული კუთვნილების იდეას ინტერნაციონალიზმს უმორჩილებდნენ, ასევე საკმაოდ აქტიურნი ჩანდნენ მე-19 საუკუნის მიწურულისა და მე-20 საუკუნის დამდეგის პოლონურ პოლიტიკურ სცენაზე. მათგან ზოგიერთი რუს კოლეგებთან თანამშრომლობაზე იყო ორიენტირებულნი და პატრიოტიზმს ტვირთად განიხილავდა (Nowak 2008, 122). მაგრამ ეროვნული მიზნები არც პილსუდსკის და არც ბევრ იმ სოციალისტს უარუყვია, რომლებმაც პოლონურ სოციალისტურ მოძრაობაში წამყვანი პოზიციები დაიკავეს. პატრიოტული და სოციალისტური თემების იდეურ თუ დისკურსულ ასიმილაციასთან კავშირში განსაკუთრებით აღსანიშნავია პოლონელი სოციალისტი, სოციოლოგი და ფილოსოფოსი კაზიმიეჟ კელეს-კრაუზი.

საქართველოში პოლონეთის ელჩის, ისტორიკოსი მარიუშ მაშკევიჩის თქმით, კელეს-კრაუზმა განსაკუთრებული გავლენა მოახდინა პილსუდსკიზე, რომელიც მო-

46 იგულისხმება სამ – გერმანიის, ავსტრო-უნგრეთისა და რუსეთის – იმპერიებს შორის დანაწილებული პოლონელი ერის წარმომადგენელთა მორჩილება მათი მმართველი უცხოური რეჟიმების მიმართ.

გვიანებით იგონებდა: „წითელი ტრამვაით მოვდიოდი და დამოუკიდებლობის გაჩერებაზე ჩამოვედიო“.[47] ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ექსპერტის, ტიმოთი სნაიდერის შეფასებით, კელეს-კრაუზმა ერის მოდერნული გაგება ბენედიქტ ანდერსონსა და სხვა თანამედროვე თეორეტიკოსებზე ათწლეულებით ადრე განავითარა. მას სწამდა, რომ კაპიტალიზმი არა თუ ამცირებდა, არამედ ზრდიდა ეროვნულ თვითშეგნებას და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლას გარდაუვალს ხდიდა. იგი დემოკრატიის პერსპექტივას მხოლოდ ნაციონალურ საზღვრებში ხედავდა და, პარალელურად, ეროვნული უმცირესობების უფლებათა დაცვის ფორმულებზე ფიქრობდა (Snyder 1997, 240-242).

ტერმინი „იდენტობა“ საერთაშორისო ურთიერთობებში ერის და სახელმწიფოს ფორმირება-ფუნქციონირების პროცესთანაა დაკავშირებული. იგი ნასესხებია სოციალური ფსიქოლოგიიდან და „სხვებთან“ ურთიერთობაში ჩამოყალიბებულ განსხვავებულობას გულისხმობს. იდენტობა ასოცირდება მიზნის ქონასთანაც (Katzenstein 1996, 59). ამდენად, პოლონელი ერისა და ნებისმიერი სხვა ნაციონალური ერთეულის ფორმირება საკუთარი კოლექტიური მე-ს გაცნობიერებას, „სხვებთან“ კონფრონტაციასა და მიზნის ჩამოყალიბებას ნიშნავდა. პოლონური ეროვნული იდენტობა მთლიანი და სრულად კონსოლიდირებული არასოდეს ყოფილა, მაგრამ, როგორც დავინახავთ, მისი ძირითადი დინებები თუ რეპრეზენტაციები თანაარსებობით და ზოგჯერ თავსებადობითაც გამოირჩეოდა. როგორც წინა თავში აღიწერა, ამ თვალსაზრისით, ქართული წარსული თითქოს უფრო წინააღმდეგობრივია. თუმცა კი მე-19 საუკუნეში და, განსაკუთრებით, პირველი მსოფლიო ომიდან 1921 წლის საბჭოთა ოკუპაციამდე, ბოლშევიკების გარდა, ყველა სხვა მთავარი ქა-

47 პოლონეთის ელჩი საქართველოში მარიუშ მაშკევიჩთან. ინტერვიუ ჩაატარა დავით დარჩიაშვილმა. პოლონეთის საელჩო, თბილისი. საქართველო. ივლისი 1, 2022.

რთველი პოლიტიკური აქტორი თანამშრომლობის არანაკლებ პოტენციალს ავლენდა.

აქ კი ვბედავთ და, პოლონური მოდერნული ნაციონალიზმის ფორმირების ჩვენეული აღქმის საფუძველზე, მკითხველს ჟეჩპოსპოლიტას მიწებზე ჩამოყალიბებული პატრიოტული დინებების ერთგვარად შემაჯამებელ სურათს ვთავაზობთ. 1918 წელს ამ დინებებმა, რომლებიც მე-18 საუკუნის მიწურულიდან მთელი მე-19 საუკუნის მანძილზე ვითარდებოდა, ჟეჩპოსპოლიტა II-ის დაბადება განაპირობა. იდეოლოგიური, სოციალური, გეოპოლიტიკური თუ პერსონალური ფაქტორების გამოისობით, რომლებიც მრავალგზისაა გაანალიზებული, თუმცა კი მკვლევარს ახალი ძიებებისაკენაც უბიძგებს, პოლონურ სცენაზე სამი ტიპის პატრიოტები იდგნენ: 1. დამოუკიდებლობისათვის მებრძოლნი; 2. უცხოური იმპერიების საზღვრებს შიგნით პოლიტიკურ-ადმინისტრაციული ავტონომიის მაძიებელნი, რომელთაც თვალსაწიერ მომავალში მეტის მიღწევის იმედი არ ჰქონიათ; 3. იმპერიების ან/და სოციალისტური ინტერნაციონალიზმის გულწრფელი ლოიალისტები, რომელთაც ზე-ნაციონალური, ცივილიზაციური ხედვა ამოძრავებდათ და რომელნიც, როგორც წესი, თავიანთ ლოიალიზმს ადამიანის უფლებებისა და ერთა კულტურული მახასიათებლების დაცვას უკავშირებდნენ. ვფიქრობთ, რომ ამგვარი განზოგადება ქართული და პოლონური ნაციონალიზმების მსგავსებას უფრო თვალსაჩინოს ხდის, ვიდრე ანჟეი ნოვაკის სქემა.

როგორც პილსუდსკისა და დმოვსკის მაგალითები აჩვენებს, კონკრეტული პერსონაჟები პატრიოტიზმის ტიპებს შორის მოძრაობდნენ. ისინი იცვლიდნენ რწმენებს ან გარემოებათა გადაფასებას ახდენდნენ. ქვემოთ ვცდილობთ, ეს ტიპოლოგია და მის შიგნით მიმდინარე დიფუზიური პროცესები უფრო დეტალურად განვიხილოთ, რისთვისაც ადამ იერჟი ჩარტორისკი თუ სხვა ისტორიულ ფიგურებს მოვუხმობთ. რამდენადაც იდენტობა „სხვასთან“ ურთიერთობაში ყალიბდება, განსაკუთრებით

მნიშვნელოვანი ამ მხრივ ის ძლიერი „სხვაა“ ვისთან ჭიდილიც იდენტობის მდგომარეობას განაპირობებს. შესაბამისად, ჩვენც პოლონეთის თანამედროვე ერად ქმნადობის პროცესს რუსეთ-პოლონეთის ურთიერთობათა ჭრილში განვიხილავთ – გვაინტერესებს რუსეთის პოლონური აღქმა თუ პოლონელთა პოზიცია რუსეთთან დაკავშირებით. პატრიოტულ-ნაციონალისტური პროცესი მთელი ისტორიული ჟეჩპოსპოლიტას ტერიტორიაზე ვითარდებოდა: ავსტრიელ, გერმანელ თუ რუს პოლონელებს ჰქონდათ მჭიდრო კავშირი, რაც იგივე ეროვნული იდენტობის ფორმირებითა თუ ეკონომიკური და პოლიტიკური კოოპერაციით იყო განპირობებული. მაგრამ ჩვენ პოლონელთა რუსებთან დაპირისპირებით შემოფარგვლა გადავწყვიტეთ და ამას რამდენიმე მიზეზი აქვს. რუსეთის იმპერია ჟეჩპოსპოლიტას ტერიტორიების 80%-ზე მეტს ფლობდა. ისტორიკოსი მარეკ ფიგურას შეფასებით, „კონგრესოვკა“ პოლონეთის გული იყო – ავსტრიელებმა და გერმანელებმა პროვინციები დაიკავეს, რუსეთი კი თავად პოლონეთს დაეუფლა.[48] ამასთან, განათლებულ პოლონელთა უმეტესობისათვის რუსეთი ევროპული ცივილიზაციისათვის უცხო ძალად განიხილებოდა. დაბოლოს, ავსტრიელთა მიერ დაკავებულ გალიციის მხარესთან ერთად, რუსეთის ხელში გადასული ჟეჩპოსპოლიტას „კრესი“ – ანუ თანამედროვე ლიტვა, ბელარუსი და უკრაინა – კოლონიური ეთნონაციონალისტური იდენტობების კონკურენციის ასპარეზად იქცეოდა. რუსეთის იმპერია მათ მანიპულაციას ცდილობდა. მისი „დაყავი და

48 ფიგურა, მარეკ. ინტერვიუ ჩაატარა დავით დარჩიაშვილმა. ადამ მიცკევიჩის უნივერსიტეტი, პოზნანი, პოლონეთი. სექტმბერი 27, 2022. რაც შეეხება “კონგრესოვკას” ანუ კონგრესის სამეფოს, ეს ტერმინი გამოიყენებოდა ე.წ. პოლონეთის სამეფოს აღსანიშნავად. 1815 წელს ამ სამეფოს, როგორც რუსეთის იმპერიის განუყოფელი ავტონომიური ნაწილის დაფუძნება იმპერატორმა ალექსანდრე პირველმა გამოაცხადა. გადაწყვეტილება ვენის კონგრესზე იქნა მიღებული, რომელზედაც პოსტნაპოლეონური სამყაროს ბედი განიხილებოდა. აქედან გაჩნდა ტერმინი „კონგრესოვკა“ თუ „კონგრესის სამეფო“.

იბატონეს“ ტაქტიკა ავსტრიულ გალიციასაც სწვდებოდა. ამდენად, საკუთარი ნაციონალური ემანსიპაციისათვის პოლონელებს დაპირისპირება უწევდათ არა მხოლოდ რუს ერთან, არამედ მზარდ ლიტვურ და რუთენიულ ნაციონალიზმებთან.[49]

49 რუთენიელები, როგორადაც ტრადიციულად ევროპაში აღმოსავლეთის სლავებს მოიხსენიებდნენ, მოდერნულ ეპოქაში უმეტესწილად უკრაინელ და ბელორუს ერებად ტრანსფორმირდებოდნენ. პარალელურად, ზოგჯერ რუთენიადვე მოხსენიებულ დღევანდელ რუსეთს სწორედ რუსეთის ან მოსკოვიის სახელი დაუმკვიდრდა. თუმცა დასავლეთ უკრაინასა და მიმდებარე პოლონურ, სლოვაკურ და უნგრულ მიწებზე დღემდე არსებობს ეროვნული უმცირესობა, რომელიც რუსინებად/რუთენიელებად იწოდება.

იყო იმპერიის მსახურება ღალატი?

ერთ-ერთი საკვანძო კონცეპტი, რომელიც პოლონურ-რუსული ურთიერთობების ანალიზშია გამოსაყენებელი, ღალატია. კონფერენციაზე, რომელიც 2022 წლის 28 სექტემბერს ადამ მიცკევიჩის სახელობის პოზნანის უნივერსიტეტში გაიმართა და ჟეჩპოსპოლიტას გაყოფების პოლონურ და ევროპულ ისტორიოგრაფიას მიეძღვნა, პოლონელმა ისტორიკოსებმა ამ ფენომენს სათანადო ყურადღება მიაქციეს. თანხმდებოდნენ რა, რომ ისტორიოგრაფიასა თუ საჯარო დისკურსში ღალატის აღქმასა და მოღალატეთა იდენტიფიკაციას სპეციალური განხილვა სჭირდება, კონფერენციის მონაწილენი ხაზს უსვამდნენ, რომ ამ საკითხის რაიმე სპეციალური კვლევა დღემდე არ არსებობს. რა იყო რუსულ იმპერიულ ხელისუფლებასთან თანამშრომლობის მისაღები ფარგლები? როგორი ქმედებებია ჩასათვლელი ეროვნული მიზნების ღალატად? ამ კითხვებზე პასუხი ნათელი იყო ჟეჩპოსპოლიტას სამხედრო წინააღმდეგობის ფინალური აქტისას, რომელსაც თადეუშ კოსტიუშკო ხელმძღვანელობდა: იგი ეროვნული გმირი გახდა, ხოლო ისინი, ვინც რუსეთის არმიასთან თანამშრომლობდა, სახალხო დისკურსმა მოღალატეებად მონათლა. ტარგოვიცას კონფედერაციის ერთი მონაწილეთაგანი, ეპისკოპოსი იგნაცი მასალსკი, 1794 წელს ჩამოახრჩვეს კიდეც. ადამ მიცკევიჩის უნივერსიტეტის პროფესორის, ისტორიკოსი ვიოლეტა იულკოვსკას თანახმად, მაშინდელი მოღალატეების, შჩენსნი პოტოცკისა და ფრანციშეკ კსავერი ბრანიცკის მემკვიდრეები თავს ვალდებულად თვლიდნენ, რომ ერისათვის რაიმენაირი მოხალისეობრივი სამსახური გაეწიათ და წინაპართა ცოდვები ასე გამოესყიდათ.

მაგრამ ზემოთ დასმულ კითხვაზე პასუხები ბუნდოვანია, როდესაც საქმე ეხება იმპერიის სამსახურს ჟეჩპოსპოლიტას გაუქმების შემდგომ. ყოველ შემთხვევაში, როგორც იმჟამინდელი დისკურსი, ისე ისტორიკოსთა დასკვნები ამ მხრივ ცალსახა არაა – იყვნენ თუ არა ადამ იერჟი ჩარტორისკი და ფრანციშეკ ქსავერი დრუცკი-ლუბეცკი, რომელთაც მაღალი იმპერიული თანამდებობები ეკავათ, მოღალატენი? – დაისვა რიტორიკული კითხვა ზემოთ ნახსენებ კონფერენციაზე. კითხვა რიტორიკულია, რადგან პოლონური ისტორიოგრაფია ნამდვილად არ მიიჩნევს მათ მოღალატეებად. ეს, განსაკუთრებით, ეხება ადამ იერჟი ჩარტორისკის, რომელმაც ვერ დაარწმუნა რუსეთის მმართველები პოლონური ავტონომიის პატივისცემის აუცილებლობაში და, საბოლოოდ, გამათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი გახდა. თუმცა იყვნენ უფრო წინააღმდეგობრივი ფიგურებიც. ასეთთა შორისაა მარკგრაფი ალექსანდრე ვიელოპოლსკი. იგი ალექსანდრე მეორის იმპერატორობისას პოლონეთის სამეფოს სამოქალაქო ადმინისტრაციას ხელმძღვანელობდა. ახალგაზრდობაში ვიელოპოლსკის 1830 წლის აჯანყებაში ჰქონდა მონაწილეობა მიღებული, მაგრამ მოგვიანებით იმედგაცრუებული კონსერვატორი გამხდარიყო. როდესაც რუსეთის პოლონეთში რადიკალიზაციის ახალი ეტაპი დაიწყო, იმპერატორი დათანხმდა, რომ მარკგრაფისათვის მოქმედების გარკვეული თავისუფლება მიეცა, თუ იგი სიტუაციას დაამშვიდებდა. ვიელოპოლსკიმ ისიც კი სცადა, რომ ახალგაზრდა პოლონელი რადიკალები, ე.წ. წითლები, რუსულ არმიაში გაეწვია და ამით მოეცილებინა თავიდან. არაა გასაკვირი, რომ „წითლებისათვის“ იგი მოღალატე გახდა (Wandycz 1996, 159-171). მოგვიანებით კი, როდესაც 1863 წლის აჯანყება მარცხით დამთავრდა, პოლონური საზოგადოების გარკვეული წარმომადგენლები ისევ ვიელოპოლსკის შეჰყურებდნენ, იმედოვნებდნენ რა, რომ მარკგრაფი სანქტ-პეტერბურგის რეპრესიულ პოლიტიკას შეარბილებდა (Wiech 2002b,

103). როგორც წერს პიოტრ ვანდიჩი, ვიელოპოლსკის ბევრი თანამედროვე მიიჩნევდა, რომ ერისათვის უმჯობესი იქნებოდა, თუ იგი მარკგრაფის ზომიერი რეფორმების კურსს დაუჭერდა მხარს. ამ აზრს გვიანდელი ისტორიკოსების ნაწილიც იზიარებდა. თუმცა ასეთ არჩევანს შეიძლებოდა პოლონური მაღალი კლასების რუსეთზე დამოკიდებულება გაეზარდა და პოლიტიკური ცხოვრების სტაგნაცია გამოეწვია (Wandycz 1996, 178).

რა თქმა უნდა, რუსულ-პოლონური ურთიერთობების ამსახველი პოლონური ისტორიოგრაფიის საბოლოო შეჯამება რთულიცაა და სარისკოც. მაგრამ ალბათ სამართლიანი იქნება, თუ ვიტყვით, რომ პოლონელმა ისტორიკოსებმა ეროვნული ცხოვრების ცნობილ პერსონაჟთა საღი და ანაქრონიზმისა თუ პოლიტიზებული შეფასებებისაგან თავისუფალი პორტრეტები შექმნეს. როგორც აღნიშნავდა დასახელებული კონფერენციის მონაწილე ვიოლეტა იულკოვსკა, ღალატი საკუთარი სახელმწიფოსათვის ზიანის მიყენებაა; სხვა სახელმწიფოს სამსახურში ყოფნა ღალატად არ ითვლებოდა და მუდმივად ხდებოდა. კონფერენციაზე ითქვა ისიც, რომ ჟეჩპოსპოლიტას დაცემის შემდეგ მისი ინსტიტუტებისადმი ლოიალობა ბუნებრივად შეწყდა. პოლონელმა ისტორიკოსმა და საჯარო მოღვაწემ იოახიმ ლელეველმა მე-19 საუკუნის შუახნებისათვის შექმნა კონცეპტი – ლოიალობა ხალხისადმი. მაგრამ ხალხისა თუ საზოგადოების სამსახურს შეიძლებოდა ბევრი ფორმა და გაგება ჰქონოდა – მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ, რომ 1815 წლიდან შლახტა პოლონეთის მეფესთან/რუსეთის იმპერატორთან ერთგულების ფიცით იყო დაკავშირებული. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ნაციონალიზმის ეპოქის გარიჟრაჟზე მონარქების ინსტიტუტი ევროპული ცივილიზაციის განუყოფელ ნაწილად რჩებოდა. მისი ბუნება ზეეროვნული იყო, მისდამი დადებული ფიცი კი – ლეგიტიმური.

ფრთხილია რა ტერმინების „მოღალატე“ და „მოღალატეობრივის“ გამოყენებაში, იმავდროულად, პოლო-

ნური ისტორიოგრაფია მდიდარია რუსეთისა და რუსეთთან ურთიერთობების შეფასებებით. შესაბამისად, აკადემიური, განსაკუთრებით კი, პუბლიცისტური ნარატივები პოლიტიკური კლასის წარმომადგენლებს ხშირად პრორუსებად ან ანტირუსებად ახასიათებს. ეს აჩვენებს, რომ რუსეთი მთავარი პოლიტიკური და სოციალურ-ფსიქოლოგიური მარკერია: პოლონური იდენტობის ფორმირება და განვითარება რუსეთთან შეპირისპირებაში მიმდინარეობდა და ეს პროცესი არ დასრულებულა. თანამედროვე რეგიონული კონტექსტი ამ ფენომენის მნიშვნელობას ზრდის.

გარკვეულწილად, პოლიტიკოსთა პრორუსულად მონათვლას ღალატში დადანაშაულების კონოტაცია აქვს, თუმცა ასეთი ასოციაციები უფრო საჯარო დებატებისას ჩნდება: თავისი პოლიტიკური და მორალური შეფასებებისას, ისტორიკოსები უფრო მეტ პროფესიულ თავდაჭერილობას ავლენენ. ამის საპირისპიროდ, წამყვანი პოლიტიკური ძალები – Prawo i Sprawedliwosc (PiS) და Platforma Obiwatelska (PO)[50] ბოლო დრომდე პრორუსობაში განუწყვეტლივ ადანაშაულებდნენ ერთმანეთს. მედია და სოციოლოგიური კვლევებით დაკავებული ორგანიზაციები ასახავდნენ, ზოგჯერ კი ამწვავებდნენ ამ ტენდენციას. როგორც საზოგადოებრივი მაუწყებლის ერთ-ერთი რეგიონული წარმომადგენლობა იტყობინებოდა, 2022 წლის ბული გამოკითხვის თანახმად, ოპოზიციის[51] ბრალდებას, რომ მმართველი PiS რუსეთის სასარგებლო პოლიტიკას ახორციელებდა, გამოკითხულთა 22.9% ეთანხმებოდა.[52]

---

50 „კანონი და სამართალი“ და „სამოქალაქო პლათფორმა“.

51 იმ პერიოდში PO, როგორც სამოქალაქო კოალიციის წამყვანი ნაწილი, ოპოზიციაში იყო. 2023 წლის ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებმა პოლონეთის პოლიტიკური რუკა შეცვალა.

52 TG 2022-10-29, TVP 3 Opole, Czy polski rząd prowadzi prorosyjską politykę? Tak twierdzi totalna opozycja https://opole.tvp.pl/64228575/czy-polski-rzad-prowadzi-prorosyjska-polityke-tak-twierdzi-totalna-opozycja

როგორც პოლიტიკური დებატებიდან, განცხადებებიდან თუ მედიის პუბლიკაციებიდან ჩანს, წლების მანძილზე PiS თავის მხრივ ადანაშაულებდა PO-ს გერმანიის ხათრით რუსეთთან თანამშრომლობაში, რამდენადაც ეს ბოლო დრომდე გერმანიის ინტერესებში შედიოდა. ბრალდებები ზოგჯერ ეგზალტაციის ისეთ დონეს აღწევდა, რომ PO-ს ლიდერს, დონალდ ტუსკს „გერმანიზაციისა და გარუსების პროდუქტად, ბისმარკის და სტალინის მემკვიდრედ“ აცხადებდნენ (Woleński 2022). საპასუხოდ, PO-ს ხელმძღვანელობა და მათი მხარდამჭერები, რომელთაც ციტირებული პუბლიკაციის ავტორი, ფილოსოფოსი იან ვოლენსკი განეკუთვნებოდა, ამტკიცებდნენ, რომ PiS-ის პოზიცია 2010 წლის 10 აპრილს სმოლენსკთან მომხდარი ავიაკატასტროფის თაობაზე, რასაც პრეზიდენტი ლეხ კაჩინსკი, მისი მეუღლე და მრავალი პოლონელი მაღალჩინოსანი შეეწირა, ფაქტობრივად რუსეთის წისქვილზე ასხამდა წყალს: ვოლენსკი წერდა, რომ PiS-ის დაჟინება, თითქოს ავიაკატასტროფა შეიძლებოდა რუსეთის ხელისუფლების ნახელავი ყოფილიყო, პუტინს ალბათ აზიანებდა, მაგრამ მის იმპერიას – არა. დაუსაბუთებელი ბრალდებები პოლონეთში ემოციების ზრდას იწვევდა, საზოგადოებრივი აზრის მანიპულაციას უწყობდა ხელს და ამით ნატოს ინტეგრირებულობას ასუსტებდა. ვოლენსკი ასკვნიდა, რომ პუტინს ძალიან ბევრი სასარგებლო იდიოტი ჰყავდა პოლონეთში (Woleński 2022). ასეთი სტილის დებატები საქართველო-პოლონეთის შედარებითი ანალიზის სტიმულს ზრდის.

ეს ნარატივი აჩვენებს, რომ ტარგოვიცას იმიჯი ისევ საკვანძოა პოლონურ პოლიტიკურ პოლემიკაში. ვოლენსკი ზოგიერთი განცხადების უკან რუსეთის „ტარგოვიცულ“ ჩანაფიქრს ხედავს, რაც მისთვის პრორუსული განწყობების პატრიოტული ნიღბით დაფარვას გულისხმობს. წერილის ავტორი თავადაც ერთვებოდა პოლემიკაში და PiS-ის წარმომადგენლებს ადანაშაულებდა – ქვეყნის შიდა უკანონობებზე მსოფლიოს ინფორმირებას ტარგო-

ვიცად ნათლავენო; პოზიციებს პოლიტიკური მიზანშეწონილობის მოტივით იცვლიანო (Woleński 2022). ჩვენ არ ვაპირებთ პოლონური პოლიტიკური ბანაკების ურთიერთბრალდებათა შეფასებას. მხოლოდ იმის ხაზგასმა გვსურს, რომ რუსეთი პოლონელი ერის მთავარ გამაღიზიანებლად და საფრთხედ რჩება, ამ გარემოებასთან დაკავშირებული კონკრეტული შეფასებები და პოზიციები კი ცვალებადია. ასეთი რამ წარსულშიც ხდებოდა: აღსანიშნავია, რომ ნამდვილი ტარგოვიცას კონფედერაციის დროს, როდესაც რამდენიმე მაგნატმა რუსული არმია საკუთარი რეფორმისტული მთავრობის წინააღმდეგ მოიწვია, მეფე სტანისლავ ავგუსტი ბოლოს ამბოხებულებს შეუერთდა. იგი იმედოვნებდა, რომ რუსები ჟეჩპოსპოლიტას არ გააუქმებდნენ. იგივე იმედი ტარგოვიცელ შეთქმულებსაც ჰქონდათ – ისინი პრორუსობას და არა რუსობას ირჩევდნენ. ქვეყნის შემდგომი დანაწილება და საბოლოოდ გაუქმება, რაც 1795 წელს მოხდა, მათთვისაც სიურპრიზი იყო.

როგორც ითქვა, მიუხედავად იმისა, თუ ვინ რას იმედოვნებდა ან ფიქრობდა, ტარგოვიცა ღალატის სიმბოლოდ იქცა. შედარებით ცალსახაა 1945-1989 წლების კომუნისტური პოლონეთის შეფასებაც. საინტერესოა, რომ მაშინ, როდესაც სამი ჟეჩპოსპოლიტა – პირველი, 1918-1939 წლებისა და დღევანდელი – დამოუკიდებელი, რესპუბლიკური ტრადიციის ერთიანობის სიმბოლოდ მოიაზრება, საბჭოთა სატელიტი PRL (Polska Rzeczpospolita Ludowa) ამ ჩამონათვალში არ შეჰყავთ. ამიტომ, დღევანდელ პოლონეთს მესამე ჟეჩპოსპოლიტა ეწოდება. მაგრამ ეს უფრო პოლიტიკური შეფასებაა, ვიდრე აკადემიური. ისტორიოგრაფიული გადმოსახედიდან PRL პოლონური მიზნის არა სრულფასოვან ღალატად, არამედ გადარჩენისათვის ბრძოლის დრამატულ პერიოდად აღიქმება. იგი შესაძლოა იმპერიის პერიოდის კონგრესის სამეფოს (1815-1917) შეედაროს. მისი ცალკეული მმართველები თუ ელიტის წარმომადგენლები არა მხოლოდ

მოღალატე კომუნისტებად აღიქმებიან, არამედ ინდივიდუალური ქმედებებითა და ღირსებების მიხედვით ფასდებიან. ფაქტი ისაა, რომ პოლიტიკური პროცესი ასეთ განსაკუთრებულ გარემოებებშიც გრძელდებოდა და რუსეთის საკითხი ისევ რჩებოდა პოლიტიკის, ერისა და ნაციონალიზმის ფორმირების ცენტრალურ საკითხად.

დღენაკლული ფრანგული პროტექტორატი – ვარშავის საჰერცოგო (1807-1815) – ასევე ჩვენ მიერ განსახილველ პერიოდში არსებობდა. მაგრამ მისი შინაგანი დინამიკა წიგნისათვის ნაკლებად აქტუალურია: ჩვენი გადმოსახედიდან, რაც პოლონური ნაციონალური დისკურსისა და მასში რუსეთის ადგილის გარკვევას გულისხმობს, ვარშავის საჰერცოგო რუსეთის იმპერიასთან სამხედრო კონფრონტაციის ეპიზოდია. ამიტომ, ამ გარდამავალი პოლიტიკური წარმონაქმნის საზრისი შეგვიძლია მოკლედ შევაფასოთ, როგორც პოლონური ანტირუსული ნაციონალიზმის ერთ-ერთი ადრეული გამოვლინება და მე-18 საუკუნის მიწურულის ბრძოლების გაგრძელება. წიგნის ფარგლებში ამ ბრძოლაზე საინტერესო ეგებ ის იყოს, თუ რატომ არ შეუერთდა ადამ იერჟი ჩარტორისკი მოსკოვის ასაღებად დაძრულ პოლონელებს 1812 წელს.

იქიდან გამომდინარე, რომ ჩვენი უპირველესი ამოცანა რუსეთთან დაკავშირებული პოლონური ატიტუდების, დისკურსების და შესაბამისი ისტორიოგრაფიის ანალიზია, ქვემოთ გთავაზობთ რამდენიმე ჩანახატს შემდეგ თემებზე: ა) იმ ცნობილი პოლიტიკური ფიგურების იდეური დინამიზმი, რომელთა უმეტესობა უკვე ნახსენები გვყავდა; ბ) ის სოციალურ-პოლიტიკური პირობები, რომლებიც მათი იდეების ფორმულირებასა და ფლუქტუაციას სამოტივაციო კონტექსტს უქმნიდა. რა თქმა უნდა, ეს ცდა სარისკოა, რადგან ჩვენს ანალიზს შეიძლება არაერთი გამოჩენილი პოლონელის სახელი აკლდეს. მაგრამ გვჯერა, რომ მთლიანობაში, ეს სკეტჩები პოლონური ნაციონალიზმის სპეციფიკური მაგალითის დახასიათების საშუალებას იძლევა.

წინააღმდეგობასა და აკომოდაციას შორის: ნაციონალური მიზნისაკენ მიმავალი ეკლიანი გზა

მიუხედავად იმისა, რომ, მთლიანობაში, იან პოტოცკი და ადამ იერჟი ჩარტორისკი სხვადასხვა პატრიოტულ მიმდინარეობებს ეკუთვნოდნენ, რაღაც ეტაპზე მათი შეხედულებები დაახლოვდა. სიახლოვე რუსეთ-პოლონეთის გეოპოლიტიკასთან დამოკიდებულებებში გამოჩნდა. ნათქვამი პარადოქსულად ჟღერს, რადგან, პოტოცკისაგან განსხვავებით, ჩარტორისკი ბოლოს პოლონური წინააღმდეგობის და ანტიიმპერიული მოძრაობის გამორჩეულ სახედ გადაიქცა. მაგრამ ეს მხოლოდ მოგვიანებით, რუსეთის იმპერატორებში განხიბვლის შემდეგ მოხდა. განხიბვლა ჰქონდა პოტოცკისაც. თუმცა მისი ფრუსტრაცია შეიძლება ინდივიდუალური ფსიქო-ფიზიკური მიზეზებით ყოფილიყო ნაკარნახევი – პოტოცკიმ თავი მოიკლა. არ ვართ რა იან პოტოცკის თვითმკვლელობის ახსნის შემძლენი, თავად აქტში შეგვიძლია სიმბოლური მნიშვნელობა დავინახოთ: ინგრეოდა გვიანგანმანათლებლური-ადრერომანტიკული პატრიოტიზმის მისეული ვერსია, რომელიც რუსულ-პოლონური პარტნიორობის გეოკულტურულ ოცნებას ეყრდნობოდა.

როგორც ზემოთ ითქვა, იან პოტოცკი თავის იდეებს ჯერ ჟეჩპოსპოლიტას მეფეს უზიარებდა, შემდეგ კი ანექსირებული პოლონეთის ახალ სუვერენს, რუსეთის იმპერატორს მიმართა. ანჟეი ნოვაკისათვის პოტოცკი რუსეთის იმპერიული იდეოლოგიის ერთ-ერთი მივიწყებული შემოქმედია. იგი რუსეთის ექსპანსიონიზმს ამართლებდა და აცხადებდა, რომ რუსეთი ყველაზე ძლიერი და ცივილიზებული სლავური ერი იყო (Nowak 2008, 65-66). იმპერია პოტოცკისათვის იგივდებოდა ცივილიზატორულ მისიასთან, რომელიც დღევანდელი აკადემიური გადმო-

სახედიდან შეიძლება „თეთრი კაცის ტვირთად“ ანუ რასობრივ-კოლონიზატორულ ატიტუდად შეფასდეს. პოტოცკის თვალთახედვით „...არსებობდა მხოლოდ ერთი ცივილიზაცია – განმანათლებლობა ცენტრით პარიზსა ან ლონდონში – რომლის განვრცობა უდიდეს კონტინენტზე რუსეთის მისია უნდა ყოფილიყო“ (Nowak 2008, 23). ჩვენ არ ვიცით, როგორ წარმოედგინა მას პოლონეთის ბედი რუსეთის ფარგლებში. მაგრამ როგორც კათოლიკესა და ევროპელს, პოტოცკის სავარაუდოდ სწამდა, რომ ამ იმპერიულ პროექტში პოლონელები წამყვან როლს ითამაშებდნენ.

რაც შეეხება ადამ იერჟი ჩარტორისკის, რომელთანაც იან პოტოცკი ასევე ურთიერთობდა, იგი განგებამ განსაკუთრებული ბედით დააჯილდოვა. ყმაწვილი ჩარტორისკი რუსეთის არმიას ებრძოდა, პოლონეთის მარცხის შემდეგ კი დამპყრობელთა სამხედრო სამსახურში და პეტერბურგული არისტოკრატიის რიგებში აღმოჩნდა. ტახტის მემკვიდრე ალექსანდრესთან სიახლოვემ ჩარტორისკის რუსეთის იმპერიის საგარეო საქმეთა მინისტრის თანამდებობაც არგუნა. ადამი განმანათლებლობის სულისკვეთებით იყო განმსჭვალული და ალექსანდრეშიც ლიბერალური მიდრეკილებები ხიბლავდა. ამასთან ერთად, ნაპოლეონის შეფასებაში მათი აზრები ემთხვეოდა. 1805 წელს ადამ იერჟი ჩარტორისკიმ ნაპოლეონური საფრანგეთის წინააღმდეგ ომის გამოცხადების დეკლარაციის პროექტი მოამზადა. დეკლარაციაში ნათქვამი იყო, რომ რუსეთს ევროპა უცხო რევოლუციური უღლისაგან უნდა გაეთავისუფლებინა (Nowak 2008, 24). მიუხედავად იმისა, რომ არისტოკრატ ჩარტორისკის ნაპოლეონის დესპოტიზმის მიუღებლობის ემოციური მიზეზებიც შეიძლებოდა ჰქონოდა, ჩვენთვის აქ ისაა მნიშვნელოვანი, რომ იან პოტოცკის მსგავსად, იგიც რუსული იმპერიული დისკურსის მიმდევარი გამხდარიყო.

თუმცა, პოტოცკისაგან განსხვავებით, ჩარტორისკის პოლონური მიზნისათვის მუშაობის ბერკეტებიც გააჩ-

ნდა. გარკვეულწილად, მისი პრაქტიკული ნაბიჯები ემთხვეოდა იან პოტოცკის ძველ ოცნებას ჟეჩპოსპოლიტას რუსეთის პროტექტორატად გადაქცევის შესახებ. ენდობოდა რა ალექსანდრე პირველის სიტყვას, რომელმაც პოლონეთის დაყოფაზე სინანული გამოთქვა (Wandycz, 1996,33), ჩარტორისკი ჟეჩპოსპოლიტას ანექსიის ისტორიული პროცესის შებრუნებას ლამობდა. ერთი მხრივ, იგი პოლონეთს რუსეთის მხარდამხარ ხედავდა და იმპერიის მიერ ცენტრალური ევროპის კონტროლის ამოცანას უჭერდა მხარს. პოლონელი სახელმწიფო მოღვაწე ამით იმედოვნებდა იმპერიისა და ეროვნული სუვერენიტეტის პრინციპთა შეხამებას (Nowak 2008, 138). მეორე მხრივ, ჩარტორისკი პრაქტიკულად კურირებდა ვილნოს საგანმანათლებლო ოლქს და კრესის მიწებზე, რომელთაც იმჟამად რუსეთის „დასავლეთის გუბერნიები“ ეწოდებოდა, რელიგიურ ტოლერანტობას იცავდა (Wandycz 1996, 34).

ჩარტორისკის პოლიტიკას ნაწილობრივი წარმატება მოჰყვა: ნაპოლეონის უარყოფამ მაშინ, როდესაც პოლონელ პატრიოტთა უმეტესობა სწორედ მისი დროშების ქვეშ იყრიდა თავს, თავისი ნაყოფი მოიტანა. 1815 წელს ყოფილი ვარშავის საჰერცოგოს დიდი ნაწილი რუსეთის იმპერიის პოლონეთის სამეფოდ გარდაიქმნა, ხოლო ჩარტორისკიმ მონაწილეობა ამ სამეფოს კონსტიტუციის შედგენაში მიიღო. ნაპოლეონის არაერთი პოლონელი მებრძოლი შეურიგდა ამ დროს რუსეთს. მათ შორის იყო 1812 წლის მოსკოვზე ლაშქრობის მონაწილე გენერალი იუზეფ ზაიონჩეკი, რომელიც პოლონეთის სამეფოს პირველი მეფისნაცვალი გახდა. ახლად შექმნილ ე.წ. კონგრესის სამეფოს საკუთარი არმიაც ჰყავდა, თუმცა კი მას იმპერატორის ძმა, უფლისწული კონსტანტინე სარდლობდა.

პოლონეთის სამეფოში არსებულმა სოციალურ-პოლიტიკურმა გარემომ გასაქანი თავად ფრანციშეკ ქსავერი დრუცკი-ლუბეცკის მისცა. სამეფოს ხაზინის მინისტრი დრუცკი-ლუბეცკი ფინანსურ და სამრეწველო საკითხებზე კონცენტრირდებოდა. პიოტრ ვანდიჩის თანახმად, სწო-

რედ მან ჩაუყარა საფუძველი სოციალურ-ეკონომიკური რეფორმიზმის ტრადიციას, რომელიც ათწლეულების შემდეგ ალექსანდრე ვიელოპოლსკიმ გააგრძელა (Wandycz 1996, 159). რეფორმებს, რამდენადაც მათ ღიად პოლიტიკური კონოტაცია არ ჰქონია, პეტერბურგი არ ეწინააღმდეგებოდა. იმავდროულად კი ოცნებები პოლიტიკურ ავტონომიაზე სწრაფად იმსხვრეოდა: მეფისნაცვლისა და სეიმის კონსტიტუციური სტრუქტურების ნაცვლად, გადაწყვეტილების მიმღები იყო იმპერატორის კარზე შექმნილი მზარდი ანტიპოლონური წრის წარმომადგენელი ნიკოლოზ ნოვოსილცევი. სამეფოს ამ კურატორის ფუნქციები კონსტიტუციით განსაზღვრული არ ყოფილა (Nowak 2008, 77). თავდაპირველი ენთუზიაზმის შემდეგ პოლონურ პოლიტიკურ და კულტურულ ელიტაში ასეთი გამოთქმა გაჩნდა: კონსტიტუციური ქარტია მაგიდაზე დევს, მათრახი კი მაგიდის ქვეშაა. ფრთხილად ვიყოთ, რომ მათი პოზიციები არ შეიცვალოს (Wandycz 1996, 76). ასეთ ვითარებაში პოლონური პატრიოტიზმის რეფორმატორულ დინებას ისევ რადიკალური, დამოუკიდებლობაზე ორიენტირებული მოძრაობა ენაცვლებოდა.

პოლონური პატრიოტიზმის ტრადიციული ნაკადი, რომელიც ჟეჩპოსპოლიტას იდეალთა აღორძინებისაკენ ისწრაფოდა, პოლონელ ოფიცერთა, სტუდენტთა, უბრალოდ შლახტიჩთა და კათოლიკე სამღვდელოების საიდუმლო საზოგადოებებით იყო წარმოდგენილი. ამ არალეგალურ წრეებში კვლავ არსებობდა ნაპოლეონის კულტი. კონგრესის სამეფოს რადიკალ პატრიოტებს ჰქონდათ კავშირები პოლონეთის პრუსიულ და ავსტრიულ მიწებზე მცხოვრებ თანამემამულეებთან და მთელ ევროპაში გაფანტულ ემიგრანტებთან. პატრიოტული იდეოლოგიის შემდგომ განვითარებას ისტორიკოსი იოახიმ ლელეველისა და პოეტი ადამ მიცკევიჩის შემოქმედება განაპირობებდა. ახალი და გამორჩეული როლი იტვირთა ადამ იერჟი ჩარტორისკიმაც. 1824 წელს, ანუ მას შემდეგ, რაც, ნოვოსილცევის ძალისხმევით, თავისუფლე-

ბაზე მეოცნებე პოლონელ სტუდენტთა და პედაგოგთა ჯგუფი დააპატიმრეს,[53] ჩარტორისკი ვილნოს საგანმანათლებლო ოლქის კურატორობას ჩამოაცილეს. ამან დასაბამი დაუდო მის მესამე იდეოლოგიურ ტრანსფორმაციას: პრორუსობაში საბოლოოდ განხიბლული პოლონელი სახელმწიფო მოღვაწე ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის წამყვან სახედ იქცეოდა.

1830 წლის ნოემბრის აჯანყების დეტალური აღწერა ჩვენს მიზანს არ წარმოადგენს. საკმარისია მხოლოდ რამდენიმე ასპექტის აღნიშვნა, რომლებმაც პოლონური ნაციონალიზმის შემდგომი ტრაექტორია განაპირობა: მიჩნეულია, რომ საფრანგეთისა და ბელგიის რევოლუციებმა პოლონური მოვლენების კატალიზატორის როლი შეასრულა. არსებობს ირიბი მოწმობები, რომ პოლონელ რადიკალთა ინსპირირება „კარბონართა“ ევროპული რევოლუციური ქსელის დამსახურება იყო; მოვლენათა დასაწყისში ამბოხებულებმა პოლონეთის არმიის რამდენიმე უფროსი ოფიცერი მოკლეს. ამის მიზეზი გახდა მათი უარი სამხედრო სასწავლებლის კადეტთა საბრძოლო ხელმძღვანელობაზე; აჯანყების პოლიტიკური ხელმძღვანელობის ფორმირებისას რადიკალები იოახიმ ლელეველი და მაურიცი მოხანსკი, ლიბერალი ვინცენტი ნიემოიოვსკი და შემრიგებლურად განწყობილი დრუცკი-ლუბეცკი ერთ ნავში აღმოჩნდნენ. გარკვეულ მომენტში ამბოხებულთა მთავრობის მეთაური ადამ იერჟი ჩარტორისკი გახდა. თუმცა მაშინ მას უფრო პასუხისმგებლობის გრძნობა ამოძრავებდა, ვიდრე უპირობო წარმატების რწმენა (Wandycz 1996, 105-110).

აჯანყებულებმა რუსეთის მთავრობასთან მოლაპარაკება სცადეს. რადიკალებს ეს არ მოსწონდათ, მაგრამ თან იმედოვნებდნენ, რომ ამ გზით რუსებს შორის მოკა-

53 დაპატიმრებულთა შორის იყო ადამ მიცკევიჩიც, რომლის იმჟამინდელმა განცდებმა ბიძგი მისცა ალბათ ყველაზე გამორჩეული მისი პოეტური დრამის – „dziady” – შექმნას. იმჟამინდელი და გვიანდელი პერიპეტიები დრამაში რომანტიზმისათვის დამახასიათებელ მისტიკურ ელფერშია გადმოცემული.

ვშირეებს იპოვიდნენ. რევოლუციური პროცესების მხარეს მდგომმა ერთ-ერთმა ჯგუფმა – პატრიოტულმა საზოგადოებამ – 1825 წელს პეტერბურგში მომხდარი ანტისამთავრობო სამხედრო გამოსვლის ორგანიზატორების, ე.წ. დეკაბრისტების ხსოვნისადმი მიძღვნილი დემონსტრაციაც მოაწყო. აღსანიშნავია, რომ, წლების მანძილზე, რუსი და პოლონელი რევოლუციონერები თუ ლიბერალურად მოაზროვნენი თანამშრომლობას ცდილობდნენ. მაგრამ მცდელობები უშედეგო იყო. იმპერიული სურნელის მქონე რუსული ნაციონალიზმი, რომელსაც წამყვანი იდეოლოგი ისტორიკოსი ნიკოლაი კარამზინი განასახიერებდა, პოლონურ-რუსული მეგობრობისათვის სივრცეს არ ტოვებდა. კარამზინის გავლენას განიცდიდნენ დეკაბრისტებიც და მათი მეგობარი, ცნობილი რუსი პოეტი ალექსანდრე პუშკინიც (Luzianina 1971). ამდენად, პოლონურ რევოლუციურ ლოზუნგს „ჩვენი და თქვენი თავისუფლებისათვის“, რომელიც ლელეველს მიეწერება, რუსულ საზოგადოებაში ნაკლებად თუ აიტაცებდა ვინმე. პუშკინმა, რომელიც ერთ დროს პეტერბურგში გადმოსახლებულ ადამ მიცკევიჩთან მეგობრობდა, პოლონელთა აჯანყებასა და მის ევროპელ მომხრეებს წყენით სავსე ლექსით – „რუსეთის ცილისმწამებლებს“ – უპასუხა. ზოგიერთი რუსიც აკრიტიკებდა ამ ლექსს, მაგრამ საგულისხმოა, რომ მისით რუსული პოლიტიკის გამორჩეული კრიტიკოსი და თავად კათოლიკობისაკენ გადახრილი პეტრე ჩაადაევი აღფრთოვანდა.

მას შემდეგ, რაც რუსულმა არმიამ აჯანყებულთა წინააღმდეგობა გატეხა, ადამ იერჟი ჩარტორისკიმ პოლონური წინააღმდეგობის ახალ სტრატეგიას დაუდო სათავე. ეს სტრატეგია ემიგრაციის საქმიანობას ეყრდნობოდა. ჰოტელ ლამბერტი – კერძო სახლი, რომელიც ჩარტორისკიმ პარიზში შეიძინა – პოლონური წინააღმდეგობის ერთ-ერთ ცენტრად გადაიქცა. პოლონურმა რომანტიზმმა, რომელიც პარიზში გაიფურჩქნა და ყველგან რეზონირებდა, სადაც კი პოლონელები ცხოვრობდნენ, დასაბამი და-

უდო პოლონეთის ქრისტესთან გაიგივების მესიანისტურ რწმენას (Wandycz 1996, 117-118). ამასთან, ჩარტორისკის არისტოკრატული პატრიოტიზმის დინებას ყველა პოლონელი არ გაჰყოლია. ზოგი მათგანი ლელეველის დემოკრატიულ გზას ირჩევდა და ნობილიტეტის „ეგოისტური“ ინტერესების წინ გლეხებისა და ჩვეულებრივი „ხალხის“ ინტერესს აყენებდა (Wandycz 1996, 117). ერი/ნაცია მათ მიერ სოციალისტური ფერებით გაიგებოდა. ამასთან ერთად, ლელეველი “przenarodowienie”-ს (რენაციონალიზაცია) კონცეფციის ავტორად ითვლება. „რენაციონალიზაცია“ პოლონელი ერის ცნების შემდგომ განვითარებას წარმოადგენდა.[54]

განათლებით ისტორიკოსი ლელეველი ამ ტერმინით აღნიშნავდა ლიტველ და „რუს“ არისტოკრატთა გაპოლონელების შუასაუკუნეობრივ პროცესს. პოლონელი ისტორიკოსის და იდეოლოგის თანახმად, ასეთი „რენაციონალიზაცია“ პარტიკულარისტული ინტერესებით იყო გამოწვეული, მაგრამ მას სოციალური პროგრესი მოჰქონდა. პროცესი იშვიათად იწვევდა უბრალო ხალხის წინააღმდეგობას (Lelewel 1839, 180-181). ბევრი თანამედროვე პოლონელი მკვლევარი ლელეველის ისტორიოსოფიაში ისეთივე რომანტიზმს ხედავს, როგორიც ადამ მიცკევიჩის პოეზიაშია. თუმცა შეიძლება, ამ მოაზროვნეთა დისკურსებში ურთიერთგანმასხვავებელი მსოფლმხედველობრივი საზრისებიც იძებნებოდეს. მიცკევიჩის და ლელეველის მემკვიდრეობის ღრმა ფილოსოფიურ/ისტორიოსოფიული განხილვის ნაცვლად, ჩვენ ამჯერად შეგვიძლია მის პოლონელ მკვლევართა დასკვნებს დავეყრდნოთ.

54 პოლონური ეროვნული იდენტობის ფორმირების აღმნიშვნელი ეს ელემენტი თანამედროვე პოლონელ ისტორიოგრაფთა კონფერენციაზე აღინიშნა. აქვე გაესვა ხაზი იმ გარემოებას, რომ „რენაციონალიზაციის ცნება“ იოახიმ ლელეველის და ადამ მიცკევიჩის ინტელექტუალურ მემკვიდრეობას წარმოადგენდა. კონფერენცია „პოლონეთისა და ევროპის ისტორიოგრაფია ჟეჩპოსპოლიტას დანაწილების შესახებ“, ვიოლეტა იულკოვსკას მოხსენება „პოლონეთის მე-19 საუკუნის ისტორიოგრაფია დანაწილების შესახებ“, ადამ მიცკევიჩის უნივერსიტეტი, პოზნანი, 28.09.2022.

მათი შეფასებით, კლასიკური ისტორიკოსი და მსოფლიო ცნობადობის პოეტი ერის არა ეთნიკურ, არამედ პოლიტიკურ და კულტურულ გაგებას ავითარებდნენ. დანუტა ზავადსკას მულტიდისციპლინარულ ნაშრომზე კომენტირებისას, რომელიც იდეების ისტორიისა და პოსტკოლონიალიზმის ეპისტემოლოგიის დახმარებით ლელეველ-მიცკევიჩის პარალელების ძიებას ეძღვნებოდა, იერჟი ფიეჩკო წერდა: „ზავადსკა დამარწმუნებლად გვიჩვენებს, რომ უკვე 20-იან წლებში ისინი ერის პოლიტიკურ გაგებას იზიარებდნენ. [...] დროთა განმავლობაში მათი შეხედულებები ტრანსფორმაციას განიცდიდა, ერის კულტურული კონცეპტის ელემენტებით ივსებოდა, მაგრამ ორივენი [...] რეზისტენტული რჩებოდნენ ეთნოცენტრიზმის ცდუნებათა წინაშე“ (Fiećko 2016, 221).

ახლა კი დავუბრუნდეთ თავადი ჩარტორისკის როლს და აღვნიშნოთ, რომ მან საბოლოოდ თანამედროვე პოლონეთის გეოპოლიტიკას ჩაუყარა საფუძველი. შემდგომში სწორედ ეს გეოპოლიტიკური ხედვა განავითარა იუზეფ პილსუდსკიმ. შეგვიძლია მისი კვალი მე-20 საუკუნის მეორე ნახევარში შექმნილ გედროიც-მიეროშევსკის დოქტრინაშიც დავინახოთ. ყოველივე ერთად კი აჩვენებს, რომ სხვადასხვა თაობებთან და ეპოქებთან დაკავშირებული განსხვავებული იდეური ნაკადები – განმანათლებლობა, რომანტიზმი, რეალიზმისა და ლიბერალიზმის შეფერილობების მქონე თანამედროვე პოლიტიკური აზრი – ირეოდა და ერწყმოდა პოლონური ეროვნული იდენტობის ფორმირების პროცესს.

რა თქმა უნდა, პოლონელი თავადი ვერ წარმოიდგენდა, თუ რა ფორმებს მიიღებდა მისი მცდელობები მომავალში. მაგრამ სწორედ მან დაიწყო იმპერიის მიერ ჩაგრულ ერთა გამათავისუფლებელი ბრძოლების წახალისება და მხარდაჭერა. რუსეთის იმპერიაში განხიბლულმა ჩარტორისკიმ მისი შიგნიდან აფეთქება განიზრახა. ამ ბრძოლის ეპიცენტრს იგი უკრაინის მიწებზე ხედავდა, მაგრამ ამასთანავე, იხსენებდა კოსტიუშკოს დროინდელ

ოცნებებსაც ფინეთიდან კავკასიამდე ერთიანი ფრონტის შესახებ. რაც მაშინ არარეალისტური იყო, ახლა ემისრების გაგზავნაში მატერიალიზდებოდა: ჩარტორისკიმ პრაქტიკულად სცადა, რომ ერთა სარტყელი საკუთარი საგარეო პოლიტიკის საშუალებად გადაექცია (Nowak 2008, 142). აღსანიშნავია, რომ კავკასიაში მიმდინარე პროცესები ასეთი ცდების ხელშემწყობი იყო. ჩრდილოეთ კავკასიაში რუსეთთან ომის ხანძარი გიზგიზებდა. ხოლო საქართველო, აქეთ გადმოსახლებულ პოლონელ პატრიოტთა თვალში, ჟეჩპოსპოლიტასავით თავისუფლებისმოყვარე ქვეყნად აღიქმებოდა. ასეთ შედარებას ბევრი ქართველი პატრიოტი სიამოვნებით იღებდა (Furier 1999, 8-9).

მიუხედავად იმისა, რომ მე-19 საუკუნის 40-50-იან წლებში რუსეთის იმპერიასთან კოლონიური ხალხების ბრძოლას თითქოს საგარეო გარემოც უწყობდა ხელს,[55] ჩარტორისკის გეგმები არ განხორციელებულა. ყოველ შემთხვევაში, თუ ავსტრიელი და გერმანელი პოლონელები თავიანთი წარმომადგენლობითი უფლებებისათვის მეტ-ნაკლები წარმატებით იბრძოდნენ, კონგრესის სამეფოში რაიმე პოზიტიურ პოლიტიკურ ცვლილებებს ადგილი არ ჰქონია. როგორც წარუმატებელი აჯანყებების შემდეგ ხდება ხოლმე, 1830-1831 წლების სისხლიანი მოვლენების შემდეგ პოლონეთშიც და ყოფილი ჟეჩპოსპოლიტას აღმოსავლეთ (კრესი) ნაწილშიც იმპერია რეპრესიებს ახორციელებდა. დაიხურა ვილნოს და ვარშავის უნივერსიტეტები, პოლონელი სამხედრონი და პოლიტიკოსები ან გადასახლებაში ხვდებოდნენ, ან ემიგრაციაში მიდიოდნენ. ინტენსიურად მიმდინარეობდა დღევანდელი ლიტვის, ბელორუსის და უკრაინის რუსიფიკაცია. ამავე დროს, ეკონომიკური წინსვლა გრძელდებოდა

55 ერთი მხრივ, ეს იყო ევროპაში მიმდინარე „ერთა გაზაფხულის“ რევოლუციური პროცესი, მეორე მხრივ კი 1853-1856 წლების ყირიმის ომი, რომლის დროსაც რუსეთს ოსმალეთის, საფრანგეთის, ბრიტანეთის და პიემონტის სამეფოს კოალიცია დაუპირისპირდა.

და ბევრი პოლონელი ინტელექტუალი ე.წ. ორგანულ საქმეზე კონცენტრირებას ამჯობინებდა. „ორგანული საქმე“ ეკონომიკასა და ზომიერ სოციალურ რეფორმებზე ზრუნვას გულისხმობდა. ასეთი რეფორმისტული პატრიოტიზმის მაგალითი იყო ანჟეი ზამოისკის სასოფლო-სამეურნეო პროექტები და კათოლიკური ეკლესიის ბრძოლა ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ (Wandycz 1996, 125). როგორც ზემოთ ითქვა, ეროვნული აქტივობის ამ ფორმამ გზა ეგრეთ წოდებულ პოზიტივიზმს გაუკაფა. მაგრამ ემიგრანტულ აზრს პოლონეთში თავისი ნიადაგი ჰქონდა და გვიანი 50-იანი წლებიდან დამოუკიდებლობისა თუ პოლიტიკური უფლებებისათვის ტრადიციული ბრძოლის ახალი ტალღა იბადებოდა.

1863 წლის იანვრის აჯანყების სტრუქტურული მიზეზი პოლონელი ხალხის ეროვნული თვითშეგნების შემდგომი განვითარება იყო. იგი ლიტერატურაში რომანტიზირებულ ჟეჩპოსპოლიტას დაყოფისა და 1830 წლის აჯანყების მეხსიერებას ეყრდნობოდა. რუსული რეპრესიებიც ხელს უწყობდა ამ პროცესს. პერიოდული პოლიტიკური და შეიარაღებული წინააღმდეგობის ეს მიზეზები პოლონეთის მოდერნული ისტორიის მუდმივებია. მაგრამ მე-19 საუკუნის მეორე ნახევარმა ნაციონალური სენტიმენტების ახალი სტიმულებიც გააჩინა. პიოტრ ვანდიჩი 1863 წლის აჯანყების რიგ სპეციფიკურ ფაქტორებს ჩამოთვლის: ყირიმის ომში რუსეთის დამარცხებამ იმპერიის შინაგანი სისუსტე გამოავლინა; ალექსანდრე მეორის ტახტზე ასვლამ გააჩინა იმედები, რომლებიც მალევე გაქარწყლდა; ევროპის ახალი ნაციონალისტური პროცესები, იტალიელ რევოლუციონერთა მხარდაჭერა ნაპოლეონ მესამის მიერ პოლონელებში მოლოდინებს აჩენდა; გლეხთა საკითხი რუსეთში, ებრაელი და უკრაინელი ხალხის მისწრაფებანი და საერთო რევოლუციური სიტუაციის მომწიფება ბიძგს აძლევდა ახალ პოლიტიკურ პროცესს (Wandycz 1996, 155-160).

ვანდიჩი მოგვითხრობს, რომ კონგრესის სამეფოსა და ყოფილ კრესიში მიმდინარე კონსპირატორული აქტივობები საგანმანათლებლო დაწესებულებებში კონცენტრირდებოდა. ეს ახალი რევოლუციური პროცესი ე.წ. წითლების (რადიკალები) და თეთრების (ზომიერები) მიერ ხორციელდებოდა. ორივე წრე მუდმივ კავშირზე იყო ემიგრაციასთან და „საზღვრები თეთრებსა და წითლებს შორის ხან მკვეთრი ხდებოდა, ხან კი იდღაბნებოდა“ (Wandycz 1996, 160). ამ ჯგუფთა გვერდით არსებობდა რუსეთის ადმინისტრაციასთან დაახლოებული ძველი არისტოკრატიაც. უკვე ნახსენები მარკგრაფი ალექსანდრე ვიელოპოლსკი ამ ლოიალისტური წრის ყველაზე მკაფიო წარმომადგენელი იყო. თუმცა, თუ უშუალოდ მარკგრაფი ახალი პოლიტიკური ნაკადებისაგან სულ უფრო მარგინალიზდებოდა, „ორგანული საქმის“ სხვა აპოლოგეტები ნელ-ნელა განახლებულ ეროვნულ პოლიტიკაში ერთვებოდნენ. ზოგიერთი ცნობით, „თეთრების“ პარტიის ფორმირება ანჟეი ზამოისკის აგრარული საზოგადოების ბაზაზე მოხდა (Wandycz et al. 2023).

დემონსტრაციები და შეტაკებები რუს სამხედროებთან, ისევე როგორც კონფრონტაცია პოლონურ ბანაკებს შორის და რუსულ ხელისუფლებასთან მოლაპარაკების მცდელობები 1863 წლის იანვრის აჯანყებამდეც ხდებოდა. საინტერესოა, რომ სანამ ვიელოპოლსკი თუ ზამოისკი პეტერბურგთან მორიგებას ცდილობდნენ, პოლონელი რადიკალებიც ეძებდნენ კავშირს რუს რევოლუციონერებთან. პიოტრ ვანდიჩი 1863-1864 წლების ამბოხის ერთ საინტერესო მახასიათებელს უსვამს ხაზს: პოლონელებმა ძველი ჟეჩპოსპოლიტას საზღვრებში მაცხოვრებელთა მრავალეროვნული სოლიდარობის აღდგენა სცადეს. ცენტრალურმა ეროვნულმა კომიტეტმა, რომელიც აჯანყების მეთაურობაზე აცხადებდა პრეტენზიას, რუთენიელებისა და ებრაელებისათვის სპეციალური პროკლამაციები გაავრცელა (Wandycz 1996, 172). ამ ნაბიჯს ნაწილობრივი წარმატება მოჰყვა, თუმცა ეს იყო პოლონელთა

ბოლო შეიარაღებული გამოსვლა, „რომლის დროსაც არა მხოლოდ პოლონელები, არამედ ბელორუსი და ლიტ-ველი გლეხებიც დადგნენ ისტორიული დროშების ქვეშ“ (Wandycz 1996, 239). ნაციონალობის ძველი კონცეპტები ირღვეოდა და სცენაზე ახალი, აღმოსავლეთ სლავური და ლიტვური ნაციონალიზმები გამოდიოდა. თავად აჯა-ნყება კი სამხედრო მარცხით დასრულდა. პოლონეთის/ კონგრესის სამეფო ვისლის მხარედ გამოცხადდა და თვი-თმმართველობის ბოლო ნარჩენებიც გაუქმდა. წლების შემდეგ, ვარშავის ახალ რეფორმისტ გენერალ-გუბერნა-ტორთან, პიოტრ ალბიედინსკისთან საუბარში ალექსან-დრე მეორე აცხადებდა, რომ მას ძალზე უყვარდა პოლო-ნელები, მაგრამ ყველაფერი იმის შემდეგ, რაც 1863-1864 წლებში მოხდა, იგი რაიმე არსებით დათმობას აღარ აპი-რებდა (Wiech 2002b, 100). შეიძლება დავასკვნათ, რომ იმ-პერიის რუსიფიკატორული პოლიტიკა პოლონელებთან კონფრონტაციაში ძლიერდებოდა.

როგორც ყოველთვის, პოლონელების პასუხი ორგვარი იყო: ერთი მხრივ, მარცხმა ახალი ფრუსტრაცია და რე-ფორმატორული ლოიალიზმის ახალი ტალღა გააჩინა. ჩვენ ზემოთ უკვე ვთქვით, რომ ამჯერად ამ ტალღამ პო-ზიტივიზმის იარლიყი დაიმკვიდრა. მაგრამ არც დამოუ-კიდებლობაზე ოცნებისა და მისთვის ბრძოლის ტრადი-ცია გამქრალა. ამ ნაკადთა შუაში გაჩნდა Endecja – ეროვ-ნულ-დემოკრატიული მოძრაობა. ეს მიმდინარეობები ვაკუუმში არ იქმნებოდა და არ ფუნქციონირებდა. ისინი როგორც რუსულ პოლიტიკაზე, ისე ევროპაში მიმდინარე პოლიტიკურ და ინტელექტუალურ პროცესებზე რეფლექ-სიას წარმოადგენდა.

მე-19 საუკუნის 70-80-იან წლებში გერმანიის პოლო-ნური მიწები ეთნიკური კონკურენციის ასპარეზად იქცა, ავსტრიელი პოლონელები კი გალიციაში შედარებით ავტონომიურად ცხოვრობდნენ. მაგრამ ჯერ კიდე 40-იანი წლებიდან, ამ ავტონომიაში პოლონურ-უკრაინული კონფლიქტი ღვივდებოდა (Wandycz 1996). რაც შეეხება

ძირითად პოლონეთს, რუსეთის იმპერიის კონგრესის სამეფოს, აქ 1863-1864 წლების შემდგომი უჟამობა გარდაუვალი იყო. ეს არ ნიშნავდა სრულ ლოიალობასა და, მით უმეტეს, ასიმილაციას, თუმცა კი გერმანიისა და ავსტრიის პოლონური გაზეთების კორესპონდენტები ვარშავაში დამყარებულ პოლიტიკურ პასიურობას საგანგებოდ აღნიშნავდნენ (Wiech 2002a, 128, 134-135; Wiech 2002b, 110). არსებობს პოლონელი ქვეშევრდომებისა და იმპერიის მოხელეთა ურთიერთობების არაერთი მაგალითი, რომელიც ნამდვილად იყო მოკლებული რაიმე პატრიოტულ სენტიმენტს პოლონური მხრიდან. ერთი მსგავსი შემთხვევა დამოწმებულია არისტოკრატ მიხალ რავიტა-ვიტანოვსკის დღიურში. იგი ასახავს ავტორის სიხარულს იმპერატორთან სადილზე მიწვევის გამო. მეორე მაგალითი პოლიციის ოფიცრის რაპორტშია. ოფიცერი ჰყვება, რომ ერთ-ერთი პოლონური მუნიციპალიტეტის გლეხობა სალოცავის აგების ნებართვას ითხოვდა. სალოცავი ეძღვნებოდა იმპერატორის „სასწაულებრივ“ გადარჩენას პოლონელი ემიგრანტის ანტონ ბიერეჟოვსკის პარიზში განხორციელებული თავდასხმისას (Wiech 2002a, 129, 261). ეს წყაროები ზემოთ ნახსენები პოლონური გაზეთების რეპორტაჟებს მეტ დამაჯერებლობას მატებს. მაგრამ რუსულ-პოლონური გაუცხოების მაგალითები უფრო მრავალრიცხოვანია, რაც აჩვენებდა, რომ პოლონურ მიწებზე პატრიოტიზმი ისევ ისევე დომინანტური აზრთა მდინარება იყო, როგორც მანამდე.

ძველ, ნოვაკის მიერ დამოუკიდებლობის მომხრეობად და იმპერიულად შერაცხილ პატრიოტიზმს (Nowak 2008, 124) არსებობა არასოდეს შეუწყვეტია. ადამ იერჟი ჩარტორისკი გარდაიცვალა, მაგრამ მისი საქმე პარიზში მისმა შვილმა, ვლადისლავმა განაგრძო. რომანტიკული ნაციონალიზმის ელფერი ჰქონდა წერილს, რომელიც 1877 წელს კრაკოვში ბაზირებულმა პოლონელმა და უკრაინელმა არისტოკრატებმა სანქტ-პეტერბურგის სლავური საქველმოქმედო კომიტეტის პან-სლავ წევრებს

გაუგზავნეს. წერილის ავტორები ადრესატებს რუსეთის მიერ პოლონეთის წინაშე ჩადენილ დანაშაულებს ახსენებდნენ და დასძენდნენ, რომ ვერ უსურვებდნენ წარმატებას პან-სლავურ იდეებს (Tanty 2002, 45). მაგრამ პატრიოტულ მიმდინარეობათა შორის, ამ პერიოდში მაინც პოლონეთის სამეფოს კულტურულ და ეკონომიკურ განვითარებაზე ორიენტირებული პოზიტივიზმი დომინირებდა (Wandycz 1996, 207-213). თანამედროვე მკვლევრების მიერ პოზიტივიზმი რომანტიკულ პატრიოტიზმთან იდეურ დამშვიდობებად აღიქმება.[56] ფილოსოფოსთა, მწერალთა, ჟურნალისტთა და ადვოკატთა წრეებთან ასოცირებული პოზიტივისტური მოძრაობა ქადაგებდა დემოკრატიას, ადამიანის უფლებათა დაცვას, განათლებას, თვითმმართველობას და იმპერიის ხალხების თანასწორობას. მისი დევიზი – გონების ემოციაზე წინ დაყენება – დამოუკიდებლობის აღდგენის სურვილსაც არ გამორიცხავდა. მაგრამ პოზიტივისტთათვის მსგავსი რამ შეიძლებოდა მხოლოდ თანდათანობით მომხდარიყო. პოლონეთის იმწამიერი მიზანი მსოფლიო ცივილიზაციაში წვლილის შეტანა უნდა ყოფილიყო.

პოლონური პოზიტივიზმი მხოლოდ იმდროინდელ ევროპულ სოციალურ თეორიასა და ფილოსოფიაზე რეფლექსია არ ყოფილა. მასზე გავლენას ახდენდა დრუცკი-ლუბეცკის და ვიელოპოლსკის მსგავსი ზომიერი სახელმწიფო მოღვაწეების და წინა თაობის „ორგანული საქმის“ მემკვიდრეობაც. როგორც ვთქვით, პიოტრ ვანდიჩისათვის პოზიტივიზმი პოლონელთა შორის სამმაგი (ავსტრო-უნგრეთისადმი, გერმანიისადმი და რუსეთისადმი) ლოიალიზმის გავრცელებას უკავშირდებოდა. თუმცა 1890-იან და 1900-იან წლებში პოზიტივიზმის წიაღში აღმოცენდა ძალა, რომელმაც იგი საბოლოოდ დაასამარა (Wandycz 1996, 263, 275). ანჟეი ნოვაკისათვის

56 ნოვაკი, ანჟეი. ინტერვიუ ჩაატარა დავით დარჩიაშვილმა. იაგელონის უნივერსიტეტი, კრაკოვი, პოლონეთი. სექტემბერი 19, 2022.

ეს ძალა პოსტპოზიტივისტი ეროვნულ-დემოკრატებია.[57] ეროვნულ-დემოკრატთა ლიდერი რომან დმოვსკი საფრანგეთში წარმოქმნილი და მთელ ევროპაში გავრცელებული ინტეგრალური ნაციონალიზმის მიმდევარი იყო. ბევრი სხვა პოზიტივისტის მსგავსად, დმოვსკიც აღიარებდა სოციალურ დარვინიზმს, რის ინტერპრეტაციაშიც აქცენტს ეროვნულ იდენტობაზე აკეთებდა. პროფესორი მარიუშ მაშკევიჩის თქმით, პილსუდსკის პატრიოტიზმი სახელმწიფოს დამოუკიდებლობისა და უსაფრთხოების იდეას გამოხატავდა, დმოვსკისა კი პოლონური იდენტობისა და სულის დაცვას ანიჭებდა უპირატესობას.[58] ასეთ აქცენტებს იგი ანტისემიტიზმისაკენ მიჰყავდა. დმოვსკის ასევე მიაჩნდა, რომ გერმანია რუსეთზე საშიში იყო, რადგან ამ უკანასკნელს არ ჰქონდა მოწინავე პოლონელი ერის ასიმილაციის უნარი, გერმანელებს კი „პოლონური სულის“ გაქრობა შეეძლოთ.

ნათქვამი არ ნიშნავდა, თითქოს ეროვნულ-დემოკრატები რუსეთის იმპერიას არ უპირისპირდებოდნენ, მაგრამ დმოვსკი არც დამოუკიდებლობის მყისიერ გამოცხადებას ითხოვდა და არც კონგრესის სამეფოს კონსტიტუციის აღდგენას. ერთი მხრივ, მისი მიმდევრები პოლონელი ადვოკატის ალექსანდრ ლედნიცკის მსგავს ძველ პოზიტივისტებს მწვავედ აკრიტიკებდნენ, რადგან მათ პოზიციებში პოლონური მიზნებისადმი ლოიალობის ნაკლებობას ხედავდნენ. მეორე მხრივ კი, რუსეთის 1905-1907 წლების რევოლუციის ტალღაზე წარმოქმნილი იმპერიის სახელმწიფო სათათბიროს წევრად გასული რომან დმოვსკი მზად იყო, რომ ავტონომიისათვის ბრძოლა გადაედო. ნაცვლად ამისა, იგი ცდილობდა რუს ლიბერალებთან ტაქტიკურ ალიანსში შესვლას, რათა განათლების სისტემის რეფორმირებისათვის მიეღწია. დმოვსკის

57 ნოვაკი, ანჟეი. ინტერვიუ ჩაატარა დავით დარჩიაშვილმა. იაგელონის უნივერსიტეტი, კრაკოვი, პოლონეთი. სექტემბერი 19, 2022.

58 მაშკიევიჩი, მარიუშ. ინტერვიუ ჩაატარა დავით დარჩიაშვილმა. პოლონეთის საელჩო, თბილისი, საქართველო. ივლისი 1, 2022.

აფეთქებებიც ახასიათებდა. მისი დეპუტატობისას სახელმწიფო დუმაში საინტერესო ინციდენტი მომხდარა: სავარაუდოდ, ალკოჰოლის გავლენის ქვეშ მყოფმა დმოვსკიმ პლენარულ სხდომაზე სიტყვა მოითხოვა და საჯაროდ შეადარა პოლონეთის ევროპული კულტურა რუსულ „აზიატურს“. სხვა პოლონელი დეპუტატები განერვიულებულან, იმპერიის პრემიერ-მინისტრ პეტრე სტოლიპინს კი უთქვამს, რომ იგი დმოვსკის აჩვენებდა „თუ სად მთავრდება აზია“ (Szwarc i Wieczorkiewicz 2002,183).

მთლიანობაში, დმოვსკის სიფრთხილე თუ მინიმალიზმი რუსეთის პოლონეთში უფრო პოპულარული იყო, ვიდრე ზოგიერთი პოლონელი სოციალისტის რადიკალიზმი (Wandycz 1996, 329-330). თუმცა, მისმა ანტისემიტურმა მიდრეკილებებმა 1912 წლის არჩევნებში დმოვსკის დუმის დეპუტატობა დააკარგვინა – ამომრჩეველთა ებრაულმა ნაწილმა მას ხმა არ მისცა. ვანდიჩი წერდა, რომ ეროვნულ-დემოკრატთა ნაციონალიზმი უფრო ებრაელთა და უკრაინელთა წინააღმდეგ იყო მიმართული, ვიდრე რუსების (Wandycz 1996, 326). გავლენიანი პოლიტიკური ძალის ასეთი პოზიცია, რომელსაც ბევრი პოლონელი მესაკუთრე იზიარებდა, უკრაინელთა და ლიტველთა პოლონელებისაგან შემდგომ გაუცხოებას უწყობდა ხელს. თუმცა ეს გაუცხოება მარტო პოლონური ეროვნულ-დემოკრატიული იდეოლოგიის აღმოცენების შედეგი არ ყოფილა: მე-19 საუკუნის მიწურულისათვის ლიტველთა და უკრაინელთა კოლექტიური იდენტობების ფორმირება მრავალრიცხოვანი ეროვნული მოძრაობების დონეს აღწევდა, რაც ჟეჩპოსპოლიტას მრავალეთნიკური პოლიტიკური ერის იდეასთან შეუთავსებელი ხდებოდა. შესაბამისად, პოლონელ მოაზროვნეებს ახალ გარემოებასთან ადაპტაცია სჭირდებოდათ. დმოვსკი ამ ვითარებას პატრიოტიზმის ეთნონაციონალისტური, ასიმილატორული დინების შექმნით პასუხობდა, პილსუდსკი კი ფედერალიზმის იდეასთან აღმოჩნდა ასოცირებული.

ჩვენ ზემოთ მოკლედ შევეხეთ პილსუდსკის შეხედულებათა თანდათანობით ტრანსფორმაციას სოციალიზმიდან ნაციონალიზმისაკენ და კაზიმიეჟ კელეს-კრაუზის როლს იმდაგვარი სოციალისტური თეორიის განვითარებაში, რომელიც ეროვნულ სუვერენიტეტთან თავსებადი იქნებოდა. დმოვსკისაგან განსხვავებით, კელეს-კრაუზი უკრაინელთა და ებრაელთა უფლებებზეც ფიქრობდა. მაგრამ მისი ადრეული გარდაცვალების შემდეგ პოლონელი სოციალისტები უფრო სერიოზულად გახდნენ ნაციონალიზმის ტრადიციულ ფორმებზე დამოკიდებულნი, ვიდრე ეს „აზნაურული ინტელიგენციის მივიწყებულ თეორეტიკოსს“[59] წარმოედგინა.

ჟეჩპოსპოლიტას დანაწილებულ მიწებზე სხვა პოლონელი პოლიტიკური აქტორებიც მოქმედებდნენ. ისინი უკრაინულ, ლიტვურ და შედარებით გვიან აღმოცენებულ ბელარუსულ პატრიოტულ მოძრაობებთან შედიოდნენ კონტაქტში. ოღონდ პოლონეთის გათავისუფლებაში ალბათ არავის შეუტანია ისეთი წვლილი, როგორიც დმოვსკიმ და პილსუდსკიმ შეიტანეს. ისინი, მტრები თუ არა, საკმაოდ შეურიგებელი მეტოქეები კი იყვნენ. ახალი პოლონეთის დაბადება აღინიშნა არა მხოლოდ გარდაუვალი ომით რუსეთთან, ისევე როგორც კონფლიქტებით უკრაინასა და ლიტვასთან, არამედ ქვეყნის პირველი პრეზიდენტის მკვლელობით და სამხედრო გადატრიალებით. პოლონური პოლიტიკური კლასის შიგნით მიმდინარე პროცესების დრამატულობა ჩანს იმ ფაქტიდან, რომ პილსუდსკის მიერ მხარდაჭერილი პირველი პრეზიდენტი გაბრიელ ნარუტოვიჩი 1922 წელს ეროვნულ-დემოკრატიული მოძრაობის მხარდამჭერმა მოკლა. 1926 წელს კი პილსუდსკის მიერ ორგანიზებულმა სამხედრო გადატ-

59 კაზიმიეჟ კელეს-კრაუზი დიდი ხანი იყო მივიწყებული სოციალური პროცესების მკვლევართა მიერ. როგორც ვთქვით, პოლონეთის ინტელექტუალური ისტორიის ამ გამორჩეული აქტორის პოპულარიზაცია ტიმოთი სნაიდერის დამსახურებაა. ციტირებული სიტყვები კი ეკუთვნის სტანისლაუს ბლეივასს აკადემიური ჟურნალიდან Slavic Review (Blejwas 2018).

რიალებამ მყიფე პოლონურ დემოკრატიას ერთგვარი წერტილი დაუსვა. თუმცა, მიუხედავად იდეოლოგიური განსხვავებებისა და არც თუ იშვიათი ძალადობისა მათ შორის, დმოვსკისა და პილსუდსკის ლიდერობით მოქმედი ორი ძალა ზოგჯერ თანამშრომლობდა – განსაკუთრებით ნაციონალიზმის და გეოპოლიტიკის საკითხებში.

ბევრი თანამედროვე პოლონელი ანალიტიკოსისათვის პილსუდსკი (და არა დმოვსკი) განასახიერებს ძველი ჟეჩპოსპოლიტას რომანტიკული პატრიოტიზმის განგრძობადობას (Kminikowska i Pękała 2007, 237).[60] ასეთი შეფასების ლოგიკურობას ჟეჩპოსპოლიტა II „ნაჩელნიკის“ (ლიდერის) მოღვაწეობის ზედაპირული მიმოხილვაც აჩვენებს. არ უარყოფდა რა რუს რევოლუციონერებთან თანამშრომლობის შესაძლებლობას, ახალგაზრდა პოლონელი სოციალისტი იუზეფ პილსუდსკი 1893 წელს წერდა, რომ ასეთ თანამშრომლობას მხოლოდ მაშინ ექნებოდა ადგილი, თუ რუსები ყოფილი ჟეჩპოსპოლიტას მიწებზე პოლონელთა ლიდერობას აღიარებდნენ. ამავე დროს, იგი საკუთარი ქვეყნის განთავისუფლების მთავარ შანსს რომანოვთა იმპერიის არარუსი ხალხების უკმაყოფილების პოტენციალში ხედავდა (Nowak 2008, 169). წლების განმავლობაში მისი რწმენა მხოლოდ ძლიერდებოდა. რუსეთში ბოლშევიკური გადატრიალების შემდეგ პილსუდსკი Międzymorze/ინტერმარიუმის და პრომეთეანიზმის პროექტების აპოლოგეტი გახდა. პირველი გულისხმობდა ბალტიის, შავი და ადრიატიკის ზღვებს შორის მცხოვრებ ხალხთა ფედერაციის შექმნას. ეს იყო რეგიონული ინტეგრაციის პროექტი. მეორე, გარკვეულწილად, ფედერაციის იდეოლოგიურ საყრდენსა და გეოკულტურულ ხედვას წა-

60 ჰჟეძიეცკი, მარიან. ინტერვიუ ჩაატარა დავით დარჩიაშვილმა. საერთაშორისო ეკონომიკური ფორუმი, კარპაჩი, პოლონეთი. სექტემბერი 7, 2022; ნოვაკი, ანჟეი. ინტერვიუ ჩაატარა დავით დარჩიაშვილმა. იაგელონის უნივერსიტეტი, კრაკოვი, პოლონეთი. სექტემბერი 19, 2022; პერლაკოვსკი, ადამ. ინტერვიუ ჩაატარა დავით დარჩიაშვილმა. იაგელონის უნივერსიტეტი, კრაკოვი, პოლონეთი. სექტემბერი 20, 2022.

რმოადგენდა. იგი ბალტიის ზღვიდან კასპიის ზღვამდე არსებული ეროვნული, ანტიიმპერიული მოძრაობების მხარდაჭერაზე იყო ორიენტირებული. პრომეთეანიზმი ბერძნული მითოსის პერსონაჟთან, პრომეთესთან ასოცირდებოდა და თავისუფლებისათვის ბრძოლას განასახიერებდა. პრომეთეანიზმი ინტერმარიუმის განხორციელებისაგან დამოუკიდებლად არსებობდა. ფედერაციის ფორმირება შეიძლება გადადებულიყო, მაგრამ პრომეთეანიზმის ტელეოლოგიური მსოფლხედვა განასახიერებდა რწმენას, რომ პოლონეთის ხსნა მის მეზობელთა გათავისუფლებაშია. როგორც უკვე ვთქვით, მსგავს რწმენას ფესვები ადამ იერჟი ჩარტორისკის გვიანდელ შეხედულებებში ჰქონდა.

რა თქმა უნდა, პილსუდსკის ეპოქა ჩარტორისკის ეპოქისაგან განსხვავდებოდა, რამაც ახალი ფედერალიზმის წინააღმდეგობრიობა განაპირობა. ანჟეი ნოვაკს ეჭვიც კი შეაქვს პილსუდსკის ფედერალისტურ გულწრფელობაში. 1921 წლის რიგის შეთანხმებით ჟეჩპოსპოლიტამ საბჭოთა რუსეთთან ლიტველებით, უკრაინელებით და ბელორუსებით დასახლებული მიწები გაიყო. ნოვაკი წერს, რომ ეს პილსუდსკის შეგნებული გადაწყვეტილებას წარმოადგენდა. პოლონეთთან რაიმე ფორმით ინტეგრაციაზე ლიტველთა უარმა, ისევე როგორც წითელ რუსეთთან დაპირისპირებაში უკრაინელთა მიერ განცდილმა მარცხმა პოლონელ ლიდერებს იდეალების გვერდით გადადებისაკენ უბიძგა. ვითარებიდან გამომდინარე, რუსეთთან სტრატეგიულად ხელსაყრელი საზღვრების გავლება ყველაზე აქტუალურ ამოცანად იქცა. გარკვეულწილად, ჟეჩპოსპოლიტა II ეროვნულ-დემოკრატთა საოცნებო ერი-სახელმწიფოს ფორმას იღებდა (Nowak 2008, 171-184). მაგრამ რამდენადაც პრომეთეანული პროექტი არ გაუქმებულა, რიგის მოლაპარაკებების პოლონური დელეგაციის მდივანი კი ფიქრობდა, რომ ერთ დღესაც უკრაინელი კომუნისტები მოსკოვს აუმხედრდებოდნენ, რომანტიზმზე დაფუძნებული ფედერალიზმი და დევიზი – ჩვენი და თქვენი

თავისუფლებისათვის – განაგრძობდა სიცოცხლეს. როგორც ნოვაკი აღნიშნავს: „(უკრაინის კომუნისტებთან დაკავშირებული) იმედი [...] რეალობად უნდა გადაქცეულიყო, მაგრამ 70 წლის შემდეგ“ (Nowak 2008, 180). სხვათა შორის, არც პილსუდსკის შეუწყვეტია რუსეთის ყოფილი იმპერიიდან ემიგრირებულ ეროვნულ თემთა მხარდაჭერა. მის ფიქრებს განსაკუთრებით იპყრობდა ოკუპირებული საქართველო (Kolbaia 2019, 10-11).

სანამ ჟეჩპოსპოლიტა II-ის 1939 წლის კატასტროფის შემდგომ პატრიოტულ მიმდინარეობებს განვიხილავთ, მეორე მსოფლიო ომამდელი ნაციონალური დისკურსის კიდევ ორი შემადგენელი უნდა აღვნიშნოთ: ესაა ანტისაბჭოთა და ანტიგერმანული ატიტუდები, რომელთაგან პირველი მე-19 საუკუნიდან განვითარებული ანტირუსული დამოკიდებულებების გაგრძელებას წარმოადგენდა. თავისი მოღვაწეობის გარიჟრაჟზე პილსუდსკი შეეცადა, რომ რუს სოციალისტებთან საერთო ენა გამოენახა. როდესაც იმპერია დაინგრა, იგი ლენინს ჭკვიან პოლიტიკოსად მიიჩნევდა (Broda, Kurczak i Waingertner, 2006, 106). 1918 წელს ბრესტ-ლიტოვსკში მიმდინარე გერმანულ-ბოლშევიკური მოლაპარაკებებისას, ზოგი პოლონელი სოციალისტი ლენინს პოლონეთის მეგობრადაც აღიქვამდა (Wandycz 1996, 362). მაგრამ საკმაოდ მალე პილსუდსკიმაც და მთელმა პოლონურმა განათლებულმა კლასმაც ახალი საბჭოთა რუსეთი და საბჭოთა კავშირიც ანტიცივილიზაციური მიდრეკილებების მქონე ყველაზე უარეს იმპერიად მონათლა. დმოვსკი ბოლშევიზმის საწყისებს რუსულ კულტურაში ხედავდა, თუმცა ამ ფენომენს ანტიადამიანურ მუტაციად მიიჩნევდა და მის წარმოშობაში ებრაელთა წვლილზე აკეთებდა აქცენტს (Broda, Kurczak i Waingertner 2006, 95-105).

მეორე მხრივ, პოლონური გეოპოლიტიკური დისკურსი გადატვირთული იყო წუხილებით საბჭოთა იმპერიალიზმისა და გერმანული რევანშიზმის ორმაგი წნეხის გამო. ამ უკანასკნელი საფრთხის განცდას განსაკუთრებით ხე-

ლისუფლებაში ადოლფ ჰიტლერის მოსვლა განაპირობებდა. 30-იან წლებში ჟეჩპოსპოლიტას პოლიტიკური კლასი ცდილობდა, რომ თავი საბჭოთა კავშირთან თავდაუსხმელობის პაქტით, გერმანიასთან კი თავდაუსხმელობის დეკლარაციით დაეცვა. დოკუმენტებს 1832 და 1934 წლებში მოეწერა ხელი.

მთლიანობაში, პოლონელები ორი მეზობლის წინააღმდეგობრივი ურთიერთობით სარგებლობას იმედოვნებდნენ და უსაფრთხოების გარანტიებს დასავლური ლიბერალური სამყაროსაგან ელოდნენ. ბოლშევიკების, გერმანელებისა და „ებრაული შეთქმულების“ შიშების დისკურსული კომბინაცია ჩანს იმ პოლონური ომთაშორისი პრესის ფურცლებზე, რომელიც გერმანული იმპერიისათვის ვერსალის ზავით ჩამორთმეულ მიწებზე გამოდიოდა (Michalczik 2000, 78-79). რიგ შემთხვევებში, ანტიგერმანული რიტორიკა ახასიათებდა პილსუდსკისაც, მიუხედავად იმისა, რომ პირველ მსოფლიო ომში იგი გერმანიის და ავსტრო-უნგრეთის იმპერიებთან თანამშრომლობდა, 1934 წელს კი მესამე რაიხთან თავდაუსხმელობის დეკლარაციას დაუჭრა მხარი. ასე მაგალითად, 1919 წლის აპრილში პილსუდსკი აცხადებდა, რომ პოლონური არმიის დახმარებით ლიტვის დიდი საჰერცოგო „მტრული რუსული, გერმანული და ბოლშევიკური ძალადობისაგან“ გათავისუფლებულიყო (Nowak 2008, 173). ნოვაკი წერს, რომ დღემდე მსგავსი შინაარსის პროკლამაცია პოლონეთის ლიდერის ფედერალისტური გეგმების დასტურად აღიქმება. თავად ნოვაკს პილსუდსკის განზრახულობათა გულწრფელობა თუ მუდმივობა აეჭვებს, ჩვენ კი ამ წყაროს მხოლოდ „რუსულ, გერმანულ და ბოლშევიკურ“ საფრთხეთა დისკურსული გათანაბრების ნიმუშად განვიხილავთ. როგორი უცვლელიც ან ცვალებადიც არ უნდა ყოფილიყო პილსუდსკის ხედვები, ერთ რამეში ნოვაკი მართალი ჩანს – ომთაშორისი ჟეჩპოსპოლიტას პოლიტიკური ელიტა ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში

გერმანიისა და რუსეთის საპირწონე ძალის მშენებლობას ცდილობდა (Nowak 184).

პოლონურმა ინტელექტუალურმა ცხოვრებამ ომთაშორის პერიოდში კიდევ ორი საყურადღებო, თუმცა კი მარგინალური პოლიტიკური პროდუქტი შექმნა. ესენია პროსაბჭოთა კომუნისტური პარტია და პროგერმანული პატრიოტიზმი. კომუნისტური იდეოლოგია ზოგიერთ შლახტიჩსაც იზიდავდა.[61] ფელიქს ძერჟინსკი – ბოლშევიკური პოლიტიკური პოლიციის პირველი ხელმძღვანელი ანუ „რკინის ფელიქსი“ – ერთ-ერთი მათგანი იყო. პოლონურმა გარემომ წარმოშვა ევროპული მასშტაბის კომუნისტი აქტივისტი და თეორეტიკოსი როზა ლუქსემბურგიც. უშუალოდ კომუნისტური პარტია რევოლუციის შემდეგ, მემარცხენე პოლონური და ლიტვური ჯგუფების საფუძველზე შეიქმნა. პოლონეთში ამ პარტიას დიდი დასაყრდენი არ ჰქონია. საბოლოო ჯამში, მისი წევრები როგორც ჟეჩპოსპოლიტა II-ის, ისე სტალინური საბჭოთა რეჟიმის მსხვერპლნი გახდნენ. ეს უკანასკნელი მათ ლენინური ორთოდოქსიისაგან განმდგარებად განიხილავდა. საყურადღებოა, რომ პოლონური ხელისუფლების მხრიდან რეპრესირებულებს მხოლოდ ციხე ემუქრებოდა, სტალინური სისტემა კი მათ ფიზიკურად ანადგურებდა. პოლონეთის კომუნისტურმა პარტიამ (KPP) არსებობა შეწყვიტა, მაგრამ რეპრესიებს გადარჩენილი პოლონელი კომუნისტები, ბოლესლავ ბიერუტი და ვლადისლავ გომულკა მეორე მსოფლიო ომის დროს საბჭოთა სპონსორობით შექმნილი პოლონეთის მუშათა პარტიის (PPR) ლიდერები გახდნენ. ასეთი იყო, არსებითად, ერთადერთი პრორუსული და დამოუკიდებლობის მოწინააღმდეგე პოლიტიკური ძალა ჟეჩპოსპოლიტაში. პროგერმანელი პოლონელები კი გაცილებით სუსტნი და არასტრუქტურირებულნი აღმოჩნდნენ.

---

61 ინტერვიუ მარიან ჰჟეძიეცკისთან, დავით დარჩიაშვილი, 7.09.22, საერთაშორისო ეკონომიკური ფორუმი, კარპაჩი, პოლონეთი.

თავდაპირველად, პირველი მსოფლიო ომის წინ და მის დროს, პუბლიცისტი ვლადისლავ სტუდინსკი პოლონური პატრიოტიზმის მეინსტრიმს ეკუთვნოდა – იგი სოციალიზმსა და ეროვნულ-დემოკრატიას შორის მერყეობდა. საბოლოოდ კი სტუდინსკი მივიდა მყარ რწმენამდე, რომ ანტირუსული ორიენტაცია პროგერმანელობით უნდა გამყარებულიყო. ამტკიცებდა რა, რომ მრავალსაუკუნოვანი სახელმწიფოებრივი ცხოვრება ტომების ერად გადაქცევის მექანიზმს წარმოადგენდა, სტუდინსკის არსებითი წვლილი შეჰქონდა პოლონურ ნაციონალიზმსა და ეროვნული იდენტობის გააზრებაში (Figura 2008, 30). გარკვეული პერიოდი, იგი პილსუდსკისთან იყო ახლოს და მხარს უჭერდა პოლონური სახელმწიფოს გერმანული დახმარებით აღორძინების იდეას. და მაინც, სტუდინსკის გეოპოლიტიკა განცალკევებულად განვითარდა: მისი აზრით, ისტორიული ჟეჩპოსპოლიტას საზღვრები აღმოსავლეთით უნდა აღმდგარიყო, დასავლეთ პოლონეთის მიწები კი გერმანიას უნდა დარჩენოდა. პირველ მსოფლიო ომში გერმანიის იმპერიის დამარცხების შემდეგაც სტუდინსკი თვლიდა, რომ პოლონეთის კეთილდღეობა გერმანიასთან კეთილმეზობლობაზე იქნებოდა დამოკიდებული (Figura 2008, 50).

სტუდინსკის რწმენა ისე ღრმა იყო, რომ ჟეჩპოსპოლიტას გერმანია-საბჭოთა კავშირს შორის გაყოფის შემდეგაც იგი არწმუნებდა ნაცისტებს პოლონელებთან თანამშრომლობის მიზანშეწონილობაში. მისი წარმოსახვით, გერმანელებს პოლონეთის არმია უნდა აღედგინათ და საბჭოელებთან ომში გამოეყენებინათ. მაგრამ სტუდინსკის იდეები არც ოკუპანტებმა გაიზიარეს და არც ოკუპირებულებმა. საინტერესო ისაა, რომ პოლონურმა იატაკქვეშა მოძრაობამ სტუდინსკი კოლაბორაციონისტად არ ჩათვალა – მიჩნეული იყო, რომ მისი აზრები გულწრფელობისა და სამშობლოს სამსახურის თავისებურ გამოვლინებას წარმოადგენდა. სხვათა შორის, სტუდინსკი გერმანელებმა ორჯერ დააპატიმრეს (Figura 2008, 59).

რა თქმა უნდა, ნაცისტების უპრინციპო კოლაბორაციონისტები პოლონელთა შორისაც იყვნენ, მაგრამ უსასტიკეს დამპყრობელთან გარიგების გზაზე ელიტის ალბათ არც ერთი წარმომადგენელი არ წასულა ასე შორს. მეორე მსოფლიო ომის დაწყებამდე სტუდინსკი ლოგიკურად წინასწარმეტყველებდა, რომ რუსეთი პოლონეთს დაარტყამდა და თვლიდა, რომ გერმანიის მიმართ ტერიტორიულ დათმობებზე წასვლა წინმსწრები თავდაცვითი ნაბიჯი იქნებოდა. მაგრამ ჰიტლერიზმის არსი პოლონელებისათვის რაიმე უკეთეს პერსპექტივას გამორიცხავდა. გარკვეული გაგებით, სტუდინსკის გზა ადრეული ჩარტორისკის და გვიანდელი ვიელოპოლსკის მემკვიდრეობის უიღბლო მუტაციად შეიძლება დავინახოთ. თან ეს მუტაცია ხდებოდა იმაზე უფრო არაადეკვატურ ეპოქასა და პარტნიორთან მიმართებით, ვიდრე მე-19 საუკუნის რუსი იმპერატორები იყვნენ.

ნაციზმის მარცხმა და სტალინის ზედამხედველობით დამყარებულმა კომუნისტურმა რეჟიმმა პოლონეთში ნაციონალიზმის პროფილი შეცვალა. პოლონელმა სტალინისტებმა, რომლებიც ხელისუფლებაში საბჭოთა არმიის, შინაგან საქმეთა საბჭოთა კომისარიატის ქვედანაყოფებისა და პროსაბჭოთა პოლონური სახალხო არმიის დახმარებით მოვიდნენ, მასობრივი რეპრესიები დაიწყეს.[62] საბჭოთა საოკუპაციო ძალები და პოლონეთის ახალი კომუნისტური მთავრობა, რომელიც მანიპულირებული არჩევნების შედეგად გამარჯვებული პოლონეთის გაერთიანებულ მუშათა პარტიის (PZPR) ლიდერებისაგან შედგებოდა, ყოფილ არაკომუნისტ პარტიზანებს და ემიგრანტული მთავრობის მომხრეებს ბანდიტებად და ნაცისტებად აცხადებდა (Materski i Paczkowski 1996;

62 რეპრესიები მიმართული იყო ე.წ. სამამულო არმიის (Armia Krajowa) და პოლონეთის იატაკქვეშა სახელმწიფოს წინააღმდეგ, რომლის შეიარაღებულ ფრთასაც ეს არმია წარმოადგენდა. ეს სტრუქტურები ჟეჩპოსპოლიტას ლონდონში ემიგრირებული მთავრობის დაქვემდებარებაში იმყოფებოდა. სამამულო არმიის წევრებს 50-იანი წლების მეორე ნახევრამდე დევნიდნენ.

Snyder 2012, 356-357). პოლონელ კომუნისტთა ერთ-ერთი ლიდერი იაკუბ ბერმანი, რომელიც თავად ებრაული წარმოშობის იყო, გვიანდელი სტალინის ანტიებრაულ მიდრეკილებებს უწევდა ანგარიშს და ნაცისტთა დანაშაულებს შორის ჰოლოკოსტს არ ახსენებდა. მეორე მსოფლიო ომის ოფიციალური პოლონური ნარატივი არც კატინის ტყესა და სხვა ადგილებში საბჭოელების მიერ ათასობით პოლონელი ოფიცრის დახვრეტას აღიარებდა (Snyder 2012, 342-356). ყველაფერი ეს აჩვენებდა, რომ პოლონური საზოგადოება ისტორიის გადაწერისა და სიმართლით მანიპულაციის უპრეცედენტო პერიოდში შედიოდა. ეროვნული იდენტობისა და ინტერესების ხელახალი ფორმატირება პოლონელთა მენტალური რუკის – გეოპოლიტიკის ცვლილების მცდელობას ემყარებოდა.

პოლონელი კომუნისტები ქვეყნის საზღვრების შეცვლას ეგუებოდნენ. ისინი – ფორმალურად მაინც – ივიწყებდნენ აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ ჟეჩპოსპოლიტას, ანუ კრესის და გალიციის იმ ნაწილს, რომლებიც საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელობამ, შესაბამისად, ლიტვის, ბელარუსის და უკრაინის საბჭოთა რესპუბლიკებს მიუერთა. „კომპენსაციად“ სტალინმა კომუნისტურ პოლონეთს (PRL) გადასცა მისგან დასავლეთით, სამხრეთ-დასავლეთით და ჩრდილოეთით მდებარე ყოფილი გერმანული მიწები, რომელთა ისტორიული კუთვნილება, მნიშვნელოვანწილად, პრიმორდიალისტური კამათის საგანს წარმოადგენდა. საზღვრების ცვლილებას მასობრივი დეპორტაციები ახლდა: პოლონელებს უკრაინიდან და ბელორუსიდან ერეკებოდნენ, 7 მილიონზე მეტი გერმანელი კი ახალი პოლონეთიდან გაასახლეს. მკვლევრები ასკვნიან, რომ ეს ყოველივე პოლიტიკური და გეოპოლიტიკური განზრახულობით ხდებოდა – ახალი ტერიტორიების მიერთებას პოლონელთა თვალში კომუნისტების ავტორიტეტი უნდა გაეზარდა, საბჭოელები კი ამ შენაძენის ერთადერთ გარანტორებად წარმოეჩინა (Snyder 2012, 314-315). ოფიციალური პროპაგანდა ეფექტურად იყე-

ნებდა პოლონელთა ომისშემდგომ ნეგატიურ ატიტუდს გერმანელთა მიმართ და პროსაბჭოთა/რუსული განწყობების გავრცელებას უწყობდა ხელს. ენთუზიაზმით იქნა ატაცებული საბჭოთა ნარატივი დასავლეთ ევროპაში მილიტარიზმისა და ფაშიზმის აღორძინების შესახებ. პოლონური მედია ავრცელებდა დისკურსს, რომ საბჭოთა კავშირთან მეგობრობა პოლონური „დამოუკიდებლობის“ საფუძველი გამხდარიყო, და რომ მომავალში არც ერთ მთავრობას არ შეეძლებოდა გეოგრაფიით ნაკარნახევი საგარეო პოლიტიკის შეცვლა (Michalczik 2000, 84-86).

დარჩა თუ არა კომუნისტურ დისკურსში რაიმე ძველი პატრიოტული დინებებიდან? ზოგი თვლის, რომ კომუნისტური ელიტის მხრიდან ტრადიციული პატრიოტული დინებების გაგრძელებაზე სერიოზული მსჯელობა მიზანშეუწონელია. [63] ის კომუნისტები, რომლებიც პატრიოტულად აზროვნებდნენ, ადრე თუ გვიან ტოვებდნენ პარტიას. მაგრამ მკვლევართა ნაწილისათვის, ისეთი ლიდერები, როგორებიც იყვნენ ედვარდ ოხაბი, ვლადისლავ გომულკა ან ედვარდ გიერეკი, საბჭოური იდეოლოგიის ორთოდოქსალურ მომხრეებად და საბჭოთა კავშირის უპირობო ლოიალისტებად ვერ ჩაითვლებიან. ჯერ ერთი, ანტიგერმანული განწყობები, ისევე როგორც მდინარე ოდერის და ნიესეს აღმოსავლეთით მდებარე მიწების, სილეზიის ქვანახშირის საბადოების და ბალტიის ზღვის სანაპიროს დაუფლება ნაციონალისტური შინაარსის მატარებელი იყო. და მეორეც, როგორც წერს ანჟეი ნოვაკი, ახალ პოლონეთს ისევე უნდა ეთამაშა საბჭოთა რუსეთის იმპერიის დასავლეთის ბასტიონის როლი, „როგორადაც ეს ალექსანდრე პირველის დროს ხდებოდა“ (Nowak 2008, 188). შესაბამისად, თუნდაც არაპირდაპირ, ასეთი გეოპო-

63 მარიუშ მასკიევიჩი მიიჩნევს, რომ როგორც ფრაზეოლოგიური კონსტრუქცია, კომუნისტთა პატრიოტიზმი მეტისმეტად წყალწყალაა. მასკიევიჩი, მარიუშ. ინტერვიუ ჩაატარა დავით დარჩიაშვილმა. პოლონეთის საელჩო, თბილისი. საქართველო. ივლისი 1, 2022.

ლიტიკა ახალგაზრდა ადამ იერჟი ჩარტორისკის ხედვებს წააგავდა.

კომუნისტი მმართველებისათვის თითქოს ყველაზე არარელევანტური ის რესპუბლიკურ-იმპერიული პატრიოტიზმი იყო, რომელიც პირველი და მეორე ჟეჩპოსპოლიტას ეპოქებში დომინირებდა. თუმცა მე-20 საუკუნის 60-70-იან წლებში ერჟი ჰოფმანმა ჰენრიკ სენკევიჩის ისტორიული რომანების ეკრანიზაცია განახორციელა; 1967 წელს ვარშავაში კაზიმიეჟ დეიმეკმა ადამ მიცკევიჩის ანტირუსული "Dziady"-ს დადგმა გაბედა;[64] ჯერ კიდევ გვიანდელ 50-იანებში მოხდა Armia Krajowa-ს მებრძოლების რეაბილიტაცია (Rolicki 2002, 96). ყოველივე ეს მიუთითებდა, რომ პოლონური საზოგადოება კომუნისტთა მმართველობის ქვეშაც ინარჩუნებდა მე-19-20 საუკუნეების პატრიოტულ სულისკვეთებას.

კომუნისტური მმართველობის პირველი წლების პროსაბჭოთა და ანტიდასავლური დისკურსიც არა მხოლოდ და არა იმდენად მარქსიზმს, არამედ ძველი პოლონეთის ისტორიის სპეციფიკურ ინტერპრეტაციას ეყრდნობოდა. მისი ფესვები შეიძლება რომან დმოვსკის ეროვნულ-დემოკრატიულ მსოფლმხედველობაშიც დავინახოთ: ძველი მულტი-ეთნიკური იდეალები, რომელიც ჟეჩპოსპოლიტას აღმოსავლეთისაკენ მიმართულ მისიონერულ ენთუზიაზმს და მე-19 საუკუნის აჯანყებათა ხსოვნას ეყრდნობოდა, დაგმობილ იქნა. მაგრამ კომუნისტური სამყარო მძაფრად განიცდიდა ისტორიული მითოლოგიის და ნაციონალიზმის ინსტრუმენტალიზაციის საჭიროებას. სტალინის პოლონელმა ამხანაგებმა დმოვსკისაგან ისესხეს პოლონეთის ხატი, რომელიც პიასტების შუასაუკუნეობრივი სამეფოს ქრონიკებს ეყრდნობოდა. ასეთი პოლონეთი ეთნიკურად უფრო ჰომოგენურად გამოიყურებოდა და თანაც გერმანელ ფეოდალებთან დაპირისპირების ასოციაციას იწვევდა. იდენტობის ამგვარი ჩარჩოს ფო-

64 ბჟეხჩინი, კშიშტოფ. ინტერვიუ ჩაატარა დავით დარჩიაშვილმა. პოზნანი, პოლონეთი. ნოემბერი 4-5, 2022.

რმულირებაში კომუნისტებს კათოლიკური ინტელიგენციის ნაწილი დაეხმარა. და მაინც, ერთგული კათოლიკეებისათვის რუსულ/საბჭოური სამყაროსადმი ლოიალობა და კრესის დავიწყება ძალზედ ძნელი იყო (Nowak 2008, 188-189). მთლიანობაში, ისევე როგორც რუსეთის იმპერიის არსებობისას, ეკლესია ანტირუსული ეროვნული წინააღმდეგობის საყრდენად რჩებოდა. კომუნისტური მთავრობის წინააღმდეგობის მიუხედავად, 1981 წლისათვის რომის პაპი იოანე პავლე მეორე (იგივე კაროლ ვოიტილა), პოლონეთის პრიმატი სტეფან ვიშინსკი და ახლად დაარსებული ანტიკომუნისტური პროფკავშირის ლიდერები ერის უკონკურენტო მორალურ ძალად გადაიქცნენ. 10 წელიწადზე ნაკლები დასჭირდა პროფკავშირს „სოლიდარობა“, რომ ქვეყანაში მესამე ჟეჩპოსპოლიტას საფუძველი ჩაყრილიყო. პოლონეთი რეგიონში კომუნისტური მმართველობის დასრულების პირველი შემთხვევა აღმოჩნდა (Bernhard and Kubik 2014, 60). ამ ცვლილებების შემყურე მომაკვდავ სტეფან ვიშინსკის უთქვამს, აღმოსავლეთი პოლონური ეკლესიისათვის იღება და ჩვენ ის მთლიანად უნდა დავიპყროთო (Nowak 2008, 190). ნოვაკისათვის ეს სიტყვები სულიერ მისიაზე მიანიშნებდა, მაგრამ რომის პოლონელი პაპისა და „სოლიდარობის“ ლიდერი ლეხ ვალენსას ხედვები „სარმატული“ რესპუბლიკისა და რომანტიკული წინააღმდეგობრიობის ხსოვნაზე იყო დაფუძნებული (Nowak 2008, 190-191).

შესაძლებელია ვივარაუდოთ, რომ პოლონელი კომუნისტები საბოლოოდ დმოვსკისაგან განსხვავებულმა ნაციონალისტურმა დინებებმაც მიიზიდა? ვფიქრობთ, ზოგიერთმა მათგანმა ნელ-ნელა გააცნობიერა, რომ გერმანიაც და მთელი დასავლეთიც პოლონეთთან უფრო ახლოს იყო კულტურულად თუ ეროვნული ინტერესების თვალსაზრისით, ვიდრე საბჭოთა კავშირი ან რუსეთი. ცნობიერების ასეთი ცვლა ერთბაშად არ მომხდარა – 1981 წელს, ეკლესიისა და „სოლიდარობის“ მზარდ გავლენასა თუ რადიკალიზაციას კომუნისტებმა საგანგებო

მდგომარეობის გამოცხადებით და გენერალ ვოიცეხ იარუზელსკის დიქტატურის დამყარებით უპასუხეს. გენერალი საბჭოელების მიერ რეპრესიული არისტოკრატული ოჯახიდან იყო, თუმცა მან წითელი არმიის ოფიცერთა სკოლა დაამთავრა და ახალგაზრდობაში Armia Krajowa-სთან ბრძოლაც მოასწრო. საბჭოთა კავშირის დანგრევის შემდეგ იარუზელსკი აცხადებდა, რომ საგანგებო რეჟიმის გამოცხადება პატრიოტულ ნაბიჯს წარმოადგენდა, რადგან რუსებს საკუთარი ძალებით იმავეს გაკეთების საბაბს ართმევდა. ალბათ ვერავინ იტყვის დანამდვილებით, თუ რა ხდებოდა ამ პერსონაჟის გონებაში. ფაქტი კი ისაა, რომ თუ პერსონალურად იარუზელსკი არა, სხვა კომუნისტი ლიდერები დროდადრო მართლაც ცდილობდნენ შეეზღუდათ მოსკოვის გავლენა პოლონეთზე. მაგალითისათვის, ედვარდ გიერეკის ბიოგრაფის თანახმად, პოლონეთის მუშათა გაერთიანებული პარტიის ეს პირველი მდივანი გერმანიასთან, საფრანგეთთან და აშშ-სთან ურთიერთობების დათბობაზე ზრუნავდა. 1972 წელს მან ამერიკის პრეზიდენტი რიჩარდ ნიქსონი ისე დაპატიჟა ვარშავაში, რომ საამისოდ მოსკოვისაგან ნებართვა არ უთხოვია (Rolicki 2002, 227). მისი წინამორბედები, ედვარდ ოხაბი და ვლადისლავ გომულკა სსრკ-ს დაბალანსებას ჩინეთთან ფლირტითაც ცდილობდნენ. გომულკამ, რომელიც ორთოდოქს კომუნისტად, მაგრამ ანტისტალინელ ნაციონალისტად ითვლებოდა, მანამდე დადო სასაზღვრო ხელშეკრულება დასავლეთ გერმანიასთან, ვიდრე ამაზე ბონი და მოსკოვი შეთანხმდებოდა (Rolicki 96-97, 154-155).[65]

მაგრამ პატრიოტული დატვირთვის მქონე მსგავსი ნაბიჯები იშვიათად იდგმებოდა. რაც მთავარია, კომუ-

65 კშიშტოფ ბჟეხჩინი ასეთ შეფასებებს ბოლომდე არ ეთანხმება და ოხაბს სუსტ ლიდერად თვლის. გომულკას სიახლოვეს ჩინეთთან კი აღიარებს და იმასაც უსვამს ხაზს, რომ გიერეკის დროს მეორე ჟეჩპოსპოლიტას დამოუკიდებლობის დღის აღნიშვნა აღარ იკრძალებოდა. ბჟეხჩინი, კშიშტოფ. ინტერვიუ ჩაატარა დავით დარჩიაშვილმა. პოზნანი, პოლონეთი. ნოემბერი 4-5, 2022.

ნისტური რეჟიმის პირობებში მათ არ ამყარებდა ეროვნული ავტონომიის რაიმე არსებითი ფორმა. როგორც წესი, მასშტაბური ეკონომიკური თუ კულტურული პროექტის განხორციელებაც კი მოსკოველ ემისრებთან და კურატორებთან ურთიერთობებით წყდებოდა. მაგალითისათვის, ეროვნულ თეატრში დრამის „Dziadzy" საბოლოოდ აკრძალვის მიზეზად პოლონეთში საბჭოთა ელჩის მოთხოვნა ჩაითვალა (Kamiński, NIR). გიერეკის დროს კატოვიცეში მეტალურგიული კომბინატის აშენება და ფუნქციონირება იმაზე იყო დამოკიდებული, თუ რამდენად წარმატებულად მოახერხებდა მლიქვნელობას პოლონეთის მმართველი პარტიის პირველი მდივანი საბჭოთა კავშირის კომუნისტთა გენერალურ მდივანთან (Rolicki 2002, 230-231).

ედვარდ გიერეკის ბიოგრაფი იანუშ როლიცკი, რომელიც PRL-ში გავლენიანი ჟურნალისტი იყო, პოლონეთის საბჭოთა კავშირზე დამოკიდებულების ფორმალური და არაფორმალური მექანიზმების საინტერესო აღწერას იძლევა. მოწმობები იმის შესახებ, რომ ზოგჯერ ვარშავა მოსკოვს ეურჩებოდა, არ ცვლის 1945 წლის შემდეგ შექმნილ რეალობას: კომუნისტური პოლონეთი არ ფლობდა საგარეო და საშინაო პოლიტიკური სუვერენიტეტის არსებით ნიშნებს. მისი პოლიტიკური ელიტის ბედი, მნიშვნელოვანწილად, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს ნებაზე იყო დამოკიდებული. როლიცკი წერს, რომ მოსკოვიდან ისევე ხდებოდა პოლონელი პოლიტიკოსების „კურთხევა", როგორც იმპერიის ეპოქის რომიდან მოსაზღვრე „მეგობარ" მეფეებს აკურთხებდნენ ხოლმე. ეს პროცესი არასოდეს ყოფილა ცალსახა და მარტივი, რადგან პოლონელ და საბჭოთა მმართველებს შორის პარალელური პარტიულ-ადმინისტრაციული კავშირები არსებობდა. ამას ემატებოდა საბჭოთა საელჩო და სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის რეზიდენტურა ვარშავაში, რომლებიც ინფორმაციის ავტონომიური წყაროს და კონტროლის მექანი-

ზმების როლს ასრულებდა. ასეთი პოლონურ-საბჭოთა განტოტვილი ქსელის არსებობა ხელს უწყობდა ინტრიგებს, ხელქვეითთა საჩივრებს თავის ხელმძღვანელებზე – საბოლოო ჯამში – მოსკოვის მიერ ვარშავული მთავრობით მანიპულირებას (Rolicki 2002, 246-254). ზოგჯერ, კლანური ურთიერთობების მშენებლობის მეშვეობით, ვარშავასაც შეეძლო გარკვეული სარგებლის მიღება. მსგავსი სისტემა სუვერენისა და ვასალის ფეოდალურ-იმპერიულ ურთიერთობებს წააგავდა. მაგრამ საკითხავია, ვიელოპოლსკი უფრო თავისუფალი იყო ალექსანდრე მეორის ქვეშევრდომობისას თუ გიერეკი ბრეჟნევის დროს? ფაქტი, რომ ვერც ერთმა პოლონელმა კომუნისტმა ფუნქციონერმა ვერ გაბედა სტალინის დროს კატინის ტყესა და რიგ სხვა ადგილებში დახვრეტილ პოლონელ ოფიცერთა საკითხის ღიად დასმა, ამ კითხვაზე გარკვეულ პასუხს გვთავაზობს.

მესამე ჟეჩპოსპოლიტას ელიტა, დისკურსი და გეოკულტურა

1989 წლის 6 აპრილის შეთანხმებამ კომუნისტთა და დისიდენტთა კონფრონტაცია დაასრულა. პოლონელმა კომუნისტებმა ძალაუფლება დაკარგეს, მაგრამ პროცესის დეტალები პოლონეთის პოლიტიკური კლასისათვის ახლაც დავის საგანს წარმოადგენს. ამ დავას ქვემოთ დავუბრუნდებით, წიგნის მიზნიდან გამომდინარე კი, ძირითადი განსახილველი თემა იგივე რჩება: ამ ახალი ტრანსფორმაციის გავლენა ეროვნულ იდენტობაზე, მის პატრიოტულ მიმდინარეობებზე და რუსეთის საკითხის ადგილზე მათში. ამისათვის ორი ცვლადია განმსაზღვრელი – თანამედროვე პოლონური პოლიტიკური სპექტრის შინაგანი დაყოფები და ჩარტორისკი-ლელეველი-პილსუდსკის მემკვიდრეობის შემდგომი რეგენერაცია. ამ მემკვიდრეობას ჩვენ რესპუბლიკანიზმისა და თანამეგობრობა/იმპერიის იაგელონური ტრადიციის ნაზავად განვიხილავთ. არსებითად, იგივეა ანჟეი ნოვაკის შეხედულებაც პოლონეთის ტრადიციული დისკურსული მემკვიდრეობის შესახებ (Nowak 2008). ოღონდ, მისგან განსხვავებით, ამ მემკვიდრეობის თანამედროვე აღქმებსა თუ ინტერპრეტაციებში ჩვენ ევროპის კავშირის მიმართ ლოიალობასაც ლოგიკურ და ჰარმონიულ ადგილს ვუძებნით: ანუ, პოლონეთის მონაწილეობა ევროინტეგრაციაში ჩვენთვის ამ მემკვიდრეობის საპირისპირო ტენდენცია კი არ არის – მისი ლოგიკური გაგრძელებაა. საერთოდ, სწორება ევროპულ ცივილიზაციაზე პოლონურ პატრიოტულ დინებებს ყოველთვის ახასიათებდა. ამის მტკიცებულებაა როგორც პოლონური განმანათლებლობა, ისე პოზიტივიზმი. მართალია, დმოვსკის მსგავსი ანტიგერმანული სენტიმენტები თანამედროვე პოლონურ დისკურსშიც

იძებნება, მაგრამ ვთვლით, რომ ისინი სრულიად მოკლებულია ძველ ეთნიკურ სტერეოტიპებს და მარგინალიზებულია ჩარტორისკი-პილსუდსკის ხაზით.

ზემოთ გაკვრით შევეხეთ თანამედროვე პოლონური პოლიტიკური და ინტელექტუალური კლასის დაყოფას – PiS-ს და PO-ს მხარდამჭერთა ურთიერთბრალდებებს პრორუსულობაში. ვფიქრობთ, რომ ასეთი დაყოფა არა იმდენად საგარეო ორიენტაციათა ფუნდამენტური სხვაობით, რამდენადაც შინაური პოლიტიკითაა წახალისებული. კშიშტოფ ბჟეხჩინი, რომელიც, გარდა აკადემიური საქმიანობისა, სოციო-პოლიტიკურ პოლემიკაშიც საგრძნობლად იყო ჩართული, ასევე აკრიტიკებდა რიგ პოსტკომუნისტურ პოლონურ მთავრობებს რუსეთის ფედერაციის იმპერიულ ამბიციებთან არასაკმარისად დაპირისპირების გამო. ბჟეხჩინი პოლონელ პოლიტიკოსთა რუსეთის სპეცსამსახურის წარმომადგენლებთან მაკომპრომეტირებელი კონტაქტების შესახებაც წერდა (Brzechczyn 1998, 10, 125). მისი ერთ-ერთი არგუმენტია, რომ PO-ს მთავრობის სიახლოვე ანგელა მერკელის გერმანიასთან შეიძლებოდა Platforma Obywatelska-ს ლიდერების ირიბ პრორუსულობად შეფასებულიყო.[66] მაგრამ თავის აკადემიურ საქმიანობაში კშიშტოფ ბჟეხჩინი ყურადღებას უფრო შიდაპოლონურ სოციალურ ნაპრალებზე ამახვილებს. მისი სტატიის კითხვისას ჩნდება შთაბეჭდილება, რომ პოლონური პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ელიტების ორ მთავარ ფრაქციად დაყოფა ის დამოუკიდებელი ცვლადია, რომელიც სიტყვიერ ბრძოლებსა და კონფრონტაციულ საარჩევნო კამპანიებს ამძაფრებს. ჩვენი ვარაუდით, პოლონური პოლიტიკური კლასის ამ ორი ფრთიდან არც ერთია არსები-

66 ბჟეხჩინის თვალთახედვით, რამდენადაც ანგელა მერკელის კანცლერობისას გერმანია რუსეთთან ინტენსიური კოოპერაციის გზაზე იდგა, PO-ს პოლონური მმართველობაც ამ გერმანულ-რუსული გულითადობის ფარგლებში მოქმედებდა. ბჟეხჩინი, კშიშტოფ. ინტერვიუ ჩაატარა დავით დარჩიაშვილმა. პოზნანი, პოლონეთი. ნოემბერი 4-5, 2022.

თად თუ შეგნებულად პრორუსი. მაგრამ მათი განსხვავებული შეხედულებები პოლონელთა სოციო-პოლიტიკურ და კულტურულ იდენტობაზე, რაც მოდერნული ერის მშენებლობისა და პატრიოტიზმის გააზრების არსებითი საკითხია, ამ ფრაქციებს ყველაზე მგრძნობიარე თემაზე ურთიერთბრალდებებისაკენ უბიძგებს: ესაა რუსეთთან ურთიერთობის თემა.

ბჟეხჩინის მიერ თეორიულ ბაზისად აღებული ე.წ. არამარქსისტული ისტორიული მატერიალიზმის თანახმად, საზოგადოებრივი სისტემები ავტონომიურ პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ სეგმენტებად იყოფა (Brzechczyn 2016, 2023). მისი ლოგიკით, პოსტკომუნისტურ პოლონეთში ამ ქვესისტემათა დომინანტურმა კლასებმა ოლიგარქია შექმნეს. ეს პროცესი ძალადაკარგული კომუნისტების ეკონომიკური კომპენსაციით დაიწყო. მას შემდეგ, რაც პოლონეთის სახალხო რესპუბლიკა გაუქმდა, მის ყოფილ მმართველებს სახელმწიფო საწარმოების პრივატიზების საშუალება მიეცა (Brzechczyn 2016, 2024). ბჟეხჩინი PO-ს 2007-2015 წლების მთავრობას ოლიგარქიის შემდგომ გაძლიერებაში ადანაშაულებს და აღნიშნავს, რომ მაშინდელმა კულტურულმა ელიტამ საერთაშორისო კორპორაციებში ინტეგრირებით ტრანსნაციონალური განზომილებაც შეიძინა. თვლის რა PiS-ს პოსტკომუნისტური ოლიგარქიის მოწინააღმდეგე ძალად, ბჟეხჩინი, იმავდროულად, მათი წარმომადგენლების არაკორექტულ ქმედებებზეც საუბრობს (Brzechczyn 2016, 2030-2031).

კლასობრივი თუ იდეოლოგიური დაყოფები ნებისმიერი დემოკრატიისთვისაა დამახასიათებელი. ისტორიული მოვლენების საზეიმო აღნიშვნა, რაც კოლექტიური იდენტობის აკვანია, ასევე სარისკო (თუმცა ხშირად გარდაუვალი) გარემოებაა ეროვნული შერიგების პროცესში. დღესასწაულებმა შესაძლოა, უფრო გამოკვეთონ ის ბზარები, რომლებიც ეროვნული იდენტობა/ინტერესთა დაუსრულებელ ფორმირებას ახლავს თან. მაიკლ

ბერნარდმა და იან კუბიკმა პოლონური შიდაპოლიტიკური ურთიერთობების ახსნა მეხსიერების პოლიტიკის თეორიული დაშვებების გამოყენებით სცადეს (Bernhard and Kubik 2014, 7). ჰქონდათ რა კშიშტოფ ბჟეხჩინისაგან განსხვავებული მეთოდოლოგიური და, ალბათ, პოლიტიკური ხედვა, ამ ავტორებმა საკვლევ მაგალითად 1989 წლის მრგვალი მაგიდის შეთანხმების 20 წლისთავის აღნიშვნა აირჩიეს. როგორც ვთქვით, ამ შეთანხმებას კომუნისტური მმართველობის დასრულება მოჰყვა, პირველი ნახევრად თავისუფალი არჩევნების შედეგად. 20 წლის შემდეგ ეს ისტორიული მოვლენა მაშინდელმა პრეზიდენტმა ლეხ კაჩინსკიმ (PiS) და მაშინდელმა პრემიერ-მინისტრმა დონალდ ტუსკმა (PO) ცალ-ცალკე და განსხვავებულად აღნიშნეს. მკვლევრებმა აღნუსხეს ცნობილ პოლიტიკოსთა და კომენტატორთა „ხუთნახევარი განსხვავებული ინტერპრეტაცია“, რომლებიც 1989 მოვლენებს ორი ათეული წლის შემდეგ მიეძღვნა. მთლიანობაში, ეს განსხვავებები იმაში მდგომარეობდა, რომ მემარჯვენე პარტიები არ იღებდნენ ან კრიტიკულად მაინც აფასებდნენ კომუნისტებთან დადებულ გარიგებას, ცენტრისტული პარტიები ეგუებოდნენ მას, ხოლო ყოფილი კომუნისტები მიიჩნევდნენ, რომ 1989 წლის შეთანხმება რეგიონული მასშტაბის დემოკრატიული გარღვევა იყო (Bernhard and Kubik 2014, 60-84). ამრიგად, დავეთანხმებით თუ უარვყოფთ ბჟეხჩინის თეორიულ პერსპექტივას, ერთი რამ ცხადია: ა) უთანხმოებანი კომუნისტური მმართველობისაგან გათავისუფლების ფორმებზე; ბ) ეჭვი, რომ თავისუფლება ყალბი იყო; გ) მეოთხე ჟეჩპოსპოლიტას დაფუძნების მოთხოვნები პოლონური იდენტობის შინაგან წინააღმდეგობრიობებზე მიუთითებს.

თუმცა, უმრავლეს შემთხვევაში, ასეთი უთანხმოებანი ნაკლებად თუ შეედრება მე-18 საუკუნის მიწურულის კონფლიქტებს, რომლებმაც ისტორიის ჩარხი „ტარგოვიცას“ ღალატამდე და დამოუკიდებლობის დაკარგვამდე აბრუნა. ისინი არც დმოვსკისა და პილსუდსკის უთანხმო-

ებათა დონისაა. როგორც PO, ისე PiS და კომუნისტური წარსულის მქონე პრეზიდენტი ალექსანდრ კვასნევსკიც (1995-2000) პოლონეთის ევროატლანტიკურ ინტეგრაციას უჭერდნენ მხარს. გასაკვირი არაა, რომ დასაწყისისათვის საბჭოთა კავშირთან და მის მემკვიდრე რუსეთის ფედერაციასთან სტრატეგიული პარტნიორობის გაწყვეტას პოსტკომუნისტური პოლონური ელიტა ფრთხილად უდგებოდა: 1989 წლის აპრილის შეთანხმების თავისებურებანი, ანუ პრინციპი, რომ ხელისუფლების ცვლა არა სრულიად თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებით, არამედ ძალაუფლების განაწილებით მომხდარიყო, მოსკოვის რეაქციის შიშითაა ახსნილი (Bernhard and Kubik 2014, 64). უფრო მოგვიანებითაც, როდესაც პოლონური დემოკრატიული მოძრაობის მაშინდელი უპირობო ლიდერი, ლეხ ვალენსა პრეზიდენტი გახდა, მისი მიდგომა 1944 წლიდან პოლონეთში მდგომი რუსული ჯარის გაყვანის საკითხისადმი იმდენად მოზომილი აღმოჩნდა, რომ მომხრეთა რიგებში კრიტიკა დაიმსახურა.[67] თუმცა ნატოში შესვლისა და ევროპული ინტეგრაციის მხარდაჭერა პოლიტიკურ კლასშიც და ფართო საზოგადოებაშიც განუხრელად იზრდებოდა. 1991 წელს იგივე ვალენსამ, რომელიც ნატოს შტაბ-ბინას ვარშავის ბლოკის დაშლის კონტექსტში სტუმრობდა, განაცხადა, რომ პოლონეთს ნატოს მიერ დაცული თავისუფალი ევროპა სურდა (Poland in NATO). ირონია, უფრო სწორად კი პოლონური ნაციონალიზმის ლოგიკა ისაა, რომ ეს სურვილი ყოფილი კომუნისტის, ალექსანდრ კვაშნევსკის პრეზიდენტობისას ახდა.

ვფიქრობთ, რომ, მიუხედავად პოსტკომუნისტური პოლონეთის მთავრობათა ბუნებისა და მათი ურთიერთდამოკიდებულებისა, სახელმწიფოს სტრატეგიული არჩევანის საფუძველს მე-18-19 საუკუნეებისა და ჟეჩპოსპოლიტა 2-ის მემკვიდრეობა და მოგონებები ქმნიდა. უპირველეს

67 ბჟეხჩინი, კშიშტოფ. ინტერვიუ ჩაატარა დავით დარჩიაშვილმა. პოზნანი, პოლონეთი. 27ოქტომბერი, 2022 წელი.

ყოვლისა, ეს ევროატლანტიკური უსაფრთხოების სისტემისაკენ სწრაფვაში ჩანს. დემოკრატიისა და დემოკრატიული უსაფრთხოებისაკენ სწრაფვა შეიძლება კაცობრიობის უნივერსალურ მისწრაფებად ჩაითვალოს, მაგრამ ტრადიციებსა და კულტურას მნიშვნელობა არ ეკარგება. შესაბამისად, ამ მისწრაფების ნაყოფიერებაში მისი ძირძველობა და ინტენსიურობა თამაშობს როლს. თუმცა პოსტკომუნისტური პოლონეთის აღმოსავლური ხედვა უფრო სპეციფიკურად ტრადიციულია, ვიდრე ნებისმიერი სხვა ევროპული ქვეყნისა. ჩარტორისკის ანტიიმპერიულმა პროგრამამ, რომელიც კავშირშია ლელეველის მოწოდებასთან „ჩვენი და თქვენი თავისუფლებისათვის“, და პილსუდსკის წინააღმდეგობრივმა ფედერალიზმმა ახალი სიცოცხლე და მოდერნიზაცია ე.წ. გიედროიც-მიეროშევსკის დოქტრინაში პოვა. როგორც წარსულში, ისე ამჯერადაც, ეს ახალი იდეური „ვირუსი“ ემიგრაციიდან მოვიდა და მცირე ხანში პოლონელი კომუნისტებიც მისით „დასნეულდნენ“.

დოქტრინად მონათლული აღნიშნული პოლიტიკური ხედვა პარიზში გამომავალი პოლონური ჟურნალის „კულტურა“ რედაქტორ-გამომცემელმა იერჟი გიედროიცმა და ამავე ჟურნალის ინგლისური სექციის რედაქტორმა იულიუშ მიეროშევსკიმ შეიმუშავეს. ეს ინტელექტუალური პროცესი მე-20 საუკუნის 50-იან-80-იან წლებში მიმდინარეობდა. დოქტრინის ავტორები ორი პრინციპის აგიტაციას ეწეოდნენ: 1. პოლონური საზოგადოება საბოლოოდ უნდა შერიგებოდა მეორე მსოფლიო ომის შემდგომი ლიტვის, ბელარუსის და უკრაინის საბჭოთა რესპუბლიკების საზღვრებს; 2. პოლონელთა ეროვნული ამოცანა უნდა ყოფილიყო ამ რესპუბლიკათა დამოუკიდებლობისა და ევროპეიზაციის წახალისება და მხარდაჭერა.

ანუ, ერთი მხრივ, გიედროიცი და მიეროშევსკი იაგელონური მემკვიდრეობის ტერიტორიული ასპექტის დავიწყებას ქადაგებდნენ, რადგან იგი აღმოსავლეთში ეჭვს იწვევდა. სხვათა შორის, ამის გამო ავტორები პო-

ლონური ემიგრაციისაგან აგრესიულ პასუხებს იღებდნენ (Brzeziecki n.d.). მაგრამ, ამასთანავე, დოქტრინა რუსული იმპერიალიზმის წინააღმდეგ აქტიური ბრძოლისაკენ მოუწოდებდა. გიედროიცი და მიეროშევსკი ამტკიცებდნენ, რომ „პოლონეთი უკრაინელებთან, ლიტველებთან და ბელორუსებთან (ULB) თანამშრომლობას უნდა ცდილობდეს, რადგან რუსული იმპერიალიზმისაგან ქვეყნის დაცვა მხოლოდ მათ დამოუკიდებლობას შეუძლია“ (Brzeziecki n.d.). ახალი პროგრამული ხედვის ეს თეზისი ისევ ძველი დროების ისტორიასა და გეოპოლიტიკაში იყო ფესვგადგმული.

ანჟეი ნოვაკი, ვისაც პოლონური პატრიოტიზმისა და იდენტობის ევოლუციის გასაგებად ასე ხშირად ვციტირებთ, გიედროიცი-მიეროშევსკის დოქტრინას ერთგვარი ამბივალენტობით განიხილავს. იგი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ დოქტრინის ავტორთათვის როგორც რუსული, ისე პოლონური „ნაციონალისტური იმპერიალიზმი ერთადერთ მტერს წარმოადგენდა“. ნოვაკი „კულტურას“ პოზიციას ფრენსის ფუკუიამას „ისტორიის დასასრულის“ დიქტუმთან აკავშირებს და აზროვნების ამ სტილში ისტორიულ ტერიტორიებთან რომანტისტული ბმის უარყოფას ხედავს. მისი აზრით, გიედროიც-მიეროშევსკის დისკურსი პოლონეთისათვის მხოლოდ მოკრძალებულ ადგილს იმეტებს დასავლეთ ევროპული „ბორცვზე მდებარე ქალაქის“[68] ჩრდილქვეშ (Nowak 2008, 193-194). ამდენად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ნოვაკი ვერ ხედავს კავშირს გიედროიც-მიეროშევსკისა და ჩარტორისკი-პილსუდსკის ინტელექტუალურ ნაკადებს შორის. იგი დასძენს, რომ 90-იან წლებში პოლონეთში „იმპერიული“ და „მისიონარული“ ტრადიციის აღორძინება ხდებოდა. მაგრამ ეს პროცესი უკავშირდებოდა არა ჟურნალს „კულტურა“, არამედ პოლონური წარმოშობის ამერიკელი ანალიტიკოსის, ზბიგნევ ბჟეზინსკის ნაშრომებს და პო-

68 ცნობილი მეტაფორა, რომელიც ადამიანური ცივილიზაციის სანიმუშო, მაგალითის მიმცემ ადგილს აღნიშნავს.

ლონური წარმოშობის რომის პაპის, იოანე პავლე მეორის ქადაგებებს. ნოვაკის აზრით, პოლონეთის ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრის ბრონისლავ გერემეკის მიერ 1999 წლის თებერვალში წარმოთქმული სიტყვები, რომ იგი საკუთარი ქვეყნის რეგიონულ ძალად გადაქცევას ისურვებდა, წარმოადგენდა ამ რენესანსის ნიმუშს, რომელიც გიედროიც-მიეროშევსკის ხაზს სცილდებოდა. ნოვაკი არ ასახელებს თუ სადაა პოლონური საგარეო პოლიტიკის საპირისპირო, ე.წ. მინიმალისტური პოზიციის ნიადაგი, მაგრამ მის გასაცნობად მკითხველს ბართლომეი სიენკიევიჩის სტატიის – „ქება მინიმალიზმს“ – წაკითხვას ურჩევს.

როდესაც ამ სტატიას (Sienkiewicz 2000) ვკითხულობთ, ვხედავთ, რომ სიენკიევიჩისათვის პოლონეთის აქტიური აღმოსავლური პოლიტიკის საზრისი სწორედაც რომ რუსეთის გავლენისაგან აღმოსავლეთ ევროპელ ერთა თავისუფლებაა და იგი ჟურნალ „კულტურას“ პოზიციას უკავშირდება. მეტიც, სიენკიევიჩი თვლის, რომ 1989 წლიდან მოყოლებული, პოლონეთის ყველა მთავრობა გიედროიც-მიეროშევსკის ხაზს მიჰყვებოდა. ამ ხაზის მატერიალიზაცია ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის დაშლამდე დაიწყო, როდესაც პოლონეთი საბჭოთა რესპუბლიკებთან პირდაპირი ურთიერთობების დამყარებას შეეცადა. თავად სტატიის ავტორის შეფასებები წინააღმდეგობრივია: იგი თანხმდება, რომ მოსკოვთან გარიგება უშუალო მეზობელთა ხარჯზე არ უნდა ხდებოდეს და არც „კულტურას“ პოზიციას აკრიტიკებს პირდაპირ. მაგრამ, იმავდროულად, სიენკიევიჩს მიაჩნია, რომ პოლონური ელიტა ამ ჟურნალის ხიბლში იყო და პილსუდსკის „ინტერმარიუმის“ არეალისადმი ილუზორულ დამოკიდებულებას ავითარებდა. იგი გვთავაზობს „ილუზიების“ ჩამონათვალს: ა) ისტორიოსოფიული – რომლის თანახმად, ისევ გრძელდება საუკუნოვანი ბრძოლა პოლონეთსა და რუსეთს შორის მოსახლეერების ცივილიზაციური კუთვნილებისათვის; ბ) სამოქალაქო საზოგადოების ცნებასთან დაკავშირებული – რაც გულისხმობდა იმედს, რომ საბჭოთა უკრაინული და ბე-

ლორუსული საზოგადოებების რეფორმირება სწრაფად შეიძლებოდა; გ) დემოკრატიული ინსტიტუტების ილუზია – გამომდინარე იქიდან, რომ დემოკრატიულ პრინციპებზე ორიენტირებული კონსტიტუციური მოდელების მიღების მიუხედავად, ეს ერები ოლიგარქიების მიერ იმართება; დ) „ინტერმარიუმის“ ილუზია – რომელიც სიენკიევიჩისათვის განწირულია, რადგან, ბალტიის ქვეყნების გამოკლებით, ეს ზონა პოლიტიკურად და ეკონომიკურად რუსეთზეა მიბმული.

სიენკიევიჩის დისკურსი გიედროიც-მიეროშევსკის იდეების მიმართ დაეჭვებას ასხივებს – იგი მათ დოქტრინას პოლონური პოლიტიკური აზრის განგრძობად მეოცნებეობასთან აკავშირებს. გარკვეულწილად, ეს ავტორი „კულტურას“ სულისკვეთებაში პილსუდსკის მემკვიდრეობას კითხულობს, რაც მისთვის მოძველებული და არაადეკვატურია. სიენკიევიჩს შემოაქვს ახალი ბუნდოვანება, რაც ამართლებს ნოვაკის შეფასებას, რომ აღნიშნული სტატია პოლონეთის საგარეო პოლიტიკის ანტირომანტიკული, მინიმალისტური არგუმენტების კრებულია. სიენკიევიჩი თვლიდა, რომ: ა) უახლოეს თვალსაწიერში ყოფილი კრესის მიწებიდან პოლონეთის პარტნიორობა მხოლოდ ლიტვას შეეძლებოდა; ბ) რუსეთის შემოთავაზება უკრაინის გვერდის ავლით პოლონეთამდე ახალი გაზსადენის მშენებლობის თაობაზე ვარშავას კიევზე გავლენის მოხდენის ბერკეტს აძლევდა. იგი ასკვნიდა, რომ პოლონეთს არ უნდა ეცადა ინტერმარიუმის ზონისა და რუსეთის დაცილება, რადგან საამისოდ საკმარისი ძალა არ გააჩნდა. არსებითად, სიენკიევიჩი უარყოფს მიეროშევსკის ფორმულას, რომლის თანახმად, მოსკოვში მყოფი პოლონეთის ელჩის მნიშვნელობა კიევში მყოფი პოლონეთის ელჩის მნიშვნელობის ფუნქციაა.

მაგრამ რატომ არ იცავდა ნოვაკი გიედროიც-მიეროშევსკის დოქტრინას მსგავსი კრიტიკისაგან? იქმნება საერთო შთაბეჭდილება, რომ მაქსიმალისტთა და მინიმალისტთა დავა განპირობებული არაა იმით, რომ პირ-

ველნი ზბიგნევ ბჟეზინსკის, პაპი იოანე პავლე მეორის თუ მათი რომანტისტი წინაპრების მიმდევრები იყვნენ და არიან, მეორენი კი გიედროიციისა და მიეროშევსკის დოქტრინას უჭერენ მხარს. მინიმალისტები შეიძლება ყოველგვარი რომანტიკული პატრიოტული მიმდინარეობების უარისმყოფლებად დავინახოთ და ძველ პროდასავლელ პოზიტივისტებს შევადაროთ, მაქსიმალისტებს შორის კი „კულტურას“ მიმდევრებსაც მივუჩინოთ ადგილი. ასევე ვფიქრობთ, რომ მაქსიმალისტების მრავალფეროვნებას იდეოლოგიური (მემარცხენე-ცენტრისტი-მემარჯვენე) კონფრონტაცია უფრო ქმნის, რაც შიდა პოლიტიკის და ერის სოციალური სტრუქტურის საკითხია,[69] ვიდრე განსხვავებული საგარეო პოლიტიკური ორიენტაცია.

საბოლოოდ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ თავის არსში, ჟურნალის „კულტურა“ ორი რედაქტორის მიერ ჩამოყალიბებულ პროგრამულ ხედვებს მესამე ჟეჩპოსპოლიტას ყველა მთავრობა უწევდა ანგარიშს. ცხადია, როგორც ნებისმიერი კომპლექსური ხედვა, ეს დოქტრინაც ინტერპრეტაციის სივრცეს იძლეოდა. მაგრამ ვფიქრობთ, რომ ანჟეი ბჟეზიეცკის შეჯამება, რომლის თანახმადაც, ამ კონცეპტზე „პრეზიდენტები კვასნიევსკი, კაჩინსკი და კომოროვსკი ერთმანეთის მიყოლებით აპელირებდნენ“, ნიშანდობლივია. გიედროიც-მიეროშევსკის სულისკვეთებას ეყრდნობოდა პროფკავშირული მოძრაობა „სოლიდარობის“ 1981 წლის ცნობილი მიმართვაც – „გზავნილი აღმოსავლეთ ევროპის მშრომელებს“ (Brzeziecki n.d.). პიოტრ პიეტჟაკის აზრით, დოქტრინა ზბიგნევ ბჟეზინსკის შეხედულებებზე შორსაც მიდიოდა, რადგან ღიად და გაბედულად აყენებდა პოლონეთის ნატოსა და ევროპის

69 როგორც პოლონელი სოციოლოგები ამბობენ, PO-ს ძირითადი ამომრჩეველი მაღალ საშუალო კლასს ეკუთვნის და ლიბერალური იდეოლოგიის მიმდევარია, PiS-ის მხარდამჭერები კი ნაწილობრივ საშუალო კლასს ეკუთვნიან და ნაკლებად დარდობენ კანონის უზენაესობის პრინციპზე. კულასი, პიოტრ. ინტერვიუ ჩაატარა დავით დარჩიაშვილმა. წელი, საერთაშორისო ეკონომიკური ფორუმი, კარპაჩი, პოლონეთი. სექტემბერი 7, 2022.

კავშირში შესვლის საკითხს. პიეტჟაკი ასევე ხაზს უსვამს, რომ პოლონურ-უკრაინული ალიანსის ადვოკატირების შემცველი „გიედროიც-მიეროშევსკის აზრთა მდინარება“ ადეკვატური პასუხია იმ გამოწვევაზე, რასაც უკრაინაში რუსული აგრესია ქმნის (Pietrzak 2023).

თუ ჩავთვლით, რომ უკრაინის მხარდაჭერა დოქტრინის არსია, მაშინ როგორც PiS-ის, ისე 2023 წლის არჩევნებით ხელახლა ხელისუფლებაში დაბრუნებული PO-ს ლიდერი დონალდ ტუსკის პროუკრაინელობა ზუსტად მისდევს მის ხაზს. გარდა ამისა, და აღმოსავლელ მეზობელთა ტერიტორიული მთლიანობის აღიარების პარალელურად, პოლონეთი კვლავ გვევლინება ძველი „ინტერმარიუმის“ კონცეფციის გაცოცხლების ინიციატორად, რომელიც ახლა „სამი ზღვის ინიციატივითაა“ ცნობილი. „სამი ზღვა“ PiS-ის პირმშოა, მაგრამ ტუსკის მთავრობა, სავარაუდოდ, ამ მხრივ არაფერს შეცვლის. ნათქვამის დადასტურება, ისევე როგორც ინტერმარიუმისა და სამი ზღვის კონცეპტების კავშირი, გამოჩნდა 2022 წლის 6-8 სექტემბერს გამართულ კარპაჩის (პოლონეთი) საერთაშორისო ეკონომიკურ ფორუმზე, რომელზედაც საკითხს სპეციალური საპანელო დისკუსია მიეძღვნა. პანელისტთა შორის იყო PO-ს წარმომადგენელი, პოლონეთის სეიმის დეპუტატი გჟეგოშ სხეტინა. თავის გამოსვლაში სხეტინამ განაცხადა, რომ „სამი ზღვის ინიციატივა“ ძველ იაგელონურ მემკვიდრეობას ახალი შინაარსით ავსებდა და მასში მოლდოვასა და საქართველოს მონაწილეობაც იგულისხმებოდა.[70]

პოლონური პატრიოტიზმის განსხვავებული ნაკადებისა და პოლონელთა ეროვნული იდენტობის მშენებლობის მიმოხილვა ერთი დასკვნის გამოტანის შესაძლებლობას იძლევა: ამ პროცესში სახეზეა როგორც გან-

70 პანელი Nowe-Stare Sojusze. Trójmorze – Czy w Obecnej Situacji Taki Projekt ma Szansę Powodzenia? საერთაშორისო ეკონომიკური ფორუმი, დავით დარჩიაშვილი, 6-8 სექტემბერი, 2022 წელი, კარპაჩი პოლონეთი.

გრძობადობა, ისე ადაპტაცია ცვალებად ისტორიულ და გეოპოლიტიკურ გარემოებებთან. გიედროიც-მიეროშევსკის ინტელექტუალური მემკვიდრეობა ხიდიცაა საუკუნეებს შორის და თანამედროვე პოლონური პოლიტიკური კლასის განსხვავებულ ატიტუდთა სინქრონიზაციის საშუალებაც. ჯგუფ „კულტურას“ დოქტრინის ელასტიკურობა სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაციების საშუალებას იძლევა. მაგრამ მისი გამაერთიანებელი სულისკვეთება ალბათ ყველაზე მნიშვნელოვანი მახასიათებელია. პოლონეთის რეგიონული ფუნქციის, მენტალური რუკისა და სპეციფიკური გეოკულტურის წარმოჩენით დოქტრინა ტრადიციული ნაციონალიზმისა და პოსტმოდერნული ევროპეიზაციის თავსებადობის ნიადაგს ქმნის.

რუსეთის იმიჯი პოლონელებში: კოლონიურ/ პოსტკოლონიური ჰიბრიდულობის ელემენტები

გიედროიც-მიეროშევსკის დოქტრინამ ყოფილი იაგელონის იმპერიის აღმოსავლეთ მიწებთან პოლონელთა მენტალური ბმის ბუნება და მოდალობები შეცვალა. პოლონელ პატრიოტს ალბათ არაფერი დაავიწყებს კრესის – საგულისხმოა, რომ თავად იერჟი გიედროიცი მინსკში იყო დაბადებული. მაგრამ პოლონელთა უმეტესობა ახლა აღიარებს, რომ უკრაინელთა, ბელარუსთა და ლიტველთა არა მხოლოდ დამოუკიდებლობაა შეუქცევადი, არამედ ქალაქები მინსკი, ლვუვი თუ ვილნა შეიძლება ჟეჩპოსპოლიტას გარეთ მდებარეობდეს. ამგვარი შესაძლებლობის საწყისები იკითხება რომანტიზმის ეპოქიდან ნაანდერძევ მოწოდებაში – „ჩვენი და თქვენი თავისუფლებისათვის“. გიედროიცმა და მიეროშევსკიმ იგი ყოფილ აღმოსავლელ თანამემამულეთა ნაციონალიზმთან თავსებადი გახადა და საზღვრებგარეშე პოსტმოდერნული ევროპის იდეასაც მიუსადაგა. როდესაც რუსეთის ლიდერები კვლავ ადანაშაულებენ პოლონელებს აღმოსავლური მიწების დაპყრობის სურვილში,[71] ეს მხოლოდ იმაზე მიუთითებს, რომ მოსკოვს ისევ ძველი და არაადეკვატური იმპერიული კონკურენციის მენტალობა მართავს. მაგრამ ამ მენტალობის იგნორირება შეუძლებელია და საუკუნოვანი რუსული საფრთხე ისევ ცოცხალია. შესაბამისად, უკრაინისათვის გაწეულ პოლონურ დახმარებას განაპირობებს არა მხოლოდ ჰუმანიტარული თუ სამართლებრივი არგუ-

71 უკრაინაში აგრესიის პირობებში ვლადიმერ პუტინი ჯიუტად იმეორებს რუსულ თეზისს, რომლის მიხედვითაც Intermarium-ის იდეა პოლონური იმპერიის აღდგენისა და უკრაინის ჩაყლაპვის გეგმაა. „ინფორმაცია ამის შესახებ საარქივო დოკუმენტებშია“, – სრულიად ანაქრონისტულად აცხადებს იგი (Barszak 2022).

მენტაცია, არამედ ისიც, რომ პოლონეთს ისევ უბიძგებენ რუსეთის პერიმეტრზე „სანიტარული კორდონის“ მშენებლობისაკენ. ამის მიზეზი თავად რუსეთის სამხედრო და პოლიტიკური ხელმძღვანელობის ქცევაა.

რუსეთის შესახებ პოლონური მენტალური იმიჯისა და ატიტუდების ფორმირებაში ისტორია, როგორც ყოველთვის, ისევ თამაშობს როლს. შეიძლება ითქვას, რომ ეს იმიჯი პოლიტიკურად თითქმის მუდამ მტრული იყო და ნეგატიური ცივილიზაციური მნიშვნელობებიც ჰქონდა. მაგრამ ეს იმიჯი რუსული კულტურისადმი ინტერესთან და რუსეთში მოკავშირეების განუხრელ ძიებასთან იყო და არის დაწყვილებული. ანჟეი ბჟეზიეცკი წერს, რომ იერჟი გიედროიცი არასოდეს ყოფილა ანტირუსი და რომ იგი მუდამ ცდილობდა ლიბერალურად მოაზროვნე რუსებთან თანამშრომლობას. თავის ავტობიოგრაფიაში გიედროიცი წერდა: „რუსული ლიტერატურა ყოველთვის მხიბლავდა. მე თითქმის იმდენსავე ვკითხულობდი რუსულად, რამდენსაც პოლონურად – ანუ ბევრს“. გიედროიცს სწამდა, რომ ერთ დღესაც რუსები იმპერიულ იდეას უარყოფდნენ (Brzeziecki n.d.).

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ რუსეთ-პოლონეთის თანამშრომლობის არაერთ მცდელობას ჰქონდა ადგილი. ეს მცდელობები სხვა საბჭოთა რესპუბლიკებთან პარტნიორობის ალტერნატივას არ წარმოადგენდა – მათი მიზანი ძველი მტრობის დავიწყება და საერთო ეკონომიკურ ინტერესზე კონცენტრირება იყო. მას შემდეგ, რაც უსაფრთხოებისა და სამხედრო სფეროში თანამშრომლობის ძველმა კომუნისტურმა ქსელმა (ვარშავის ბლოკმა) არსებობა შეწყვიტა, პოლონეთმა ორდონიანი აღმოსავლური პოლიტიკის ფორმირება სცადა. იგი ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების დახმარებას გულისხმობდა, ოღონდ არა მოსკოვთან ურთიერთობების ხარჯზე (Jakimowicz 2000, 5). რუსულ-პოლონური ვაჭრობის დონე მსოფლიო ფინანსური კრიზისის დადგომამდე იზრდებოდა, თუმცა გადაუწყვეტელი რჩებოდა ისეთი

პრინციპული საკითხები, როგორიც რესტიტუციაა პოლონელთა წინააღმდეგ სტალინური რეპრესიების გამო. ვერ ხერხდებოდა ისტორიის სახელმძღვანელოთა სინქრონიზაცია და რიგი ფინანსური და ეკონომიკური პრობლემების გადაწყვეტა. პოლონეთის ნატოში მიღებამ კი რუსეთში ემოციების ამოფრქვევა გამოიწვია (Jakimowicz 2000, 7-21).

2000-იანების დასაწყისში ურთიერთობა ისევ დათბა. თავდაპირველად, რუსეთის ახალი პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი ნატოს გაფართოებას შემრიგებლურად მიუდგა და 2002 წელს ვარშავაში ჩავიდა. ალექსანდრა ნევიარა, რომელიც რუსებისა და პოლონელების საუკუნოვან ურთიერთაღქმებს სწავლობდა, 2006 წელს წერდა, რომ თანამედროვე პოლონელთა შესაბამისი ატიტუდები მრავალფეროვანი გამხდარიყო. ძველი და გამძლე ეჭვების პარალელურად, რომელთა თანახმად რუსეთი „აზიატურ“ და „მტრულ“ ძალას წარმოადგენდა, აქცენტი რუსული კულტურის სპეციფიკურობასა და სიმდიდრეზეც კეთდებოდა. რუსებში ხედავდნენ ვაჭრებსა და „სლავ ძმებს“ (Niewiara 2006, 163). მაგრამ 2003-2004 წლებში პოლიტიკურ დონეზე ურთიერთობების ხელახალი გაუარესება დაიწყო. დაძაბულობა მატულობდა მზარდად ავტორიტარულ რუსულ რეჟიმსა და ევროპის კავშირს შორის, რასაც რუსულ-პოლონურ ურთიერთობებზეც ჰქონდა გავლენა. თუმცა ძველი ჭრილობები ამის გარეშეც იხსნებოდა, რასაც უკრაინაში მიმდინარე რევოლუციური პროცესები აძლევდა ბიძგს. უპირველეს ყოვლისა, პუტინს არ სურდა დემოკრატიისა და სუვერენიტეტის აღმოსავლეთისაკენ განვრცობა. მას განსაკუთრებით ადარდებდა კიევი, რომელსაც რუსეთში მითოსური პერსპექტივიდან უყურებდნენ და „რუსული ქალაქების დედად“ თვლიდნენ. მაგრამ პოლონეთი უკრაინის მხარეს იყო. ამასთან ერთად, პჟემისლავ ჟურავსკი ველ გრაიევსკის თანახმად, რუსეთს განზრახული ჰქონდა პოლონეთის მარგინალიზაცია ნატოსა და ევროპის კავშირის ფარგლებში, მისი

გაზის და ნავთობის ბაზრის კონტროლი, გავლენა პოლონეთის სატრანსპორტო ქსელზე და უკრაინა-პოლონეთის ნავთობსადენის პროექტის (ოდესა-ბროდი-გდანსკი) დაბლოკვა (Żurawski Vel Grajewski 2008, 672).

ეს ყოველივე იმპერიული ელფერის მქონე სტრატეგიული გათვლა იყო. მას მხოლოდ ძველი მტრობის წისქვილზე შეეძლო წყლის დასხმა. ამის შემდეგ რუსულ-პოლონური დაძაბულობა ხან მატულობდა, ხან კლებულობდა. მისი კულმინაცია კი უკრაინაში რუსეთის ფართომასშტაბიანმა სამხედრო აგრესიამ გამოიწვია. მანამდე იყო მტრობის საყურადღებო შემთხვევა, როდესაც პოლონეთის აწ გარდაცვლილი პრეზიდენტი თბილისში სოლიდარობის ვიზიტით ჩამოვიდა. ეს ვიზიტი რუსეთ-საქართველოს 2008 წლის აგვისტოს ომის დროს განხორციელდა. მოგვიანებით კაჩინსკი, მისი მეუღლე და არაერთი პოლონელი მაღალჩინოსანი სმოლენსკთან მომხდარ ავიაკატასტროფაში დაიღუპნენ. ამ რუსულ ქალაქში მათი ვიზიტი სტალინის საიდუმლო პოლიციის მიერ კატინში დახვრეტილი პოლონელი ოფიცრების ხსოვნის აღსანიშნავად ხორციელდებოდა. ავიაკატასტროფის გამოძიება პოლონეთში დღესაც ცხარე დებატებს იწვევს.

თუმცა არა მხოლოდ გიედროიცმა, არამედ პოლონური განათლებული საზოგადოების საგრძნობმა ნაწილმაც გამოიმუშავა ისტორიული იმუნიტეტი ეთნიკური ნაციონალიზმის წინააღმდეგ. ასეა თუ ისე, რუსების წმინდად ეთნიკური მიუღებლობა პოლონეთში იშვიათია. განათლებულ პოლონელთა დისკურსი უფრო რუსულ სისტემას, ზოგჯერ კი კულტურას იღებს მიზანში, და არა მის ინდივიდუალურ წარმომადგენლებს. ალბათ არანაირი სხვა ტექსტი არ გამოხატავს ნათქვამს ისე მკაფიოდ, როგორც ადამ მიცკევიჩის ლექსი, რომელიც პოეტმა 1830 წლის აჯანყების შემდეგ დაწერა:

. . .Teraz na świat wylewam ten kielych trucizny
Żrąca jest i paląca mojej gorycz mowy,
Gorycz wyssana ze krwi i z łęz ojczyzny,

Niech zrze i pali, nie was, lecz wasze okowy[72]

რა თქმა უნდა, ამ ლექსს შეიძლება მეორე დავუპირისპიროთ, რომელიც რაინოლდ სუხოდოლსკის ეკუთვნის:

. . .Kto powiedział, że Moskale
Są to bracia nas Lechitów,
Temu pierwszy w łeb wypalę
Przed kościołem Karmelitów;[73]

მიცკევიჩისაგან განსხვავებით, სუხოდოლსკი 1830-1831 წლების აჯანყებაში მონაწილეობდა და ბრძოლაში დაიღუპა. მაგრამ სიძულვილი „მოსკალთა“ – როგორადაც რუსებს ზოგჯერ უკრაინელები და პოლონელები მოიხსენიებენ, ასევე პოლიტიკურ და კულტურულ, არაეთნიკურ ჭრილშია გასააზრებელი. ასეც რომ არ იყოს, პოლონური რომანტიკული პატრიოტიზმის მთავარი საყრდენი მიცკევიჩია და არა სუხოდოლსკი.

რა თქმა უნდა, პოლონური დისკურსი რუსეთის შესახებ, რაც თანამედროვე პოლონეთის იდენტობის ფორმირების ერთ-ერთი ძირითადი საშენი მასალაა, წინააღმდეგობრიობისაგან და სტერეოტიპებისაგან თავისუფალი ვერასოდეს იქნებოდა. არსებობს არაერთი დაკვირვება პოლონელთა და რუსთა სტერეოტიპული აზროვნების შესახებ. მაგალითისათვის, თუ რუსული უმსჯელობის ნიმუშია „მოსკოვი – მესამე რომი“, პოლონურ ანალოგს წარმოადგენს რწმენა, რომ რუსები ოდითგანვე პოლონური მიწების კოლონიზატორები იყვნენ: ზოგიერთი პოლო-

---

72 . . .სამყაროს მინდა გადავასხა შხამი თასიდან
ჟანგის მომდები და მწველია ჩემი სიტყვების სიმწარე,
ეს შხამი სამშობლოს სისხლიდან და ცრემლიდანაა,
დაე დაწვას მან – არა თქვენ, თქვენი ბორკილები.
„მოსკალ მეგობრებს“ (1832)

73 ვინა თქვა, რომ მოსკოვიტი
ძმაა ჩვენი, ლეხიტების,
უმალ მას შუბლს გავუხვრიტავ
ტაძართან კარმელიტების.
„კოშციუშკოს პოლონეზი“ (1831)

ნელი ისტორიკოსის აზრით, ასეთი უმსჯელობა ასახავს იმ ფრუსტრაციას, რომელიც პოლონელებს საკუთარი კოლონიზატორული მისწრაფებების ჩავარდნის გამო გამოუმუშავდათ (Kminikowska i Pękała 2007, 192-193). სტერეოტიპული ატიტუდის გამომხატველია პოლონეთში არსებული რუსული ეკლესიების ნგრევა მე-20 საუკუნის 20-30-იან წლებში და დუმილი იმის შესახებ, რომ მე-19 და მე-20 საუკუნეების პოლონური არქიტექტურა სერიოზულ რუსულ გავლენას განიცდიდა (Kminikowska i Pękała 2007, 217-220). პოლონური ისტორია და ლიტერატურა სავსეა ნეგატიური მსჯელობებით რუსეთსა და რუსებზე, რაც გასაგებია. მაგრამ 1920 წლის პილსუდსკისეული მოწოდება, რომ მტერი რუსი კი არა, რუსების დამმონებელი ბოლშევიკია, ისევ ძველი, რომანტიკული მემკვიდრეობის სიცოცხლისუნარიანობაზე მიუთითებს. მეტიც, პილსუდსკი ამით ომისშემდგომი პოლონური ლიტერატურის წინამორბედადაც გვევლინება. ციმბირში გადასახლებული პოლონელი მწერლები იქ „სხვა რუსეთს“ პოულობდნენ (Kminikowska i Pękała 2007, 236-240). ზოგი ანალიტიკოსი იმასაც წერს, რომ იმპერიის რუსიფიკატორულ პოლიტიკას მარტო ნეგატიური შედეგი არ მოჰქონდა: იგი იწვევდა მობილობას, ხსნიდა კარს რუსული ლიტერატურისათვის და კრიტიკულ აზროვნებას უწყობდა ხელს (Kminikowska i Pękała 2007, 272-273).

სანამ რელიგია იყო იდენტობის ფორმირების მთავარი მარკერი, რიგით რუსებს ჰქონდათ გამოთქმა – პოლონელს, ებრაელს და ძაღლს ერთი რწმენა აქვთო (Bobryk and Faryno 2000, 85). რუსული ნაციონალიზმის ისეთი განათლებული მედროშე, როგორიც ნიკოლაი კარამზინია, წერდა, რომ „უაზრო“ პოლონელების სიძულვილის მიზეზი რუსებს 1069 წლიდან ჰქონდათ (Bobryk and Faryno 2000, 143). თავის მხრივ, პოლონელები „მოსკალებს“ ზედაპირულ ქრისტიანებად თვლიდნენ და მე-15-16 საუკუნიდან აღმოსავლეთის არაევროპულ, „ჩამორჩენილ“ ცივილიზაციაზე უპირატესობის გრძნობას ივითარებდნენ

(Bobryk and Faryno 2000, 86). ორივე ნაცია დასცინოდა ერთმანეთს სმის კულტურისა თუ ჩაცმულობის გამო და ა.შ. (Bobryk and Faryno 2000, 89). ამ ტრადიციას გაგრძელება დღესაც აქვს: 90-იან წლებში პოლონეთში დადგმული ზოგიერთი პიესა რუსების რწმენებს, გემოვნებას, ჩვევებს, წარსულსა და აწმყოს დასცინოდა (Bobryk and Faryno 2000, 289-301).

ალექსანდრა ნევიარა აღნიშნავს, რომ ტერმინი „მოსკალი“ დასაწყისში ნეიტრალური მნიშვნელობისა იყო, მაგრამ ნელ-ნელა მტრის აღმნიშვნელი გახდა. ტერმინი „მოსკვიცინ“ კი დამცინავი და დამამცირებელია (Niewiara 2006, 150). პრივატული ნარატივების კვლევა აჩვენებს იმასაც, რომ პოლონელი რუსთან ქორწინებას გაურბოდა. ხშირი იყო დამოკიდებულება – „ის არისტოკრატია, მაგრამ რუსია“ (Niewiara 2006, 150). პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის დროს, როდესაც რუსული და საბჭოთა პროპაგანდა ყველა კუნჭულში აღწევდა, პოლონელთა რეაქცია მასზე ძირითადად სარკასტული იყო (Niewiara 2006, 162). როგორც ნევიარა ჰყვება, საბჭოთა კავშირის ნგრევამ ატიტუდების დივერსიფიკაცია მოიტანა. თუმცა, მთლიანობაში, არსებითი სტრუქტურული პრობლემები, რომლებიც რუსთა მიმართ ეჭვიანობასა თუ მტრობას იწვევდა, არ აღმოფხვრილა.

ერთ-ერთი ასეთი სტრუქტურული პრობლემა, რომელიც პუტინის რევიზიონისტული იმპერიალიზმისაგან დამოუკიდებლადაც არსებობს, რუსული ისტორიის სახელმძღვანელოებია. 2008 წელს პოლონელი და რუსი ისტორიკოსები ვროცლავსა და პეტერბურგში შეხვდნენ, რათა ორი ქვეყნის ისტორიის სახელმძღვანელოთა შინაარსი განეხილათ. შეხვედრებზე გაირკვა, რომ რუსი მასწავლებლები მე-16-18 საუკუნეების ამსახველ პოლონურ ტექსტებს ცალმხრივობას სწამებდნენ; ასევე ჩიოდნენ, რომ პოლონურ სახელმძღვანელოებში ორი ერის ცივილიზაციურ სიახლოვეზე არაფერი იყო ნათქვამი; რომ პოლონელები უმართებულოდ აცალკევებდნენ რუთენიე-

ლებს რუსებისაგან და არ უთმობდნენ ადგილს საბჭოთა არგუმენტებს მეორე მსოფლიო ომის დაწყების შესახებ (Czapiewski i Żerelik 2008, 7-13, 43-55). ჩვენ მიგვაჩნია, რომ მიუხედავად იმისა, თუ რაა პოლონური სახელმძღვანელოების ნაკლი, პოლონელთა საპასუხო რეპლიკები უფრო ნათლად გადმოსცემდა რუსული სასკოლო ისტორიოგრაფიის სტრუქტურულ ხარვეზს. ესაა პოლიტიკურად მოტივირებული თეთრი ლაქები და ანაქრონიზმი, რომელიც ნაციონალისტურ მტრობას უწყობს ხელს. ასე მაგალითად, რუსული სახელმძღვანელოები დუმს აღმოსავლეთ ჟეჩპოსპოლიტაში საბჭოთა ოკუპაციის შემდგომ მომხდარ მასობრივ რეპრესიებზე; ისევ დუმილია კატინის ტყეში პოლონელი ოფიცრების დახვრეტაზე; მეათე საუკუნეში მიმდინარე ფეოდალური კონფლიქტები კი დანახულია როგორც პოლონელთა ინტერვენცია რუსთა წინაპრების „ისტორიულ“ მიწებზე (Czapiewski i Żerelik 2008, 15-20, 67-76).

რუსეთი პოლონელთა დისკურსში ნიუანსებით მდიდარ პოლონურ ეროვნულ იდენტობას ასახავს. ქვეყნის რუსულ იმპერიასთან ხანგრძლივი შეხებიდან გამომდინარე, შეიძლება აღინიშნოს, რომ ამ იდენტობაში ძლიერია პატრიოტიზმის განცდა, ეჭვი რუსთა მიმართ და მზაობა შემდგომი დაპირისპირებისათვის. დისკურსი სავსეა რუსთა მიმართ ნეგატიური სტერეოტიპებით, რაც არაა გასაკვირი.[74] მაგრამ რუსეთის როგორც საფრთხის აღქმის პარალელურად, პოლონური მაღალი კულტურა და პოლიტიკა გიგანტური აღმოსავლელი მეზობლით ხიბლის ელემენტებსა თუ ეპიზოდებსაც ავლენს. ალბათ არც თუ ბევრი პიროვნების ღვაწლი შეგვაჯამებინებს პოლონურ

74 ტიმოთი სნაიდერის მიხედვით, კატინის მასობრივი მკვლელობის გარეშედაც პოლონელები ერთ-ერთი ყველაზე რეპრესირებული ერი იყო საბჭოთა კავშირში. 1937-1938 წლებში დახვრეტილი და ასეთად იდენტიფიცირებული 681692 მსხვერპლის 1/8 რუსეთში, უკრაინაში და ბელარუსში მცხოვრები პოლონელები იყვნენ. საბჭოთა პოლიტიკური პოლიცია პოლონელი ბავშვების მოტაცებითაც იყო დაკავებული (Snyder 2012, 92-104).

ნაციონალურ წინააღმდეგობრიობებს ისე ეფექტურად, როგორადაც ცნობილი მწერლის, იაროსლავ ივაშკიევიჩის შემოქმედება. ივაშკიევიჩი ჟეჩპოსპოლიტა 2-ის მთავრობაში მუშაობდა. ნაცისტების დროს იგი იატაკქვეშა საქმიანობას ეწეოდა და ბოლოს ცხოვრება PRL-ს ლოიალისტურ ინტელიგენციას დაუკავშირა. მისი ლექსი „რუსეთს“ ასეთი სიტყვებით მთავრდება: Mam rzec, że cię nienawidzę? Czy rzec, że jesteś ukochana.[75]

ჰიბრიდულობის ცნება, რომელიც პოსტკოლონიური კვლევებიდან ვისესხეთ, კომპლექსურია და მრავალი ქვეტექსტის მატარებელი. მას, ძირითადად, კოლონიზატორსა და კოლონიზებულს შორის აკომოდაციისა და წინააღმდეგობის დიალექტიკის გასააზრებლად ვეყრდნობოდით. შესაბამისად, ჩვენი ყურადღება ჰიბრიდულობის პოლიტიკურ ასპექტზე ფოკუსირდებოდა. მაგრამ ჰიბრიდულობა აგრეთვე კულტურების შეხვედრასა და ურთიერთგავლენაში აირეკლება. პოლონეთის შემთხვევაში, რაც საქართველოსთვისაც რელევანტურია, ზემოთ ნახსენები რუსულ-პოლონური კულტურული შეხებისა და ურთიერთშეფასების მაგალითები გვიჩვენებს სიყვარულისა და სიძულვილის, ხიბლისა და გაუცხოების ქარგას. არსებითად, ესაა ყველა იმ ეროვნული იდენტობის ბედისწერა, რომელიც მეზობლის „სხვადყოფნით“ კონსტრუირდება – მით უმეტეს, თუ ეს „სხვა“ ექსპანსიონისტური მიდრეკილებისაა.

75 ...უნდა გითხრა რომ მძულხარ? თუ გითხრა რომ მიყვარხარ?

შედარება და გაკვეთილები

ქართული და პოლონური იდენტობების ფორმირებასა და ამ პროცესში რუსეთის როლზე მსჯელობისას შეგვიძლია ამოვიდეთ ზოგადი დაშვებიდან, რომ ორივე შემთხვევა საერთო ფენომენს ასახავს. ეს ფენომენი ნაციონალიზმია – ამ ტერმინის ყველაზე ფართო გაგებით. „...ნაციონალობა [...] ნაციად ყოფნა, ისევე როგორც ნაციონალიზმი, კულტურული არტეფაქტებია. [...] დღეს მათ ღრმა ემოციური ლეგიტიმურობა გააჩნია“ (Anderson 1991, 4). ნაციონალიზმის ფუძე კომპონენტები საზღვრები და სუვერენიტეტია. ამასთან, მიუხედავად ყველა ერში გარდაუვალად არსებული სოციალური უთანასწორობისა, ნაციონალიზმი ერთობის განცდას, „ამხანაგობას“ ეყრდნობა (Anderson 1991, 7). მოდერნული პატრიოტიზმი ნაციონალიზმის ფუნქციაა. ამიტომაა, რომ რუსეთთან დაპირისპირებაში თუ ნებისმიერ სხვა გარემოებაში გამოხატულ ქართულ და პოლონურ პატრიოტულ მოძრაობათა ანალიზს შეიძლება მსგავსი კვლევითი შედეგები მოსდევდეს.

მაგრამ „ეშმაკი დეტალებშია“ და მათი იგნორირება ქმნის რისკს, რომ შედარებით კვლევას სქემატიზმი, „იდეალური ტიპებით“ გატაცება მოჰყვეს. ზედმეტი განზოგადება კონკრეტულ ეროვნულ ტრაექტორიებს, ან, როგორც ანჟეი ნოვაკი წერს (Nowak 2008), „პატრიოტიზმის დინებებს“ ვერ აღგვაქმევინებს. შესაბამისად, შედარებით ანალიზს ისტორიული კვლევა სჭირდება, რათა: 1. ყოველი ცალკეული ნაციონალური/პატრიოტული მაგალითის ცვლადები გავიაზროთ; 2. გავაძლიეროთ განსახილველი ეროვნული იდენტობების შემეცნების შესაძლებლობა; 3. შევქმნათ ნიადაგი მათთვის შესაფერის საგარეო და საშინაო პოლიტიკაზე სამსჯელოდ.

პოლონური და ქართული არისტოკრატიის ორმხრივმა სიმპათიამ, რაც მე-19 საუკუნის პირველ მესამედში ჩაისახა, მოგვიანებით რევოლუციის ორი ნაციონალური გზის მარქსისტულ კვლევასა და შედარებას დაუთმო გზა. ქართველ მარქსისტთაგან ერთ-ერთი პირველი იყო ნოე ჟორდანია, რომელიც ეროვნულ საკითხზე თავის ნაწერებში პოლონურ მაგალითს ეყრდნობოდა. პოლონელთა მხრიდან საქართველოთი უშუალოდ იუზეფ პილსუდსკი ინტერესდებოდა. იგი საქართველოს მოიაზრებდა თავის ანტიბოლშევიკურ ხედვებში, რომლებიც ინტერმარტიუმის და პრომეთეანიზმის პროექტებთან იყო დაკავშირებული. ჩვენთვის განსაკუთრებით ნიშანდობლივია ის ფაქტი, რომ ცნობილმა ჩეხ-ავსტრიელმა მარქსისტმა თეორეტიკოსმა, კარლ კაუცკიმ ქართულ ეროვნულ სოციალისტურ ექსპერიმენტს წიგნი მიუძღვნა, ხოლო მასთან შესადარებელ მაგალითად სწორედ პოლონეთი აირჩია (კაუცკი 2018). ჰქონდა რა უშუალო კავშირი როგორც პოლონელ, ისე ქართველ მარქსისტებთან, კაუცკი აღნიშნავდა, რომ ორივე ერი არა მხოლოდ სოციალური, არამედ ეროვნული თავისუფლებისათვის იბრძოდა. ამასთან, იგი ცოტა დაუსაბუთებლად აცხადებდა, რომ თუ პოლონელი გლეხები ზოგჯერ აღწევდნენ წარმატებას თავის მიწათმფლობელებთან დავაში, საქართველოში მსგავსი არაფერი ხდებოდა (კაუცკი 2018, 63-64). ეტყობა ნოე ჟორდანიასთან საუბრების საფუძველზე, კაუცკი წერდა, რომ როგორც საქართველოში, ისე პოლონეთში ნაციონალიზმის დროშა დასაწყისში არისტოკრატებს ეპყრათ ხელთ. მაგრამ ეს დიდხანს არ გაგრძელებულა და ქართველი სოციალისტები, პოლონელი კოლეგებისაგან განსხვავებით, ინტერნაციონალისტურ ბანაკს შეუერთდნენ (კაუცკი 2018, 65-67). თავის შედარებით ანალიზში თეორეტიკოსი ხაზს უსვამდა, რომ ქართველ სოციალისტთა ხელმძღვანელობა ეროვნულ თვითგამორკვევას უჭერდა მხარს. ოღონდ თუ პოლონელებს ეს უფლება ეროვნულ დამოუკიდებლობად ესმოდათ, ქართველებს რუსეთის

ფარგლებში ავტონომიური არსებობა აკმაყოფილებდათ (კაუცკი 2018, 137). კაუცკისათვის განსაკუთრებით იყო აღსანიშნავი, რომ არც საქართველო და არც პოლონეთი არ ჰგუობდა მარქსიზმის რუსულ ვერსიას (კაუცკი 2018, 69).

მიუხედავად ორ ერს შორის არსებული ურთიერთინტერესისა, რასაც მათი საჯარო ფიგურები ისტორიის დრამატული მომენტებისას ავლენდნენ ხოლმე, ქართულ-პოლონური აკადემიური შედარებები ფრაგმენტულია და, ძირითადად, განსხვავებებზეა ფოკუსირებული. ამ მხრივ ერთგვარ გამონაკლისს მოდერნული ეპოქის პოლონურ მაგალითზე ქართველ მოაზროვნეთა რეფლექსიების კრებული წარმოადგენს (საბანაძე და ჯგერენაია 2021). მისი ავტორები კრებულის შესავალში აღნიშნავენ, რომ პოლონური და ქართული ნაციონალიზმები საკმაოდ მსგავსი იყო. თუმცა, იმის ხაზგასმის მიღმა, რომ ორივე შემთხვევაში ინიციატივა არისტოკრატიას ეკუთვნოდა, საბანაძისა და ჯგერენაიას შედარებითი ანალიზი არ მიდის. პუბლიკაციის შინაარსი, უმეტესწილად, პოლონეთის მიმართ ქართველების ინტერესს ეხება. შესაბამისად, ეს კრებული უფრო ქართულ-პოლონური შედარებითი კვლევის წამახალისებლად შეიძლება ჩაითვალოს.

როგორც წიგნის დასაწყისში ვთქვით, პოლონელი მკვლევარი, ანჟეი ფურიერი ეჭვს გამოთქვამდა პოლონური და ქართული ისტორიული ბედისწერის მსგავსებაზე. ვფიქრობთ, იგი მხოლოდ ნაწილობრივაა მართალი, განსაკუთრებით, თუ მის მოსაზრებებს კოლონიურ/პოსტკოლონიური კვლევების გადმოსახედიდან შევხედავთ. წიგნის დასკვნით ნაწილში ამ საკითხს ვუბრუნდებით. აქ კი გვინდა შევეხოთ სხვა შედარებას, რომელიც მოკლედ აქვს გაკეთებული ოლივერ რაისნერს: იგი წერს, რომ ილია ჭავჭავაძის ეროვნული მისწრაფებები, რომელსაც წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება განასახიერებდა, პოლონური „ორგანული საქმის“ მსგავსი იყო. მაგრამ ამ უკანასკნელისაგან განსხვავებით, ილიას და ამ საზოგადოების სხვა მესვეურების ამოცანას არა

ეროვნული დამოუკიდებლობა, არამედ იმპერიის ქვეშევრდომთა თანასწორობა, პეტერბურგის მიერ ქართული კულტურის აღიარება და ქვეყნის მეტ-ნაკლები საშინაო ავტონომია წარმოადგენდა (Reisner 2018, 240-241). თუმცა ჩვენ პოლონურ ისტორიოგრაფიაზე დაყრდნობით ვაჩვენეთ, რომ „ორგანული საქმეცა“ და მისი თანამდევი „პოზიტივიზმიც“ ასეთივე ზომიერ ეროვნულ მისწრაფებებს განასახიერებდა და, აჯანყებების ნაცვლად, სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაზე ფოკუსირდებოდა. ქვეყნის დამოუკიდებლობას ღიად არც ეს მიმდინარეობები არტიკულირებდა. მეტიც, მისი ცალკეული წარმომადგენლები იმასაც ფიქრობდნენ, რომ მსგავსი პოლიტიკური მიზნები ეროვნული ენერგიის გაფლანგვას იწვევდა. რა თქმა უნდა, ადვილი წარმოსადგენია, რომ ბევრი პოზიტივისტი ასევე ოცნებობდა იმპერიის დანგრევაზე და ამ მომენტისათვის მზადყოფნას ისახავდა მიზნად. მაგრამ ილია ჭავჭავაძესა და მის მიმდევრებზე ზუსტად იმავეს თქმა შეგვიძლია: როგორც პოლონეთში, ისე საქართველოში, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიები სწორედაც რომ პოზიტივიზმის ნიადაგზე აღმოცენდა, როცა საამისო ნიადაგი მომწიფდა.

ამდენად, როგორც პრაქტიკული საქმიანობის თვალსაზრისით, ისე დისკურსულ დონეზე, რაისნერის მიერ მოხსენიებული ქართული „ეროვნული საქმე“ თუ „ეროვნული ინტერესი“, რომელსაც ილიას თაობა განასახიერებდა, პოლონური „ორგანული საქმის/პოზიტივიზმის“ ტოლფასი ნაციონალისტური მიმდინარეობაა. თუ განსხვავებებს ვეძებთ, ამ მხრივ ალბათ საინტერესო პოლონელი და ქართველი სოციალისტების დისკურსთა შედარებაა მე-19 საუკუნის 90-იანი წლებიდან ვიდრე 1917 წლამდე. მაშინ, როცა იუზეფ პილსუდსკი ავსტრო-უნგრეთისა და გერმანიის იმპერიების დახმარებით ჟეჩპოსპოლიტას აღორძინებას იმედოვნებდა, ქართველი სოციალ-დემოკრატები რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ჩარჩოებში იყვნენ და რუსეთის დემოკრატიზაციისათვის

იღვწოდნენ. როდესაც გერმანელთა წახალისებით, სოციალისტური უმრავლესობის მქონე ქართულმა ეროვნულმა საბჭომ დამოუკიდებლობა გამოაცხადა, ამ ნაბიჯის ოფიციალურ არგუმენტს წარმოადგენდა არა იმდენად სამართლიანობის აღდგენის იდეა, რამდენადაც იმ რუსეთის გაქრობა, რომელსაც საქართველო წარსულში ვითომდა ნებაყოფლობით შეერთებოდა. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მსგავსი არგუმენტი მაშინდელ ქართველ პოლიტიკოსებს ევროპისათვის უფრო დამაჯერებლად ეჩვენებოდათ (დევდარიანი 2021). თან დამოუკიდებლობის დეკლარაციაში მისი მიღების სხვა მიზეზებიც ეწერა. თუმცა ცხადია, რომ პოლონეთის ლიდერთაგან განსხვავებით, ქართული პოლიტიკური კლასის უმრავლესობა იშვიათად ფიქრობდა რაიმე უფრო მეტზე, ვიდრე ფედერალიზებული რუსეთის ფარგლებში ავტონომიის მიღწევა იქნებოდა. მაგრამ სიტუაცია სწრაფად იცვლებოდა და საქართველო პოლონეთს უნდა დასწეოდა. რაც ქართულ ეროვნულ დისკურსს მართლა აკლდა და დღესაც აკლია პოლონურთან შედარებით, ესაა იდენტობის კონსტრუირების გეოკულტურული, რეგიონული ასპექტი: აქვს რა საკმაოდ მსგავსი ნიადაგი ამ თვალსაზრისით, საქართველოს შეუძლია, დაეყრდნოს პოლონურ გამოცდილებას.

მთლიანობაში, ვფიქრობთ, რომ ქართული და პოლონური ნაციად ყოფნის შემთხვევებში მსგავსებები თუ საერთო ქარგა არანაკლებაა თვალში საცემი, ვიდრე მათი განმასხვავებელი ნიშნები. პირველ რიგში, აღნიშვნას ორივე ქვეყნის სოციალური აგებულების ის სტრუქტურული მახასიათებლები იმსახურებს, რომელიც რუსული ექსპანსიისა და ნაციონალიზმის ეპოქის დადგომისას იყო სახეზე. მრავალ ევროპულ თუ ევრაზიულ საზოგადოებებთან შედარებით, პოლონეთიც და საქართველოც არისტოკრატიის უჩვეულოდ მაღალი პროცენტით, ბატონყმობის სხვადასხვა ფორმებითა და ქალაქური მოსახლეობის ეთნიკური სიჭრელით გამოირჩეოდა. საქართველოს შემთხვევაში ქალაქური ვაჭრობა და ხე-

ლოსნობა ძირითადად სომხების, მუსლიმებისა და ებრაელების ხელში იყო თავმოყრილი, ჟეჩპოსპოლიტაში კი ბევრი ურბანული ცენტრი გერმანული და ებრაული თემების მრავალრიცხოვნებით გამოირჩეოდა. ამასთანავე, შუა საუკუნეების პოლონური და ქართული სამეფოების საგრძნობი ტერიტორიები სხვა ლინგვისტური თუ რელიგიური ჯგუფებით იყო დასახლებული. როგორც წესი, ისინი ქვეყანათა პერიფერიაზე ცხოვრობდნენ: ოსები და აფხაზები იკავებდნენ ჩრდილოეთსა და ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს, რომელიც თანდათან ავტონომიურ სამეფო-სამთავროებად იშლებოდა, სომხები და მუსლიმები სამხრეთში, სამხრეთ-დასავლეთსა და სამხრეთ-აღმოსავლეთში სახლობდნენ. რუთენიელთა/უკრაინელთა დომინირება ჟეჩპოსპოლიტას დასავლეთსა და სამხრეთ-დასავლეთში, ხოლო ლიტველთა – ჩრდილო-დასავლეთში საკმაოდ შესადარისია ქართულ შემთხვევასთან. განსხვავება ისაა, რომ საქართველოს სამეფო-სამთავროთა მასშტაბი უფრო მცირე იყო.

როდესაც სათანადო სოციალური, ეკონომიკური და კულტურული პირობები მომწიფდა, ასეთ სოციალ-გეოგრაფიულ სტრუქტურას არაპოლონური და არაქართული ნაციონალიზმების აღმოცენება მოჰყვა. როგორც პოლონელთა, ისე ქართველთა შორის, ამ გარემოებამ, ერთი მხრივ, სოციალისტურ და ფედერალისტურ ტენდენციებს, მეორე მხრივ კი, ეთნონაციონალისტურად შეფერილი ინტეგრალური ნაციონალიზმის გავრცელებას შეუწყო ხელი. დამთხვევაა, რომ ამ უკანასკნელი იდეოლოგიის მიმდევარნი ორივე ქვეყანაში ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ირგვლივ ჯგუფდებოდნენ.

ფეოდალური ჟეჩპოსპოლიტას და ქართული სამეფო-სამთავროების რელიგიურ-არისტოკრატული „ერების“ მოდერნულ ეთნიკურ ერებად გარდასახვა კომპლექსური სოციალური პროცესი იყო. პიოტრ ვანდიჩს მოაქვს მაგალითი, რომ მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში ავსტრიულ გალიციაში ერთი ძმა თავს პოლონელად აცხა-

დებდა, მეორე კი – რუთენიელად (Wandycz 1996, 256). ავსტრო-უნგრეთში არსებული რუსეთის საელჩო ფინანსურად ეხმარებოდა რუთენიელთა თვითგამორკვევის პროცესს (Wandycz 1996, 257), რადგან მათი რუსობისაკენ შემობრუნების იმედი ჰქონდა. რუსული იდენტობის წახალისება უფრო აგრესიულად რუსეთის იმპერიის დასავლურ გუბერნიებში ხდებოდა. მაგრამ პრაქტიკულად, საბოლოო შედეგი ის იყო, რომ მე-20 საუკუნის დამდეგისათვის რუთეანულ-უკრაინული იდენტობა გაძლიერდა. პოლონელთათვის ეს სერიოზულ გამოწვევად იქცა (Wandycz 1996, 259). პოლონურ-უკრაინული ურთიერთობების ისტორიაში მრავლადაა ეთნიკურ დაპირისპირებათა ტრაგიკული ფაქტები. ასეთი მოვლენები, ძირითადად, იმპერიათა ნგრევისა და ახალი ერი-სახელმწიფოების ფორმირებისას ხდებოდა. მსგავსი, თუმცა ნაკლებ სისხლიანი იყო პოლონური და ლიტვური ერების სეპარირების პროცესიც. არსებითად, ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური შეიარაღებული დაპირისპირებებიც იგივე ლოგიკითა და ფორმით წარიმართა.

ყოფილი ჟეჩპოსპოლიტას მიწებზე განვითარებულ კონფლიქტთა მიზეზს ანჟეი ნოვაკი პოლონიზირებული ადგილობრივი მემამულეებისა და მზარდად უკრაინიზებული გლეხობის სოციალურ დაპირისპირებაში ხედავს. მას ამწვავებდა რელიგიური – კათოლიკურ-მართლმადიდებლური – დაყოფა. ადამ პერლაკოვსკი ამ ყოველივეს პიროვნულ და იდეაციურ ფაქტორებს ამატებს.[76] მარეკ ფიგურა ადამ მიცკევიჩის უნივერსიტეტიდან კი თანახმაა, რომ გალიციაში სოციალური დაყოფები ეთნიკურ სიძულვილში ტრანსფორმირდა.[77] ვფიქრობთ, ყოფილი

76 ნოვაკი, ანჟეი. ინტერვიუ ჩაატარა დავით დარჩიაშვილმა. იაგელონის უნივერსიტეტი, კრაკოვი, პოლონეთი სექტემბერი 19, 2022; პერლაკოვსკი, ადამ. ინტერვიუ ჩაატარა დავით დარჩიაშვილმა. იაგელონის უნივერსიტეტი, კრაკოვი, პოლონეთი. სექტემბერი 20, 2022.

77 ფიგურა, მარეკ. ინტერვიუ ჩაატარა დავით დარჩიაშვილმა. ადამ მიცკევიჩის სახელობის უნივერსიტეტი, პოზნანი, პოლონეთი.

ქართული ფეოდალური პოლითეას მიწებზე მიმდინარე აფხაზური და სამხრეთ ოსური ეთნიკური ერების კრისტალიზაცია იგივე ქარგას მიჰყვებოდა. ამ შემთხვევებში რელიგიურ ფაქტორს გადამწყვეტი როლი არ უთამაშია, მაგრამ ქართველ/გაქართველებულ მემამულეთა და ოს გლეხთა შორის არსებული სოციალური ნაპრალი ეთნიკურ მტრობაში გადადიოდა – განსაკუთრებით თუ მას რადიკალური სოციალისტური იდეები უმაგრებდა ზურგს. ოჯახების სხვადასხვა ეროვნულ იდენტობებად დაყოფა ასევე არ იყო საქართველოსათვის უცხო: ერთი და იგივე გვარები გვხვდება როგორც აფხაზთა და ქართველთა, ისე ოსთა და ქართველთა შორის.

ნაციონალიზმისა და სოციალიზმის ურთიერთკავშირი ქართული და პოლონური შემთხვევების კიდევ ერთი საერთო მახასიათებელია. მარქსისტული იდეოლოგიის ინტერნაციონალური ბუნების მიუხედავად, პოლონელი და ქართველი სოციალისტების ცნობილი ლიდერები ეროვნულ მისწრაფებებსაც უხდიდნენ ხარკს. 1918 წელს მათ გადამწყვეტი როლი ითამაშეს როგორც ჟეჩპოსპოლიტას აღდგენაში, ისე საქართველოს რესპუბლიკის შექმნაში. ხაზგასასმელია, რომ ორივე შემთხვევაში გერმანიამ წამყვანი საგარეო ფაქტორის როლი იტვირთა, მისი მოკავშირენი კი – ავსტრო-უნგრეთი პოლონეთის შემთხვევაში და ოსმალეთი საქართველოს შემთხვევაში – დამხმარე როლებს თამაშობდნენ. მარიუშ მაშკიევიჩის თქმით, პილსუდსკისა და ჟორდანიას შეხედულებებში ბევრი რამ იყო საერთო.[78]

პოლონური და ქართული ნაციონალიზმის სტილთა შორის არის სერიოზული განსხვავებაც. იგი ეხება ეკლესიის როლს. რუსული იმპერიული პოლიციის ანგარიშები მიუთითებს, რომ 1863-1864 წლების აჯანყების შემდეგაც,

---

სექტემბერი 27, 2022.

78 მაშკიევიჩთან, მარიუშ. ინტერვიუ ჩაატარა დავით დარჩიაშვილმა. პოლონეთის საელჩო, თბილისი, საქართველო. ივლისი 1, 2022 წელი.

პოლონეთის შლახტა და კათოლიკური სამღვდელოება ყველაზე ანტირუსულ სოციალურ ძალებად რჩებოდა (Wiech 2002a, 50-127). როგორც ეს დოკუმენტები, ისე შემდგომი ეპოქის ანტიკომუნისტური მოძრაობის ისტორია აჩვენებს, რომ კათოლიკური ეკლესია ჟეჩპოსპოლიტას მოგონებებს ინახავდა და რუსული წესრიგისადმი ბუნებრივ მიუღებლობას ავლენდა. საქართველოშიც იყვნენ სასულიერო პირები, რომლებსაც საგრძნობი ადგილი ჰქონდათ პატრიოტული მოძრაობის განვითარებაში. მაგალითისათვის, პატრიარქი ამბროსი ხელაია, რომელიც 1921 წელს გენუის საერთაშორისო კონფერენციაზე გაგზავნილი ანტისაბჭოთა წერილის გამო საპყრობილეში აღმოჩნდა, შეიძლება ბევრ პატრიოტ პოლონელ მღვდელმთავარს შევადაროთ. მაგრამ ზოგადად, ქართული სამღვდელოება მეტად იყო ინტეგრირებული რუსულ მართლმადიდებლობასთან და 30-იანი წლებიდან ვიდრე საბჭოთა კავშირის დაშლამდე, როგორც ინსტიტუტი, ხმას არ იღებდა კომუნისტური მმართველობის წინააღმდეგ.

მას შემდეგ ქართული ეკლესია ერთ-ერთ ყველაზე გავლენიან სოციალურ ინსტიტუტად ითვლება და, შესაბამისად, საკუთარი ხელმძღვანელობის პოლიტიკურ ელიტაში დე-ფაქტო კოოპტაციის უნარიც შესწევს. თუმცა მისი ბმები რუს კოლეგებთან ქართველ სამღვდელოებას წინააღმდეგობრივ ეროვნულ როლს ანიჭებს. ასე მაგალითად, რუს სულიერ ძმებთან ერთად, საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიაც არ აღიარებს უკრაინული ეკლესიის დამოუკიდებლობას და გამოხატავს შეშფოთებას იმის გამო, რომ უკრაინის ხელისუფლებამ რუსეთის საპატრიარქოს დაქვემდებარებაში მყოფ ბერებს რიგი წმინდა ადგილების დაცლა მოსთხოვა. ყოველივე ეს ცუდად თავსდება ქართულ-უკრაინული პარტნიორობის იმ განცდასთან, რომელიც ორმა ეროვნულმა საზოგადოებამ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ განივითარა.

ეკლესიის როლზე მსჯელობის დასასრულს უნდა აღინიშნოს, რომ რუსეთის იმპერიამ ქართული ეკლე-

სია სრულად შეუერთა რუსულს, საბჭოთა კავშირმა კი მას მხოლოდ ფორმალური ავტონომიურობა უწყალობა. საქართველოს საპატრიარქოს არ გააჩნდა საკმარისი მატერიალური და ინტელექტუალური რესურსი, რომ საზოგადოებას საუკეთესო ფორმით მომსახურებოდა. განვითარებული შუა საუკუნეების შემდგომ, ქართული ეკლესია აღარასოდეს ყოფილა ისე ძლიერი, როგორც ორდენებისა და უნივერსიტეტების უწყვეტი ტრადიციის მქონე კათოლიკური ეკლესია. პოლონური სამღვდელოება ასევე განიცდიდა ჯერ იმპერიულ, შემდგომ კი კომუნისტურ წნეხს, მაგრამ არა ისეთს, როგორსაც ქართული. ჯერ მუსლიმი მეზობლების მიერ შევიწროებული, შემდეგ რუსულ მართლმადიდებლობაში ინტეგრირებული საქართველოს სამღვდელოება საუკუნეებით აღმოჩნდა მოწყვეტილი ქრისტიანობის გლობალურ ცენტრებს. გარემოებათა გამო, იგი, არსებითად, რელიგიური ცხოვრების მხოლოდ რიტუალურ მხარეზე ფოკუსირებულ ინსტიტუტად გადაიქცა. ეპოქათა მანძილზე მიმდინარე ეკლესიის დაქვეითებას გარდაუვალად მოსდევდა მისი როლის შესუსტება ერის მოდერნიზაციის პროცესში.

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი ნაშრომი, ძირითადად, იდეებზე, დისკურსებზე და ნაციონალიზმის გენერატორ აგენტ/აქტორთა ქმედებებზეა კონცენტრირებული, პოლიტიკური და სოციალური ინსტიტუტების განხილვასაც ვერ ავარიდებთ თავს. თანამედროვე სოციოლოგია სტრუქტურასა და აგენტს ურთიერთდამოკიდებულ ფენომენებად ხედავს: სტრუქტურა, როგორც წესებისა და რესურსების ერთობლიობა (Giddens 1986, 17), აგენტი/აქტორის მიმართ ეგზოგენური არაა. პირველი მეორის აღქმებსა და ნებაზეა დამოკიდებული. საზოგადოების სტრუქტურული მახასიათებლები – მაგალითად, მისი კლასობრივი აგებულება – პრაქტიკის შედეგია და აგენტთა შეგნებული ქმედებებისაგან ავტონომიურად არ არსებობს (Giddens 1986, 19-26). ამ თვალსაზრისით, მთავარი ინსტიტუტი თუ სტრუქტურა, რომელსაც გარდაუ-

ვალად ვეხებით, პოლიტიკური ელიტა ანუ მმართველი კლასია. ეს „კლასი“ საკმაოდ ამორფული, მოუხელთებელი ფენომენია, რომლის განცდა მომდინარეობს იმ მოცემულობიდან, რომ საზოგადოებრივი პროცესების განგრძობადი მართვით ყოველთვის უმცირესობაა დაკავებული. ელიტის ამორფულობა კარგი ნიადაგია საიმისოდ, რომ აგენტი/სტრუქტურის ურთიერთდამოკიდებულება გავიაზროთ. ელიტის სოციალურ წარმომავლობაზე მსჯელობა მნიშვნელოვანია, მაგრამ არასაკმარისი: იმის ცოდნა, რომ მე-18-19 საუკუნეების პოლონურ და ქართულ ელიტებში არისტოკრატია დომინირებდა, არ გვეუბნება ყველაფერს ელიტათა ბუნებასა და ქცევაზე – განსაკუთრებით თანამედროვე პირობებში.

ღრმა თეორიული წიაღსვლების გარეშე, ჩვენ ქვემოთ ვეყრდნობით ელიტათა რამდენიმე მკვლევრის დაკვირვებას, რომლის თანახმად, პოსტკომუნისტური პოლონეთი გაბედულად დაადგა დემოკრატიის კონსოლიდაციის გზას, მაგრამ ჟურნალისტები მის ელიტას ინტეგრირებულობის დონეს უწუნებენ: პოლიტიკური კულტურა ჯერაც რეჟიმის ცვლილების ისტორიით დაღდასმული რჩება (Mayerhoffer and Pfetsch, 2018, 428). მკვლევრები ასევე მიუთითებენ ბოლო წლების პოლონურ პოლიტიკაში განვითარებულ ავტოკრატიულ ტენდენციებზე (Weßels 2018, 531). ასეთი შეფასებები პოლონურ პოლიტიკურ ფრაქციათა რადიკალურ ურთიერთთავდასხმებს ეყრდნობოდა. კონსტიტუციური სასამართლოს შემადგენლობაზე მიმდინარე დავამ, რომელიც 2015 წელს დაიწყო და 2023 წლის ჩათვლით გრძელდებოდა, კონფრონტაციული ურთიერთობების გაღრმავებას შეუწყო ხელი. ამასთან, ევროპის კავშირის კომისიამ არ გაიზიარა პოლონური სასამართლოს ვერდიქტი, რომლის თანახმადაც პოლონური კონსტიტუციური მოთხოვნები ევროპის კავშირის კანონმდებლობაზე მაღლა უნდა იდგეს და თავად სასამართლოს ლეგალურობაც ეჭვის ქვეშ დააყენა (Camus 2023). ყოველივე კი დაიწყო 2015 წლის საპარლამენტო

და საპრეზიდენტო არჩევნებისას, როდესაც წარმავალმა PO-ს საპარლამენტო უმრავლესობამ საკონსტიტუციო სასამართლოს 5 დამატებითი წევრი დანიშნა, მაგრამ ახალმა პრეზიდენტმა და პარლამენტმა მათი უფლებამოსილებანი არ ცნო. ზოგიერთი ადგილობრივი დამკვირვებლისათვის ყოველივე ამის სიღრმისეული მიზეზი ის იყო, რომ PO-ს წაგებული არჩევნების შემდგომ რიგი სახელისუფლებო ბერკეტების შენარჩუნება სურდა, რადგან გამარჯვებული PiS-ი ტრანსნაციონალურ კორპორაციებში დაკავებულ მის პოზიციებს ემუქრებოდა (Brzechczyn 2016, 2028-2029).

რაც არ უნდა იყოს საკონსტიტუციო სასამართლოსთან დაკავშირებული კონფლიქტის არსი, იგი თანამედროვე პოლონური ელიტის ტიპოლოგიზაციის არგუმენტს იძლევა. 1990 წელს ჯონ ჰიგლიმ და მისმა კოლეგებმა პოლიტიკური ელიტები მოიაზრეს მდიდარი და გავლენიანი ეროვნული ინსტიტუტების იმ აგენტებად, რომლებიც პოლიტიკურ გადაწყვეტილებებზე რეგულარულ გავლენას ახდენენ. ამ კონცეპტის საფუძველზე მათ განსაზღვრეს ელიტათა სამი იდეალური ტიპი: კონსენსუსით გაერთიანებული, იდეოლოგიურად გაერთიანებული და დაშლილი. ამ ავტორთა თანახმად, პირველი სტაბილურ წარმომადგენლობით, მეორე – სტაბილურ არაწარმომადგენლობით და მესამე – არასტაბილურ წარმომადგენლობით პოლიტიკურ რეჟიმებს შეესაბამება (Field, Higley and Burton 1990). მოგვიანებით ჰიგლიმ და იან პაკულსკიმ სპეციალური ყურადღება ცენტრალური და აღმოსავლეთი ევროპის ქვეყნების ტრანზიციულ მდგომარეობას მიაქციეს და აღნიშნული სქემა ახალი სამმაგი ტიპოლოგიით შეავსეს. მათი დაკვირვებით, ევროპის პოსტკომუნისტურ სივრცეში ჩამოყალიბებული იყო კონსენსუსზე ორიენტირებული ელიტა, ფრაგმენტირებული ელიტა და დაყოფილი ელიტა (Higley and Pakulski 1999, 294). თუ როგორც პირველ, ისე მეორე სქემაში ელიტის პირველი ტიპი თამაშის წესებზე შიდაელიტურ შეთანხმებებსა და საბაზო

პოლიტიკური ინსტიტუტების მაღალ ლეგიტიმაციას ეყრდნობა, რის შედეგადაც სტაბილურ წარმომადგენლობით რეჟიმს ქმნის, დაშლილი, ფრაგმენტირებული თუ დაყოფილი ელიტები განსხვავებულ კონტინუუმს წარმოადგენს. მსგავსი ტიპის მმართველი კლასებისათვის სუსტი კონსოლიდაცია და გაზიარებულ ღირებულებათა დეფიციტია დამახასიათებელი.

ზედმეტად სოფისტური და სქემატური იქნება, თუ თეორეტიკოსთა მოდელებს ბოლომდე გავყვებით. ან, უკიდურეს შემთხვევაში, მათში აღნიშნულ ცვლადთა კონკრეტული მაგალითების იდენტიფიცირებას სპეციალური სოციოლოგიური კვლევა დასჭირდება. მაგრამ ზოგადი დაკვირვება, რომ ელიტის ფრაგმენტაცია მისი ცალკეული ფრაქციების კულტურული განსხვავებებიდან მომდინარეობს (მაგალითად, ყოფილი კომუნისტური ბიუროკრატია ტექნოკრატთა ან პოპულისტთა საპირისპიროდ), რელევანტური იყო და არის როგორც ქართული, ისე პოლონური ელიტის კომპოზიციაზე, მიზანსწრაფვასა და კულტურაზე სამსჯელოდ.

მე-20 საუკუნის 90-იან წლებსა და შემდგომშიც, ქართული პოლიტიკური კლასი დაშლილი ელიტის ტიპს უახლოვდებოდა. მის რიგებში იშვიათად თუ იყო თანხმობა პროცედურებსა და ინსტიტუტებზე. საქართველომ გამოცადა გადატრიალება, სამოქალაქო ომი, რევოლუცია და რევოლუციაზე შურისძიების მსგავსი მოვლენები. ის, რომ რუსეთი ყველაფერ ამაში ერეოდა, ადგილობრივ ელიტას პასუხისმგებლობისაგან არ ათავისუფლებს. განგებამ პოლონეთი ასეთი გამოწვევებისაგან დაიფარა – ხელისუფლების ცვლა პოლონეთში მშვიდობიანი არჩევნების გზით ხდებოდა. მაგრამ ფაქტია, რომ თუ ქართული ოპოზიცია და ხელისუფლება სასამართლოს დამოუკიდებლობის საკითხზე ვერ თანხმდება, რაღაც მსგავსს პოლონეთშიც ვხედავთ. პოლონელთათვის საბედნიეროდ, მათ ქვეყანაში არჩევნების შედეგები არასოდეს ყოფილა ისე საკამათო, როგორც ეს საქართველოში ხდება. შედე-

გად, ქართულ პოლიტიკურ ინსტიტუტებს ლეგიტიმაცია აკლია, ქართული მმართველი კლასი კი დაშლილია, ან დაყოფილი. პოლონეთში, ამ მხრივ, ერთგვარი ჰიბრიდულობაა: საარჩევნო პროცესი და მისი შედეგები მიუთითებს დემოკრატიის კონსოლიდაციაზე, რაც კონსენსუსით გაერთიანებული ელიტის ფუნქციაა. მაგრამ ძირითად პოლიტიკურ ფრაქციებს შორის არსებული სოციალურ-კლასობრივი მტრობა და საკონსტიტუციო სასამართლოს ირგვლივ მიმდინარე დავა შესაძლოა ფრაგმენტირებული – თუ არა დაყოფილი – ელიტის არსებობის ინდიკატორად მივიჩნიოთ. ჰიგლისა და პაკულსკისათვის პირველი არაკონსოლიდირებული დემოკრატიის ნიშანია, მეორე კი – ავტორიტარიზმის (Higley and Pakulski 1999, 295).

ქართულ-პოლონური შედარების სოციო-სტრუქტურული ნაწილის შეჯამებისათვის შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ორივე ქვეყანა ატარებს კომუნისტური წარსულის არც თუ შორეულ კვალს. თუმცა პოლონეთი გაცილებით წინაა წასული და ნატოსა თუ ევროპის კავშირის წევრობა მას ავტორიტარიზმისაკენ სრული შემოტრიალების შანსს არ აძლევს. მეტიც, საქმე მარტო ამ ინსტიტუტების წევრობას არ ეხება: მიუხედავად მტრულ ფრაქციებად დაყოფის არაერთი შემთხვევისა, მთლიანობაში, პოლონური ელიტა საერთო მიზანზე და modus vivendi-ზე ორიენტირებული რჩებოდა. „წითლები“ და „თეთრები“ 1863 წლის ამბოხებისას თანამშრომლობდნენ, 1918-1920 წლებში პილსუდსკი და დმოვსკი გამარჯვებულ მოკავშირე სახელმწიფოებს მეტ-ნაკლებად ერთი პოზიციიდან ესაუბრებოდნენ. დაბოლოს – გიედროიც-მიეროშევსკის დოქტრინა საერთო აღმოსავლური პოლიტიკის ჩარჩოდ გადაიქცა. საქართველოს ნაკლებად ჰქონდა მსგავსი ზეპარტიული სახელმძღვანელოს შექმნის ბედნიერება. პროცედურებისადმი ერთგულება და კომპრომისების ძიება პოლონურ კულტურაში შედარებით ღრმადაა გამჯდარი, საქართველო კი ძალიან დიდხანს აღმოჩნდა დაცილებული ევროპულ ცივილიზაციურ ქარგას. მაგრამ

ბოლომდე იზოლირებული არც ის ყოფილა და 1918-1921 წლების საქართველოს დემოკრატიულმა რესპუბლიკამ ნამდვილად შექმნა მტრული სოციალისტური და ნაციონალისტური ბანაკების თანამშრომლობის მაგალითი. ეს მაგალითი განმანათლებლობას, რაციონალიზმსა და ნაციონალიზმს ეყრდნობოდა. სამწუხაროდ, რეგიონში რუსეთის დაბრუნების გამო, იგი უდღეური აღმოჩნდა. საბჭოთა იმპერიის ნანგრევებზე სუვერენული პოლითეას აღდგენა ქართველებს უფრო გაუჭირდათ, ვიდრე პოლონელებს. ვფიქრობთ, რომ ამის მიზეზი პოლონეთის უკეთესი გეოპოლიტიკური და – იგივე ანჟეი ნოვაკის ტერმინოლოგია რომ გამოვიყენოთ (Nowak, 2008, 28) – გეოკულტურული მდებარეობაა.

ორივე ქვეყნის პოლიტიკური და ინტელექტუალური კლასების დომინანტურ დისკურსთა და დამოკიდებულებათა სიახლოვის, თუმცა კი ნიუანსური განსხვავების საილუსტრაციოდ ქვემოთ მოყვანილი განცხადებებია საინტერესო: ჩვენ არ გვესმის ერთმანეთისო, განაცხადა საზოგადოებრივი მაუწყებლის ყოფილმა ხელმძღვანელმა, მმართველი „ქართული ოცნების“ მხარდამჭერმა ვასილ მაღლაფერიძემ. მისი თქმით, ქვეყანაში ორი განსხვავებული საქართველო შენდება და ერთდროულად ორივეში ცხოვრება შეუძლებელია.[79] პოლონეთის სენატის წევრი, ევროპელ დემოკრატთა კავშირის წარმომადგენელი მიხალ კამინსკი კი ამბობს – პოლონური საზოგადოება გაყოფილია, ჩვენ ვიბრძვით არა მხოლოდ ძალაუფლებისათვის, არამედ პოლონელთა სულისათვის [...] მაგრამ უკრაინის მხარდაჭერა გვაერთიანებს ჩვენ (Kamiński 2023). ამ განაცხადთა შედარება აჩვენებს, რომ საკმაოდ კონფრონტაციული პოლონური პოლიტიკური ბანაკები მაინც ინარჩუნებენ ურთიერთმისასვლელ გზებს. მათ იდენტობებს ინტეგრაციის ნიადაგი აქვს, ქართული პოლიტიკის

79 ირაკლი ტაბლიაშვილის 2023 წლის 10 აგვისტოს Facebook პოსტი „როგორ საქართველოს აშენებს ხელისუფლება, ეს ამ კომენტარიდანაც ჩანს“. https://rb.gy/259y4 (ნანახია 23.08.2023)

წამყვანი აქტორები კი მსგავს პრივილეგიას მოკლებულნი არიან.

შედარებითი ანალიზის ერთი საინტერესო საზომია „ღალატის“ ცნება პოლონურ და ქართულ პოლიტიკურ დისკურსებში. როგორც წიგნის პირველ ნაწილში იყო აღნიშნული, დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის ბოლო სამი ათეული წლის მანძილზე ერის ღალატის ბრალდებას ქართველებში დიდი გასაქანი ჰქონდა. მეტიც, გარდასულ დროთა ისტორიული პერსონაჟებიც ხშირად ამ ცნების შუქზე ფასდებიან პოლიტიკოსების, ჟურნალისტების, ზოგჯერ კი ისტორიკოსებისა თუ მთელი საზოგადოების მიერ. ნათქვამის ილუსტრაციაა ცნობილი ანალიტიკოსისა და ყოფილი პოლიტიკოსის, ლევან ბერძენიშვილის სატელევიზიო რემარკა მეფე ერეკლე მეორის შესახებ. ბერძენიშვილის თქმით, 1783 წელს რუსეთის იმპერიასთან გაფორმებული ტრაქტატით ერეკლემ ღალატი ჩაიდინა. ამის გამო ბერძენიშვილი „ქართული ოცნების“ მომხრეებმა შეაჩვენეს. საინტერესოა, რომ მისი დემონიზაცია „ოცნების“ წინა ხელისუფლების დროსაც ხდებოდა: სააკაშვილის შინაგან საქმეთა სამინისტროს მეშვეობით ხელისუფლების მომხრე მედია საშუალებამ ბერძენიშვილისა და რუსეთის საელჩოს წარმომადგენლის საუბრის ფარული ჩანაწერი გამოაქვეყნა. იგი არანაირი კლასიფიცირებული ინფორმაციის გაცემას არ და ვერ შეეხებოდა თუნდაც იმიტომ, რომ ბერძენიშვილს არ ჰქონია ასეთ ინფორმაციასთან წვდომა. მაგრამ საუბარი ქვეყნის შიდაპოლიტიკურ მდგომარეობას ეხებოდა და რუს დიპლომატთან ასეთ თემებზე კონფიდენციალური საუბრები ხელისუფლებისათვის წითელი ხაზი იყო. მანამდე, საქართველოს პირველი პრეზიდენტის, ზვიად გამსახურდიას მომხრეები ოპონენტებს „კრემლის აგენტებს“ უწოდებდნენ ხოლმე. ალბათ ამდენად არა, მაგრამ ჩვენ მიერ ასევე ზემოთ მოხმობილი მაგალითები აჩვენებს, რომ პოლიტიკურად მიკერძოებული თუ ანაქრონისტული

დამოკიდებულებების გამოხატვა არც პოლონური საზოგადოების წარმომადგენლებისათვის იყო უცხო.

მთლიანობაში, პოლიტიკოსთა ურთიერთბრალდებებზე თანამედროვე პოლონელი ისტორიკოსების რეაქცია თავშეკავებასა და რაციონალობას გამოხატავს. მეტიც, მოზომილია ეროვნულ პერსონაჟთა უცხო ქვეყნებთან – რუსეთის ჩათვლით – კოოპერაციის ისტორიული ფაქტების მათეული ინტერპრეტაციებიც. კოლაბორაციის ნებისმიერი ფორმა, თუნდაც ეს უცხოელ სამხედროებთან ხდებოდეს, ღალატად ალბათ ვერ განზოგადდება, განსაკუთრებით, თუ მოცემული შემთხვევის დროით, პოლიტიკურ და კულტურულ გარემოებებს არ გავითვალისწინებთ. თანამედროვე ისტორიკოსების მიერ ადამ იერჟი ჩარტორისკისათვის, მარკგრაფ ვიელოპოლსკისა თუ ბევრი სხვისათვის მინიჭებული ადგილების გაცნობა საგანმანათლებლო ფუნქციის მატარებელია. პოლონური ისტორიოსოფია იძლევა იმის მაგალითს, თუ როგორ შევაფასოთ ალექსანდრე ამილახვრის მსგავს პერსონაჟთა ქმედებები და ფიქრები. ამილახვარს ერეკლე მეორეზე შურისძიება სწადდა და ამისათვის არც რუსების, არც სპარსელების დახმარებას არ თაკილობდა. მაგრამ მოდერნული ეროვნული ღალატია ეს თუ ფეოდალური მენტალობისა და სამართლებრივი შეგნების გამოვლინება? ეს კითხვა თავად ერეკლე მეორის მიმართაც შეიძლება დაისვას. ღალატი არაა ფიქცია, თუმცა ხშირად იგი პოსტფაქტუმ განვითარებული გაუთვალისწინებელი შედეგის ფუნქციაა. როგორც უკვე ვახსენეთ, სევერინ ჟევუსკისა და შჩენსნი პოტოცკის რუს სამხედროებთან გარიგებით მხოლოდ ხელისუფლების შეცვლისათვის რომ მიეღწიათ და ჟეჩპოსპოლიტა გადარჩენილიყო, გადარჩებოდა მათი პატრიოტიზმიც (Nowak 2008, 115-116). მაგრამ რუსეთის მაშინდელმა იმპერატრიცამ სხვაგვარად გადაწყვიტა და ეს არისტოკრატები, რომელთაც სამშობლოს სამსახური თავისებურად ესმოდათ, საშვილიშვილოდ გამოცხადდნენ მოღალატეებად.

2011 წლის გაზაფხულზე, როდესაც თბილისში საპროტესტო აქციები იმართებოდა, ოპოზიციის წარმომადგენელთა კიდევ ერთი ფარულად ჩაწერილი საუბარი გამოქვეყნდა. საუბრის ერთი მონაწილე ამბობდა, რომ თუ პოლიცია პროტესტანტებს ძალას დაუპირისპირებდა, მას საქმის დაჭერა რუსეთის სპეციალურ დანაყოფებთან მოუწევდა. იყო ეს ნათქვამი ღალატის ნიშანი, როგორადაც მისი წარმოჩენა ხელისუფლებას სურდა, თუ უსაგნო ოცნება? ან იქნებ ამ სიტყვებიდან ქართველ პოლიტიკოსთა შორის ისევ ცოცხალი ფეოდალური მენტალიტეტი მოჩანდა? როგორც ამ მაგალითიდან, ისე პოლონური და ქართული ნაციონალიზმისა თუ პატრიოტიზმის შედარებებიდან ერთი რამ იკვეთება: პოლონეთისაგან განსხვავებით, საქართველო სუსტ სახელმწიფოდ რჩება. მაგრამ იმ პროცესთა ტრაექტორია, რომელიც მე-19-20 საუკუნეებში ორივე ერს ახასიათებდა, საქართველოსათვის სამომავლოდ ასარჩევ გზას გვიჩვენებს.

ერთი გაკვეთილი, რაც საქართველოს პოლიტიკურმა კლასმა შეიძლება პოლონელთაგან მიიღოს, ე.წ. მრგვალი მაგიდის 1989 წლის შეთანხმების 20 წლისთავის ზემოთ აღწერილი აღნიშვნაა. იგი ძალზედ შემრიგებლური არ ყოფილა – პრეზიდენტი და პრემიერ-მინისტრი მას ცალცალკე ზეიმობდნენ. მაგრამ მათ პოლონურ საზოგადოებას მისცეს შანსი, რომ ამ ისტორიული მოვლენის იმდენი შეფასება ჰქონოდა, რამდენსაც ისურვებდა. 2003 წელს მომხდარი ე.წ. ვარდების რევოლუცია საქართველოში ასევე ძალიან კონფრონტაციულად აღიქმება. მაგრამ მის თაობაზე თავისუფალი მსჯელობების, კონფერენციებისა და რევოლუციის წლისთავებისადმი მიძღვნილი გამოფენების ნაცვლად, ჩვენ ვართ შემსწრენი, რომ რევოლუციის მამოძრავებელი ძალა – ყოფილი პრეზიდენტი სააკაშვილი – პატიმრობაშია, განათლების სამინისტრო კი მოწადინებულია, რომ სასკოლო სახელმძღვანელოებში ამ მოვლენის მხოლოდ ცალმხრივი, ნეგატიური შეფასება ეწეროს.

ყოველივე ნათქვამის პარალელურად, ქართულ და პოლონურ ნაციონალიზმებს ერთი მსგავსება ახასიათებს – ორივე აჩვენებს იდეათა მძლავრ განგრძობადობას მე-18 საუკუნის მიწურულიდან დღემდე. გიედროიცისა და მიეროშევსკის ხედვა აღარ მისდევს ძველ რომანტიკულ ტერიტორიულ გატაცებებს, მაგრამ იგი მაინც მე-19 საუკუნის იდეოლოგიური ფესვიდან მომდინარეობს. პარალელურად, თანამედროვე ქართული ნაციონალიზმიც ინსპირაციას იგივე დროებიდან იღებს. ეს ქართველი და პოლონელი მოაზროვნეების შედარების საჭიროებას განაპირობებს. რა თქმა უნდა, ყველა მათგანი არ ყოფილა რომანტიკოსი – ამ ცნების მკაცრი ლიტერატურულ-მსოფლმხედველობრივი გაგებით. თუ, მაგალითად, პოლონური და ქართული ნაციონალიზმების გააზრება ადამ მიცკევიჩისა და ილია ჭავჭავაძის შემოქმედების გარეშე შეუძლებელია, ხაზგასასმელია, რომ ამ უკანასკნელის აქტივობის პიკი პოსტრომანტიზმის ხანაში იყო. მაგრამ თუ ერისა და ეროვნული მიზნის გააზრებაზე ვსაუბრობთ, ცხადია, რომ რომანტიკული ელფერი არა მხოლოდ მე-19 საუკუნის პირველი ნახევრის შემდეგაც შენარჩუნდა, არამედ იგი ახლაც საგრძნობია როგორც თანამედროვე პოლონურ, ისე ქართულ ნაციონალიზმში. ოღონდ, რა თქმა უნდა, რომანტიზმის სურნელი გარდაუვალად ერწყმის რეალისტურ, პოზიტივისტურ თუ პოსტმოდერნისტულ არომატებს.

ადამ მიცკევიჩის ფილოსოფია და მსოფლმხედველობა ორი-სამი ათეული წლის შემდგომ ახალგაზრდა ილია ჭავჭავაძის ლიტერატურულ ნამუშევრებში განმეორდა. პეტერბურგში სასწავლებლად მყოფმა ილიამ 1860 წელს ადამ მიცკევიჩის პოეტური ნაწარმოების ნაწყვეტები თარგმნა (საბანაძე და ჯგერენაია 2021, 20). ჯერაც საკვლევია, თუ რამდენად ღრმად იცნობდა ილია მიცკევიჩის შემოქმედებით სამყაროს. მაგრამ მათ შორის პარალელები თვალში საცემია, რაც შეიძლება მათი საე-

რთოევროპული, განმანათლებლურ-რომანტიკული ფესვების წყალობით იხსნებოდეს.

მე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან, როდესაც ქართული ნაციონალიზმი ახლად ჩასახული ინტელიგენციის ლიტერატურულ-პუბლიცისტური მოძრაობის სახეს იღებდა და ილია მის უალტერნატივო ლიდერად იქცეოდა, ჭავჭავაძის და ერთი თაობით ადრე მოღვაწე მიცკევიჩის რწმენა, მინიმუმ, შემდეგ საკითხში დაემთხვა: ხელოვნების ადამიანი ერის იდეის წარმომადგენელი და ხალხის წინამძღოლი უნდა ყოფილიყო. ილია მიცკევიჩივით არ წასულა ემიგრაციაში და, შესაბამისად, მას არ შეეძლო იმპერიას ღიად დაჰპირისპირებოდა. მაგრამ იდენტობის მისეული დისკურსი, რომელიც ახალგაზრდობაში ჩამოყალიბებული კონცეფციის – „მამული, ენა, სარწმუნოება“ – ირგვლივ ვითარდებოდა (Nodia 2009), მიცკევიჩის კრედოს მსგავსი ანტიკოლონიური და რუსიფიკაციის საწინააღმდეგო სულისკვეთებით იყო განმსჭვალული.

ახალგაზრდობაში ადამ მიცკევიჩმა ლექსად გამოხატა თავისი კონცეპტუალური „სამება“. ლექსი “Hej, radością oczy błysną” (ჰე, თვალები სიხარულით ბრწყინავს) პოლონელ სტუდენტთა საიდუმლო საზოგადოების წევრ მეგობრებს ეძღვნება, მასში ასახული სამი პრინციპი კი მამული, სწავლა და ღირსებაა. მიცკევიჩის ნაციონალიზმს რელიგიურობა არ აკლდა – მის გამორჩეულ პოეტურ დრამაში “Dziady”[80] პოლონელი ერი ქრისტესთანაა შედარებული, რაც მრავლისმეტყველია. ამასთან, კათოლიკურ გარემოში აღზრდილი მიცკევიჩის “Dziady”-ს პროტაგონისტი ღვთის წინააღმდეგ იმაღლებს ხმას, რადგან მას პოლონელი ერის განსაცდელს საყვედურობს.

რელიგიურ საკითხში ილია ჭავჭავაძის ნაციონალიზმი ასევე არაორთოდოქსული იყო, თუმცა მისი რელიგიური არაორდინალურობა და დიალექტურობა უფრო

80 პირდაპირი მნიშვნელობით, ითარგმნება, როგორც „წინაპრები“ თუმცა ტერმინი წინაპართა სულების გამასპინძლების წარმართულ დღესასწაულს აღნიშნავს.

პოლიტიკურ-იდეოლოგიურ გათვლებში ავლენდა თავს. სწორედ ეს გათვლა ჩანს ილიას წერილში „ოსმალოს საქართველო“, რომელიც რუსეთ-თურქეთის საჯილდაო ისტორიულ სამხრეთ საქართველოს ეძღვნება და მუსლიმი ქართველების საკითხს განიხილავს. წერილშივეა მოცემული ჩვენ მიერ უკვე ნახსენები კიდევ ერთი ილიასეული გააზრება ერისა, რომელიც სცდება ფორმულას „მამული, ენა, სარწმუნოება“ და გამოხატულია, როგორც „ერთობა ისტორიისა“ (ჭავჭავაძე 1877, 1). ქართველი მკვლევარი სერგო რატიანი მიიჩნევს, რომ აქცენტი ისტორიის ერთობაზე, საბოლოო ჯამში, ილიას მიერ ერის ევროპული სამოქალაქო კონცეპტის გაზიარებაზე მიანიშნებს (რატიანი 2022, 373-375). ფაქტია, და უკვე ვახსენეთ, რომ ილია გმობდა ეთნიკურ უმსჯელობებსა და, კერძოდ, ანტისემიტიზმს. მაგრამ მისი სენტენცია, რომ ისტორია არის ტაძარი, „საცა უწირავს ერთიან სულსა ერისას“, განსაკუთრებით კი მისი პოლემიკა სომეხ საჯარო ფიგურებთან, ჭავჭავაძის შეხედულებებს – თუ არა ეთნიკურთან – კულტურულ ნაციონალიზმთან მაინც უფრო აახლოებს.

ზოგიერთისათვის ეს შეხედულებები რომან დმოვსკის ინტეგრალური ნაციონალიზმის მსგავსია.[81] ილია ალბათ იცნობდა დმოვსკის, რამდენადაც იმპერიის სათათბიროს პოლონელ დელეგატებთან ურთიერთობდა. ყოველ შემთხვევაში, ეს საკითხი მომავალი პოლონურ-ქართული შედარებითი კვლევების საგანი უნდა იყოს. და მაინც, ჩვენ ილიას დისკურსში ქართველ ადამ მიცკევიჩს უფრო ვხედავთ, თუნდაც რომ მათი ინდივიდუალური ბიოგრაფიები და შემოქმედებითი მოდალობები განსხვავებული ყოფილიყოს. მათ პოეტურ ხატებებში ერი, ნაცია თვითპროგრესირებადი კოლექტიური გონია, რომელიც ისტორიის მეშვეობით შეიმეცნებს თავს და ჰეგელის Geist-ს მოგვაგონებს.

---

81 მაშკიევიჩი, მარიუშ. ინტერვიუ ჩაატარა დავით დარჩიაშვილმა. პოლონეთის საელჩო, თბილისი, საქართველო. ივლისი 1, 2022.

როგორც ადრე ვახსენეთ, პოლონური ნაციონალიზმის კონცეპტუალიზაციის პროცესში ადამ მიცკევიჩი იოახიმ ლელეველის ისტორიციზმთან იყო თანაზიარი და "Przenarodowenie"-ს (რენაციონალიზაცია) იდეას ავითარებდა. ერის ამგვარი, არაეთნიკური გააზრებით, რაც შუასაუკუნეობრივ გზაგასაყარზე პოლონური, ლიტვური და რუთენიული საზოგადოებების ამალგამირების ფაქტს ეყრდნობოდა, მე-19 საუკუნის პოლონელ მოაზროვნეებს აღმოსავლეთ ევროპის ეთნიკურ ურთიერთობებში შეჰქონდათ წვლილი. თუ „რენაციონალიზაციის" ცნებას პირდაპირი მნიშვნელობით გავიგებთ, მასში პოლონეთი ისეთ ცივილიზაციურ ფენომენად წარმოჩინდება, რომელიც ოდესღაც ლიტვის დიდი სამთავროს ტერიტორიებსაც მოიცავდა. მაგრამ ასეთი ხედვა 1863 წლის პოლონური აჯანყების შემდგომ მოძველდა. ეს იყო ბოლო ჯანყი, რომლის ფარგლებშიც ლიტველები და ბელარუსები ძველი ჟეჩპოსპოლიტას დროშის ქვეშ დადგნენ (Wandycz 1996, 239). მას შემდეგ თავად მათი ნაციონალური იდენტობის ფორმირების პროცესი დაჩქარდა და „რენაციონალიზაციამ" საპირისპირო მიმართულებით დაიწყო სვლა. თუმცა მალე პოლონური ნაციონალიზმის ელასტიკურობა, მისი რომანტიკული და სამოქალაქო ფესვების სიცოცხლისუნარიანობა „კრესის" მიწებზე შექმნილ ახალ რეალობასთან თანდათანობით შეგუებაში გამოვლინდა. წინააღმდეგობრივად და ტერიტორიული პრეტენზიების თანხლებით, მაგრამ პილსუდსკის ლიდერობით აღდგენილმა მეორე ჟეჩპოსპოლიტამ ლოზუნგი „ჩვენი და თქვენი თავისუფლებისათვის" ინტერმარიუმის ფედერაციის პროექტად გარდაქმნა.

ეროვნული იდენტობის ილია ჭავჭავაძისეული ხედვა „რენაციონალიზაციის" ნათელ ანალოგს არ შეიცავს. თანამედროვე ენით რომ ვთქვათ, ეს დოქტრინა ეთნიკური პოლითეებიდან პოლიტიკური ერის შენებასა და ფედერირებული ერთეულების თავისუფალ ასოცირებაზე მსჯელობაა. ილია ამ მიმართულებით არ წასულა,

მაგრამ თუ პოლონური და ქართული ფეოდალური სამეფოების შექმნის მსგავს ტრაექტორიას გავიხსენებთ, თუ საქართველოს წარსულში დინასტიურ ალიანსებსა და კულტურათა ამალგამირებას მივაქცევთ ყურადღებას, przenarodowenie/რენაციონალიზაცია ქართულ-კავკასიური ეთნიკური სხვაობებისა და პოლიტიკური აფილიაციების ისტორიულ შეხამებაზე სამსჯელოდაც გამოდგება. რა თქმა უნდა, მსგავსი კონცეპტები თანამედროვე ქართული თუ სხვა ეთნოკონფლიქტების მყისეული გადაწყვეტის რეცეპტი არ არის: როგორც დავინახეთ, საწყისი ფორმის რენაციონალიზაციამ საბოლოოდ არც პოლონურ-ლიტვურ ურთიერთობებს უშველა. მაგრამ ამ საკითხზე აქცენტირება: ა) ქართული და პოლონური იდენტობების მსგავსება-განსხვავებების მატრიცის წარმოსახვაში გვეხმარება; ბ) მიუთითებს, რომ კულტურულ-პოლიტიკური და ეთნიკური იდენტობების დიფერენცირება ერის შენების ნაყოფიერი გზაა.

რა თქმა უნდა, მე-19 საუკუნის ატიტუდები პირდაპირი მნიშვნელობით არ უნდა ცოცხლდებოდეს. მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი პოეტი, ისტორიკოსი თუ პოლიტიკოსი ამას დღენიადაგ სჩადის, ეს ანაქრონიზმია. მაგრამ რამდენადაც ნაციონალიზმი ემოციებშია ჩაქსოვილი და ეროვნული იდენტობის ფორმირება ისტორიული მეხსიერების რეკონსტრუქციის გარეშე წარმოუდგენელია, ქართულ საზოგადოებას უნდა აინტერესებდეს პოლონური გამოცდილება. იგი აჩვენებს მენტალურ თუ დისკურსულ განგრძობადობას იაგელონთა დროიდან ინტერმარიუმისა და გედროიც-მიეროშევსკის დოქტრინებამდე. მასშივეა იაგელონთა დროებაზე რენაციონალიზაციითა და მოდერნულ-რომანტიკული მსოფლმხედველობით რეფლექსირების ადგილიც. ჩვენთვის ინტერმარიუმი და გიედროიც-მიეროშევსკის დოქტრინა საუკუნოვანი წარსულის დიალექტიკური რევიზიის მაგალითებია. ისინი ქმნის ეროვნულ/რეგიონულ გეოკულტურას, რომელიც შეესაბა-

მება ისეთ თანამედროვე ღირებულებებსა და ინსტიტუტებს, როგორებიც დემოკრატია და ევროპის კავშირია.

სავსებით შესაძლებელია, რომ საქართველოს წარსულიც იძლეოდეს მსგავსი გეოკულტურის ნიადაგს. ქართული სამეფო-სამთავროები გამოირჩეოდა რელიგიური ტოლერანტობით, რისი ქადაგებაც შემდგომ ილია ჭავჭავაძის მსგავსმა მოაზროვნეებმა განაგრძეს. კონცეპტუალიზაციის შემთხვევაში, ეს გარემოება იმდაგვარად რეკონსტრუირებული კოლექტიური იდენტობის ნაწილი ხდება, რომელიც თანამედროვე მულტიკულტურალიზმის შესაფერისია. მეორე მხრივ, როგორც ვნახეთ, ფედერალიზმი მე-20 საუკუნის დამდეგის ქართველ პოლიტიკოსთა შორის პოპულარობით სარგებლობდა. მოგვიანებით, საბჭოთა და პოსტსაბჭოთა დროებაში ქართული ეროვნული ხედვა მეტად ეთნოცენტრისტული გახდა. თუმცა სააკაშვილის მმართველობისას, ქართული პოლიტიკური კლასის ნაწილი პილსუდსკის ინტერმარიუმმა და პრომეთეანელობამ გაიტაცა. სააკაშვილი თავად დაინტერესდა პოლონური გამოცდილებით და თანამედროვე პოლონეთის საგარეო პოლიტიკით. როგორც ვთქვით, სააკაშვილის „ჩემი მანიფესტი“, რომელიც მან 2021 წელს, პატიმრობაში ყოფნისას დაწერა, ანჟეი დუდას „სამი ზღვის ინიციატივით“ აღფრთოვანებას გამოხატავს და მასში პილსუდსკის ანტირუსული ინტერმარიუმის კვალს უსვამს ხაზს (Saakashvili 2021).

ყველა ამ ინტელექტუალური ელემენტებისაგან შეიძლება აიგოს არსით ევროპული იდეური კონსტრუქტი, რომელიც საქართველოს პოლონეთთან დამაკავშირებელ დოქტრინას ჩაუყრიდა საფუძველს. ეს კავშირი შესაძლოა იყოს პოლიტიკურიც, ეკონომიკურიცა და კულტურულიც. ამ წიგნით ჩვენ შევეცადეთ გვეჩვენებინა, რომ ორ ერს შორის არსებული ძლიერი განსხვავებების მიუხედავად, ისტორია მათი შემდგომი დაახლოების წინაპირობებს იძლევა. სახეზეა ქართულ-პოლონური თანამშრომლობის რეგიონული უსაფრთხოებისათვის

გამოყენების არა მხოლოდ პოტენციალი, არამედ მცდელობებიც. თუმცა საქართველოს ჯერაც არ გააჩნია გიედროიც-მიეროშევსკის დოქტრინის მსგავსი მწყობრი, საზღვრებს მიღმა ორიენტირებული და გეოკულტურულად შეფერილი ხედვა. ადგილობრივ ექსპერტთა ცალკეული მოსაზრებები ევროინტეგრაციასთან თავსებად შავი ზღვისა თუ კავკასიის იდენტობაზე, ისევე როგორც აღმოსავლეთ-დასავლეთის საკომუნიკაციო დერეფანზე სწორია, მაგრამ არასაკმარისი. გიედროიც-მიეროშევსკის ცოცხალი მემკვიდრეობისაგან განსხვავებით, მათ აკლია გეოკულტურული შემადგენელი, რომელიც, პოლონეთის შემთხვევაში, ანტიიმპერიული, მულტიკულტურული და დემოკრატიაზე ორიენტირებულია. შეიძლება ისეც მოხდეს, როგორც ეს საკაშვილის „მანიფესტშია“ ნათქვამი, და ქართულმა საზოგადოებამ ინტერმარიუმის/პრომეთეიზმის აღორძინებაში მონაწილეობის ინტელექტუალური ძალა იპოვოს. მაშინ ქვეყნის ევროპული მისწრაფება ისეთი გეოკულტურული ნიშითა და კოლექტიური იდენტობით გაძლიერდება, რომელიც ისტორიის მომავალზე ორიენტირებულ რეკონსტრუქციას დაეყრდნობა.

დასკვნის ნაცვლად: პოლონურ-ქართული მაგალითების შედარება, როგორც კოლონიური/ პოსტკოლონიური კვლევების შემთხვევა

თანამედროვე ქართული და პოლონური ნაციონალური იდენტობები, ისევე როგორც შესაბამისი ნაციონალური მოძრაობები მე-18 საუკუნიდან ვითარდებოდა. თუ პოლონეთის შემთხვევაში ჩვენ შეგვიძლია საუბარი გეოპოლიტიკური და გეოკულტურული განზომილების მქონე ეროვნულ კონსოლიდაციაზე, ქართულ საზოგადოებაში არსებული პრინციპული საგარეო და საშინაო პოლიტიკური უთანხმოებები პროცესის დაუსრულებლობის შთაბეჭდილებას ტოვებს. და მაინც, ორ საუკუნეზე მეტი ხნის მანძილზე ორივე ქვეყანა ტრანსფორმაციის ფუნდამენტურ პროცესს ერთნაირად – დიდწილად, რუსეთთან დაპირისპირებაში – გადიოდა. ეს დაპირისპირება ისევ გრძელდება: 2008 წლის საქართველო-რუსეთის ომი და რუსეთის 2022 წლის ფართომასშტაბიანი სამხედრო აგრესია უკრაინაში არ ტოვებს ეჭვს, რომ როგორც საქართველოსათვის, ისე პოლონეთისთვის, ყოფილი დამპყრობლის ნარჩენი იმპერიალისტური მიდრეკილებები მთავარ ეროვნულ და რეგიონულ საფრთხედ რჩება.

ორივე ეროვნული საზოგადოების კოლექტიური მეხსიერება, რეგიონში მიმდინარე პოლიტიკური მოვლენები და მათი ქართულ-პოლონური ინტერპრეტაციები განაპირობებს დომინანტურ რწმენას, რომ რუსეთი კოლონიალურ ძალად დარჩენას ლამობს. რუსეთის უკრაინაში შეჭრა საერთაშორისო დონეზეც კოლონიურ ომად აღიქმება (Snyder 2022). მსგავსი დისკურსული რეალობა აჩენს ლოგიკურ კითხვას – ხომ შეიძლება პოლონური, განსაკუთრებით კი ქართული ნაციონალიზმების შემთხვე-

ვები კოლონიური და პოსტკოლონიური მულტიდისციპ-ლინარული გადმოსახედიდან იქნეს დანახული?

მე-20 საუკუნის 70-იანი წლებიდან მაინც, მოდერნული იმპერიების შიდა ინსტიტუტების, იმპერია-კოლონიის სტრუქტურის, მისი კულტურული გავლენისა და მემკვიდრეობის მიმართ ინტერესი გაფართოვდა: „კონტროლის ნაირფერი მექანიზმებითა და ანტიკოლონიური ნაციონალიზმის სხვადასხვა ეტაპის გავლით ჩამოყალიბებული კოლონიების საკითხი სფეროს მრავალ მკვლევარს იტაცებს“ (Bahri 1996). შესაბამისად, ლეგიტიმურია ჩვენი განხილვის შემთხვევებზეც ამ ჭრილში ვიფიქროთ. ნათქვამი მით უფრო რელევანტურია, რომ აღმოსავლეთ ევროპის რიგი მკვლევრები, რომელთა შორისაც ქართველებიც არიან, პოსტკოლონიური კვლევების მეთოდოლოგიას არა მხოლოდ ცარისტული, არამედ საბჭოთა პერიოდის შესწავლაზეც მიმართავენ.[82] აღსანიშნავია, რომ ისტორიის ცნობილ მონაკვეთში საქართველოს რუსეთის იმპერიის კოლონიად აღქმა ქართულ საბჭოთა ისტორიოგრაფიაშიც ღრმად იყო გამჯდარი. მაგალითისათვის, აკაკი სურგულაძე 1801-1917 წლების საქართველოს იმპერიის განაპირა კოლონიურ მხარედ განსაზღვრავდა (სურგულაძე 1972, 5).

თუმცა კოლონიური/პოსტკოლონიური კვლევების დიდი ნაწილი, რომელიც „თეთრი ადამიანის ტვირთის“ და „ცივილიზატორული მისიის“ მსგავს კლიშეთა კრიტიკული ანალიზითაა დაკავებული, ძირითადად აფრიკისა და აზიის ხალხთა შესწავლაზე კონცენტრირდება. არავინ კამათობს, რომ რუსეთის იმპერიას კავკასიაში სწორედაც რომ „ცივილიზატორული მისიის“ პრეტენზია ჰქონდა და, ამდენად, კოლონიურ ძალას განასახიერებდა, მაგრამ პოლონურ-რუსული ინტერაქცია ამ მხრივ უფრო ნიუანსურადაა დანახული. მალტე როლფი თვლის, რომ იმპერიის ფარგლებში პოლონეთის მოქცევა მთლად კოლონიურ

82 მაგალითად, იხ. Koplatadze, Tamar. 2019. Theorising Russian Postcolonial Studies, Postcolonial Studies, 22: 469-489.

პროექტს არ ჰგავდა. მისთვის ვარშავა რუსთა ევროპული ფანჯარა იყო, რუსულ იდეას კი „იმპერია როგორც ერთი ერი“ წარმოადგენდა (Rolf 2021, 11-14). ანჟეი ფურიერი, რომელიც უშუალოდ კოლონიურ/პოსტკოლონიურ დისკურსს არ განასახიერებს, მაგრამ იმავე პრობლემებზე წერს, მიიჩნევს, რომ პოლონეთი რუსეთზე დაწინაურებული იყო, საქართველოს კი იმპერიამ რაღაც პროგრესი მაინც მოუტანა (Furier 1999). არსებითად, ფურიერის აზრი არა მხოლოდ საბჭოთა საქართველოს ისტორიოგრაფიას ეყრდნობოდა, არამედ ნოე ჟორდანიას შეხედულებებსაც ემთხვეოდა.

შეხედულებათა ნაირფერობიდან გამომდინარე, ხომ არ ვიფიქროთ, რომ რუსეთის იმპერია ისეთი ჰიბრიდული ბუნების იყო, რომ საქართველოში კოლონიურ რეჟიმს წარმოადგენდა, პოლონეთში კი არა? სხვა ერებზე რუსეთის დომინირების სპეციფიკური ხასიათი ეჭვს არ იწვევს, რამდენადაც ყველა იმპერია და ნაციონალიზმი უნიკალურია. მაგრამ ეს გარემოება განზოგადებებს ვერ შეაკავებს. დევიდ მური ხსნის, თუ რატომ არ სურს ზოგიერთ მკვლევარს პოსტკომუნისტური ქვეყნების ბედი პოსტკოლონიური თეორიით იკვლიოს. მურის თქმით, ბევრი პოსტკოლონიალისტი მოაზროვნე მემარცხენეა, იდეოლოგიური სპექტრი კი აკადემიურ საზოგადოებას ისევე ყოფს, როგორც პოლიტიკურს. ამის გამო, პოსტკოლონიალიზმის დისციპლინის წარმომადგენლებს არ სურთ, რომ საბჭოთა კავშირი საფრანგეთისა თუ ბრიტანეთის მსგავს კოლონიურ ბოროტმოქმედად წარმოაჩინონ (Moore 2006, 20). ეს მოსაზრება კომუნისტებამდელ რუსეთს არ ეხება, მაგრამ მურის მეორე რემარკას, რომ რუსული მმართველობის ქვეშ ოდესღაც მყოფ ევროპელ ერებს არ ხიბლავთ შედარება პოსტკოლონიურ „ფილიპინელებთან და განელებთან“ (Moore 2006, 20), არგუმენტაციის არანაკლებ საინტერესო ხაზზე გავყავართ.

კულტურული და ეპისტემური ტრანსფორმაციებით დაინტერესებული პოსტკოლონიალიზმის თეორეტი-

კოსი, გაიატრი სპივაკი წერს, რომ ცნებები „კოლონიზატორი“ და „კოლონიზებული“ ელასტიკურია. სპივაკის დასკვნით, თუ უცხო სახელმწიფო თავის კანონებსა და განათლების სისტემას ამკვიდრებს, ამავდროულად კი წარმოების რეჟიმს საკუთარი სარგებლიანობისათვის გარდაქმნის, ეს ცნებები რელევანტური ხდება (Spivak 2003, 15). ჩვენ არ ვთვლით თვითმიზნად, რომ საქართველოს ან თუნდაც პოლონეთს ყოფილი კოლონიების იარლიყი მივუსადაგოთ. საკმარისია იმის თქმა, რომ ორივე ქვეყანა დაპყრობილი და იმპერიის მატრიცაში ძალით შეყვანილი იყო. მაგრამ ჩვენ ასევე მივიჩნევთ, რომ ქართველი და პოლონელი ერების წარსულისა და აწმყოს ანალიზისათვის პოსტკოლონიური პერსპექტივა სარგებლის მომცემია. კერძოდ, „ჰიბრიდულობის“ და „დეკოლონიზაციის“ პოსტკოლონიური ტერმინოლოგია ამ წიგნში გადმოცემული ისტორიისათვისაა რელევანტური. აქედან პირველი კოლონიზატორთა ნეგატიურ და, იმავდროულად, მოდერნიზატორულ გავლენას ასახავს, რაც დამპყრობლისა და დაპყრობილის ურთიერთაღქმების დუალობას ბადებს: „კოლონიზებულისათვის“ არჩევანი – წინააღმდეგობა თუ შემგუებლობა – ხშირად დილემის სახით ვლინდება. დეკოლონიზაცია კი ძალაუფლებრივი ურთიერთობების დეკონსტრუქციაა, რაც ინტელექტუალურ სფეროსაც ეხება (Ashcroft et al. 2013). საკითხავი ისაა, რამდენად სწრაფად და სრულად მოსდევს ფორმალურ-იურიდიულ დეკონსტრუქციას რეალური.

თავის მხრივ, პოლონეთისა და საქართველოს შედარება, რომელიც მკითხველს წარვუდგინეთ, შესაძლოა, კოლონიური/პოსტკოლონიური ზოგადი დისკურსისათვისაც სასარგებლო იყოს: ჩვენ უკვე ვახსენეთ, რომ იერჟი გედროიცი, რომლის თანამონაწილეობით შემუშავებული ხედვა დღესაც პოლონეთის საგარეო პოლიტიკის ქვაკუთხედია, რუსული პოლიტიკისა და კულტურის დაცილებას უჭერდა მხარს. უპირისპირდებოდა რა რუსეთს/საბჭოთა კავშირს პოლიტიკურად, იგი მის დემოკრატიზაციას

იმედოვნებდა. გარკვეულწილად, გედროიცი წარმოადგენდა „კოლონიურ კულტურას“, მაგრამ არა საკუთარი ეროვნული კულტურის ხარჯზე. ლიტერატურული გავლენები, იმპერიული ცენტრის „მაღალი კულტურის“ დომინირება პერიფერიულ კულტურულ ცხოვრებაზე პოსტკოლონიალიზმის მკვლევართა საყვარელი თემაა. გედროიცის ფიქრები მათთვის დამატებითი გამოწვევა იქნებოდა.

პოლონური და ქართული შემთხვევები პოსტკოლონიური აკადემიური დისკურსისათვის კიდევ ერთი, ნაკლებად არტიკულირებული მხრიდანაა აქტუალური: შეიძლება ვივარაუდოთ, რომ გარკვეულ ეტაპზე პოლონელები რუსულ იმპერიულ სისტემაში საკუთარ ნიშას ეძებდნენ და ფიქრობდნენ, რომ მათ იმპერიის ცივილიზატორულ მისიაში მონაწილეობა წაადგებოდათ. ყოველ შემთხვევაში, ამაზე მეტყველებს უკვე ნახსენები იან პოტოცკის მოსაზრებები. საფიქრებელია ისიც, რომ გრიგოლ ორბელიანს, ისევე როგორც სტალინის თაობის ბევრ ქართველს იმპერიული სამსახურის და ეროვნული გრძნობების დაწყვილების იგივე ჰიბრიდული განცდა ჰქონოდა. საინტერესოა, როგორ გრძნობდნენ თავს კორსიკელები, როდესაც მათი წარმომადგენელი ნაპოლეონი საფრანგეთის იმპერიას მართავდა. გვჯერა, რომ მსგავსი დაკვირვებები არსებობს, რაც ქართველი ერის ფორმირების მაგალითის სხვა შემთხვევებთან შედარების შესაძლებლობას ქმნის. მაგრამ ეს სხვა პროექტია. ამ წიგნის ფარგლებში კი შეგვიძლია დავასკვნათ, რომ პოლონელ ერს უკვე აქვს იმუნიტეტი კოლონიალიზმის ისეთი სინდრომის წინააღმდეგ, როგორიც იმპერიის სამსახურში ნაციონალური სენტიმენტების დასაკმაყოფილებლად შესვლაა. მაგრამ ქართველებს შორის ისევ შეიძლება მოიძებნონ ისეთნი, ვინც 1956 წელს ხრუშჩოვის დესტალინიზაციის კამპანიას აპროტესტებდა: გორში არსებული სტალინის მუზეუმი ნათქვამის დადასტურებაა.

წინამდებარე წიგნის შესავალში მოყვანილი ფურიერის მოსაზრებები, რომელთა თანახმადაც, პოლონური

და ქართული გამოცდილება განსხვავებულია, მცდარია პოსტკოლონიური „ჰიბრიდულობის“ თვალსაზრისით: რუსეთის იმპერიასთან შეგუებისა და დაპირისპირების წინააღმდეგობრივი პროცესი ორივე შემთხვევაში მიმდინარეობდა. მაგრამ ის შეიძლება მართალი იყოს „დეკოლონიზაციის“ გადმოსახედიდან. პოლონეთი განიკურნა პოსტკოლონიური იმპულსებისაგან, თუმცა კი მის პოლიტიკურ კლასს რუსეთის მიმართ განსაკუთრებული მგრძნობელობა ახასიათებს. უკრაინაში რუსეთის შეჭრიდან გამომდინარე, არ გვგონია, რომ პოსტკოლონიური სინდრომის რომელიმე მკვლევარმა პოლონელთა ეს მგრძნობელობა უმსჯელობად და არა რეგიონული უსაფრთხოების გამოწვევაზე ადეკვატურ რეაქციად ჩათვალოს. მაგრამ როდესაც საქართველოს ვაკვირდებით, ისევ გაუგებარია თუ სად მოიაზრებენ მისი მმართველები საკუთარ თავს – საერთაშორისო თანამეგობრობაში, თუ კვლავ ყოფილი ბატონის ჩრდილში.

ბიბლიოგრაფია

ავალიშვილი, ზურაბ. საქართველოს დამოუკიდებლობა 1918-1925 წლების საერთაშორისო პოლიტიკაში. მოგონებანი. ნარკვევები. ტფილისი, 1925.

ამირხანაშვილი, ივანე. 2009. სულხან-საბა ორბელიანი, რჩეული ანოტირებული ბიბლიოგრაფია. თბილისი: შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი https://www.litinstituti.ge/sulxan-saba-anotbiblio.pdf (ნანახია 12.23.2003).

ანთელავა, ირაკლი, რედ. *საქართველოს ისტორიის ნარკვევები,* ტ 5. თბილისი: საბჭოთა საქართველო, 1970.

ბადრიძე, შოთა. წიწამურის ტრაგედიის გამოცანები. თბილისი: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1991.

ბათიაშვილი, ნუცა. 2018. „ორხმოვანი ერი“. *National Geographic საქართველო,* დეკემბერი, 2018. https://nationalgeographic.ge/story/orkhmovani-eri/ (ნანახია 12.23.2023).

ბატონიშვილი, იოანე. კალმასობა, ტომი 2. რედაქტორები კორნელი კეკელიძე და ალექსანდრე ბარამიძე. თბილისი: სახელგამი, 1948.

ბაქრაძე, აკაკი. „დავიწყებული იდეა“. ტომეულში *ქართული მწერლობა.* ტ. 5. შემდგ. აკაკი ბაქრაძე და რევაზ თვარაძე. თბილისი: ნაკადული, 1988.

ბერძენიშვილი, დავით, და დავით ზურაბიშვილი. *საქართველო თავისუფლების აღმართზე*. თბილისი: ფრიდრიხ ნაუმანის ფონდი, 2020.

ბენდიანიშვილი, ალექსანდრე. *ეროვნული საკითხი საქართველოში* 1801-1921. თბილისი: მეცნიერება, 1980.

ბლუაშვილი, უჩა. *საქართველოს ისტორია* 1900-2016. თბილისი: მწიგნობარი, 2016.

გამსახურდია, ზვიად. *საქართველოს სულიერი მისსია*. თბილისი: გამომცემლობა განათლება, 1990.

გაფრინდაშვილი, მიხეილ. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტომი 5. თბილისი: საბჭოთა საქართველო, 1970.

გაფრინდაშვილი, მიხეილ. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტომი 6. თბილისი: საბჭოთა საქართველო, 1972.

გვახარია, გოგი. *ცრემლიანი სათვალე.* თბილისი: ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, 2013.

გოგოლაძე, ლადო. 2013. საკაშვილის 9 წლიანი მმართველობა როსტომ-ხანის მეფობის პერიოდს ჰგავდა. ინტერვიუ ისტორიკოს ზაზა აბაშიძესთან. *კვირის პალიტრა.* ოქტომბერი, 2013. https://kvirispalitra.ge/article/19296-qsaakashvilis-9-tsliani-mmarthveloba-rostom-khanis-mefobis-periods-gavdaq/ (ნანახია 23.03.2023).

გოზალიშვილი, გიორგი. 1832 წლის შეთქმულება. თბილისი: მერანი, 1970.

გუგუშვილი, პაატა. *ქართული წიგნი*. თბილისი: ზარია ვოსტოკა, 1929.

გუნცაძე, მანუჩარ. 2022. ,,ანტისამთავრობო გამოსვლები შიდა ქართლის მთიანეთში 1918-1921 წლებში“. სადოქტორო დისერტაცია. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. https://newtsutest.tsu.ge/assets/media/files/48/disertaciebi5/Manuchar_Guntsadze.pdf (ნანახია 01.15.2024).

გურული, ვახტანგ. *საქართველოს მკვლელები, ილია ჭავჭავაძის მკვლელობის ისტორიისადმი მიძღვნილი წერილები*. თბილისი: უნივერსალი, 2008.

დარჩიაშვილი, მანანა. 2005. ,,ერთაშორის ურთიერთობების საკითხი ქართულ დემოკრატიულ პრესაში (1900-1917)“'. სადოქტორო დისერტაცია. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. https://digitallibrary.tsu.

ge/book/2022/Feb/dissertations/darchashvili-ertashorisi-disertacia.pdf (ნანახია 01.09.2024).
დარჩიაშვილი, დავით. 2021. ერი და ისტორია დღეს: ილია ჭავჭავაძს ინტელექტუალური მემკვიდრეობის ინტერპრეტაცია. *ჩემი სამყარო* 34: 24-29
დევდარიანი, ჯაბა. 2021. რუსეთ-საქართველოს კავშირი და გაყრა: რას გვიამბობს თარიღები 1783 წლის 23 ივლისი, 1918 წლის 26 მაისი, 1991 წლის 9 აპრილი. *აკადემიური ესეები.* https://www.crs.ge/academic-essays-2021ka/jaba-devdariani (ნანახია 27.12.2023).
დოდაშვილი, სოლომონ. *თხზულებანი*. თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1961.
დობორჯგინიძე, ნინო. „'ერეკლე მეორისა და მისი სამეფოს ევროპული პროექცია". წიგნში ქართველთა კულტურული კვალი გერმანიაში, რედ. ნინო დობორჯგინიძე, 166-218. თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2019.
დუმბაძე, მამია. 1974. ქართლ-კახეთის სახელმწიფოს გაუქმება და რუსეთთან შეერთება. *საქართველოს ისტორიის ნარკვევები* IV: 802-843.
ვენ-სონ. 1918. ამიერკავკასიის სეიმი. *გაზეთი ერთობა* 56: 3.
თავზიშვილი, გიორგი. რჩეული პედაგოგიური თხზულებანი, ტომი II. თბილისი: განათლება, 1977.
თევზაძე, გურამ. 2010. ილია ჭავჭავაძე და ახალი აზროვნება. ბურუსი. https://burusi.wordpress.com/2010/10/27/guram-tevzadze/ (ნანახია 25.04.2023).
ინგოროყვა, პავლე. *მერჩულე, ქართველი მწერალი მეათე საუკუნისა*. თბილისი: საბჭოთა მწერალი, 1954.
ირემაძე, ირაკლი.,,წინასიტყვაობა" წიგნში *ქართული მემარცხენეობის ქრესტომატია.* რედაქტორები მალხაზ მაცაბერიძე, ირაკლი ირემაძე, ლევან ლორთქიფანიძე, ხვიჩა ყაზაიშვილი და სოფიკო შუბითიძე 7-8. თბილისი: თბილისის ფაბიანური საზოგადოება, 2015.

კაუცკი, კარლ. საქართველო. გლეხთა სოციალ-დემოკრატიული რესპუბლიკა. შთაბეჭდილებანი და დაკვირვებანი. თბილისი: ფრიდრიხ ებერტის ფონდის საქართველოს წარმომადგენლობა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2018.

კიკვიძე, აბელ. *საქართველოს ისტორია XIX საუკუნეში.* თბილისი: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 1954.

კილანავა, ცირა. 2013. ,,ქართული ნაციონალური დისკურსის ფორმირება: საქართველოსა და რუსეთის იმპერიის მარკირების მოდელები და ქართული ნაციონალური თვითიდენტიფიკაცია მე-18 საუკუნის დასასრულისა და მე-19 საუკუნის ქართულ ლიტერატურაში". სადოქტორო დისერტაცია. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი. https://shorturl.at/Ikwfr (ნანახია 01.12.2024).

კობახიძე, რატი. 2020ა. თბილისის საადგილმამულო ბანკი და მისი მნიშვნელობა. *Europe-Georgia Institute*. https://shorturl.at/wjXeO (ნანახია 30.12.2023).

კობახიძე, რატი. 2020ბ. ილია ჭავჭავაძე პოლიტიკაში *Europe-Georgia Institute*. https://shorturl.at/WJW29 (ნანახია 23.12.2022).

კომუნისტური პარტიიის არქივი. n.d. ფონდი 19, აღწერა, 127, საქმე 91, გვ. 108-165, თბილისი: შინაგან საქმეთა სამინისტრო.

ლადარია, ნოდარ. 2015. სულხან-საბა ორბელიანი: ევროპა ქართველის მზერით. *ისტორიის რეკონსტრუქციები* 1: 78-84.

მახარაძე, ფილიპე. 1921. მოხსენება რუსეთის კომ. პარტიის ცეკას საქართველოში მუშაობის შესახებ. *რესპუბლიკა* 100. https://civil.ge/ka/archives/569180 (ნანახია 24.12.2023).

მეუნარგია, იონა. *ცხოვრება და ღვაწლი თ. გრიგოლ ორბელიანისა.* ტფილისი: ელექტრონის სტამბა წიგნ. გამომც. ქართვ. ამხანაგობისა, 1905.

მუსხელიშვილი დ., ჯაფარიძე, ო., მელიქიშვილი, გ., აფაქიძე, ა., ლორთქიფანიძე, მ., მეტრეველი, რ., სამსონაძე, მ., ასათიანი, ნ., ჯამბურია, გ., ოთხმეზური, გ., ნათმელაძე, მ., ბენდიანიშვილი, ა., დაუშვილი, ა. საქართველოს ისტორია. ტ 3. თბილისი: Palitra L, 2012.

ნინიძე, მაია და ივანე ამირხანაშვილი, რედ. *ილია ჭავჭავაძის ცხოვრებისა და შემოქმედების მატიანე.* თბილსი: გამომცემლობა მთაწმინდა, 2017.

ორბელიანი, გრიგოლ. 1874. პასუხი შვილთა. *ბიბლიოთეკა სკოლას.* http://www.nplg.gov.ge/civil/statiebi/saskolo/pasuxi_SvilTa.htm (ნანახია 25.12.2023).

ჟორდანია, ნოე. *ჩემი წარსული.* თბილისი: სარანგი, 1990.

ჟორდანია, ნოე. „ქართველი ხალხი და ნაციონალიზმი“ წიგნში *ქართული მემარცხენეობის ქრესტომატია.* რედაქტორები მალხაზ მაცაბერიძე, ირაკლი ირემაძე, ლევან ლორთქიფანიძე, ხვიჩა ყაზაიშვილი და სოფიკო შუბითიძე 28-48. თბილისი: თბილისის ფაბიანური საზოგადოება, 2015.

ჟორდანია, ნოე. 2019. „ბნელი ძალები“, *რესპუბლიკა* 100*, Civil.ge*, https://civil.ge/ka/archives/304850 (ნანახია 01.06.2024).

ჟვანია, გრიგოლ. *ეგრეთ წოდებული ნაციონალ-უკლონიზმის შესახებ.* თბილისი: საბჭოთა საქართველო, 1990.

რადიო თავისუფლება. 2023. ილია II-მ უკრაინაში რუსეთს დაქვემდებარებული ეკლესიის ბედზე მსოფლიო პატრიარქს მისწერა. *რადიო თავისუფლება,* მარტი 26, 2023. https://www.radiotavisupleba.ge/a/32334641.html (ნანახია 27.03.2023).

რატიანი, სერგო. *ილია ჭავჭავაძისა და ნოე ჟორდანიას პოლემიკა.* თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2022.

რეხვიაშვილი, ჯიმშერ. 2019. აჯანყება, რომელსაც ყველა ელოდა: აჯანყების შემდეგ. *რადიო თავისუფლება,*

აგვისტო 27, 2019. https://shorturl.at/jvttn (ნანახია 27.03.2023).
საბანაძე, გიორგი და ემზარი ჯგერენაია, რედ. *პოლონეთისა და პოლონელების როლი ქართული ნაციონალიზმის ფორმირებაში.* თბილისი: Nova Societas და პოლიტიკური ინსტიტუტი თბილისში, 2021.
საზოგადოებრივი არქივი. "ჟორდანია ნოე". საზოგადოებრივი არქივი. ნანახია იანვარი 8, 2024. https://archive.ge/ka/biography/182
სამუშია, ჯაბა. 2022. ,,კუკ-კოლისი ჯეიმს ნორმანი". ბიბლიოვიკი, https://shorturl.at/PBNPq (ნანახია 10.06.2024).
საქართველოს რესპუბლიკა. 1921. ,,თავდასხმა, გენერალური შტაბის ცნობები". *საქართველოს რესპუბლიკა,* 34. რესპუბლიკა 100, https://civil.ge/ka/archives/396609 (ნანახია 09.06.2024).
საქართველოს რესპუბლიკა. 1991. გაეროს, მსოფლიოს ქვეყნების ხალხებს და მთავრობებს: საქართველოს უზენაესი საბჭოს მიმართვა . *საქართველოს რესპუბლიკა* 42 (62).
საქართველოს რესპუბლიკა. 1991. კრემლი ულტიმატუმებით გველაპარაკება. ზვიად გამსახურდია. *საქართველოს რესპუბლიკა* 52 (72): 1.
სიმაშვილი, თენგიზი. ვინ მოკლა ილია. ახალმოძიებული საარქივო მასალები. ნაწილი პირველი. თბილისი: მერიდიანი, 2020.
სილაქაძე, დიმიტი.„საქართველოს პირველი რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების ფორმირების შემაფერხებელი ფაქტორები". *საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის გახსენება* 100 *წლის შემდეგ – მოდელი ევროპისათვის?* საერთაშორისო სამეცნიერო ფორუმი. რედ. ოთარ ჯანელიძე და დიმიტრი სილაქაძე, 222-235. თბილისი, 2018.
სურგულაძე, აკაკი. *ნიკოლოზ ბარათაშვილის ეპოქა*, თბილისი: საბჭოთა საქართველო, 1968.

სმიტი, ენტონი. *ნაციონალიზმი: თეორია, იდეოლოგია, ისტორია*. თბილისი: ქართული ენის საერთაშორისო ცენტრი, 2004.

სტურუა, ნიკოლოზ და მაყვალა ნათმელაძე, რედ. *საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტომი* 8. თბილისი: საბჭოთა საქართველო, 1980.

სურგულაძე, აკაკი, რედ. *საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტომი* 6. თბილისი: საბჭოთა საქართველო, 1972.

ფრონელი, ალექსანდრე. ამბოხება კახეთისა (1812 წ.): ისტორიული ამბავი. ტფილისი: წიგნების გამომც. ქართველთ ამხ. სტ. 1907.

ქავთარაძე, გიორგი. 2018. საქართველო-გერმანიის კულტურული და პოლიტიკური ურთიერთობის ისტორიიდან: უფლისწული ერეკლე ბერლინში. *პროსოპოგრაფიულ მონაცემთა ბაზა. ლინგვისტურ კვლევათა ინსტიტუტი.* https://qakuna.iliauni.edu.ge/ka/publications (ნანახია 20.03.2023).

ღაღანიძე, მერაბ. *ძველი და ახალი საქართველოს მიჯნაზე*. თბილისი: მემკვიდრეობა, 2010.

ღაღანიძე, მერაბ. *ლიტერატურა, კულტურა, რელიგია,* 1. თბილისი: საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, 2021.

ყორანაშვილი გურამ. წიწამურის ტრაგედიის საიდუმლო. თბილისი: PDP, 2004.

შველიძე, დიმიტრი. 2011. ქართული სახელმწიფოებრიობის პრობლემა არჩილ ჯორჯაძის ნააზრევში. *თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები* III: 279-296.

შველიძე, დიმიტრი. *პოლიტიკური პარტიები საქართველოში.* თბილისი: პალიტრა L, 2022.

ჩაგელიშვილი, თომა. 2002. ილია ჭავჭავაძის მკვლელობა. Youtube ვიდეო. https://www.youtube.com/watch?v=Jy_seSh5N2s (ნანახია 01.01.2024).

ყორანაშვილი გურამ. წიწამურის ტრაგედიის საიდუმლო. თბილისი: PDP, 2004.

წიფურია, ბელა. 2019. "წინასიტყვაობა (ილია ჭავჭავაძე)". *შესავალი თანამედროვე აზროვნებაში* 1, 453-459. თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი გამომცემლობა

წურწუმია, ალექსანდრე. 2002. ,,ალექსანდრე ამილახვარის პოლიტიკური შეხედულებები". სადოქტორო დისერტაცია. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. https://digitallibrary.tsu.ge/book/2022/Sep/dissertations/wurwumia-aleqsanre-amilaxvari-disertacia.pdf (ნანახია 01.10.2024).

ჭავჭავაძე, ილია. 1861. „მგზავრის წერილები", *ბიბლიოთეკა სკოლას,* http://www.nplg.gov.ge/civil/statiebi/saskolo/mgzavris_werilebi.htm (ნანახია 01.12.2024).

ჭავჭავაძე, ილია. 1872. „პასუხის პასუხი", *პროექტი სკოლას,* http://www.nplg.gov.ge/civil/statiebi/saskolo/pasuxis_pasuxi.htm (ნანახია 12.25.2023).

ჭავჭავაძე, ილია. 1876. „ზოგიერთი რამ", *ბიბლიოთეკა სკოლას,* http://www.nplg.gov.ge/civil/statiebi/saskolo/zogierTi_ram.htm (ნანახია 01.12.2024).

ჭავჭავაძე, ილია. 1877. ოსმალოს საქართველო. ივერია 9: 1-3 https://library.iliauni.edu.ge/wp-content/uploads/2017/03/iliatchavtchavadze-osmalossaqarthvelo.pdf (ნანახია 20.11.2023).

ჭავჭავაძე, ილია. 1883. სიტყვა წარმოთქმული გრიგოლ ორბელიანის დასაფლავებაზე, ილია ჭავჭავაძს თხზულებათა კრებული, 2013. https://iliachavchavadze1837.wordpress.com/2013/11/14/sityva-warmothqmuli-grigol-orbelianis-dasaflavebaze/ (ნანახია 25.12.2023).

ჭავჭავაძე, ილია. 1888. ერი და ისტორია, ილია ჭავჭავაძის თხზულებათა კრებული, 2013. https://

iliachavchavadze1837.wordpress.com/2013/12/05/eri-da-istoria/(25.12.2023).
ჭავჭავაძე, ილია. 1897. რა გითხრათ, რით გაგახაროთ? ილია ჭავჭავაძის თხზულებათა კრებული. https://iliachavchavadze1837.wordpress.com/2014/01/16/ra-githkhrath-rith-gagakharoth/ (ნანახია 24.12.2023).
ჭავჭავაძე, ილია. *ნაწერების სრული კრებული*. თბილისი: ქართული წიგნი, 1928.
ჭიჭინაძე, ზაქარია. *ფარული საზოგადოების დაარსების მიზეზები*. თბილისი: განათლება, 1919.
ხიდაშელი, შალვა. ფილოსოფიური აზრის განვითარება, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტომი IV, გვ 792-797, თბილისი: საბჭოთა საქართველო, 1974.
ჯანელიძე, ოთარ. *ნარკვევები საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ისტორიიდან.* თბილისი: მეცნიერება, 2002.
ჯანელიძე, ოთარ. *ნიკო ნიკოლაძე, ბიოგრაფიიდან ამოხეული ფურცლები.* თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1998.
ჯავახიშვილი, ივანე. *ქართველი ერის ისტორია*. თბილისი: სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1953.
ჯოლოგუა, თამაზ. დიმიტრი ყიფიანი, ტომი I. თბილისი: არტანუჯი, 2016.
ჯოლოგუა, თამაზ. ტომი II. თბილისი: ეროვნული ბიბლიოთეკა, 2017.
ჯოლოგუა, თამაზ. *ნარკვევები, ლიტერატურული პორტრეტები, პუბლიკაციები*. თბილისი: არტანუჯი, 2022.
ჯორჯაძე, არჩილ. წერილები. შედგენილი აკაკი ბაქრაძე. რედაქტორი იზა ორჯონიკიძე. თბილისი: მერანი, 1989.
ჯორჯაძე, არჩილ. *თხზულებანი არჩილ ჯორჯაძისა. წიგნი პირველი: ეროვნული პრობლემების გარშემო (პოლემიკური წერილები).* ტფილისი: ელექტრო-მბეჭდავი „სოფრანი“, 1911.

ivote.ge. 2012. საარჩევნო პროგრამა. ბიძინა ივანიშვილი – ქართული ოცნება https://www.ivote.ge/images/doc/pdfs/ocnebis%20saarchevno%20programa.pdf (ნანახია 01.23.2024).

Ashcroft, Bill, Gareth Griffiths and Helen Tiffin. *Postcolonial Studies: The Key Concepts*. London and New York: Routledge, 2013.

Anchabadze, Zurab V. 2011. *Questions of Abkhazian History in the Book by P. Ingorokva "Georgi Merchule – Georgian Writer of the* 10*th Century"*. Reprinted from the edition: *Selected Works (in Two Volumes)*, Volume II. Sukhum. In Russian. https://abkhazworld.com/aw/Pdf/Questions_of_Abkhazian_history-By_Zurab_Anchabadze.pdf. (Accessed 5.12.2023).

Anderson, Benedict. *Imagined Communities, Reflections on the Origin and Spread of Nationalism*. London: Verso, 1991.

Andronikashvili, Zaal and Giorgi Maisuradze. Secularization and Its Vicissitudes in Georgia. *Identity Studies in the Caucasus and the Black Sea Region*, 2: 5-17, 2010.

Batiashvili, Nutsa. The 'Myth' of the Self: The Georgian National Narrative and Quest for 'Georgianness' In *Memory and Political Change*, edited by Aleida Assmann and Linda Shortt, 186-200. London and New York: Palgrave Macmillan, 2012.

Batiashvili, Nutsa, Anxiety of treason in a small country: 'Russian agents' and disturbed identities in Georgia. *History and Anthropology*, 35(3): 394-414. DOI: 10.1080/02757206.2022.2116018. 2022.

Bernhard, Michael, Kubik, Jan. "Roundtable Discord: The Contested Legacy of 1989 in Poland" In *Twenty Years After Communism, The Politics of Memory and Commemoration,* edited by Michael Bernhard and Jan Kubik, Jan, 60-84, NY: Oxford University Press, 2014.

Blejwas, Stanislaus, A. „'Review" *In Nationalism, Marxism, and Modern Central Europe: A Biography of Kazimierz Kelles-*

Krauz, 1872-1905*,* edited by Timothy Snyder, Oxford: Oxford University Press, 2018.

Brzechczyn, Krzsysztof. Interpreting Poland. *The Sarmatian Review* 36 (3): 2023-2031, 2016.

Brzeziecki, Andrzej, Giedroyc (n.d.) Man of the East. *Kultura*, https://kulturaparyska.com/en/topic-article/giedroyc-czlowiek-wschodni (Accessed 02.08.2023).

Buzan, Barry and Ole Wæver. *Regions and Powers, The Structure of International Security*. Cambridge: Cambridge University Press, 2003.

Camus, Nicolas. 2023. "European Commission Sues Poland over EU Law Violations by Top Court." *Politico*, January 15, 2023. https://www.politico.eu/article/rule-of-law-law-and-justice-pis-party-european-commission-takes-poland-to-court-over-eu-law-violations/

Carey, Henry F. and Rafal Raciborski. 2004. Postcolonialism: A Valid Paradigm for the Former Sovietized States and Yugoslavia*? East European Politics and Societies*, 18 (2): 191-235.

Chikovani, Nino and Kakitelashvili, Ketevan. 2015. Fluctuating Memory: Rotating Images of the "Big Brother" and "Aggressor". *Культура/Culture*, [S.l.] 10: 130-139.

Civil Georgia. 2006. Spy Row Ends, but Tensions Remain. *Civil Georgia*, October 2, 2006. https://old.civil.ge/eng/article.php?id=13738 (Accessed 20.12 .2023).

Civil Georgia. 2021. "History | Soviet Russia Invaded Georgia 100 Years Ago Interview with Dr. Beka Kobakhidze" *Civil.ge*, February 12, 2021. https://civil.ge/archives/397042 (Accessed 10.01.2024).

Darczewska, Jolanta and Piotr Żochowski. 2015. Russophobia in the Kremlin's strategy. A weapon of mass destruction. *Point of View* # 56 (October). https://www.files.ethz.ch/isn/195236/pw_56_ang_russophobia_net.pdf (Accessed 13.04.2024).

Davies, Norman. *Europe: A History*. Oxford: Oxford University Press, 1996.

Deepika, Bahri. 1996. Fall About Postcolonial Studies. *Postcolonial Studies @ Emory.* https://scholarblogs.emory.edu/postcolonialstudies/about-postcolonial-studies/ (Accessed 22.08.2022).

Delegation of the European Union to Georgia. 2024. "Extracts from the Georgia Conclusions of the European Council." October 17, 2024. https://www.eeas.europa.eu/delegations/georgia/extracts-georgia-conclusions-european-council-0_en?s=221.

Djilas, Milovan. *The New Class. An Analysis of the Communist System*. London: Thames and Hudson, 1957.

Evans, Richard J. *In Defense of History*. New York: W.W. Norton & Company, 2000.

Field, Lowell G., John Higley and Michael G. Burton. 1990. A New Elite Framework for Political Sociology, *Revue Europeene des Sciences Sociales*, 28 (88): 149-182.

Gabrichidze, Nini. 2023. "Nationalism and Ideology in Present-Day Georgia: Interview with Stephen F. Jones." *Civil.ge*. https://civil.ge/archives/573318 (Accessed 27.12.2023).

Gelis-Filho, Antonio. "Geoculture: Missing in Action". In *Almanac. Evolution: Evolutionary Trends, Aspects, and Patterns*, edited by Anton L. Grinin and David LePoire, 167-184. Volgograd: 'Uchitel' Publishing House, 2019.

Gellner, Ernest. "Nations and Nationalism". In Conflict After the Cold War. Arguments on Causes of War and Peace. 3rd ed., edited by Richard, K. Betts, 336-346. NY: Pearson, 2007.

Giddens, Antony. *The Constitution of Society. Outline of the Theory of Structuration.* Berkley: University of California Press, 1986.

Hall, Stuart. The West and the Rest: Discourse and Power. In *Modernity: An Introduction to Modern Societies*, edited by. Stuart Hall, David Held, Don Hubert and Kenneth Thompson, 184-224. Malden: Blackwell, 1996.

Hall, Stuart. Foucault: Power, Knowledge and Discourse. In *Discourse Theory and Practice*: A Reader, edited by Margaret Wetherell, Stephanie Taylor and Simeon J. Yates, 72-82. London: Sage, 2001.

Higley, John and Pakulski, Jan. 1999. Elite Power Games and Democratic Consolidation in Central and Eastern Europe. *Historical Social Research* 37 (139): 292-319.

Jones, Stephen F. 1987. Russian Imperial Administration and the Georgian Nobility: The Georgian Conspiracy of 1832. *The Slavonic and East European Review*, 65(1): 53–76.

Jones, Stephen F. *Socialism in Georgian Colors. The European Road to Social Democracy* 1883-1917. Cambridge and London: Harvard University Press, 2005.

Jones, Stephen F. Reflections on the Rose Revolution. *European Security*, 21(1): 5-15. DOI: 10.1080/09662839.2012.656596, 2012.

Jones, Stephen F. 2014. Between Ideology and Pragmatism: Social Democracy and the Economic Transition in Georgia 1918-21. *Caucasus Survey* 1 (2): 63-81.

Jorn, Leonhard and Wieland, Christian, eds. What makes the Nobility Noble?: Comparative Perspectives from the Sixteenth to the Twentieth Century. Göttingen: Vandenhoeck & Ruprecht, 2011.

Katzenstein, Peter J., ed. *The Culture of National Security. Norms and Identity in World Politics*. New York: Columbia University Press, 1996.

Khomyakov, Maxim. 2020. Russia: Colonial, anticolonial, postcolonial Empire? *Social Science Information*, 59(2): 225-263.

Kobakhidze, Otar. Pro-Russian Labels: Georgia's Political Actors in Search of Kremlin Agents. In *Georgian-Russian Relations: The Role of Discourses and Narratives*, 6-17. Tbilisi: Henrich Boll Stiftung, 2021.

Kolbaia, David.“Preface”. In *Polish-Georgian Historians’ Commission, Collected Works, Volume I*, edited by David Kolbaia. Warsaw: Institute of National Remembrance, 2019.

Koplatadze, Tamar. 2019. Theorising Russian Postcolonial Studies, Postcolonial Studies, 22: 469-489.

Kołodziejczyk, Dorota and Huigen, Siegfried.“East Central Europe Between the Colonial and the Postcolonial: A Critical Introduction” In *East Central Europe Between the Colonial and the Postcolonial in the Twentieth Century*, edited by Dorota Kołodziejczyk and Siegfried Huigen, 1 – 31. Cham: Palgrave Macmillan, 2023.

Lewandowski, Piotr. 2022. Poland as a periphery in Immanuel Wallerstein’s theory. *Studia z Dziejów Rosji i Europy Środkowo-Wschodniej* 56(3): 175-193

Lewin, Moshe. *The Soviet Century*. London-NY: Verso, 2005.

Luzianina, L. N. 1971. N. M. Karamzin’s *History of the Russian State* and Pushkin’s Tragedy *Boris Godunov* (On the Problem of the Character of the Chronicler). *Soviet Studies in Literature* 8 (1): 28–49. https://doi.org/10.2753/RSL1061-1975080128.

Mayerhoffer, Eva and Pfetsch, Barbara.“Media Elites”, In *The Palgrave Handbook of Political Elites*. 2nd ed. Edited by Heinrich Best and John Higley, 417-439. London: Palgrave Macmillan, 2018.

Merabishvili, Innes. 2010. Byron and Georgia. *Bulletin of the Georgian National Academy of Sciences*, 4 (2): 185-190

Moore, David Ch.“Is the Post – in Postcolonial the Post – in Post-Soviet? Towards a global Postcolonial critique”. In *Baltic Postcolonialism*, edited by Violeta Kelertas, 11-43. Amsterdam, New York: Rodopi, 2006.

Mosca, Gaetano. *The Ruling Class*. NY and London: Mc Graw-Hill Book Company, Inc. 1939.

Ministry of National Defense. (n.d.)”Poland in NATO – More than 20 Years.” https://www.gov.pl/web/national-defence/poland-in-nato-20-years. (Accessed 21.03.2023).

Nisnevich, Yuly and Andrey Ryabov. 2017. Post-Soviet authoritarianism. *Social Sciences* 48 (3): 80–94.

Nodia, Ghia. 2009. Components of the Georgian National Idea: An Outline. *Identity Studies,* 1: 84-101.

Nowak, Andrzej. *History and Geopolitics: A Contest for Eastern Europe*. Warsaw: Polski Institut Spraw Międzynarodowych, 2008.

Person, Robert and Michael McFaul. 2022. What Putin Fears Most. *Journal of Democracy*, 33(2): 18-27.

Pietrzak, Piotr. 2023. „The Giedroyć-Mieroszewski Doctrine and Poland's Response to Russia's Assault on Ukraine." *Modern Diplomacy*, February 3, 2023. https://moderndiplomacy.eu/2023/02/03/the-giedroyc-mieroszewski-doctrine-and-polands-response-to-russias-assault-on-ukraine/ (Accessed 10.02.2023).

Kobakhidze, Beka. *Batum: Europe's Eastern Gates*. Manuscript. 2024.

Ram, Harsha and Shatirishvili, Zaza. 2004. Romantic Topography and the Dilemma of Empire: The Caucasus in the Dialogue of Georgian and Russian Poetry, *The Russian Review*, 63: 1-25

Reisner, Oliver. 2009. Traveling Between Two Worlds—the Tergdaleulebi, Their Identity Conflict and National Life. Identity Studies (1): 36–50.

Reisner, Oliver. „On the Specifics of the Development of Civil Society in Georgia". In *Modernization in Georgia. Theories, Discourses and Realities*, edited by Giga Zedania, 229-269. Bern: Peter Lang, 2018.

Rhinelander, Hamilton L. 1975. Russia's Imperial Policy. *Canadian Slavonic Papers* 17 (2-3): 218-235

Rolf, Malte. *Imperial Russian Rule in the Kingdom of Poland* 1864-1915. Pittsburg: University of Pittsburg Press, 2021.

Saakashvili, Mikheil. 2021. "My Western Manifesto." *Mtavari Channel*, December 23, 2021. https://mtavari.tv/en/

news/68777-mikheil-saakashvilis-western-manifesto (Accessed 04.10.2023).
Snyder, Timothy. 1997. Kazimierrz Kelles-Krauz (1872-1905): A pioneering scholar of modern nationalism. *Nations and Nationalism* 3 (2): 231-250.
Snyder, Timothy. *Bloodlands: Europe Between Hitler and Stalin*. New York: Basic Books,2012.
Snyder, Timothy. 2022. "The War in Ukraine Is a Colonial War." *The New Yorker*, April 28, 2023. https://www.newyorker.com/news/essay/the-war-in-ukraine-is-a-colonial-war (Accessed 15.05.2024).
Spivak, Gayatri. 2003. Empire, Union, Center, Satellite: The Place of Post-colonial Theory in Slavic/Central and Eastern European/(Post-)Soviet Studies. *Ulbandus Review* 7: 15-17
Stalin, Joseph. *Marxism and the National Question*. Moscow: Foreign Languages Publishing House, 1954.
Starczyk, Adam and Tomaszewska, Natalia. 2017. Conception of Intermarium in Polish Foreign Policy in XXI Century. *Torun International Studies* 1 (10): 15–28. DOI: http://dx.doi.org/10.12775/TIS.2017.002
Suny, Ronald Grigor. *The Making of the Georgian Nation*. 2nd ed. Bloomington: Indiana University Press, 1994.
Thompson, Ewa. 2014. It is Colonialism Aftar All: Some Epistemological Remarks. *Teksty Drugie,* 1: 67-81
Van Dijk, Teun A. *Society and Discourse: How Social Contexts Influence Text and Talk*. Cambridge: Cambridge University Press, 2009.
Verdery, Katherine. "Whither Postsocialism?" In Postsocialism: Ideals, Ideologies, and Practices in Eurasia, edited by Chris M. Hann, 15-28. London and New York: Routledge, 2002.
Wallerstein, Immanuel. *Geopolitics and Geoculture, Essays on the Changing World-System.* New York: Cambridge University Press, 1991.

Wandycz, Piotr S. *The Lands of Partitioned Poland,* 1795-1918*, A History of East Central Europe*. Volume VII. Seattle: University of Washington Press, 1996.

Wandycz, Piotr S., Hans Roos, Kazimierz Maciej Smogorzewski and Krzysztof Jasiewicz. 2023. The January 1863 uprising and its aftermath. *Britannica*. https://www.britannica.com/place/Poland/Emigration-and-revolt (Accessed 03.09.2023).

Weßels, Bernhard.“Norms and Orientations of Political Elites”. In *The Palgrave Handbook of Political Elites*. 2nd ed. Edited by Heinrich Best and John Higley, 523-538. London: Palgrave Macmillan, 2018.

Wodak, Ruth, Rudolf de Cillia, Martin Reisigl, Karin Liebhart, Angelika Hirsch, Richard Mitten, and J. W. Unger. *The Discursive Construction of National Identity*. Edinburgh University Press. 2009.

Wodak, Ruth. Discourses about nationalism. In *The Routledge Handbook of Critical Discourse Studies*, edited by John Flowerdew and John Richardson, 403-420. New York: Routledge. 2018.

Zhordania, Noe. 2020. “Address on the Recognition of Georgia by Entente Powers: January 14, 1920.” *Civil.ge*. https://civil.ge/archives/350058 (Accessed10.06.2023).

Barszak, Magdalena. 2022. Putin mówil o Ukraine. Nagle padli słowa o Polsce. Ten pomysł nie znikął, Wiadomosci, 17:24, https://wiadomosci.radiozet.pl/Swiat/Putin-mowil-o-Ukrainie.-Nagle-padly-slowa-o-Polsce.-Ten-pomysl-nie-zniknal (23.03.2023).

Bobryk, Roman i Faryno, Jerzy, Red. Wizerunek Sąsiadow: Polacy w Oczach Rosjan – Rosjane w Oczach Polaków. Warszawa: Polska Academia Nauk, Institut Slawistyki, 2000.

Broda, Marian, Justyna, Kurczak i Przemysław, Waingertner. Komunizm w Rosji i jego Polskie Interpretacje. Łodz: Wydawnictwo Ibide, 2006.

Brzechczyn, Krzysztof. Kłopoty z Polską. Poznań : Wydawnictwo WiS, 1998.

Czapiewski, Edward i Żerelik, Rościslaw, Red. Od Rusi Kijowskiej do Rosji współczesnej. Stan stosunków Polsko-Rosyjskich w Obowiązujących Podręcznikach do Liceów i Szkół Wyższych. Wrocław: Wrocławsko-Petersburskie spotkania historiczne, 2008.

Gołembski, Franciszek. 2009. Geokulturowy Model w Badaniach Stosunków Międzynarodowych. Stosunki Międzynarodowe 3-4: 33-50.

Fiećko, Jerzy. 2016. Mickiewicz I Lelewel – Nowe Spojrzenie, Czyli o Próbie Zbliżenia Literatury i Historiografii, Recenzje i Przeglądy. Pamiętnik Literacki CVII, 4: 217-223

Figura, Marek. Rosja W Myśli Politicznej Władisława Studnickiego. Poznań: Wydawnictwo Naukowe. 2008.

Furier, Andrzej. Krai Zakaukaski w Relacjach Diplomatów II Rzeczy Pospolitej. Poznań: Institut Historii, UAM, 1999.

Jakimowicz, Robert. Zaryś stosunków Polsko-Rosyjskich w latach 1992-1997. Warszawa: Polska Foundacja Międzynarodowych 2000.

Kamiński, Michał. 2023. Kaminski: novii mnogomilionnii sojuz dlja Ukraini, dva scenario pobedi Kieva, granici izmenjatsja, YouTube channel of Yevgeny Kisilyov. YouTube video. https://www.youtube.com/watch?v=O125VPgDrAw (15.07.2023).

Kamiński, łukasz. (n.d.) Dziady (Forefathers' Eve). Polskie Miesiące. Institute of National Remembrance (IPN), March 1968 https://polskiemiesiace.ipn.gov.pl/mon/all-events/march-1968/history/5240,Dziady-Forefathers-Eve.html (18.03.2023).

Kminikowska, Aleksandra i Pękała, Elzbieta, red. Polacy i Rosjane: Wzajemne Relacje, Materialy z debaty 18 października 2006. Gdańsk: Nadbałtyckie Centrum Kultury, 2007.

Lelewel, Joachim. 1839. Dzieje Litwy I Rusi aż do unii z Polską w Lublinie 1569 zawartej. Polona, Biblioteka Narodowa. https://polona.pl/item/dzieje-litwy-i-rusi-az-do-unii-z-polska-w-lublinie-1569-zawartej,NjI5MjAwOTU/192/#info:metadata (13.02.2023).

Materski, Wojciech I Paczkowski, Andrzej, red. NKWD o Polsce i Polakach, Rekonesans Archiwalny. Warszawa: Institut Studiów Politicznych Polskiej Akademii Nauk, 1996.

Michalczik, Ryczard. Polska między Niemcami a Rosją, Obraz Świata, Rzeczypospolitej i jej Sąsiadów na lamach prasy Pomorskiej w latach 1929-1939 oraz 1945-1948. Toruń: Uniwersitet Mikolaja Kopernika, 2000.

Niewiara, Aleksandra. Moskwicin-Moskal-Rosjanin w Dokumentach Prywatnych, Portret. Interdyscyplinarny zespól badań Sowietologicznych Uniwersitetu Lódzkiego. Łódż: Ibidem, 2006.

Rolicki, Janusz. Edward Gierek, Zycie, Narodziny Legendy. Warszawa: Iskry, 2002.

Sienkiewicz, Bartłomiej. 2000. Pochwala Minimalizmu, Tygodnik Powszechny, N52-53, 24.02 - https://www.tygodnikpowszechny.pl/pochwala-minimalizmu-164883 (10.10.2022).

Styczyński, Marek. O Ideach, że złowrogie bywaja: Recepja Rosyjskej Myśli Filozoficzno-politycznej w Polsce po roku 1989. Łódz: Ibidem, 1999.

Szwarc, Andrzej i Wieczorkiewicz, Pawel. „Uwagi o Taktyce Przedstawicielstwa Polskiego W II Dumie Państwowej“ W: Unifikacia za Wszelką Cenę, Sprawy Polskie w Politice Rosyjskiej na Przełomie XIX i XX Wieku, Studia i Materialy Pod. Red. Andrzeja Szwarca i Pawla Wieczorkiewicza, 171-190. Warszawa: Wydawnictwo DIG, 2002.

Tanty, MieczysLaw. Polskie kontakty z panslawistami rosyjskimi po powstaniu styczniowym, str. 41-46, W: Unifikacia za wszelką cenę, sprawy polskie w politice rosyjskiej na przełomie XIX wieku, Studia i materialy, pod red. Andrzeja

Szawca i Pawła Wieczorskiewicza, Warszawa: Widawnictwo DIG, 2002.
Wiech, Stanisław. 2002a. Społczeństwo Królewstwa Polskiego w Oczach Carskiej Policji Politicznej (1866-1896). Kielce: Wydawnictwo Akademii Świętokrzyskiej
Wiech, Stanisław. 2002b. „Rządy Warszawskiego Generala-Gubernatora Piotra Albiedyńskiego – Lata Nadziei, Lata Żłudzeń“W: Unifikacia za Wszelką Cenę, Sprawy Polskie w Politice Rosyjskiej na Przełomie XIX i XX Wieku, Studia i Materialy. Pod. Red. Andrzej Szwarc i Pawel Wieczorkiewicz, 83-114. Warszawa: Wydawnictwo DIG
Woleński, Jan. 2022. Kto tu jest prorosyjski? Polityka. https://www.polityka.pl/tygodnikpolityka/kraj/2193674,1,kto-tu-jest-prorosyjski.read (15.01.2023).
Wożniak, Andrzej, 2019, Tygodnik Polski: An Unknown History of the Tbilisi Polish Community, in: Kolbaia, David, Polish-Georgian Historians' Commission, Collected Works, Volume I, Warsaw
Żurawski Vel Grajewski, Przemysław. Politika Unii Europejskiej Wobec Rosji a Interesy Polski 1991-2004. Kraków : Ośrodek Myśli Politycznej ; Warszawa : Centrum Europejskie Natolin, 2008.
Гуревич, Арон. Марк Блок и апология истории. В Марк Блок, Апология истории. 2-е издание. Москва: Памятники исторической мысли, 1986.
Дарчиашвили, Давид. Бег от Москвы: Неоконченный проект государственности современной Грузии (Рукопись), 2023.
Парето, Вильфредо. *Компендиум по общей социологии*. Москва: ГУ ВШЭ, 2008.

საძიებელი

ა

ავალიშვილი, ზურაბ
102, 105, 106, 107, 108

ავტონომია
36, 40, 48, 61, 72, 73, 78, 80, 81, 85, 87, 91, 92, 96, 97, 109, 112, 131, 179, 183, 192, 203, 218, 244, 245

ავსტრო-მარქსისტი
70, 83, 84

ალექსანდრე ბატონიშვილი
33, 45

ალექსანდრე მეორე
66, 183, 198, 200, 219

ამიერკავკასია
95, 97, 98, 99, 100, 101, 104, 105, 106

ამილახვარი, ალექსანდრე
34, 35, 36, 257

ანტანტა
103, 104, 105

ანტონ პირველი
26, 27

ანტიბოლშევიკური
105, 108, 242

ანტიიმპერიული
45, 47, 129, 189, 207, 225, 265

ანტიკოლონიური
57, 65, 74, 129, 260, 267

ანტიკოლონიური ნაციონალიზმი
267

ანტირუსული ნაციონალიზმი
188

აქტი გონიური
51

აღმოსავლეთ ევროპა
16, 20, 21, 22, 26, 178, 209, 252

ბ

ბაუერი, ოტო
84

ბარათაშვილი, ნიკოლოზ
46, 47, 54, 134

ბაქრაძე, აკაკი
33, 129, 159, 160

ბერმანი, იაკუბ
213

ბიერუტი, ბოლესლავ
210

ბოლშევიზმი/ბოლშევიკები/ ბოლშევიკური
84, 83, 84, 85, 86, 87, 98, 99, 101, 104, 105, 106, 109, 110, 111, 138, 141, 178, 206, 208, 209, 210, 237

ბჟეხჩინი, კშიშტოფ
221, 222, 223

გ

გამსახურდია, ზვიად
122, 129, 130, 131, 137, 138,

139, 140, 141, 145, 152, 153, 158, 256

გარიბალდი, ჯუზეპე
67

გელნერი, ერნსტ
25, 26

გეოკულტურა
13, 19, 20, 21, 94, 123, 148, 149, 150, 151, 154, 156, 160, 189, 206, 220, 231, 245, 255, 263, 264, 265, 266

გეოპოლიტიკა
13, 19, 21, 150, 165, 149, 196, 206, 213

გიერეკი, ედვარდ
214, 217, 218, 219

გიორგი მერჩულე
37, 125

გოგებაშვილი, იაკობ
93

გომულკა, ვლადისლავ
210, 214, 217

დ

დავით ბატონიშვილი
29

დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა (დსთ)
143, 146

დარჩიაშვილი, ვლადიმერ
93

დისკურს ანალიზი
13, 30, 166

დისკურსი/დისკურსული
7, 11, 13, 14, 21, 22, 23, 35, 42, 44, 47, 49, 51, 53, 55, 56, 58, 60, 61, 72, 74, 75, 78, 79, 80, 85, 87, 93, 94, 95, 97, 112, 119, 121, 123, 127, 128, 129, 130, 131, 132, 133, 134, 135, 136, 137, 138, 140, 141, 142, 143, 145, 146, 148, 149, 150, 158, 160, 177, 182, 183, 188, 190, 195, 208, 209, 115, 220, 226, 228, 236, 239, 234, 235, 244, 245, 250, 255, 256, 260, 261, 263, 266, 268, 269, 270

დეკაბრისტები
51, 144

დეკოლონიზაცია
269, 271

დესტალინიზაცია
118, 270

დუდა, ანჟეი
151, 156, 264

დმოვსკი, რომან
166, 168, 174, 175, 177, 179, 203, 204, 205, 206, 208, 215, 216, 220, 223, 254, 261

დოდაშვილი, სოლომონ
47, 50, 51, 52, 54, 55, 60, 74

ე

ევროპეიზაცია
13, 55, 225, 231

ევროპული განმანათლებლობა
12, 21, 31, 163, 165

ევროპის კავშირი
16, 143, 146, 147, 153, 154, 155, 156, 220, 229, 234, 251, 254, 264

ეთნიკური ნაციონალიზმი
14, 119, 121, 124, 126, 127, 128, 130, 133, 134, 146, 152, 153, 160, 235

ეთნონაციონალიზმი
130, 177

ელიტა/ელიტები
13, 17, 18, 19, 22, 40, 41, 43, 48, 58, 64, 85, 86, 95, 117, 133, 148, 149, 150, 160, 167, 177, 214, 218, 221, 249, 254, 252, 253, 254

ელცინი, ბორის
144, 145

ელიტების თეორია
18, 40

ერეკლე მეორე
27, 28, 29, 30, 31, 32, 35, 46, 50, 134, 161, 256, 257

ერთიანი ნაციონალური მოძრაობა
66, 200

ეროვნულ-დემოკრატიული პარტია
41

ვ

ვალენსა, ლეხ
216, 224

ვიელოპოლსკი, ალექსანდრე
183, 184, 192, 199, 202, 212, 219, 257

ვორონცოვი, მიხეილ
59, 62, 79

თ

თეიმურაზ მეორე
45

ი

იაგელონური
220, 225, 230

იდენტობა
9, 15, 20, 29, 37, 54, 110, 116, 132, 142, 150, 158, 178, 179, 203, 220, 222, 239

ივანიშვილი, ბიძინა
133, 146, 147, 149

ივაშკიევიჩი, იაროსლავ
240

იმამ შამილი
60

იმპერია/იმპერიული
7, 10, 12, 17, 18, 19, 31, 32, 36, 40, 42, 47, 49, 50, 53, 54, 56, 57, 60, 61, 62, 63, 65, 66, 68, 72, 77, 81, 87, 91, 93, 95, 96, 98, 103, 104, 112, 119, 121, 136, 137, 144, 151, 165, 169, 171, 176, 179, 182, 183, 186, 187, 189, 190, 191, 194, 196, 198, 200, 201, 202, 203, 204, 208, 209, 211, 214, 218, 219, 220, 226, 232, 235, 237, 244, 250, 260, 261, 267, 268, 269, 270

ინტეგრალური ნაციონალიზმი
69, 166, 168, 177, 203, 246, 261

ინტერნაციონალიზმი
85, 94, 102, 177, 179

ინტერმარიუმი
20, 155, 156, 206, 207, 227, 228, 230, 262, 263, 264

იოსელიანი, ჯაბა
138, 139, 140

კ

კავკასია
12, 33, 36, 50, 56, 58, 59, 60, 66, 70, 71, 81, 89, 94, 95, 96, 97, 99, 100, 105, 107, 111, 151, 152, 159, 197, 263, 265, 267

კაუცკი, კარლ
91, 92, 103, 108, 242, 243

კაჩინსკი, ლეხ
186, 223, 229, 235

კვასნევსკი, ალექსანდრ
224

კოლონია/კოლონიური
16, 41, 42, 44, 49, 56, 58, 68, 69, 75, 105, 111, 119, 131, 145, 180, 197, 232, 243, 266, 267, 268, 269, 270

კოლონიზატორი
16, 17, 63, 119, 120, 136, 190, 236, 237, 240, 269

კოლონიალიზმი
15, 16, 40, 41

კოსტიუშკო, თადეუშ
182

კულტურული ნაციონალიზმი
125, 261

კულტურული ავტონომია
81, 84, 85, 91, 92, 93

კომუნისტური ელიტა
120, 214

ლ

ლენინი
84, 99, 112, 113, 119

ლიბერალიზმი
65, 69, 133, 149, 196

მ

მარქსისტული
39, 109, 124, 130, 149, 242, 248

მარქსიზმი
91, 103, 215, 243

მაჩაბელი, გიორგი
92

მახარაძე, ფილიპე
82, 86, 88, 111

მეორე მსოფლიო ომი
208, 210, 212, 213, 225, 239

მეორე ჟეჩპოსპოლიტა
164, 170, 174, 175, 207, 208, 210, 215, 262

მესამე ჟეჩპოსპოლიტა
170, 187, 216, 220, 229, 240

მესამე დასი
75, 81

მენშევიკები/მენშევიკური
83, 84, 86, 88, 102, 138

მთიულეთის აჯანყება
40

მიცკევიჩი, ადამ
174, 182, 192, 193, 194, 195, 196, 215, 235, 236, 247, 259, 260, 261, 262

მოდერნიზაცია
12, 22, 25, 28, 29, 30, 31, 32, 33, 34, 36, 37, 42, 53, 60, 63, 75, 76, 115, 133, 136, 164, 166, 175, 225, 253, 269

მოდერნული
11, 30, 31, 53, 63, 116, 164, 167, 168, 172, 178, 198, 222, 243, 257, 267

მოდერნული ნაციონალიზმი
33, 37, 46, 49, 53, 63, 81, 179

მხედრიონი
138, 139

ნ

ნატო
16, 143, 144, 186, 224, 229, 234, 254

ნაციონალიზმი
9, 13, 14, 15, 17, 18, 22, 23, 25, 37, 39, 40, 43, 46, 49, 53, 55, 57, 64, 69, 70, 71, 74, 75, 81, 85, 90, 91, 92, 94, 97, 98, 111, 115, 120, 122, 123, 127, 150, 158, 160, 176, 181, 184, 188, 205, 206, 215, 231, 241, 242, 248, 250, 255, 260, 263, 268

ნახევრადპერიფერია
19, 20, 149, 150, 153

ნემცოვი, ბორის
145

ნიკოლაძე, ნიკო
75, 76, 77, 159

ნიკოლოზ პირველი
56

ნოვაკი, ანჟეი
21, 150, 164, 165, 166, 167, 168, 170, 172, 174, 175, 177, 179, 189, 201, 202, 207, 208, 209, 214, 216, 220, 226, 227, 228, 241, 247

ნომენკლატურა
113, 114, 117, 120, 128, 138, 140, 143

ნობილიტეტი
195

ო

ორბელიანი, გრიგოლ
32, 51, 60, 61, 68, 136, 270

ორბელიანი, სულხან-საბა
27, 34, 159

ორჯონიკიძე, სერგო
88

ოხაბი, ედვარდ
214, 217

პ

პაატა ბაგრატიონი
34

პარეტო, ვილფრედო
85, 86

პატიაშვილი, ჯუმბერი
115, 122

პერიფერია
12, 18, 19, 25, 114, 149, 153, 246, 270

პილსუდსკი, იუზეფ
155, 165, 166, 168, 174, 175, 177, 179, 196, 203, 204, 205, 206, 207, 208, 209, 211, 220, 221, 223, 225, 226, 227, 228, 237, 242, 244, 248, 254, 262, 264

პირველი მსოფლიო ომი
78, 92, 99, 101, 104, 176, 178, 209, 211

პოზიტივიზმი
67, 76, 175, 176, 198, 200, 202, 220, 244

პოლონეთის გაერთიანებულ მუშათა პარტია (PZPR)
212

პოლონური ელიტა
150, 163, 192, 209, 221, 224, 227, 252, 253, 254

პოლონური ნაციონალიზმი
7, 10, 18, 22, 26, 38, 55, 92, 163, 164, 166, 179, 188, 193, 224, 248, 258, 259, 264, 266

პოსტკოლონიური
44, 55, 196, 232, 240, 243, 266, 267, 268, 270, 271

პოსტმოდერნული
12, 13, 17, 231, 232, 259

პოსტკოლონიური კვლევები
15, 16, 267

პოტოცკი, იან
171, 189, 190, 191, 270

პლამენაცი, იოანე
26

პრემოდერნული
38

პრორუსული
32, 33, 79, 109, 110, 148, 156, 158, 166, 185, 186,210, 221

პროდასავლური
148, 158

პრომეთეანიზმი
206, 207, 242

პრიმორდიალური
72, 152, 158

პუტინი, ვლადიმერ
143, 144, 145, 147, 186, 232, 234, 238

ქ

ქეჩპოსპოლიტა
12, 20, 22, 26, 27, 28, 31, 164, 167, 168, 169, 170, 171, 179, 180, 182, 183, 184, 187, 189, 191, 192, 197, 198, 199, 204, 205, 206, 207, 209, 211, 213, 224, 232, 239, 244, 246, 247, 248, 249, 257, 262

ქორდანია, ნო
79, 80, 87, 88, 90, 91, 92, 93, 95, 97, 98, 100, 102, 103, 104, 105, 106, 107, 108, 123, 137, 151, 161, 242, 248, 268

რ

რამიშვილი, ნოე
102

რენაციონალიზაცია
42, 125, 195, 262, 263

რომანტიკული ნაციონალიზმი
11, 40, 201

რომანტიკული პატრიოტიზმი
206, 229, 236

რუსეთის იმპერია
10, 12, 31, 36, 44, 48, 54, 58, 59, 68, 69, 75, 80, 86, 87, 97, 115, 116, 137, 146, 165, 168, 180, 182, 188, 190, 191, 196, 197, 201, 203, 214, 216, 239, 247, 249, 256, 267, 268

რუსო, ჟან ჟაკ
164, 168, 169

რუსული ნაციონალიზმი
194, 237, 245

რუსეთის იმპერიალიზმი
32, 171, 221, 226, 238

რუსული ელიტა
40, 142, 142

რსდმპ
82, 83

რუსეთის/კრემლის აგენტი
138, 140, 147, 250, 256

რუსიფიკაცია/ რუსიფიკატორული პოლიტიკა
55, 197, 200, 237, 260

რჟევუსკი, ადამ ვავრჟინიეც
168, 169, 170, 171

ს

სააკაშვილი, მიხეილ
131, 132, 133, 141, 143, 145, 147, 153, 155, 156, 158, 256, 258, 264, 265

საბჭოთა იმპერიალიზმი
16, 208

საბჭოთა ისტორიოგრაფია
11, 48, 65, 66, 80, 97, 98, 267

საბჭოთა კავშირი
13, 44, 87, 112, 113, 114, 115, 116, 119, 120, 121, 122, 128, 129, 137, 143, 144, 208, 209, 211, 213, 214, 216, 217, 218, 224, 227, 233, 249, 250, 268, 269

სამხრეთ კავკასია
154

სამოქალაქო ნაციონალიზმი
14, 119, 133

სახელმწიფო ნაციონალიზმი
134, 146, 148

სამი ზღვის ინიციატივა
20, 155, 156, 230

სოლომონ მეორე
33, 45

სოლიდარობა
216, 229

სოციალისტ-ფედერალისტური პარტია
41

სუნი, რონალდ
42, 43, 114, 115

სტალინი/სტალინური
82, 83, 84, 86, 88, 111, 112, 113, 116, 117, 120, 210, 212, 213, 215, 219, 234, 235, 270

სტუდინსკი, ვლადისლავ
211, 212

უ

უფლისწული იოანე
29

ფ

ფარაჯანოვი, სერგეი
126, 127, 128, 151, 152

ქ

ქართული ელიტა
13, 32, 45, 47, 56, 59, 81, 119, 157, 251

ქართული ნაციონალიზმი
10, 12, 15, 22, 37, 41, 42, 49, 54, 61, 62, 63, 71, 73, 74, 83, 94, 116, 123, 126, 134, 179, 243, 248, 259, 260, 266

ქართული ოცნება
133, 147, 148, 155, 156, 158, 255, 256

ღ

ღალატი/მოღალატე/მოღალატეობრივი
7, 13, 17, 54, 55, 61, 134, 136, 139, 140, 141, 142, 143, 166, 170, 182, 183, 184, 185, 187, 188, 223, 256, 257, 258

ღარიბაშვილი, ირაკლი
147

ყ

ყიფიანი, დიმიტრი
55, 56, 57, 58, 59, 60, 68, 69

შ

შევარდნაძე, ედუარდ
115, 117, 118, 119, 131, 139, 140, 142, 143, 145, 146

შლახტა
163, 169, 174, 184, 192, 210, 249

ჩ

ჩარტორისკი, ადამ იერჟი
183, 188, 189, 190, 191, 192, 193, 194, 195, 196, 197, 201, 207, 212, 215, 220, 221, 225, 226, 257

ჩერქეზიშვილი, ვარლამ
80

ჩრდილოეთ კავკასია
32, 39, 60, 125, 152, 153, 197

ჩხეიძე, კარლო
106

ჩხენკელი, აკაკი
93, 95

ცა

ცარიზმი
13, 51, 62, 83

ცენტრალური ევროპა
16, 20, 21, 22, 37, 178, 191, 209, 252

ძ

ძერჟინსკი, ფელიქს
210

წ

წერეთელი, აკაკი
92

წერეთელი, ირაკლი
102, 103

წერეთელი, მიხაკო
93, 94, 151

წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება
64, 243

წითელი არმია
82, 108, 110, 217

ჭ

ჭავჭავაძე, ალექსანდრე
40, 60, 74

ჭავჭავაძე, ილია
33, 41, 57, 61, 64, 65, 66,67, 68, 69, 72, 73, 74, 76, 78, 80, 82, 83, 87, 93, 97, 116, 136, 138, 243, 244, 259, 260, 261, 262, 264

ჯ

ჯავახიშვილი, ივანე
48, 125, 150

ჯავახიშვილი, მიხეილ
117

ჯონსი, სტივენი
15, 51, 92, 93, 158

ჯორჯაძე, არჩილ
56, 59, 78, 79, 80, 93, 97

ჰ

ჰიბრიდულობა
17, 111, 119, 240, 254

ჰროჩი, მიროსლავ
43, 64